შ. გაგოშიძე, კ. სიხარულიძე

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის ისტორია

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1988

ᲑᲑ 12
ბ 142

წიგნში მოცემულია პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია მისი ჩასახვის პერიოდიდან დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე. იგი განკუთვნილია როგორც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტებისა და სხვა მკითხველებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი პრესის ისტორიის საკითხებით.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: პროფ. ნ. ტაბიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. კაპანაძე

4502010000—298
Г ——————— 238—88
М-602(08)-88

© გამომცემლობა „განათლება", 1988

ISBN 5—505—00571—3

შესავალი

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე იგი აქტიურად ეხმარებოდა პარტიას სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმის განხორციელებაში, მშრომელთა ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში. თანამედროვე პირობებში საბჭოთა ჟურნალისტების უპირველესი მოვალეობაა ფართო მასების დარაზმვა სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა უმთავრესი ამოცანებია დაეხმარონ პარტიას მის ყოველდღიურ ბრძოლაში გარდაქმნისა და დაჩქარებისათვის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების სრულყოფისათვის, ახალი კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდისათვის, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური მორალის, ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. პარტიისა და ხალხის მუშაობის ღრმა ანალიზი და გაშუქება, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პროცესის გაღვივება, მკაცრი და პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, რომელიც მიმართული იქნება ბიუროკრატიზმის, ინერტულობის, მუქთახორობის და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ — აი, ის უპირველესი პრობლემები, რომლებიც ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ საბჭოთა ჟურნალისტებმა.

კომუნისტური პარტია განუხრელად ზრუნავს საბჭოთა ჟურნალისტიკის განვითარებისათვის, გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკების პოლიტიკური სიმწიფის ამაღლებისათვის, მათი ჟურნალისტური ოსტატობის დახვეწისათვის.

ჟურნალისტური ოსტატობის ამაღლების, ჩვენი პრესის შემდგომი განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის, ვ. ი. ლენინის — განუმეორებელი პუბლიცისტისა და მრავალრიცხოვანი ბოლშევიკური გამოცემების რედაქტორის — ჟურნალისტური მოღვაწეობის, ლიტერატორთა ლენინური სკოლის პუბლიცისტების გამოცდილების შესწავლა.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის განუყოფელ, მის ორგანულ ნაწილს შეადგენს. ფუძემდებლური მითითებები იმის თაობაზე, თუ როგორ შევისწავლოთ რევოლუციური მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის ისტორია, მოცემულია ვ. ი. ლენინის ცნობილ ნაშრომში „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან". „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია ოცი წლის განმავლობაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — 1894—1914 წწ., არის ისტორია ორი მიმართულებისა რუსულ მარქსიზმში და რუსულ (უფრო სწორად: რუსეთის) სოციალ-დემოკრატიაში. რომ გავიგოთ რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია, უნდა ვიცოდეთ არა მარტო და არა იმდენად სხვადასხვა ბეჭდვითი ორგანოს სახელწოდებანი, რომელნიც თანამედროვე მკითხველს არაფერს ეუბნებიან და მას მხოლოდ თავგზას უბნევენ, არამედ სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვა ნაწილთა შინაარსი, ხასიათი, იდეური ხაზი"[1].

რუსეთში მარქსისტული პრესის აღმოცენება XIX საუკუნის ბოლოს კლასობრივი ბრძოლის უკიდურესმა გამწვავებამ, მუშათა მასობრივი მოძრაობის უაღრესად დიდმა ზრდამ, რევოლუციური მარქსიზმის იდეების ფართო გავრცელებამ განაპირობა.

რუსეთში მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რევოლუციურ-დემოკრატიულმა პრესამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, პისარევი. პროლეტარულ-დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის წინამორბედად ვ. ი. ლენინი საერთოდემოკრატიულ ცენზურაგაუვლელ პრესას ასახელებს, რომლის სათავეშიც „კოლოკოლი" იდგა. „გერცენმა შექმნა თავისუფალი რუსული პრესა საზღვარგარეთ — ეს მისი დიდი დამსახურებაა. „პოლიარნაია ზვეზდამ" აღადგინა დეკაბრისტების ტრადიცია. „კოლოკოლი" (1857—1867) მედგრად იბრძოდა გლეხობის განთავისუფლებისათვის. მონური დუმილი დაირღვა"[2]. ასე აფასებდა ლენინი დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის დამსახურებას.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა აგრეთვე ბ. გ. ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას, განსაკუთრებით კი მის ცნობილ „წერილს გოგოლისადმი" — როგორც ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, რომელმაც დიდი ხნით შეინარჩუნა აქტუალური ღირებულება.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 297—298.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, გვ. 15.

მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა უდიდესი რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. გ. ჩერნიშევსკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას: „მის თხზულებებს კლასობრივი ბრძოლის სული დასტრიალებს, — ხაზს უსვამდა ვ. ი. ლენინი და დაასკვნიდა: — „იგი კაპიტალიზმის შესანიშნავი, ღრმა კრიტიკოსი იყო, მიუხედავად თავისი უტოპიური სოციალიზმისა“[3].

კომუნისტურმა ბეჭდვითმა სიტყვამ მემკვიდრეობად მიიღო, გაამდიდრა და განავითარა რევოლუციურ-დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის სახელოვანი ტრადიციები. რევოლუციური მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პრესის აღმოცენება რუსეთის ჟურნალისტიკის განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპია. კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვა ყველა თავისი წინამორბედისაგან თვისებრივად განსხვავებული, სხვა იდეებისა და მიზნების მატარებელი ბეჭდვითი სიტყვაა.

სტატიაში „ნახევარი წლის მუშაობის შედეგები“ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ბეჭდვით სიტყვას არ აკმაყოფილებს პროფესიონალური გამოცემები, მას ხელს არ აძლევს ნებისმიერი პოლიტიკური მუშათა გაზეთი. „გაზეთი გვესჭიროება — წერდა ვ. ი. ლენინი, — არა მარტო იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს მუშათა ბრძოლას, არამედ იმისათვის, რომ მთელ ხალხს ნიმუში და ლამპარი მივცეთ“[4].

კომუნისტების, რევოლუციონერ მარქსისტების პრესას უდიდესი ისტორიული მისია აკისრია — იგი რაზმავს, ადუღაბებს, ზრდის მუშათა კლასს და ყველა მშრომელს საბოლოო და გადამწყვეტი ბრძოლისათვის კაპიტალიზმის, ექსპლოატატორული წყობილების, ჩაგვრისა და დამონების ყველა სახის წინააღმდეგ, ახალი საზოგადოებრივი წყობის დამყარებისა და განმტკიცებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

პირველი რუსული სოციალ-დემოკრატიული გამოცემები (ჟურნალი „სოციალ-დემოკრატი“, „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ ბროშურები და კრებულები, დ. ბლაგოევის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის გაზეთი „რაბოჩი“ და სხვ.) იმ ორგანოებად იქცნენ, რომლებშიც რუსმა მარქსისტებმა პირველად გადმოსცეს სისტემატურად მარქსიზმის იდეები. მაგრამ ამ გამოცემებს გააჩნდათ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც, რაც აიხსნება რუსეთის პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სისუსტით, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ პრაქტიკულად დაკავშირებულნი მასობრივ მუშურ მოძრაო-

---

3 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 293.

4 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, გვ. 224.

ბასთან, განიცდიდნენ, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „ემბრიონალური განვითარების პროცესს“.

1895—1896 წლებში იწყება მუშათა მასობრივი მოძრაობა, სოციალ-დემოკრატების უშუალო და აქტიური ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით. და როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „სწორედ ეს დრო არის, ნამდვილი მნიშვნელობით, რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენების დრო“[5].

რუსეთში ჭეშმარიტი მუშური მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის ჩასახვა და განვითარება, ქვეყანაში მებრძოლი კომუნისტური პრესის შექმნა განუყრელად არის დაკავშირებული მშრომელთა გენიალური ბელადის, ვ. ი. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან და, რაც მთავარია, ვ. ი. ლენინი იყო არა მარტო ყველა ოქტომბრის რევოლუციამდელი ბოლშევიკური ორგანოს რედაქტორი და ხელმძღვანელი, ბრწყინვალე პუბლიცისტი და შესანიშნავი ჟურნალისტი, არამედ პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის შეუდარებელი ისტორიკოსიც.

---

[5] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 295.

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლის მიზანი

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის ისტორიის კურსი შეიცავს აუცილებელ ცნობებს ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, ტელევიზიის, საინფორმაციო სააგენტოების მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, მასალას საბჭოთა ჟურნალისტების საბრძოლო ტრადიციებზე. კომუნისტური ჟურნალისტიკა მუდამ იყო ჩვენი პარტიის უბასრესი იარაღი ახალი ცხოვრების, სოციალიზმის მშენებლობის დიდ და რთულ გზაზე.

განსაკუთრებით მაღლდება პრესის როლი თანამედროვე პირობებში, როცა საბჭოთა ხალხი, შეიარაღებული სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების დადგენილებებით, თავდადებით იღვწის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის დაჩქარებისათვის, შემაფერხებელი ინერციის, დრომოჭმული ტრადიციებისა და კონსერვატიზმის დაძლევისათვის. პრესა ეხმარება პარტიას იმაში, რათა რევოლუციურმა პროცესებმა მოიცვას მასები და ცხოვრების ყველა სფერო, რეალობად აქციოს პარტიის წინასწარდასახულობანი. ბეჭდვით სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — ახალი ტიპის პარტიის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოწინავე რაზმის შექმნის, განვითარებისა და განმტკიცებისათვის. პარტიისა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი, ხელმძღვანელი და ორგანიზატორი გახდა. ასევე აუცილებელია კარგად გაირკვეს პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის როლი საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში.

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლა, ეს, პირველ ყოვლისა, ნიშნავს ვ. ი. ლენინის ბეჭდვითი სიტყვისადმი მიძღვნილი შრომების, ასევე სკკპ ხელმძღვანელი ორგანოების გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, რადიოსა და ტელეჟურნალისტიკისადმი მიძღვნილი გადაწყვეტილებების შესწავლას.

მარტო რევოლუციისწინა პერიოდში ვ. ი. ლენინმა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ 30-ზე მეტი შრომა დაწერა. მათ რიცხვს ეკუთვნის შრომები: „რით დავიწყოთ?“, „წერილი ამხანაგებს“, „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, „ნახევარი წლის მუშაობის შედეგები“, „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან“, „მუშათა კლასი და მუშათა ბეჭდვითი სიტყვა“ და მრავალი

სხვა. ამას უნდა დავუმატოთ ვ. ი. ლენინის მიერ პუბლიცისტების, მწერლების, რედაქციებისადმი მიწერილი უამრავი წერილი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინის კალამს ეკუთვნის საბჭოთა ჟურნალისტიკის განვითარების, კომუნისტური ბეჭდვითი პროპაგანდისა და აგიტაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი 50 სტატიაზე მეტი. პარტიული ჟურნალისტიკის შესახებ ღრმა მოსაზრებებია მოცემული ვ. ი. ლენინის გამოსვლებში პარტიულ ყრილობებზე, კომინტერნის კონგრესებზე, სხვადასხვა თავყრილობებზე, თათბირებზე, კონფერენციებზე. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობის შესწავლას, რომელიც შეიცავს ღირსშესანიშნავ დოკუმენტურ მასალას ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, ლიტერატურის, პუბლიცისტიკის შესახებ.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა განვითარებისა და განმტკიცების საკითხები ჩვენი პარტიის თითქმის ყველა ყრილობის, მრავალი პარტიული კონფერენციის მსჯელობის საგანი იყო. მათ ასახვა ჰპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში. იმ საგანგებო დოკუმენტების რიცხვი, რომლებშიც პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეიმუშავეს პარტიულ და საბჭოთა ჟურნალისტიკასთან დაკავშირებით, 240-ს აჭარბებს. ბევრია საბჭოთა ხელისუფლების საგანგებო დადგენილებებიც. მაგალითად: დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ (1917 წლის ნოემბერი), დეკრეტი სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ (1919 წლის იანვარი), სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს შესახებ (1918 წლის სექტემბერი), რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატთან რსფსრ წიგნებისა და ჟურნალების სახელმწიფო გამომცემლობათა გაერთიანების შექმნის შესახებ (1930 წლის აგვისტო), სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ცენტრალური დარგობრივი გაზეთების შესახებ (1940 წლის სექტემბერი) და სხვ.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის პროპაგანდისტული საქმიანობის გაშლილი პროგრამაა მოცემული სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა შემდგომი განვითარებისათვის საპროგრამო დოკუმენტად იქცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დადგენილება „ჟურნალისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადების შესახებ“.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა შესახებ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტი-

ლებათა ათვისებასთან ერთად პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის ისტორიის ღრმად შესწავლის მიზნით, აუცილებელია გაეცნოთ აგრეთვე კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი ბეჭდვითი ორგანოების კონკრეტული საქმიანობის მაგალითებს, სახელდობრ:

ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში — ლენინური „ისკრა“ ბოლშევიკური გაზეთები: „ვპერიოდი“, „პროლეტარი“ (1905 წ.), „ნოვაია ჟიზნი“, „ვოლნა“, „ექო“, „ნოვი ლუჩ“, „რაბოჩაია მოლვა“, „ნაშე ეხო“, „რაბოჩი“ (მოსკოვი), „ცინია“ (ბალტიისპირეთი), „ბორბა“ (მოსკოვი), „უაზარმა“, „სოლდატსკაია პრავდა“, „პროლეტარი“ (1906—1909 წწ.), „სოციალ-დემოკრატი“, „რაბოჩაია გაზეტა“, „ზვეზდა“, „პრავდა“, „ნაშ პუტ“ (მოსკოვი), ჟურნალები: „ზარია“, „მისლი“, „პროსვეშჩენიე“, „ვოპროსი სტრახოვანია“, „რაბოტნიცა“ და სხვ. ასევე საქართველოში გამოცემული ბოლშევიკური გაზეთები: „მნათობი“, „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“, „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“, „ახალი ცხოვრება“, „ახალი დროება“.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში — გაზეთები „პრავდა“, „იზვესტია“, „ბედნოტა“, „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“, „კრესტიანსკაია გაზეტა“, „რაბოჩაია გაზეტა“, „ტრუდი“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „სოვეტსკაია როსია“ , „სელსკაია ჟიზნი“, „ეკონომიჩესკაია გაზეტა“, „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“, „კრასნაია ზვეზდა“, „მოსკოვსკაია პრავდა“, ჟურნალები: „კომუნისტი“, „პარტიინაია ჟიზნი“, „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალი“, „კომუნისტიჩესკაია რევოლუცია“, აგრეთვე, რესპუბლიკური და საოლქო პარტიული გაზეთები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური, ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალები.

ამასთანავე, უდავოდ სასარგებლოა საგანგებოდ ჟურნალისტებისათვის განკუთვნილი ისეთ გამოცემათა გაცნობაც, როგორიცაა: „ჟურნალისტი“, „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტი“, „ბოლშევისტსკაია პეჩატი“ „კრასნაია პეჩატი“.

კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა პარტიულ, ლიტერატურულ, სამეცნიერო, ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო გამომცემლობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რევოლუციამდელი ეპოქის ბოლშევიკური წიგნის გამომცემლობების „ვპერიოდის“, „პრიბოის“, ხოლო რევოლუციის შემდგომ კი „კომუნისტის“ , „პრავდის“ მოსიზდატის, პარტიზდატისა და სხვა საგამომცემლო ორგანიზაციების საქმიანობა. საბჭოთა პერიოდში ისინი უზარმაზარი რაოდენობის მრავალფეროვან პარტიულ, პოლიტიკურ, სამეცნიერო, მხატვრულ ლიტერატურას უშვებდნენ. პარტიამ წიგნის პროპაგანდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მასობრივი ინ-ფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა მუშაობის ფორმები და მეთოდები, ჟანრები, გაზეთებსა და ჟურნალებში, რადიოში, ტელევი-ზიაში მასალის მიწოდების ხერხები, პარტიის საგამომცემლო საქმია-ნობის ხასიათი შეუნელებლად ვითარდებოდა, სულ უფრო და უფრო სრულყოფილი და ქმედითი ხდებოდა. ამიტომ პარტიული და საბჭო-თა ჟურნალისტიკის ისტორიის კურსის შესწავლა, ამავე დროს, გუ-ლისხმობს მისი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი საქმიანო-ბის არსში წვდომას, მისი სპეციფიკური თავისებურებების გარკვე-ვას.

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის ისტორია განუყოფლად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის რედაქტორულ და ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან. ვ. ი. ლენინი ბოლშევიკურ პრესაში უშუალო და აქტიურ მონაწილეობას ღებუ-ლობდა. იგი იყო წამყვანი ბოლშევიკური გაზეთების „ისკრის“ „ვპე-რიოდის“, „პროლეტარის“, „ნოვაია ჟიზნის“, პეტერბურგის ლეგა-ლური გაზეთების („ვოლნა“, „ვპერიოდი“, „ეხო“), „პროლეტარის“ (1906—1909 წწ.), „სოციალ-დემოკრატის“, „ზვეზდას“, „რაბოჩაია გაზეტას“, „პრავდის“ ორგანიზატორი და რედაქტორი.

ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე ვ. ი. ლენინმა დიდი რა-ოდენობის სტატიები, მოწინავე წერილები, კორესპონდენციები, შე-მოხილვები, რეცენზიები და სხვა მასალები გამოაქვეყნა, რომლებიც ბოლშევიკური პუბლიცისტიკის უბადლო ნიმუშებად ითვლებიან. მაგა-ლითად. ვ. ი. ლენინმა გაზეთ „ისკრაში“ 50-ზე მეტი მასალა გამო-აქვეყნა „ვპერიოდში“ (1905 წ.) — 40-ზე მეტი, „პროლეტარში“ (1905 წ.) — დაახლოებით 60, „ნოვაია ჟიზნში“ — 12, „პროლეტარში“ (1906—1909 წწ.) — ასზე მეტი, „სოციალ-დემოკრატში“ — დაახლო-ებით 90, „რაბოჩაია გაზეტაში“ (1910—1912 წწ.) — 11, „ზვეზდა-ში“ — 28, „პრავდაში“ (1912—1914 წწ.) — 280, ხოლო 1917 წელს — დაახლოებით 200. ვ. ი. ლენინის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შეს-წავლა მთავარი და განმსაზღვრელია პარტიული და საბჭოთა ჟურნა-ლისტიკის ისტორიაში.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, გამოჩენილი პარ-ტიული ლიტერატორების — ვ. ვ. ვოროვსკის, მ. ს. ოლმინსკის, ა. ვ. ლუნაჩარსკის, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის, ე. მ. იაროსლავსკის, მ. ი. კალინინის, ს. მ. კიროვის, ს. გ. შაუმიანისა და კომუნისტური პრესის ბევრი სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლის პუბლიცისტიკის საუკე-თესო ნიმუშების გაცნობას.

თემა პირველი

რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენება (1883—1894 წწ.)

რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენება განპირობებული იყო რუსული საზოგადოებრივი აზრის მთელი ადრინდელი განვითარებით, მუშათა მოძრაობის ზრდით. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის მიერ 1914 წელს გამოთქმული შეჭდეგი მოსაზრება: „მუშათა ბეჭდვითს სიტყვას რუსეთში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს — ჯერ მოსამზადებელი, ე. ი. ისტორია არამუშური, არაპროლეტარული, არამედ „საერთო-დემოკრატიული", ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობისა, — ხოლო შემდეგ — თავისი საკუთარი, ოცწლიანი ისტორია პროლეტარული მოძრაობისა, პროლეტარული დემოკრატიისა ანუ სოციალ-დემოკრატიისა"[6].

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია რუსეთში, — ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — განუყრელად დაკავშირებულია დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის ისტორიასთან. ამის გაგონამდვილად მხოლოდ მაშინ შეეძლებთ გავიგოთ, რატომ მიდიოდა ბეჭდვითი სიტყვის მომზადება და აღმოცენება ასეთი და არა რომელიმე სხვა გზით, თუ გვეცოდინება განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ეტაპები[7].

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, ამ მოძრაობამ განვლო სამი მთავარი ეტაპი, შესაბამისად რუსეთის საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებმაც მას თავიანთი ბეჭედი დაასვეს. ეს იყო: პირველი — თავადაზნაურული პერიოდი, რომელიც მოიცავდა მონაკვეთს 1825-დან 1861 წლამდე; მეორე — რაზნოჩინული, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი — დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე და მესამე — პროლეტარული — 1895 წლიდან. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში რა დიდი როლი შეასრულა რევოლუციურ-დემოკრატიულმა გამოცემებმა, რომლებსაც სათავეში ედგნენ ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი და სხვები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ საქმეში ცენზურაგაუვლელი პრესის დანიშნულება. რევოლუციურ-დემოკრატიული ჟურნალისტიკის, სახელდობრ, ისეთი პროგრესული ბეჭდვითი ორგანოების ტრადიციებმა, როგორიც

---

6 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 301.

7 იქვე, გვ. 292.

იყო გაზეთი „კოლოკოლი“, ჟურნალები „სოვრემენნიკი“ და „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, თავისი განსახიერება და შემდგომი განვითარება ჰპოვა რუსეთის მუშათა პრესაში.

ამასთანავე, რუსეთის მუშათა ბეჭდვითმა სიტყვამ შეითვისა დასავლეთევროპული მარქსისტული პრესის საბრძოლო ტრადიციები, პირველყოვლისა კი, რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო ორგანოების — „ახალი რაინის გაზეთისა“ და „სოციალ-დემოკრატის“ გამოცდილება. ფრიად საგულისხმოა, აგრეთვე, ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის აზრები, რომელთა ხელმძღვანელობითაც ეს გაზეთები გამოდიოდა.

რუსეთში მუშებისათვის განკუთვნილი გაზეთების გამოცემის პირველი ნაბიჯები ხალხოსნებმა გადადგეს. მაგრამ ასეთი ხასიათის პერიოდულ გამოცემებს (1875—1876 წლების „რაბოტნიკი“, 1880—1881 წლების „რაბოჩაია გაზეტა“, „ზერნო“ და სხვ.) მუშათა შორის სინამდვილეში არავითარი წარმატება არ ჰქონიათ, რადგან მათთვის უცხო იყო ამ ორგანოების ტერორისტული იდეები და ბუნტარული ქადაგებანი. ხალხოსნური პრესის მესვეურნი, რომელთაც არ ესმოდათ მუშათა კლასის ისტორიული როლი, ხელს უშლიდნენ რუსეთში მარქსისტული იდეების გავრცელებას, აბრკოლებდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პარტიის შექმნას.

მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ის ზიანი, რასაც ხალხოსნური ბეჭდვითი სიტყვა აყენებდა მუშათა მოძრაობას. მათ დაიწყეს რუსეთში პირველი მუშათა ორგანიზაციების, თავიანთი მუშური პრესის შექმნა. ასეთი ორგანიზაციები გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა („სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი“ ე. ზასლავსკის ხელმძღვანელობით და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი“, რომელსაც სათავეში ედგნენ მუშა-რევოლუციონერები ს. ხალტურინი და კ. ობნორსკი). „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი“ შეუდგა თვით მუშების მიერ დაწერილი პროკლამაციებისა და ფურცლების გამოცემას, ხოლო 1880 წელს გამოუშვეს გაზეთი „რაბოჩაია ზარია“. გაზეთის არსებობა ხანმოკლე გამოდგა — გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი; მეფის ხელისუფლებამ მოახერხა სტამბის აღმოჩენა და განადგურება, რედაქცია კი დააპატიმრა. მართალია, გაზეთი არ იყო თავისუფალი ხალხოსნური გავლენისაგან, მაგრამ იგი შეუდარებლად მაღლა იდგა ხალხოსნების მიერ მუშებისათვის გამოცემულ ზემოაღნიშნულ ორგანოებზე, კერძოდ, მასში უფრო მკვეთრად იყო გამოხატული პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები და ამიტომ იგი სამართლიანად ითვლება რუსეთის მუშათა პრესის პიონერად.

რუსეთის მუშათა პრესის მომზადებაში დიდი ნაბიჯი გადადგა

წინ გ. პლეხანოვის მიერ 1883 წელს საზღვარგარეთ შექმნილმა „შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“. მან თვალსაჩინო როლი შეასრულა რუს მუშებს შორის მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელებაში. „ამ ჯგუფის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც უცენზუროდ იბეჭდებოდა საზღვარგარეთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პირველად იყო გადმოცემული სისტემატურად და ყველა პრაქტიკული დასკვნით მარქსიზმის იდეები, რა იდეებიც, როგორც მთელი მსოფლიოს გამოცდილებამ გვიჩვენა, ერთადერთნი გამოხატავენ სწორად მუშათა მოძრაობის დედაარსს და მის ამოცანებს“[8].

1883 წლის სექტემბრიდან აღნიშნული ჯგუფი შეუდგა „თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკის“ გამოცემას. ამ სერიით გამოვიდა და რუსეთში არალეგალურად ვრცელდებოდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, „ფილოსოფიის სიღატაკე“, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან სოციალიზმისაკენ“ და სხვები. აღსანიშნავია, რომ „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ სცემდა, აგრეთვე, რუსი მარქსისტების ნაშრომებს. კერძოდ, აქ დაიბეჭდა გ. პლეხანოვის: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, „ჩვენი უთანხმოებანი“, „ისტორიაზე მონისტური შეხედულებების განვითარების შესახებ“. ამ ნაწარმოებებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ ხალხსნების მცდარი შეხედულებების გამოაშკარავებისათვის, მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისით რუსეთის მუშათა კლასის ამოცანების გაშუქებისათვის. 1888 წლიდან „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ შეუდგა ლიტერატურულ-პოლიტიკური კრებულის „სოციალ-დემოკრატის“ გამოცემას. იგი პირველ რუსულ მარქსისტულ პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა. პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ მისი არსებობა შეწყდა და განახლდა მხოლოდ 1890 წლის დასაწყისში ლონდონში. ამ წელს გამოვიდა „სოციალ-დემოკრატის“ სამი წიგნი, უკანასკნელი, მეოთხე კი — 1892 წელს. აღსანიშნავია, რომ მასში რუსი მარქსისტების ვ. პლეხანოვის, ვ. ზასულიჩისა და სხვების ნაწარმოებებთან ერთად დაიბეჭდა ფ. ენგელსის სტატია „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა“, ელეონორა მარქს-ეველინგის წერილი „ლონდონის დოკებში გაფიცვების შესახებ“ და სხვ.

თვით რუსეთშიც ამის პარალელურად არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ერთ-ერთი მათგანი იყო 1883—1884 წლების ზამთარში პეტერბურგში შექმნილი წრე „რუსი სოციალ-დემოკრატების პარტია“, რომელსაც ხელმძღვანელობდა პეტერბურგის

---

8 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 20, გვ. 295.

უნივერსიტეტის სტუდენტი ბულგარელი დ. ბლაგოევი და ისტორიაში იგი ცნობილია „ბლაგოევის ჯგუფის“ სახელწოდებით. აღნიშნული ჯგუფის წევრები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო შეკრებებით და მალე დაიწყეს „მფრინავი ფურცლებისა“ და მოწოდებების გამოშვება ჰექტოგრაფიული წესით. მაგრამ მარქსიზმის პროპაგანდისა და მისი იდეების შესაბამისად პროლეტარიატის დასარაზმავად არ კმაროდა ფურცლები და მოწოდებები. საჭირო იყო ბეჭდვითი ორგანო. მართლაც, ბლაგოევის ჯგუფმა 1885 წლის იანვრის ბოლოს გამოსცა არალეგალური გაზეთი „რაბოჩი“ (სულ გამოვიდა ორი ნომერი, რის შემდეგაც მეფის ხელისუფლების ორგანოებმა სტამბა გაანადგურეს და ჯგუფის მრავალი წევრი დააპატიმრეს).

რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიული გაზეთისა და კრებულის „სოციალ-დემოკრატის“ საქმიანობა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მუშათა ცხოვრებაში, რადგან ისინი გვევლინებიან პირველ ტრიბუნად, რომლის შემწეობითაც რუსი მარქსისტები ქადაგებდნენ მეცნიერული სოციალიზმის დიად იდეებს, მაგრამ, ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ და ბლაგოევის ჯგუფი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაკავშირებულნი მუშათა მოძრაობასთან. ამიტომ, ცხადია, მუშათა პრესა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით რუსეთში გამოჩნდა მხოლოდ 1895—1896 წლებში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ახალი საზოგადოებრივი ძალა — რუსეთის მუშათა კლასი. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო პროლეტარული ეტაპი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო მუშათა მასობრივი მოძრაობის შეერთება მეცნიერული სოციალიზმის თეორიასთან. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წელს შექმნილმა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“, რომელიც წარმოადგენდა რუსეთში პროლეტარიატის პარტიის ჩანასახს, „კავშირის“ გავლენით ანალოგიური მარქსისტული ორგანიზაციები შეიქმნა ქვეყნის სხვა ქალაქებშიც — მოსკოვში, კიევში, ივანოვო-ვოზნესენსკში, თბილისში...

საქართველოშიც მუშათა ბეჭდვით სიტყვას თავისი წინა ისტორია აქვს. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული, ლენინურ-ისკრული მიმართულების პრესის უშუალო წინამორბედებია მუშათა არალეგალური ხელნაწერი პერიოდული ორგანოები: გაზეთი „ნაპერწკალი“ (1886—1887 წწ.), ჟურნალები: „მუშა“ (1889—1891 წწ.), „სხივი“ (1892 წ.), „განთიადი“ (1891 წ.) და სხვ. მათში გამოქვეყნებულ მასალებში მრავალი აქტუალური პრობლემაა განხილული და გამოთქმულია პროგრესული შეხედულებები. ავტო-

რები მოითხოვდნენ რადიკალური ზომების მიღებას — თვითმპყრობელობისა და ექსპლოატაციის ბატონობის დამხობას იარაღის, ძალის გამოყენებით, პრესისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, რეპუბლიკური წყობილების დამყარებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მოთხოვნები ხშირ შემთხვევაში წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნურ ხასიათს ატარებდნენ. ცენზურაგაუვლელი მუშათა ჟურნალ-გაზეთები მკაცრად აკრიტიკებდნენ მეფის ხელისუფლების დიდმპყრობელურ, შოვინისტურ პოლიტიკას, აქტიურად ეხმაურებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საარსებო პრობლემებს. ამასთანავე, მათ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ინტერნაციონალისტური იდეების ფართო პროპაგანდა. რა თქმა უნდა, მუშათა პრესის ამ პირველ ორგანოებს ბევრი ნაკლიც ჰქონდა. იმის გამო, რომ მარქსისა და ენგელსის, მეცნიერული სოციალიზმის იდეებს ჯერ კიდევ არ იყენენ დაუფლებული (ეს პროცესი საქართველოში ინტენსიურად მხოლოდ XIX საუკუნის დამლევს დაიწყო), ბუნებრივია, ამ ჟურნალ-გაზეთებში ავტორები ბევრ საკითხში ეკლექტიკურ და უტოპისტურ, ხალხოსნურ მოსაზრებებს გვთავაზობდნენ. და მაინც მათ მოამზადეს ნიადაგი ნამდვილი პროლეტარული, მარქსისტული პრესის შექმნისათვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აღზარდეს მუშა-ლიტერატორთა კადრები, რომლებიც შემდგომ წარმატებით მოღვაწეობდნენ ქართულ ლენინურ-ისკრული მიმართულების არალეგალურ გაზეთებში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. კომუნისტები და კარლ პაინცენი. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1984, გვ. 116—121.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. გერცენის ხსოვნას. თხზ., ტ. 18, გვ. 11—19.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან. თხზ., ტ. 20, გვ. 292—302.

შ. გ ა გ ო შ ი ძ ე. თავისუფალი სიტყვის ნაპერწკლები. თბ., 1978.

ი. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი. ბოლშევიკური პრესის ისტორია. თბ., 1967.

Большевистская печать. Краткие очерки истории. М., 1962.

А. Ф. Бережной. Русские предшественники ленинской печати. Л., 1969.

მუშათა გეჰდვითი სიტყვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფექმნისათვის ბრძოლის პერიოდში. ბოლშევიკური პრესის აღმოცენება (1895—1903 წწ.)

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა 1894—1895 წლების ზამთარში. მან ერთიან ორგანიზაციად შეაკავშირა პეტერბურგში არსებული ცალ-ცალკე ჯგუფები და წრეები, რაც რუსეთში რევოლუციური მარქსისტული პროლეტარული პარტიის ჩანასახს წარმოაცგენდა. „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ჩამოყალიბებით იწყება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ახალი პერიოდი: მცირერიცხოვან მოწინავე მუშებში მარქსიზმის პროპაგანდიდან მუშათა კლასის ფართო მასებში პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლა, რაც მოასწავებდა პირველად რუსეთის სინამდვილეში სოციალიზმის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან.

აგიტაციის მიზნებისათვის „ბრძოლის კავშირმა“ პირველად ფართოდ და უნარიანად გამოიყენა ფურცლები და პროკლამაციები, რომლებიც ფაბრიკებსა და ქარხნებში ვრცელდებოდა. მათში მუშათა საარსებო საჭიროებებთან ერთად ჩამოყალიბებული იყო პოლიტიკური მოთხოვნებიც. ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ პროლეტარიატის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა პირდაპირ იყო დაკავშირებული მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლასთან. ვ. ი. ლენინს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მოწინავე მუშებთან, კარგად იცოდა მათი საჭიროებანი და მდგომარეობა, რაც მას და მის თანამებრძოლებს საშუალებას აძლევდა ამ ფურცლებისა და პროკლამაციებისათვის მიეცათ კონკრეტული, მიზანსწრაფული ხასიათი. აღსანიშნავია, აგრეთვე, მათი მაღალი ოპერატიულობაც. საგულისხმოა, რომ ფურცლები და პროკლამაციები ვ. ი. ლენინის რედაქციით გამოდიოდა, მათი შემდგენლები ვ. ი. ლენინთან ერთად იყვნენ თვით მუშებიც (ი. ბაბუშკინი, ვ. შელგუნოვი, ბ. ზინოვიევი და სხვ.), რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში მათ გასავრცელებლად. სამი წლის განმავლობაში „ბრძოლის კავშირმა“ 80-მდე ფურცელი და პროკლამაცია გამოუშვა.

პროლეტარიატის დიდი ბელადი ასე აფასებდა „ბრძოლის კავშირის“ საგამომცემლო საქმიანობას: „1895—1896 წლებიდან, პეტერბურგის ცნობილი გაფიცვების დროიდან, იწყება მუშათა მასობრივი

მოძრაობა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობით. სწორედ ეს დრო არის, ნამდვილი მნიშვნელობით, რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენების დრო. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის მთავარი ნაწარმოებები მაშინ იყო უცენზუროდ გამოცემული ფურცლები, მეტწილად არა ნაბეჭდი, არამედ ჰექტოგრაფიული, და მათ უძღვნიდნენ „ეკონომიკურ“ (აგრეთვე არაეკონომიკურ) აგიტაციას, ე. ი. სხვადასხვა ფაბრიკისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის მუშების საჭიროებათა და მოთხოვნათა გადმოცემას“.

ამასთანავე, მუშათა მოძრაობის არნახული ზრდა მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის წინაშე სულ ახალ ამოცანებს აყენებდა და, ბუნებრივია, ფურცლებსა და პროკლამაციებს უკვე აღარ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნები. დღის წესრიგში სულ უფრო დგებოდა რეგულარულად გამომავალი ორგანოს საჭიროება. „ბრძოლის კავშირმა“ ბროშურების გამოცემაც განახორციელა, ხოლო მალე ვ. ი. ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა გადაწყვიტეს მუშათა არალეგალური გაზეთის „რაბოჩეე დელოს“ გამოცემა. შედგა პირველი ნომრის გეგმა, მომზადდა სათანადო მასალები და 1895 წლის 8 დეკემბერს „ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელობამ ხელნაწერები თავის სხდომაზე განიხილა კიდეც. შემდეგ ისინი გადაეცა ა. ვანეევს სტამბაში გასაგზავნად. მაგრამ გაზეთს გამოცემა არ ეწერა. სხდომის შემდეგ ვ. ი. ლენინი, ა. ვანეევი და სხვები დააპატიმრეს და გამზადებული პირველი ნომერი პოლიციას ჩაუვარდა ხელში. ერთი წლის შემდეგ „ბრძოლის კავშირმა“ შეძლო მუშათა გაზეთის „ს. — პეტერბურგსკი რაბოჩი ლისტოკის“ გამოცემა. პირველი ნომერი გამოვიდა პეტერბურგში 1897 წლის თებერვალში, ხოლო მეორე — 1897 წლის სექტემბერში ჟენევაში.

აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოცემას წარმოადგენდა არაპერიოდული კრებული „რაბოტნიკი“ (1896—1899 წწ.). სულ გამოვიდა 6 ნომერი 3 წიგნად საზღვარგარეთ — ჟენევაში. გამომცემელი — „რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირი“, კრებულის გამოშვების ინიციატორი ვ. ი. ლენინი იყო, რომელმაც „რაბოტნიკში“ გამოსაქვეყნებლად გაგზავნა სტატია „ფრიდრიხ ენგელსი“ და მასალები რუსეთში მუშათა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ. გარდა ამისა, კრებულის დამატების სახით 1895—1892 წლებში გამოდიოდა «ლისტოკ „რაბოტნიკა“», რომლის ამოცანას შეადგენდა დაწვრილებით გაეშუქებინა მუშათა მოძრაობა რუსეთსა და სხვა ქვეყნებში.

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძო-

---

[9] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 295—296.

ლის კავშირის“ კვალდაკვალ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები სხვა ქალაქებშიც აღმოცენდა. ისინიც გამოსცემდნენ როგორც ფურცლებსა და პროკლამაციებს, ასევე — გაზეთებსაც. ერთ-ერთი პირველი არალეგალური გაზეთი იყო „ვპერიოდი“, რომელსაც ჰექტოგრაფიული წესით კიევის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი სცემდა 1896 წლის დეკემბრიდან. სულ გამოვიდა 4 ნომერი. კიევშივე „ძეშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ წარმომადგენლების კონფერენციის მიერ შექმნილმა სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა 1897 წლის აგვისტოში გამოსცა არალეგალური ორგანო „რაბოჩაია გაზეტა“ (მეორე ნომერი გამოვიდა ამავე წლის დეკემბერში). რსდმპ I ყრილობამ ეს გაზეთი პარტიის ოფიციალურ ორგანოდ აღიარა, რომლის მომზადებაში მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მაგრამ სტამბის განადგურების გამო ყრილობის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ მისი გამოცემა შეწყდა. მესამე ნომრის მასალები პოლიციამ ჩაიგდო ხელში. 1899 წელს იყო ცდა განეახლებინათ „რაბოჩაია გაზეტას“ გამოცემა. ვ. ი. ლენინმა მიიღო მოწვევა ყოფილიყო გაზეთის რედაქტორი, რაზედაც იგი დათანხმდა. მან დაწერა რამდენიმე წერილი და კორესპონდენცია „რაბოჩაია გაზეტისათვის“, მაგრამ გაზეთის გამოცემის აღდგენა ვერ შეძლეს და ვ. ლენინის მასალები დაუბეჭდავი დარჩა.

მიუხედავად გარკვეული დადებითი როლისა, ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებს გააჩნდათ ნაკლოვანებებიც. პირველ ყოვლისა, მთავარი მათ შორის იყო გაზეთების დაბალი იდეურ-თეორიული დონე. ისინი ნაკლებად იძლეოდნენ პოლიტიკურად ნათელ პასუხებს მუშათა მოძრაობის ძირეულ საკითხებზე, უმრავლეს შემთხვევაში მათ არ გააჩნდათ პოლიტიკური სიმყარე და სხვ. საგულისხმოა ისიც, რომ ადგილობრივი გაზეთები არარეგულარულად გამოდიოდნენ. არალეგალური მუშაობის სიძნელეები ხშირად იწვევდა რედაქციებისა და სტამბების ჩავარდნას, ბეჭდურ გამოცემათა შეწყვეტას.

რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის განვითარების ახალი ეტაპი პირველი საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის „ისკრის“ გამოსვლით იწყება. ლენინური „ისკრის“ უმდიდრეს გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნის კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ისტორიისათვის, არამედ მსოფლიო მუშათა მოძრაობისათვისაც.

ჯერ კიდევ თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში ვ. ი. ლენინმა დაიწყო ზრუნვა რუსეთის პროლეტარიატის მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. მაგრამ 1895 წლის დეკემბერში დაპატიმრებამ და ციმბირში გადასახლებამ ვ. ი. ლენინს საშუალება არ

მისცა დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. რსდმპ I ყრილობის შემდეგ პარტია ფაქტობრივად არ იყო შექმნილი. სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს არ გააჩნდათ ერთიანი პროგრამა და წესდება, არ იყო ხელმძღვანელობა ერთი ცენტრიდან. პარტიის შექმნის გეგმის გამომუშავებისას ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის როლი ამ დიდ საქმეში. ეს აზრი მან გამოთქვა ჯერ კიდევ 1899 წელს „რაბოჩაია გაზეტასათვის" გაგზავნილ სტატიებში: „ჩვენი პროგრამა", „ჩვენი უახლოესი ამოცანა" და „საარსებო საკითხი". ვ. ი. ლენინმა მათში დაწვრილებით განიხილა საკითხი გაზეთის მნიშვნელობისა და ფუნქციების შესახებ რევოლუციურ მოძრაობაში, პარტიის ორგანიზაციაში, ამასთანავე, განსაზღვრა გაზეთის ტიპი — იგი პარტიის ცენტრალური ორგანო უნდა ყოფილიყო. თავისი შეხედულებები მან შემდგომ განავითარა ნაშრომებში: „რით დავიწყოთ?", «„ისკრის" რედაქციის განცხადებაში», „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანებში".

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინმა დიდი მუშაობა ჩაატარა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში. მან არა მარტო გააცნო მათ გაზეთის გამოცემის გეგმა, არამედ ქმნიდა კიდეც დასაყრდენ პუნქტებს, კორესპონდენტების ქსელს. აგვარებდა გაზეთის გავრცელების, ტრანსპორტირების საქმეს და სხვ. ამრიგად, ვ. ი. ლენინმა „ისკრის" გამოცემის თეორიულ დასაბუთებასთან ერთად დიდი პრაქტიკული საქმიანობაც გასწია. გაზეთი „ისკრა" გამოდიოდა საზღვარგარეთ, პირველი ნომერი გამოიცა 1900 წლის 11 (24) დეკემბერს ლაიფციგში, შემდეგ გაზეთი იბეჭდებოდა მიუნხენში, 1902 წლის აპრილიდან — ლონდონში, ხოლო 1903 წლის გაზაფხულიდან — ჟენევაში. „ისკრის" რედაქციაში შედიოდნენ: ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი, ი. ო. მარტოვი, პ. ბ. აქსელროდი, ა. ნ. პოტრესოვი და ვ. ი. ზასულიჩი. რედაქციის მდივანი ნ. კ. კრუპსკაია იყო. „ისკრის" არსებობის პერიოდში სარედაქციო კოლეგია თითქმის არც ერთხელ არ შეკრებილა მთლიანი შემადგენლობით. ვ. ი. ლენინი გაზეთის ფაქტიური მთავარი რედაქტორი და ხელმძღვანელი იყო. დიდია „ისკრის" როლი პარტიის იდეოლოგიური და ტაქტიკური საფუძვლების შემუშავებაში, რუსული „ეკონომიზმისა" და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პარტიის ჩამოყალიბების ლენინური ორგანიზაციული გეგმის განხორციელებაში, რსდმპ II ყრილობის მომზადებასა და მოწვევაში. „ისკრა" იყო თვითმპყრობელობის მხილების საერთო-სახალხო ტრიბუნა. რევოლუციური მოძრაობის წარმმართველი, მუშათა კლასისა და გლეხობის ერთიანობისათვის დაუღალავი მებრძოლი. „ისკრის" დიდი დამსახურებაა ის, რომ მან პირველად დააყენა და დაასაბუთა პრო-

ლეტარიატის, როგორც რევოლუციის ჰეგემონის, წამყვანი ძალის პრობლემა.

„ისკრაში“ გამოქვეყნებულ სტატიებში, მიმოხილვებსა და ფელეტონებში, აგრეთვე სპეციალურ განყოფილებებში დაბეჭდილ მასალებში: „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან“, „მუშათა მოძრაობის ქრონიკაში“, „წერილები ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან“, „სოფლიდან“, „პარტიიდან“ და სხვ. მოცემულია რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის, მუშათა მოძრაობის საარსებო საკითხების ღრმა ანალიზი, დასმულია რევოლუციური გარდაქმნებისათვის ბრძოლის გზები. „ისკრაში“ განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა მისი ორგანიზატორისა და რედაქტორის, ვ. ი. ლენინის ბრწყინვალე პუბლიცისტური ოსტატობა. ზემოთ ჩამოთვლილ სტატიებთან ერთად აქ დაიბეჭდა მისი ისეთი შესანიშნავი ნაშრომები, როგორიცაა: „მუშათა პარტია და გლეხობა“, „საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან“, „კრიზისის გაკვეთილები“, „დემონსტრაციების დასაწყისი“ და მრავალი სხვა. ლენინურმა „ისკრამ“ მაღლა აღმართა შემოქმედებითი მარქსიზმის დროშა და ფართოდ გააჩაღა რევოლუციური თეორიის პროპაგანდა. „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“[10]. უკვე 1901 წლის ბოლოს და განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?“ გამოსვლის შემდეგ გაზეთში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტებიდან დიდი რაოდენობით შემოდიოდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ისინი სოლიდარობას უცხადებდნენ „ისკრის“ პოზიციას და აღიარებდნენ მას თავის ხელმძღვანელ ორგანოდ. 1903 წლის გაზაფხულისათვის გაზეთის გარშემო გაერთიანდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რსდმპ II ყრილობის მოწვევის მომენტისათვის „ისკრა“ პარტიად იქცა და პარტია კი — „ისკრად“.

რედაქციასა და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაში, მათ დარაზმვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს „ისკრის“ აგენტებმა. ისინი იყვნენ გაზეთის არა უბრალო, ჩვეულებრივი კორესპონდენტები, არამედ აქტიური, პროფესიონალი რევოლუციონერები, რომლებიც მრავალფეროვან და ნაყოფიერ პარტიულ, ჟურნალისტურ და საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდნენ. „ისკრის“ აგენტები და კორესპონდენტები ზომებს იღებდნენ გაზეთისათვის მასალების მომზადებასა და გაგზავნისათვის, უზრუნველყოფდნენ საზღვარგარეთიდან „ისკრის“, „ზარიასა“ და ბროშურების მიღებას რუსეთში, მათ ხელახლა გადაბეჭდვას არალეგალურ

[10] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 5, გვ. 461—462.

სტამბებში. ისინი, ამასთანავე, აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ჯგუფების მუშაობაში, იბრძოდნენ მათი გაერთიანებისა და „ისკრის“ პოზიციებზე გადასვლისათვის.

„ისკრის“ აგენტებად მუშაობდნენ პარტიის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ნ. ბაუმანი, ი. ბაბუშკინი, რ. ზემლიაჩკა, მ. კალინინი, მ. ლიტვინოვი, გ. პეტროვსკი, ი. სვერდლოვი, ლ. კეცხოველი, ს. შაუმიანი და მრავალი სხვა. „ისკრის რედაქციის. ვ. ი. ლენინს გაცხოველებული მიწერ-მოწერა ჰქონდათ თავიანთ აგენტებთან, აძლევდნენ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ ემუშავათ უკეთ ისკრული იდეების გარშემო სოციალ-დემოკრატთა დარაზმვისა და მუშათა რევოლუციური მარქსისტული პარტიის მომზადებისათვის. „ისკრის“ აგენტთა აქტიურ საქმიანობაზე მეტყველებს რუსეთში არალეგალური სტამბების გამართვა, სადაც გაზეთის მატრიცების ბეჭდვა-გავრცელება ხდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, ლ. კეცხოველის მეთაურობით ბაქოში დიდი არალეგალური სტამბის „ნინას“ მოწყობა, რასაც ვ. ი. ლენინი დიდი სიხარულით შეხვდა.

რსდმპ II ყრილობამდე (1903 წლის აგვისტო) გამოვიდა „ისკრის“ 45 ნომერი. II ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა იმ უდიდეს მუშაობას, რაც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით „ისკრამ“ გასწია დაქსაქსულობის, წრეობრიობის გადასალახავად, პარტიის შესაქმნელად და „ისკრა“ გამოაცხადა პარტიის ცენტრალურ ორგანოდ. რსდმპ II ყრილობამ დაამტკიცა „ისკრის“ ახალი რედაქცია ლენინის, პლეხანოვისა და მარტოვის შემადგენლობით. მაგრამ მარტოვმა ყრილობის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ უარი თქვა შესულიყო რედაქციაში და გაზეთის №№ 41—51 გამოვიდა ლენინისა და პლეხანოვის რედაქტორობით. მოგვიანებით პლეხანოვი მენშევიკების პოზიციებზე გადავიდა და ყრილობის დადგენილების დარღვევით რედაქციის შემადგენლობაში შეიყვანა რედაქტორი-მენშევიკები. ვ. ი. ლენინი 1903 წლის 14 ოქტომბერს (1 ნოემბერს) გამოვიდა „ისკრის“ რედაქციიდან, რის შედეგადაც გაზეთი პარტიის ცენტრალური ორგანოდან მენშევიკების ფრაქციულ ორგანოდ გადაიქცა. ამიტომ № 52 ნომრამდე გაზეთი რევოლუციურ-მარქსისტული მიმართულებისა იყო და მას ძველი „ისკრა“ ეწოდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც იგი მენშევიკ-ოპორტუნისტების ხელში გადავიდა — ახალ „ისკრად“ არის ცნობილი.

„ისკრასთან“ ერთდროულად და მისი რედაქციის ხელმძღვანელობით (1901—1902 წწ.) შტუტგარტში ვ. ი. ლენინის უშუალო რედაქტორობით გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალი „ზარია“. სულ ამ ხნის განმავლობაში გამოვიდა ჟურნალის სამი წიგნი (№ 1 — 1901 წ. აპრილი, № 2—3 —

1901 წ. დეკემბერი, № 4 — 1902 წ. აგვისტო). ჟურნალში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის შემდეგი შრომები: „შემთხვევითი შენიშვნები", „ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები", „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა" და სხვ. „ზარია" მკაცრად აკრიტიკებდა რუს „ეკონომისტებსა" და „ლეგალურ" მარქსისტებს, რომლებიც ცდილობდნენ რეფორმიზმისაკენ ებიძგებინათ რუსეთის მუშათა კლასი, ამასთან, ფართო პროპაგანდას უწევდა მუშათა კლასის ხელმძღვანელ, ავანგარდულ როლს საერთო-სახალხო ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, თავისი წვლილი შეჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიისა და ტაქტიკის საკითხების დამუშავებაში. ჟურნალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ სტატიებს და რეცენზიებს მარქსიზმის საკითხებზე გამოცემულ წიგნებზე, აგრეთვე სტატიებს რევიზიონისტული გამოცემების წინააღმდეგ. ამრიგად, ჟურნალმა „ზარიამ" „ისკრასთან" ერთად ბევრი გააკეთა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებების დასაცავად, რევოლუციური თეორიით პროლეტარული პარტიის შესაიარაღებლად.

ძველი „ისკრის" არსებობის პერიოდში რუსეთში არალეგალურად გამოდიოდა 16 ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, რომელთა დიდი ნაწილი „ეკონომისტების" ხელში იყო, ოუმცა ზოგიერთი მათგანი მერყეობდა რევოლუციურ მარქსიზმსა და „ეკონომიზმს" შორის. ამავე დროს აღნიშნულ პერიოდში სხვადასხვა ადგილებში თანამიმდევრული ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთებსაც უშვებდნენ, რომელთა შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია რსდმპ თბილისის კომიტეტის ორგანოები: ქართულ ენაზე „ბრძოლა" და სომხურ ენაზე „პროლეტარიატი". გაზეთი „ბრძოლა" გამოდიოდა 1901—1902 წლებში ლ. კეცხოველისა და ი. სტალინის ხელმძღვანელობით. იგი იბეჭდებოდა ბაქოში, არალეგალურ სტამბა „ნინაში". გამოვიდა სულ 4 ნომერი. „ბრძოლა" მტკიცედ იდგა ლენინურ-ისკრულ პოზიციებზე და დაუღალავად ეწეოდა რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდას, იცავდა მუშათა მარქსისტული პარტიის ლენინურ პრინციპებს, შეუპოვრად იბრძოდა „ეკონომისტების" „ლეგალური მარქსისტების", ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და პროლეტარიატის სხვა მტრული მიმდინარეობების წინააღმდეგ. გაზეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მასალებს საქართველოსა და რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის შესახებ, რომელთა ავტორები ძირითადად მუშები იყვნენ. ფართოდ შუქდებოდა გლეხთა რევოლუციური ბრძოლის საკითხებიც, იბეჭდებოდა ლიტერატურული ნაწარმოებებიც. რედაქცია უშვებდა, აგრეთვე, «„ბრძოლის" ფურცელს». აღსანიშნავია აგრეთვე სომხური გაზეთი „პროლეტარიატიც",

რომელიც 1902 წელს გამოდიოდა ს. შაუმიანისა და ბ. კნუნიანცის ხელმძღვანელობით. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთს დიდხანს არ უარსებია (გამოიცა მხოლოდ ერთი ნომერი), მან მაინც გარკვეული როლი შეასრულა სომეხი პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდისა და სოციალ-დემოკრატიის გარშემო მათი დარაზმვისათვის, მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნისათვის. აღსანიშნავია, რომ გაზეთების „ბრძოლისა და „პროლეტარიატის“ გამოსელას მხურვალედ გამოეხმაურნენ „ისკრა“ და უშუალოდ ვ. ი. ლენინი. 1903 წლის მარტში რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობის გადაწყვეტილებით ქართული „ბრძოლა“ და სომხური „პროლეტარიატი“ გაერთიანდა ერთ ორგანოდ „პროლეტარიატის ბრძოლად“, რომელიც 1905 წლის ოქტომბრამდე ეამოდიოდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა-ქალებს. თხზ., ტ. 2, გვ. 85—90.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები. თხზ., ტ. 2, გვ. 91—97.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. წერილი რედაქტორთა ჯგუფისადმი. თხზ., ტ. 4, გვ. 247—249.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. როგორ კინაღამ არ ჩაქრა „ისკრა“. თხზ., ტ. 4, გვ. 407—427.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. საარსებო საკითხი. თხზ., ტ. 4, გვ. 264—270.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „ისკრის“ და „ზარიას“ რედაქციის განცხადების პროექტი. თხზ., ტ. 4, გვ. 391—404.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „ისკრის“ რედაქციის განცხადება. თხზ., ტ. 4, გვ. 430—437.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები. თხზ., ტ. 4, გვ. 449—456.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. მუშათა პარტია და გლეხობა. თხზ., ტ. 4, გვ. 517—527.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რით დავიწყოთ? თიზ., ტ. 5, გვ. 1—15.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან. თხზ., ტ. 5, გვ. 388—397.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რატომ გამოვედი „ისკრის“ რედაქციიდან? წერილი „ისკრის“ რედაქციის მიმართ. თხზ., ტ. 7, გვ. 131—139.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ივანე ვასილის ძე ბაბუშკინი. თხზ., ტ. 16, გვ. 450—455.

ზ. გ ე გ ე შ ი ძ ე. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალური სტამბები. თბ., 1965.

გ. ჟ ვ ა ნ ი ა. ლენინურ-ისკრული გაზეთი „ბრძოლა“. თბ., 1953.

გ. ჟ ვ ა ნ ი ა. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში. თბ., 1984.

ი. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი. „ისკრა“ და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში. თბ., 1961.

ი. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი. ბოლშევიკური პრესის ისტორია. I, თბ., 1967.

Н. К. К р у п с к а я Воспоминания о Ленине. М., 1968, с. 11—94.

Г. В. П л е х а н о в На пороге двадцатого века. Соч., т. 12, М.-Пг., 1924, с. 62—67.

А. Ф. Б е р е ж н о й Ленин—создатель печати нового типа. Л., 1971, с. 51—124.

Большевистская печать. Краткие очерки истории. М., 1962.

Большевистская печать. Сб. материалов. Вып. 1 (1895—1903 гг.), М., 1959.

Ленинская «Искра». М., 1970.

В. Н. С т е п а н о в. Ленин и русская организация «Искры». М., 1968.

თემა მესამე

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის წლებში (1904—1907 წწ.)

1904—1907 წლების ბოლშევიკური პრესის საქმიანობა მიმდინარეობდა სულ უფრო და უფრო მზარდი რევოლუციური ბრძოლის ვითარებაში. რევოლუციის ხანძარმა მთელი რუსეთი მოიცვა. ამ პირობებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას პასუხი უნდა გაეცა ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიც იყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, ცარიზმის დამხობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის გადამწყვეტი როლი, ურთიერთობა გლეხობასთან, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნა, ამ მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა. მასების რევოლუციური მოქმედებისადმი პარტიის ხელმძღვანელობაში, თვითმპყრობელობასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის დარაზმვაში უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა პრესამ. ბოლშევიკური გაზეთები გამოდიან არა მარტო პეტერბურგსა და საზღვარგარეთ, არამედ ქვეყნის ბევრ სხვა სამრეწველო ცენტრებშიც. არ იყო რუსეთში არც ერთი მსხვილი ქალაქი, სადაც ბოლშევიკურ ლიტერატურას არ სცემდნენ. პირველად გაჩნდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების ორგანიზაციის შესაძლებლობა.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არასრული ცნობით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უშვებდნენ დაახლოებით 140 გაზეთს, მათ ემატებოდა ფურცლებისა და პროკლამაციების უზარმაზარი რაოდენობა.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში შემდეგი ძირითადი ეტაპებით ხასიათდება:

1. რევოლუციის აღმავლობის პერიოდის არალეგალური ბოლშევიკური პრესა.

2. ლეგალური ბოლშევიკური პრესა რევოლუციის აღმავლობის წლებში.

3. ბოლშევიკური პრესა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ.

რევოლუციის აღმავლობის პერიოდის არალეგალური ბოლშევიკური გაზეთებიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია „ვპერიოდის“ მოღვაწეობა, რომელიც გამოდიოდა საზღვარგარეთ, ჟენევაში. გაზე-

თის ორგანიზატორი ვ. ი. ლენინი იყო. ჯერ კიდევ 1904 წლის აგვისტოში მან ფართო საქმიანობა გაშალა ბოლშევიკური ბეჭდვითი ორგანოს გამოსაცემად, უგზავნიდა მითითებებს ადგილობრივ ორგანიზაციებს გაზეთისათვის საჭირო სახსრების შესაგროვებლად, კორესპონდენციების გასაგზავნად და სხვ. ბოლშევიკების ჯგუფის კრებაზე, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით 1904 წლის 29 ნოემბერს (12 დეკემბერს) ჩატარდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გამოეცათ ბოლშევიკური ორგანო „ვპერიოდის" სახელწოდებით. ვ. ი. ლენინმა დაწერა და ცალკე ფურცლად დაიბეჭდა „წერილი ამხანაგებისადმი (პარტიული უმრავლესობის ორგანოს გამოსვლისათვის)". იგი რუსეთის ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დაეგზავნათ. მასში ვ. ი. ლენინი რუსეთში მომუშავე ბოლშევიკებს ატყობინებდა ახალი ორგანოს დაარსების აუცილებლობას, რომ იგი გამიზნული იქნებოდა უმრავლესობის პრინციპების დასაცავად და მენშევიკების მიერ შემოტანილი ტაქტიკური არეულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ აღნიშნული იყო, რომ თავისი საკუთარი ორგანოს გარეშე ბოლშევიკებს გაუჭირდებოდათ მუშაობა.

„პარტია უორგანოდ, ორგანო უპარტიოდ! — წერდა ვ. ი. ლენინი, — ეს სავალალო ლოზუნგი, ჯერ კიდევ აგვისტოში წამოყენებული უმრავლესობის მიერ, ულმობლად მიგვითითებდა ერთადერთ გამოსავალს — საკუთარი ორგანოს დაარსების საჭიროებას... როცა ასეთ ორგანოს ვაარსებთ, ალბათ, „ვპერიოდის" სახელწოდებით, ჩვენ ვმოქმედებთ რუსეთის ბოლშევიკების მასასთან სრული თანხმობით, პარტიულ ბრძოლაში ჩვენს საქციელთან სრულიად შესაბამისად"[11].

ლენინი მიუთითებდა, რომ ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლა კვლავ დღის წესრიგში დგას და ახალი ორგანოს დახმარებით ბოლშევიკები უფრო გააფართოებდნენ ბრძოლას ყრილობისათვის. იგი მოუწოდებდა ყველა ბოლშევიკს — მხარი დაეჭირა ახალი ცენტრალური ორგანოს წარმართვის საქმეში. ვ. ი. ლენინი თავიდანვე იწერაფეოდა, რათა უზრუნველეყო გაზეთისადმი ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მხარდაჭერა, მოეგვარებინა მათი კავშირი რედაქციასთან, მოწინავე მუშებისა და ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტების მუშაკების თანამშრომლობა გაზეთში. იგი ზრუნავდა გაზეთის გარშემო ფართო აქტივის შემოკრებისათვის, რომელიც მუდმივ ურთიერთობაში იქნებოდა რედაქციასთან, სისტემატურად შეატყობინებდა მას მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, მუშათა ცხოვრებისა და შრომის ამბებს, აგრეთვე დასვამდა იმ საკითხებს, რომლებიც მშრომელთა ფართო ინტერესს იწვევდა.

---

11 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 7, გვ. 655.

ასეთი დიდი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის წინადღეებში, 1904 წლის 22 დეკემბერს (1905 წლის 4 იანვარს), გამოვიდა გაზეთ „ვპერიოდის“ პირველი ნომერი. გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ. პირველი რვა ნომერი იბეჭდებოდა ოთხ გვერდზე, შემდგომი კი — ექვს გვერდზე, ტირაჟი 7—10 ათასი ეგზემპლარი იყო. გარდა ამისა, საჭიროების მიხედვით „ვპერიოდს“ თან ერთვოდა ხოლმე დამატება, განსაკუთრებით III ყრილობისათვის გათვალისწინებული მასალების ბეჭდვის დროს.

გაზეთი „ვპერიოდი“ კომუნისტური პარტიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძველი „ისკრის“ საქმის ღირსეული გამგრძელებელი. გაზეთის რედაქტორი და იდეური ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი, რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე: ვ. ვოროვსკი, ა. ლუნაჩარსკი, მ. ოლმინსკი. რედაქციის მდივანი ნ. კრუპსკაია იყო. რედაქციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ვ. ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. კარპინსკი. გაზეთის მუდმივ კორესპონდენტთა შორის აღსანიშნავია: ს. გუსევი, რ. ზემლიაჩკა, ა. ულიანოვა-ელიზაროვა და სხვ.

გაზეთ „ვპერიოდში“ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის 40-ზე მეტი სტატია და შენიშვნა, რომლებიც შეიცავდნენ სახელმძღვანელო მითითებებს პარტიის მშენებლობის, მუშათა კლასის ორგანიზაციისა და ტაქტიკის საკითხებზე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. მათ შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის ისეთ ნაშრომებს, როგორიცაა: „თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი“, „ორი ტაქტიკა“, „პროლეტარიატი და გლეხობა“, „კონსტიტუციური ბაზარი“ და სხვები.

გაზეთს შემოღებული ჰქონდა მუდმივი განყოფილებები: „საზოგადოებრივი ცხოვრებიდან“, „მუშათა მოძრაობიდან“, „პარტიიდან“, „რევოლუციური დღეები“, „ციხე და გადასახლება“, „საფოსტო ყუთი“ და სხვ. რუბრიკების გარეშე იბეჭდებოდა მასალები საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების საქმიანობაზე, აგრეთვე, ა. ლუნაჩარსკის ნარკვევები ევროპის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლებზე.

დიდია გაზეთის დამსახურება რსდმპ III ყრილობის მომზადებისა და მოწვევის საქმეში. იგი თანამიმდევრულად გამოდიოდა მენშევიკების გამთიშველი საქმიანობის, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ყოველმხრივ ხელს უწყობდა ხალხთა მასების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, სისტემატურად უწევდა პროპაგანდას შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგებს. გაზეთი ასწავლიდა მუშებს, როგორ მოეწყოთ აჯანყება, აძლევდა პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ მოემზადებინათ და განეხორციელე-

ბინათ შეიარაღებული გამოსვლები. შეექმნათ მებრძოლი რაზმები და სხვ. მის ფურცლებზე დაიბეჭდა სტატიები ქუჩებში ბრძოლის მოწყობის, ბარიკადების აგების, იარაღის უნარიანად გამოყენების საკითხებზე. მრავალი მასალა იყო მიძღვნილი აგრეთვე არმიაში და სოფლად არსებული მდგომარეობისადმი.

რსდმპ III ყრილობამ სპეციალურ რეზოლუციაში მაღალი შეფასება მისცა გაზეთ „ვპერიოდისა“ და მისი რედაქციის მუშაობას. „ილებს რა მხედველობაში იმ რევოლუციურ ინიციატივას, — ნათქვამი იყო ამ დოკუმენტში, — რომელიც გამოიჩინა გაზეთმა „ვპერიოდმა“, როცა ის ემყარებოდა რა II პარტიული ყრილობის მითითებებს, გამოვიდა „ისკრის“ დროშით პარტიაში შემოპარულ გადახვევათა კრიტიკით. იმ რევოლუციურ სიფხიზლეს, რომელიც გაზეთმა „ვპერიოდმა“ გამოიჩინა რევოლუციური მოძრაობის მიერ წამოყენებული ტაქტიკის საკითხთა დაყენებასა და გაშუქებაში, იმ ენერგიას, რომლითაც „ვპერიოდი“ იბრძოდა პარტიაში გამოცოცხლებული დემაგოგიური ხერხების წინააღმდეგ: შემდეგ მხედველობაში იღებს რა ოვალსაჩინო როლს, რაც გაზეთმა „ვპერიოდმა“ პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში შეასრულა, ბოლოს მის მნიშვნელობას ყრილობის განხორციელების საქმეში, — ყრილობა მადლობას უცხადებს „ვპერიოდის“ რედაქციას“[12].

გაზეთ „ვპერიოდის“ გამოცემა შეწყდა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებით პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „პროლეტარის“ შექმნასთან დაკავშირებით.

„პროლეტარი“ გამოდიოდა ყოველკვირეულად 1905 წლის 14 (17) მაისიდან ამავე წლის 12 (25) ნოემბრამდე. გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორად ცენტრალურმა კომიტეტმა დანიშნა ვ. ი. ლენინი. სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ: ვ. ვოროვსკი, ა. ლუნაჩარსკი, მ. ოლმინსკი. გაზეთის თანამშრომელთა შორის იყვნენ: ვ. ბონჩ-ბრუევიჩი, მ. ვასილიევ-იუჟინი, ვ. კარპინსკი, პ. ლეპეშინსკი, ვ. ველიჩკინა და სხვ. „პროლეტარიც“ გამოდიოდა ჟენევაში, ყოველკვირეულად, 10 ათასამდე ტირაჟით, იმავე ფორმატითა და მოცულობით, როგორც „ვპერიოდი“. სულ გამოცემულ იქნა გაზეთის 26 ნომერი, აქედან ვ. ი. ლენინის უშუალო რედაქტორობით — 24 ნომერი. ბოლო ორ ნომერს ვ. ვოროვსკიმ გაუწია რედაქცია. რუსეთში ვ. ი. ლენინის გამგზავრების გამო. „პროლეტარის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ ბოლშევიკ-პუბლიცისტთა მთელი ძალები, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ მომუშავე კადრები თავმოყრილ იქნა პეტერბურგსა

---

12 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. 1, 1954, გვ. 104.

და მოსკოვში ლეგალურ ბოლშევიკურ ორგანო „ნოვაია ჟიზნსა“ და სხვა გაზეთებში სამუშაოდ.

„პროლეტარის“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია პროლეტარიატის, როგორც რევოლუციის ბელადის, საბრძოლო ამოცანები. გაზეთმა დიდი წვლილი შეიტანა მიმდინარე რევოლუციაში პარტიის ტაქტიკის ახსნა-განმარტებაში. ამ საკითხებზე მრავალი სტატია და წერილი, ბოლშევიკური კომიტეტების რეზოლუციები და დადგენილებები გამოქვეყნდა. ვ. ი. ლენინმა გაზეთ „პროლეტარში“ 60-ზე მეტი სტატია და შენიშვნა დაბეჭდა. ხშირად გაზეთში ლენინის ხუთი — შვიდი მასალა ქვეყნდებოდა. ლენინის შესანიშნავი ნაშრომები: „მესამე ყრილობა“, „რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა“, „ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი და აჯანყება“, „საერთო რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა“ და სხვები აიარაღებდნენ პარტიულ მუშაკებს მასების რევოლუციური ბრძოლისადმი ხელმძღვანელობის ხელოვნებით, რაზმავდნენ მშრომელებს ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო, მიუთითებდნენ მათ გზას რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

როგორც „ვპერიოდი“, ისე „პროლეტარი“ სისტემატურად აქვეყნებდნენ მასალებს ადგილობრივი პარტიული კომიტეტების, მათ შორის კავკასიის კავშირის და მასში შემავალი კომიტეტების — თბილისის, ბაქოს, ბათუმის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების საქმიანობის შესახებ რევოლუციის ბობოქარ დღეებში. მაგალითად, „ვპერიოდის“ მერვე ნომერში 8 კორესპონდენცია დაიბეჭდა კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი იტყობინება თბილისის ამბებს, რომ იქ ყველა მუშა გაფიცულია და მოძრაობა სასწაულებლებსაც მოედო. შემდეგ აღწერილია 24 იანვარს მოწყობილი მუშათა დემონსტრაციის მსვლელობა, რომლის დროსაც ბომბი აუფეთქებიათ და სროლა გამართულა. დაჭრილთა და მოკლულთა შორის რამდენიმე პოლიციელი და ჯარისკაცი ყოფილა. დაჭრილა 5 მუშა. გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილია ორი კორესპონდენცია ქუთაისიდან. მათში გადმოცემულია ის მღელვარება, რამაც მთელი ქალაქი მოიცვა, იმართებოდა დემოსტრაციები, იყო ცდები გაეთავისუფლებინათ პატიმრები, სადგურ სამტრედიაში აყარეს ლიანდაგი და დაწვეს ვაგზალი, უხვად ვრცელდებოდა პროკლამაციები. ხოლო ერთ-ერთ მასალაში აღნიშნულია, რომ გურიაში ოფიციალური ხელისუფლება აღარ მოქმედებს, „პროვინციას განაგებს სახალხო კომიტეტიო“ („ვპერიოდი“, № 8). გაზეთის მომდევნო ნომრების გამოქვეყნებულ წერილებში მოთხრობილია სოხუმში, დიდ ჯიხაიშში, ქიზიყსა და სხვა ადგილებში რევოლუციურ გამოსვლებზე, გამოთქმუ-

ლია გულისწყრომა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ჯარების დამსჯელ ექსპედიციის შესახებ.

როგორც ცნობილია, რსდმპ III ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა კავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა კავკასიის კავშირის დელეგატმა მიხა ცხაკაიამ, რის საფუძველზეც ყრილობამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია — „კავკასიის ამბების გამო". ყრილობის შემდეგ გაზეთმა „პროლეტარმა" ასევე მრავალი მასალა მიუძღვნა ამიერკავკასიასა და საქართველოში გაშლილ რევოლუციურ ბრძოლებს. გაზეთის პირველივე ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც გორის მაზრაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობისადმია მიძღვნილი, ხაზგასმულია, რომ ამ ბრძოლებში ჩაბმულია თითქმის ყველა სოფელი. თავდაპირველად გლეხთა გამოსვლები სტიქიურ ხასიათს ატარებდა, ხოლო, როდესაც აქ სოციალ-დემოკრატებმა მუშაობა გააჩაღეს, მოძრაობამ შეგნებული ხასიათი მიიღო. გლეხები უკვე არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებდნენ. „პროლეტარის" მეხუთე და მეექვსე ნომრებში დაიბეჭდა სტატია „იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი", რომელშიც ფართოდ არის მოთხრობილი დასავლეთ საქართველოში გაშლილი რევოლუციური მოძრაობის შესახებ. თუ რა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ამიერკავკასიას გაზეთის რედაქცია, მიუთითებს ის ფაქტი, რომ მე-12 ნომერში ამ რეგიონიდან 6 მასალა დაიბეჭდა. გაზეთის ამავე ნომრის განყოფილებაში „პარტიიდან" მიმოხილულია კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო — გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა" რუსულ ენაზე პირველი ნომრის (ქართულად მე-9 ნომრის, სომხურად მე-6 ნომრის) გამოცემასთან დაკავშირებით.

ლენინურმა გაზეთმა „ვპერიოდმა" და „პროლეტარმა" დიდი გავლენა მოახდინეს ადგილობრივი არალეგალური ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის განვითარებაზე. ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს მოსკოვში გამოცემული გაზეთები „გოლოს ტრუდა" და განსაკუთრებით — „რაბოჩი". ეს უკანასკნელი პოპულარული ორგანო იყო და გამოდიოდა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებითა და ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით. გაზეთის რედაქტორი იყო ვ. შანცერი („მარატი"), იბეჭდებოდა მცირე ფორმატით, 8 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით. 8—12 გვერდზე, მასალები მსხვილი შრიფტით იყო აწყობილი. 1905 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე გამოვიდა გაზეთის 5 ნომერი. გაზეთი იბეჭდებოდა ლენინაიას ქუჩის № 55 სახლის სარდაფში მოწყობილ არალეგალურ სტამბაში. აღსანიშნავია, რომ მის გამართულ მუშაობასთან დაკავშირებულია ბევრი ქართველი ბოლშევიკის მოღვაწეობა (ტ. ენუქიძე, ს. კორი-

ძე, გ. სტურუა). ამჟამად სტამბა აღდგენილია როგორც ბოლშევიკური იატაკქვეშეთის ძეგლი და მოქმედებს როგორც სსრ კავშირის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი. აქ, გაზეთ „რაბოჩის“ გარდა იბეჭდებოდა ფურცლებიცა და ბროშურებიც.

„რაბოჩი“ გათვალისწინებული იყო პროლეტარიატის ფართო მასებისათვის. ეს ნათლად ჩანდა გამოქვეყნებული მასალების უაღრესად გასაგები შინაარსითა და სადა ენითაც, ამიტომ მან სწრაფად მოიპოვა რუსეთის პროლეტარიატისა და რევოლუციურად განწყობილი დემოკრატიული მასების სიყვარული და პატივისცემა. დიდი მოწონებით შეხვდა გაზეთის გამოსვლას ვ. ი. ლენინი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის წევრებს წერდა: „მივიღე... „რაბოჩის“ პირველი ნომერი. იგი საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს“[13]. გაზეთის მეორე ნომერში დაიბეჭდა ვ.ი. ლენინის მიერ შედგენილი გაზეთ „პროლეტარის“ რედაქციის განცხადება — „რსდმპ ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან“. ამ განცხადების მთავარი დანიშნულება იყო სწორი გეზი მიეცა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მათი ორგანოებისათვის, მათ შორის პოპულარულ გაზეთ „რაბოჩისათვის“. თავის მხრივ, რედაქცია ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა პარტიის მიერ დასახული ხაზი, აქვეყნებდა მასალებს რევოლუციისა და კონტრრევოლუციის შესახებ, დაუნდობლად ამხილებდა ცარიზმის პოლიტიკას, უჩვენებდა სახელმწიფო სათათბიროს ნამდვილ სახეს. გაზეთს შემოღებული ჰქონდა რუბრიკები: „პარტიიდან“, „ომი და მშვიდობა“, „ერობა და მუშათა კლასი“, „ფელეტონი“, „ქრონიკა“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ „რაბოჩის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მ. გორკის პუბლიცისტური სტატიების სერია „წერილები მუშებს“, რომლებშიც პოპულარული და გასაგები ენით იყო საუბარი მუშათა საჭირბოროტო საკითხებზე, რევოლუციური ბრძოლების, მათი ძალების გაერთიანების აუცილებლობაზე და სხვ. მართალია, „რაბოჩის“ დიდხანს არ უარსებია, მაგრამ მისმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო პარტიის მასობრივი ბეჭდვითი სიტყვის განვითარებას, იგი დღესაც გვასწავლის, თუ როგორ შევუთავსოთ გადმოცემის პოპულარობა მასალების მაღალ იდეურ შინაარსს.

რაც უფრო ფართო ხასიათს იღებდა რევოლუცია, მით უფრო მეტად იგრძნობოდა ლეგალური პარტიული პრესის საჭიროება. ამ პერიოდში პროლეტარიატისა და გლეხობის ფართო მასების პოლიტიკური აღზრდისა და დარაზმვის ამოცანების გადაჭრაში პარტია ვეღარ დაეყრდნობოდა მარტო არალეგალურ ბეჭდვით სიტყვას, და ისიც საზღვარგარეთ გამომავალ გაზეთებს, რომლებიც რუსეთამდე

---

[13] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 36, გვ. 143.

დაგვიანებით აღწევდნენ, მოკლებული იყვნენ ოპერატიულობას. ამ საკითხს ჯერ კიდევ რსდმპ III ყრილობა ითვალისწინებდა, როცა ბოლშევიკური ორგანიზაციების ყურადღება წარმართა ლეგალური ორგანოს შესაქმნელად. შესაძლებლობა თვით რუსეთში თავისი გაზეთის გამოსაცემად ბოლშევიკებს გაუჩნდათ მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშათა კლასმა საერთო-რუსეთის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვით აიძულა მეფის მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო, გამოეცა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელშიც გამოცხადებული იყო უმნიშვნელო პოლიტიკური თავისუფლებანი, მათ შორის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. მუშათა კლასის მიერ თვითმპყრობელურ რეჟიმში გაჩენილი ეს ბზარი პარტიამ გამოიყენა ღია პოლიტიკური საქმიანობისათვის, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა, პირველ ყოვლისა, ლეგალური გაზეთების გამოცემაში.

მიუხედავად მეფის მანიფესტის დაპირებებისა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ, ბოლშევიკებს არ აძლევდნენ ნებას შექმნათ ლეგალური გაზეთი. ამიტომ მათ დაიწყეს შემოვლითი გზების ძებნა. ამ დროს ცნობილი გახდა, რომ პოეტ-დეკადენტ ნ. მინსკის (ვილენკინს) ნებართვა ჰქონდა აღებული დიდი პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთის გამოსაცემად, რადგან იგი ხელისუფლებისათვის „კეთილსაიმედო“ პირად ითვლებოდა. პარტიამ უნარიანად გამოიყენა მ. გორკის ავტორიტეტი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ნ. მინსკისთან და დაითანხმა სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანებული ძალებით გამოეშვათ გაზეთი. მ. გორკიმ ამ საქმისათვის სახსრების შეგროვების საქმეშიც დიდი როლი შეასრულა.

პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ნოვაია ჟიზნი“ გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) ამავე წლის 3 (16) დეკემბრამდე. სულ გამოიცა 28 ნომერი. მისი ტირაჟი 80 ათას ეგზემპლარს აღწევდა და ბოლშევიკები მას იყენებდნენ როგორც საყოველთაო-სახალხო ტრიბუნას, როგორც მასების განათლებისა და დარაზმვის საშუალებას. მართალია, ყველა ნომერს ნ. მინსკი აწერს ხელს როგორც რედაქტორი, მაგრამ, ფაქტობრივად, იგი არ ღებულობდა მონაწილეობას გაზეთის რედაქტირებაში. პარტიამ საგამომცემლო საქმე დააკისრა ლ. კრასინსა და მ. ლიტვინოვს, ხოლო ოფიციალურ გამომცემლად ითვლებოდა მ. ანდრეევა. „ნოვაია ჟიზნის“ პირველი ნომრის დამატებად მკითხველებს დაეგზავნა „რსდმპ პროგრამის“ ტექსტი. პეტერბურგში ვ. ი. ლენინის ჩამოსვლის შემდეგ გაზეთი უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა და, ფაქტობრივად, პარტიის ცენტრალურ ორგანოდ ითვლებოდა. რედაქციის მუშაობაში ჩაბმული იყვნენ: მ. გორკი, მ. ოლმინსკი, ა. ლუნაჩარსკი, მ. პოკროვსკი, ბ. რუმიანცევი, ი. სკვორცოვ-სტეპანოვი და

სხვ. გაზეთში ასევე აქტიურად თანამშრომლობდნენ: ვ. შანცერი, ბ. კნუნიანცი, მ. ლიადოვი და აგრეთვე ზოგიერთი უპარტიო მწერალი — რევოლუციის თანამგზავრები.

ძირითადი სახელმძღვანელო სტატიები, რომლებიც მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას იძლეოდნენ და განსაზღვრავდნენ პარტიის მუშაობის ამოცანებს რუსეთის რევოლუციის განვითარების ახალ პირობებში, დაწერა ვ. ი. ლენინმა. სულ „ნოვაია ჟიზნში“ პირველად გამოქვეყნდა მისი 12 სტატია, მათ შორის: „ჯარი და რევოლუცია“, „სასწორი ქანაობს“, „მომაკვდავი თვითმპყრობელობა და ხალხის ძალაუფლების ახალი ორგანოები“, „სოციალიზმი და ანარქიზმი“, „პროლეტარიატი და გლეხობა“, „პარტიის რეორგანიზაციის შესახებ“ და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის სტატიას „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც „ნოვაია ჟიზნის“ მე-12 ნომერში დაიბეჭდა. ამ ნაშრომში ვ. ი. ლენინმა წამოაყენა და დაასაბუთა პარტიული ლიტერატურის, ლიტერატურაში პარტიულობის პრინციპები. მან ბრწყინვალედ გვიჩვენა, რომ პარტიულობა ეს არის პროლეტარული პუბლიცისტიკის უმაღლესი გამოხატულება. ამ ფუძემდებლური დებულებით ყოველთვის ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა და მას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს ლიტერატურის, ხელოვნებისა და პრესის განვითარებისათვის.

ვ. ი. ლენინის ნაშრომები და გაზეთში გამოქვეყნებული სხვა მასალები მკითხველებს განუმარტავდნენ ისეთ სასიცოცხლო საკითხებს, როგორიც იყო პარტიული მუშაობის ახალი ფორმები, საბჭოების საქმიანობა, ბრძოლა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების განხორციელებისათვის, პროფკავშირებზე ბოლშევიკების გავლენის გაძლიერება, პარტიის მებრძოლი ლოზუნგების პროპაგანდა და სხვ. იმის გამო, რომ „ნოვაია ჟიზნი“ ყოველდღიურად დიდი ფორმატით გამოდიოდა, საშუალება ჰქონდა მასშტაბურად გაეშუქებინა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრება. გაზეთი ფართოდ იყენებდა პუბლიცისტურ ჟანრებს, მისთვის დამახასიათებელია მუდმივი განყოფილებებისა და რუბრიკების სიუხვე („პარტიული ცხოვრებიდან“, „სადღეისო საკითხები“, „ფაბრიკებსა და ქარხნებში“, „მუშათა ცხოვრებიდან“, „პროფესიული კავშირები“, „მუშათა დეპუტატების საბჭოებში“, „არმიაში“, „სასწავლებლებში“, „უცხოეთის განყოფილება“, „თეატრი და მუსიკა“ და სხვ.). იბეჭდებოდა, აგრეთვე მოთხრობები, ფელეტონები და ლექსები. ვ. ი. ლენინის დიდი მოწონება ხვდა წილად „შენიშვნებს მეშჩანობაზე“, რომლებიც „ნოვაია ჟიზნისათვის“ დაწერა მ. გორკიმ.

გაზეთი მთელ რუსეთში ვრცელდებოდა და საკუთარ კორესპონდენტთა ფართო ქსელი გააჩნდა (მათ გამოყოფდნენ ხოლმე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები). მიუხედავად იმისა, რომ „ნოვაია ჟიზნი" გამოდიოდა ე. წ. „თავისუფლებათა" პერიოდში, იგი მუდმივ დევნას განიცდიდა. ლეგალურად გამოსული 27 ნომრიდან 15 კონფისკებული იქნა. 27-ე ნომრის გამოსვლის შემდეგ ხელისუფლებამ დახურა გაზეთი. უკანასკნელი, 28-ე ნომერი არალეგალურად გამოიცა. დახურვის მიზეზი გახდა 27-ე ნომერში „პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს მანიფესტის" (ე. წ. „ფინანსური მანიფესტის") გამოქვეყნება, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებდა არ გადაეხადათ გადასახადები, გამოეტანათ ანაბრები შემნახველი სალაროებიდან და ბანკებიდან, მოეთხოვათ ოქროთი გაენაღდებინათ ფული და სხვ. ეს დოკუმენტი მრავალმა ადგილობრივმა ბოლშევიკურმა გაზეთმა გადაბეჭდა და ზოგიერთი მათგანი „ნოვაია ჟიზნის" მსგავსად მთავრობის ორგანოებმა ამის გამო დახურეს (მაგალითად, გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი").

„ნოვაია ჟიზნის" კვალდაკვალ აღმოცენდნენ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის სხვა ორგანოებიც, მოსკოვში გამოდის „ბორბა" და „ეპერიოდი", ციმბირში „კრასნოიარსკი რაბოჩი" და „ზაბაიკალსკი რაბოჩი". ზოგიერთ ქალაქში იქმნება მუშათა დეპუტატების საბჭოების „იზვესტიები" (პეტერბურგში, მოსკოვში, კოსტრომაში და სხვ.). კავკასიაში პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი" გამოდიოდა თბილისში 1905 წლის 20 ნოემბრიდან (3 დეკემბრიდან) ამავე წლის 14 (27) დეკემბრამდე. სულ გამოიცა 17 ნომერი. გაზეთის რედაქციაში შედიოდნენ ი. სტალინი, ს. მაუმიანი, ი. სანჟური და სხვ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა" თავიდანვე მტკიცე კავშირი დაამყარა პარტიის ცენტრალურ ორგანოსთან „ნოვაია ჟიზნთან" და ვ. ი. ლენინთან და თავის საქმიანობაში თანამიმდევრულად ხელმძღვანელობდა პროლეტარიატის დიდი ბელადის მიერ შემუშავებული დებულებებით. პროლეტარიატის შეიარაღება რევოლუციური თეორიით, მისი მომზადება გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, ზრუნვა პარტიის მონოლითური სიმტკიცისათვის — ასეთი იყო გაზეთის ძირითადი ხაზი. ამ მიზნისათვის გამოყენებული ჰქონდათ განყოფილებები: „პარტიიდან", „რუსეთში", „კავკასიაში", „პრესის მიმოხილვა", „ქრონიკა" და სხვ. ისევე, როგორც სხვა ბოლშევიკურ გაზეთებს, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკსაც" დევნიდა მეფის ხელისუფლება, რამდენიმე ნომერი კონფისკებულ იქნა, ხოლო რედაქტორ-გამომცემელი პასუხისგებაში მისცეს. მე-15 ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთი დახურეს. №№ 16 და 17 „ელისავეტოპოლსკი ვესტნიკის" სახელწოდებით გამოვიდა.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო ბოლშევიკებისა და მათი პრესისადმი ცარიზმის მხრივ მკაცრი ანგარიშსწორება. 1906 წელს დაიხურა 80 პერიოდული გამოცემა. 50 რედაქტორი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს, მათი უმრავლესობა ბოლშევიკური პრესის მუშაკი იყო. თუმცა მასობრივი რეპრესიების დღეებშიც ბოლშევიკები ახერხებდნენ არა მარტო არალეგალური, არამედ ლეგალური ბეჭდვითი ორგანოების გამოცემასაც. 1906 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდა ლენინური ლეგალური გაზეთები „ვოლნა", „ვპერიოდი". „ეხო", რომლებიც, ფაქტობრივად, პარტიის ცენტრალური ორგანოები იყვნენ. 1906 წლის მეორე ნახევარში, რეაქციის ახალი შემოტევის შემდეგ, ბოლშევიკები შეუდგნენ არალეგალური გაზეთების გამოცემას. 1906 წლის სექტემბრიდან გამოდის „პროლეტარი".

1907 წელს ბოლშევიკური გაზეთების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. 1906 წლის ბოლოსა და 1907 წლის დასაწყისში პეტერბურგში გამოსვლას იწყებენ ყოველკვირეულები „ტერნიი ტრუდა", „პროსტიე რეჩი", „ზრენიე". ცოტა მოგვიანებით — ლეგალური ბოლშევიკური ორგანოები „ნოვი ლუჩი", „რაბოჩაია მოლვა", „ნაშე ეხო". აღნიშნული ყოველკვირეულები და გაზეთები გამოდიოდნენ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობითა და აქტიური თანამშრომლობით.

1905—1907 წლებში პირველად გამოჩნდა ბეჭდვითი სიტყვა ჯარისკაცებისათვის. ჯარისკაცული გაზეთები რსდმპ სამხედრო ორგანიზაციების ორგანოები იყვნენ. სამხედრო პრესის უმთავრესი ამოცანა იყო აეხსნათ ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისათვის ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური მოვლენების არსი და გადაეყვანათ ისინი რევოლუციური ხალხის მხარეზე. წამყვანი სამხედრო ბოლშევიკური გაზეთი იყო „კაზარმა". საინტერესოა ისეთი გამოცემებიც, როგორიცაა „გოლოს სოლდატა" (რიგის ბოლშევიკური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაცია), „სოლდატსკაია ჟიზნი" და „სოლდატსკაია მისლი" (პარტიის მოსკოვის კომიტეტი), „სოლდატი" (სევასტოპოლი), „ვესტნიკ კაზარმი" (პარტიის ფინეთის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაცია), „რიადავოი" (ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია), „სოლდატსკი პუტი" (ვლადიმირი), „ჟიზნ ვ კაზარმე" (ვორონეჟი) და სხვ.

1905—1907 წლებში აღმოცენდნენ ბეჭდვითი სიტყვის ისეთი ახალი სახელები, როგორიცაა ბოლშევიკური მიმართულების ახალგაზრდული სტუდენტური გამოცემები (მაგალითად, ყოველკვირეული ლეგალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „მოლოდოია როსია" და ჟურნალი „მოლოდოსტი"), პროფკავშირული გაზეთები (მაგალითად, „პრიკაზჩიკი", „ხლებ ი რაბოტა", „ჟიზნ პრიკაზჩიკა" პეტერბურგში; „ბულოჩნიკი", „ტეხნიკი", „ფაბ-

რიჩნი", „პროფესიონალი" მოსკოვში, „გოლოს ტრუდა" ვორონეჟში, „ვესტნიკ ტრუდა" ეკატერინოსლავში).

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ეროვნულ გაზეთებსაც სცემდნენ. მაგალითად, ბალტიისპირეთში გამოდიოდა „ცინია", „ტიოლინე". ბოლშევიკებს დიდი საგამომცემლო საქმიანობა ჰქონდათ გაშლილი ამიერკავკასიაშიც. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია არალეგალური გაზეთის „პროლეტარიატის ბრძოლის" გამოცემა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი. „პროლეტარიატის ბრძოლა" გამოდიოდა 1903 წლის მაისიდან 1905 წლის ოქტომბრამდე. პირველად იგი იბეჭდებოდა ბაქოში, 1904 წლის ზაფხულიდან კი — თბილისში, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში. გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები: ი. სტალინი. ა. წულუკიძე. მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი, ვ. ბობროვსკი. რედაქცია სამივე ენაზე დამატების სახით სცემდა «„პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელს». გაზეთმა პროლეტარიატის ბრძოლამ" მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ბოლშევიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. იგი თანამიმდევრულად აგრძელებდა „ბრძოლის" მიერ დაწყებულ საქმეს და წარმოადგენდა ლენინური ცენტრალური ორგანოების მტკიცე დასაყრდენს კავკასიაში ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასების რევოლუციური აღზრდისათვის.

ქართულ ენაზე გამოცემულ ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთებს შორის 1906—1907 წლებში განსაკუთრებით აღსანიშნავია „ახალი ცხოვრების", „ახალი დროების", „მნათობის", „ჩვენი ცხოვრების", „დროს" თანამიმდევრული რევოლუციური ხაზი, მტკიცე ლენინური პრინციპულობა. ამ გაზეთების როლი და დამსახურება საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში შესულია როგორც უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი.

ლიტერატურა

ვ. ი. ლენინი. წერილი ამხანაგებისადმი (პარტიული უმრავლესობის ორგანოს გამოსვლისათვის), თხზ., ტ. 7, გვ. 653—660.

ვ. ი. ლენინი. თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი. თხზ., ტ. 8, გვ. 1—15.

ვ. ი. ლენინი. რევოლუციური დღეები. თხზ., ტ. 8, გვ. 105—131.

ვ. ი. ლენინი. მესამე ყრილობა. თხზ., ტ. 8, გვ. 521—529.

ვ. ი. ლენინი. რსდმპ ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან. თხზ., ტ. 9, გვ. 352—354.

ვ. ი. ლენინი. პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა. თხზ., ტ. 10, გვ. 34—41.

გ. ჟ ვ ა ნ ი ა. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში. თბ., 1984.
ი. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი. ბოლშევიკური პრესის ისტორია. I, თბ., 1969.
С. А. А н д р о н о в. Большевистская печать в трех революциях. М., 1978.
М. П. Б о д р о в. Большевистские военные газеты в годы первой русской революции. М., 1956.
Большевистская печать. Краткие очерки истории. М., 1962.
Большевистская печать. Сб. материалов, вып. 2. М., 1960.
Д. В а т е й ш в и л и. Из истории легальной рабочей печати Закавказья. Тб., 1963.
К. З а р о д о в. Ленинская газета «Пролетарий» (1905 г.). М., 1955.
М. К а р е л и н а. Большевистская газета «Новая жизнь». М., 1955.
А. К о с т и н. Большевистская газета «Вперед». М., 1952.
И. К у з н е ц о в, А. Ш у м а к о в. Большевистская печать Москвы. М., 1968.
И. А. П о р т я н к и н. Большевистская печать в годы первой русской революции. М., 1956.

თ ე მ ა მ ე ო თ ხ ე

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რეაქციის წლებში (1907—1910 წწ.)

სტოლიპინის რეაქციის პერიოდში ჩვენს პარტიას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქვეყანაში დამყარდა „მათრახისა და სახრჩობელის“ რეჟიმი. უსაზღვრო პოლიტიკურ დევნას ემატებოდა კონტრრევოლუციის იდეოლოგიური შემოტევები. შავრაზმელთა გაზეთები „როსია“, „ზემშჩინა“, ლიბერალური ბურჟუაზიის „რეჩი“ და სხვები ცილს სწამებდნენ რუსეთის მუშათა კლასსა და მის პრესას. 1904 წელს მოსკოვში კადეტთა კრებულის „ვეხის“ გამოცემით ბურჟუაზიული პუბლიცისტები აშკარად გადავიდნენ რეაქციულ პოზიციებზე. მენშევიკური გამოცემებიც უსირცხვოდ ლანძღავდნენ რევოლუციას, ბოლშევიკებს.

რეაქციის დადგომამ გამოიწვია დემოკრატიული, განსაკუთრებით კი, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მკვეთრი შემცირება.

მაგრამ ყოველგვარი სიძნელეებისა და შეზღუდვების მიუხედავად, ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით დაიწყეს გადამწყვეტი ბრძოლა არალეგალური პროლეტარული პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მასების მოსამზადებლად ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის. სტოლიპინის რეაქციის წლებში ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის განვითარების, მისი მიმართულების ჩამოყალიბებისათვის დიდი როლი შეასრულეს ვ. ი. ლენინის წიგნმა „მატერია-

ლიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და პარტიის მეოთხე კონფერენციის გადაწყვეტილებებმა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

ბოლშევიკური პარტიისა და ვ. ი. ლენინის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად რეაქციის წლებში მოხერხდა არა მარტო პარტიის ცენტრალური ორგანოს „სოციალ-დემოკრატისა“ და „პროლეტარის“, არამედ სხვა ბევრი არალეგალური და თვით ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების გამოცემაც.

ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი „პროლეტარი“ გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ვ. ი. ლენინის რედაქციით. სულ გამოვიდა 50 ნომერი. გაზეთის პირველი ოცი ნომერი, რომლებიც 1906—1907 წლებში გამოიცა, მომზადდა და აიწყო ვიბორგში, ბეჭდვა კი ხორციელდებოდა პეტერბურგში, იქ გაგზავნილი მატრიცებიდან (კონსპირაციული მოსაზრებებით გაზეთის სათაურის ზემოთ გამოცემის ადგილად მითითებული იყო მოსკოვი). აღსანიშნავია, რომ №№ 1 და 2 გამოდიოდა როგორც რსდმპ მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების, №№ 3 და 4 — რსდმპ მოსკოვის, პეტერბურგისა და მოსკოვის საოლქო კომიტეტების ორგანო. შემდგომ ნომრებში მითითებული იყო რსდმპ პერმის, კურსკის (№№ 5—11), აგრეთვე ყაზანის (№ 12-დან) კომიტეტები.

რეაქციის პერიოდის დაწყებასთან დაკავშირებით, როდესაც უაღრესად გაძნელდა რუსეთში არალეგალური ორგანოს გამოცემა, რსდმპ პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტების გადაწყვეტილებით გაზეთის გამოშვება საზღვარგარეთ გადაიტანეს. როგორც კი 1907 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინი ჟენევაში ჩავიდა, მან პირველი რიგის ამოცანად დააყენა „პროლეტარის“, როგორც ხელმძღვანელი ორგანოს, აღდგენა, რომელიც წარმართავდა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას ახალ პირობებში. 1908 წლის თებერვლიდან (№ 21-დან) გაზეთი იბეჭდებოდა ჟენევაში. აქ სულ 20 ნომერი გამოვიდა. შემდეგ გაზეთის გამოცემა გადაიტანეს პარიზში, სადაც 1909 წლის განმავლობაში გამოუშვეს უკანასკნელი ათი ნომერი (№№ 41—50). საზღვარგარეთ, 1908—1909 წლებში, გაზეთი კვლავ რსდმპ მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების ორგანო იყო, ხოლო ფაქტობრივად ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა.

ლენინური „პროლეტარი“ ბოლშევიკების იდეური და მაორგანიზებელი ცენტრი იყო. მასში ფართოდ შუქდებოდა ტაქტიკური და საერთოპოლიტიკური საკითხები და მის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა რსდმპ რიგების შენარჩუნება და განმტკიცება. აქ იბეჭდებოდა ანგარიშები რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის კონფერენციებისა და პლენუმე-

ბის გადაწყვეტილებები, ცენტრალური კომიტეტის წერილები პარტიული მუშაობის სხვადასხვა საკითხზე და სხვა დოკუმენტები.

„პროლეტარის“ რედაქციაში მთელ ძირითად სამუშაოს ვ. ი. ლენინი აწარმოებდა. გამოცემული ნომრების უმრავლესობაში მისი რამდენიმე სტატია იყო დაბეჭდილი. სულ „პროლეტარში“ ვ. ი. ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა გამოქვეყნდა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. რედაქციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ, აგრეთვე, მ. ვლადიმირსკი, ვ. ვოროვსკი, ა. ლუნაჩარსკი, ი. დუბროვინსკი, ნ. სემაშკო, მ. ლიადოვი, ვ. შანცერი და სხვ. გაზეთს ჰქონდა მუდმივი განყოფილებები და რუბრიკები: „პარტიიდან“, „ქრონიკა“, „მუშათა მოძრაობა“, „ციხიდან“ (ზოგჯერ — „კატორღა და გადასახლება“), „უცხოეთის ცხოვრება“ და ა. შ. ვ. ი. ლენინი ზრუნავდა იმისათვის, რომ გაზეთში სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემატიკასთან ერთად გაშუქებულიყო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებიც. თვით ლენინს ეკუთვნის „პროლეტარის“ № 35-ში დაბეჭდილი შესანიშნავი სტატია „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“.

გაზეთ „პროლეტარის“ პირველი 16 ნომერი გამოვიდა ჯერ კიდევ 1905—1907 წლების რევოლუციის მსვლელობაში, როდესაც ბოლშევიკებს ლეგალური ბეჭდვითი ორგანოები გააჩნდათ. მაგრამ მაშინაც არალეგალური ორგანოს არსებობას, სადაც შეიძლებოდა მომენტის შესაბამის საჭირბოროტო საკითხებზე წერა ისე, რომ „ეზოპეს ენისათვის“ არ მიემართათ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „პროლეტარის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის მრავალი სტატია მასების რევოლუციური ბრძოლების გაძლიერების შესახებ, რომელთა დაბეჭდვა, ცხადია, ლეგალურ პრესაში შეუძლებელი იყო. ასეთებია: „მოსკოვის აჯანყების გაკვეთილები“ (№ 2), „ხელები შორს“ (№ 3), „პარტიზანული ომი“ (№ 5) და სხვ, რომლებიც მიძღვნილია შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისა და ტაქტიკის საკითხებისადმი. გაზეთში გამოქვეყნებული ბევრი მასალა იძლეოდა სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის პოლიტიკურ შეფასებას, განსაზღვრული იყო პარტიის ხაზი ამ პერიოდში, დაუნდობლად ამხილებდა მენშევიკების გამცემლურ ტაქტიკას. ბოლშევიკების ხელში „პროლეტარი“ წარმოადგენდა II სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში პროპაგანდისა და ორგანიზაციის მძლავრ საშუალებას. ფასდაუდებელი მუშაობა გასწია გაზეთმა 1907 წლის მაისში რსდმპ V ყრილობის მომზადებაში.

დიდია გაზეთის როლი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პრესის, „ვეხის“ რეაქციული იდეოლოგიის მხილებაში, ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გამო-

თქმული იდეების პროპაგანდაში, ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვასა და განვითარებაში. სტოლიპინის რეაქციის წლებში. რომელიც 1907 წლის 3 ივნისის კონტრრევოლუციური გადატრიალების შედეგად დადგა, „პროლეტარმა" უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური საქმიანობის განმტკიცებაში, ლიკვიდატორების, ოტზოვისტებისა და ღვთისმშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით კი ვ. ი. ლენინის სტატიებმა „რევოლუცია და კონტრრევოლუცია" (№ 17), „მესამე სათათბირო" (№ 18), „პოლიტიკური შენიშვნები" (№ 21), „მიმდინარე მომენტის შეფასების შესახებ" (№ 38) და სხვ. პროლეტარიატის დიდმა ბელადმა აღნიშნულ ნაშრომებში მოგვცა 3 ივნისის გადატრიალების დახასიათება, დასახა ამოცანები და გამოიმუშავა პარტიის ტაქტიკა სტოლიპინის რეაქციის პერიოდში, ამხილა მენშევიკების ლიკვიდატორობა. ვ. ი. ლენინის მრავალი სტატია მიმართული იყო „ოტზოვისტების" წინააღმდეგაც. მათ შორის აღსანიშნავია „კარიკატურა ბოლშევიზმზე" (№ 44), „ლიკვიდატორობის ლიკვიდაცია" (№ 46) და სხვ. ამ საკითხებს ეხებოდა, აგრეთვე, ამ უკანასკნელი ნომრის დამატებაში დაბეჭდილი „პროლეტარის" გაფართოებული რედაქციის თათბირის მასალები, რომელიც 1909 წლის 8—17 (21—30) ივნისს გაიმართა პარიზში.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი „საზღვარგარეთ გამოდიოდა და რეაქციის პირობებში უაღრესად რთული იყო მუდმივი კავშირის დამყარება რუსეთის ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან და ცალკეულ მუშაკებთან, რედაქციამ წარმატებით გაართვა თავი ყველა სიძნელეს. გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა წერილები, სტატიები და კორესპონდენციები, რომლებიც გამოგზავნილი იყო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისაგან, მუშებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო პარიზის პერიოდი. თუ ჟენევაში გამოსული „პროლეტარის" 20 ნომერში რედაქციამ რუსეთიდან მიღებული 132 კორესპონდენცია გამოაქვეყნა, პარიზში გამოცემულ 10 ნომერში — 183 კორესპონდენცია, რომლებიც 31 სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმიანობას შეეხებოდა.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1909 წლის იანვარში გამართულ პლენუმზე მენშევიკებმა შემთანხმებლების დახმარებით მიაღწიეს ფრაქციულობის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით გაეთრიათ გადაწყვეტილება გაზეთ „პროლეტარის" დახურვის შესახებ, რის შედეგადაც მან შეწყვიტა არსებობა.

გაზეთ „პროლეტართან" ერთად ლიკვიდატორების, ოტზოვისტებისა და შემთანხმებლების წინააღმდეგ პოლემიკას აქტიურად ეწეოდა რსდმპ ცენტრალური ორგანო „სოციალ-დემოკრატი", რომელიც

პარტიის V ყრილობის გადაწყვეტილებით გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე. „სოციალ-დემოკრატის“ პირველი ნომერი რუსეთში გამოვიდა, მაგრამ თითქმის მთელი ტირაჟი ხელში ჩაიგდო პოლიციამ, ამის გამო მასში მოთავსებული ძირითადი მასალები გადაიბეჭდა ბოლშევიკურ გაზეთ „პროლეტარში“ (№№ 26 და 27). თავდაპირველად „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციაში იყვნენ ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელ სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები. ვ. ი. ლენინი, რომელიც მის შემადგენლობაში № 2-დან შევიდა, იბრძოდა გაზეთის ბოლშევიკური მიმართულებისათვის. ცენტრალური ორგანოს რედაქციის ზოგიერთი წევრი (კამენევი, ზინოვიევი) შემრიგებლურად ეკიდებოდა ლიკვიდატორებს, ხელს უშლიდა ლენინური ხაზის გატარებას. რედაქციის წევრები მარტოვი და დანი საბოტაჟს მიმართავდნენ. ამავე დროს ისინი აშკარად მხარს უჭერდნენ ლიკვიდატორობას მენშევიკ-ლიკვიდატორთა ორგანოს გაზეთ „გოლოს სოციალ-დემოკრატას“ ფურცლებზე. აღსანიშნავია, რომ ლიკვიდატორებისა და მათი ორგანოს წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს მენშევიკმა-პარტიელებმა გ. პლეხანოვის მეთაურობით, რომელთა მიმართ ბოლშევიკები ახორციელებდნენ მათთან ბლოკის ტაქტიკას არალეგალური პარტიისათვის ბრძოლაში. ამავე დროს, ბოლშევიკები არ ჩქმალავდნენ თავიანთ უთანხმოებას მენშევიკ-პარტიელთა მიმართ. არ წყვეტდნენ ბრძოლას მარქსიზმისაგან მათი გადახვევების წინააღმდეგ. პოლონელ სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელი ცენტრალური ორგანოს რედაქციაში თავდაპირველად იყო ა. ვარსკი (ვარშავსკი) რომელიც უმეტესწილად თანაუგრძნობდა ხოლმე ლენინელებს, მაგრამ შემდგომში იგი ზ. ლედერმა შეცვალა. ეს უკანასკნელი კი მთლიანად მხარს უჭერდა მენშევიკ-ლიკვიდატორებს. ვ. ი. ლენინის შეურიგებელმა, თანამიმდევრულმა ბრძოლამ ლიკვიდატორთა წინააღმდეგ თავისი შედეგები გამოიღო. 1911 წლის ივნისში „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციის შემადგენლობიდან მარტოვი და დანი გამოვიდნენ, ხოლო იმავე წლის დეკემბერში — ზ. ლედერიც. ამ პერიოდიდან გაზეთს მთლიანად რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი, რომელიც მანამდეც გაზეთის საქმიანობას რევოლუციურ-მარქსისტული გზით წარმართავდა. გაზეთის არსებობის მანძილზე ვ. ი. ლენინის 80-ზე მეტი სტატია და შენიშვნა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები დაიბეჭდა. გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ დამატებად 1910—1911 წლებში გამოდიოდა „დისკუსიონი ლისტოკი“, ხოლო 1916 წელს — „სბორნიკ სოციალ-დემოკრატა“.

რსდმპ ცენტრალური ორგანოს „სოციალ-დემოკრატის“ საერთო მიმართულება სტოლიპინის რეაქციის წლებში იყო ბრძოლა რევოლუციურ-მარქსისტული პარტიისათვის, მარქსიზმის ყველა მტრის,

მარცხნიდან და მარჯვნიდან ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ამ მხრივ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ვ. ი. ლენინის სტატიებს: „გზაზე“, „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში“, „პუბლიცისტის შენიშვნები“, „ლიკვიდატორები პარტიის წინააღმდეგ“ და სხვ.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ პარტიული ორგანიზაციების ტრიბუნა, ბოლშევიკთა რიგების განმტკიცების მძლავრი საშუალება იყო; ყოველ ნომერში იბეჭდებოდა განყოფილებები „პარტიიდან“ და „ქრონიკა“, რომლებიც მკითხველს მოუთხრობდნენ თუ როგორ ვითარდებოდა და ღრმავდებოდა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების პროცესი, როგორ იზრდებოდა მათი კავშირი მუშებთან და გამოიყენებოდა ბრძოლის ლეგალური ფორმები. გაზეთი რჩევა-დარიგებას აძლევდა პარტიულ მუშაკებს იმის შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მათ იმისათვის, რათა ბოლშევიკური ორგანიზაციების სტრუქტურა და მათი საქმიანობა შეეთანხმებინათ მკაცრი კონსპირაციის მოთხოვნებთან, განემტკიცებინათ კავშირი მასებთან.

გაზეთის ფურცლებზე შუქდებოდა, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნებში პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის, მარქსიზმის გავლენის ზრდის საკითხები. ასეთი მასალები იბეჭდებოდა უმთავრესად განყოფილებაში „უცხოეთის ცხოვრება“, რომელშიც მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტებიც აისახებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ი. ლენინის სტატია „ორი სამყარო“, რომელიც ეხება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაგდებურგის ყრილობას, სადაც მწვავე ბრძოლა გაიმართა მარქსისტ ავგუსტ ბებელსა და რევიზიონისტებს შორის. გერმანიაში პოლიტიკური მდგომარეობის საკითხებზე ხშირად გამოდიოდა ი. მარხლევსკი, ინგლისის მუშათა მოძრაობის შესახებ წერდა ფ. როტშტეინი, საფრანგეთიდან თანამშრომლობდა პლეხანოველი რ. რაპოპორტი, აღსანიშნავია, რომ „სოციალ-დემოკრატის“ № 11-ში გამოქვეყნდა როზა ლუქსემბურგის სტატია ავგუსტ ბებელზე (მისი დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით). საყურადღებოა, აგრეთვე, ბალკანეთში რევოლუციური მოძრაობისადმი მიძღვნილი მასალების პუბლიკაცია, რომელთა შორის ფრიად მნიშვნელოვანი იყო დ. ბლაგოევის სტატია „სოციალიზმი ბალკანეთში“. ამგვარად, მუშათა მსოფლიო მოძრაობისადმი მიძღვნილ გაზეთის მასალებს სერიოზული წვლილი შეჰქონდათ საერთაშორისო ოპორტუნიზმისა და ცენტრიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. „სოციალ-დემოკრატი“ აქტიურად უჭერდა მხარს სოციალ-დემოკრატიული პარტიების მემარცხენე ელემენტებს, რომლებიც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პოზიციებზე იდგნენ.

რეაქციის მძიმე პირობებში თავისი ბეჭდვითი ორგანოების გამოცემისათვის საქმიანობას არ წყვეტდნენ რსდმპ ადგილობრივი კომიტეტებიც. 1907—1910 წ-ებში ბოლშევიკური გაზეთები გამოდიოდა მოსკოვში („ბორბა", „რაბოჩეე ზნამია", „ნაშ პუტ"), ურალში („რაბოჩი", „ურალსკი რაბოჩი", „ტიუმენსკი რაბოჩი" და სხვ.), სევასტოპოლში („რაბოჩი"), ოდესაში („ოდესსკი რაბოჩი"), ნიკოლაევში („ბორბა") და ამიერკავკასიაში. ამ პერიოდში მთელს რუსეთში 30 მარტო არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი გამოდიოდა. ამას უნდა დავუმატოთ, აგრეთვე, ლეგალური ორგანოები, რომელთა გამოცემას ადგილობრივი კომიტეტები ახერხებდნენ.

ამიერკავკასიაში გამოშვებულ ბოლშევიკურ გაზეთებს შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია „ბაკინსკი პროლეტარი". იგი არალეგალურად გამოდიოდა ბაქოში 1907 წლის 20 ივნისიდან (2 ივლისიდან) 1909 წლის 27 აგვისტომდე (9 სექტემბრამდე). თავდაპირველად გაზეთი რსდმპ ბალახანის, შემდგომ ბალახანისა და შავი ქალაქის რაიონების, ხოლო № 3-დან რსდმპ ბაქოს კომიტეტის ორგანო იყო. სულ გამოიცა 7 ნომერი. მეექვსე და მეშვიდე ნომრებს შორის თითქმის ერთწლიანი შესვენება იყო [1908 წლის 20 ივლისიდან (2 აგვისტოდან) 1909 წლის 1 (14) აგვისტომდე]. გაზეთი პატარა ფორმატით გამოდიოდა — № 1 12-გვერდიანი იყო. დანარჩენები ძირითადად 4-გვერდიანი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ: პ. ჯაფარიძე (ალიოშა), ი. სტალინი, ს. შაუმიანი. გაზეთს გააჩნდა მუდმივი განყოფილებები და რუბრიკები: „პოლიტიკური შენიშვნები", „ქრონიკა", „პარტიული ცხოვრებიდან", „ადგილობრივი პარტიული ქრონიკა", „პრესა", „საზღვარგარეთ" და სხვ. რედაქციას მუდმივი კავშირი ჰქონდა დამყარებული ლენინურ გაზეთ „პროლეტართან" და პარტიის ცენტრალურ ორგანოსთან — გაზეთ „სოციალ-დემოკრატთან", ყოველმხრივ მხარს უჭერდა მათ ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მტკიცედ იცავდა ლენინურ იდეებს არალეგალური პარტიის განმტკიცებისათვის, მისი რიგების გაწმენდისათვის ოპორტუნისტული ელემენტებისაგან. სტატიები და კორესპონდენციები, რომლებიც მიძღვნილი იყო შინაპარტიული ცხოვრების საკითხებისადმი, ხელს უწყობდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობის გამოცოცხლებას, პროლეტარულ მასებთან მათი კავშირის გაფართოებას. „ბაკინსკი პროლეტარის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები ეხმაურებოდნენ არა მარტო ბაქოსა და ამიერკავკასიის, არამედ მთელი რუსეთის მოვლენებს. მაგალითად, გაზეთის პირველი ნომრის მოწინავე სტატია „სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები" მიძღვნილი იყო რსდმპ ტაქტიკისად-

მი სათათბიროსთან დამოკიდებულების საკითხში. ხოლო ი. სტალინის სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის ჩანაწერები)", რომელიც გაგრძელებებით გაზეთის პირველ ნომრებში დაიბეჭდა, ფართოდ იყო გაშუქებული რსდმპ V ყრილობის შედეგები. „ბაკინსკი პროლეტარის" № 7-ში გამოქვეყნდა „ბაქოს კომიტეტის რეზოლუცია „პროლეტარის" გაფართოებულ რედაქციაში უთანხმოების შესახებ". მასში ბაქოელი ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ ვ. ი. ლენინს ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბაქოში ამ პერიოდში გამოდიოდა, აგრეთვე, ორი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი. პირველი იყო „გუდოკი" — ბაქოს ბოლშევიკების მასობრივი ყოველკვირეული ორგანო (ოფიციალურად — ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ორგანო), გამოდიოდა ბაქოში 1907 წლის 12 (25) აგვისტოდან 1908 წლის 1 (14) ივნისამდე, გამოვიდა გაზეთის 34 ნომერი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ: პ. ჯაფარიძე, ს. სპანდარიანი, ი. სტალინი, ს. შაუმიანი, რომლებიც გაზეთის ძირითადი თანამშრომლებიც იყვნენ. რედაქციის მუშაობაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ა. სტოპანი, მ. ოლმინსკი, გ. ორჯონიკიძე, მ. ფრუმკინი, ს. ეფენდიევი და სხვ. დიდია „გუდოკის" დამსახურება ბაქოს პროლეტარიატის რიგების შემტკიცებასა და დარაზმვაში, მისი დახმარებით ბოლშევიკები წარმართავდნენ საგაფიცვო ბრძოლას, ააშკარავებდნენ მენშევიკებს, ესერებსა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, გაზეთი მშრომელებს ზრდიდა პროლეტარული სოლიდარობის სულისკვეთებით. აღსანიშნავია, რომ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მასალებთან ერთად გაზეთში მხატვრული ნაწარმოებებიც იბეჭდებოდა. მაგალითად, № 22-ში გამოქვეყნდა მ. გორკის რომანის „დედის" მოზრდილი ნაწყვეტი.

მას შემდეგ, რაც მენშევიკებმა (№ 35-დან) ხელში ჩაიგდეს „გუდოკი", ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა აღადგინეს თავიანთი ძველი ორგანოს — „ბაკინსკი რაბოჩის" გამოცემა 1908 წლის შემოდგომაზე (1906 წლის მაისში გამოვიდა მისი ერთადერთი ნომერი). გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი" ლეგალური ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთი გამოდიოდა 1908 წლის 5 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე. სულ გამოვიდა პატარა ფორმატის 9 ორმაგი ნომერი, თითოეული 16 გვერდის მოცულობით. ტირაჟი 2200 ეგზემპლარს შეადგენდა. რედაქციაში შედიოდნენ: პ. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი, ს. სპანდარიანი, ვ. ეფიმოეი, ვ. ნოგინი და სხვ. რედაქციას მუდმივი კავშირი ჰქონდა ლენინურ გაზეთ „პროლეტართან". ეს უკანასკნელი მაღალ შეფასებას აძლევდა ბაქოელ ბოლშევიკთა ორგანოს საქმიანობას (იხ. „პროლეტარი", 1908, № 40). „ბაკინსკი რაბოჩი" თავის ფურცლებზე ფართოდ აშუქებდა

მუშათა მოძრაობის, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საკითხებს, იგი რაზმავდა და ხელმძღვანელობდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობას, შეურიგებლად იბრძოდა მენშევიკების, ლიკვიდატორების, ოტზოვისტების, ტროცკისტების, ესერების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ. გაზეთის მუდმივი განყოფილებები და რუბრიკები იყო: „მუშათა წერილები", „პრესის მიმოხილვა", „რუსეთში", „სარეწებსა და ქარხნებში", „კავშირებში", „ქალაქში", „საზოგადოებრივი ცხოვრებიდან". „წერილები რედაქციაში" და სხვ. „მავნე მიმართულების გამო" ხელისუფლებამ 1908 წლის ოქტომბრის ბოლოს გაზეთი დახურა. მისი გამოცემა აღდგა 1917 წლის აპრილში. ამჟამად „ბაკინსკი რაბოჩი" აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოა.

აღსანიშნავია, რომ თბილისშიც, გარდა ლეგალური გაზეთებისა, რაზედაც წინა თავში იყო ნათქვამი, ბოლშევიკები არალეგალურად ქართულ და რუსულ ენებზე 1908 წლის ივნის-ოქტომბერში უშვებდნენ გაზეთ „ბრძოლას" № 1 გამოვიდა 1908 წლის ივნისში, ხოლო № 2/4 კი — ერთ წიგნად, რომელიც დათარიღებულია 1908 წლის ივლის-ოქტომბრით. ჟურნალის ორგანიზატორები იყვნენ: ა. დოლიძე, რ. კატანიანი, ვ. ნანეიშვილი, ზ. ჩოდრიშვილი და სხვ. ჟურნალი კონსპირაციულად იბეჭდებოდა ლეგალურ სტამბა „შრომაში". ასევე ქართულ და რუსულ ენებზე გამოდიოდა თბილისში 1910 წლის 5 იანვრიდან 1 მარტამდე რსდმპ თბილისის კომიტეტის ორგანო გაზეთი „თბილისის პროლეტარი". სულ გამოიცა 2 ნომერი, ხოლო 1910 წლის 5 აპრილს გამოვიდა ამ გაზეთის დამატების — «„თბილისის პროლეტარის" ფურცლის» ერთადერთი ნომერი, ასევე ქართულ და რუსულ ენებზე.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. გზაზე. თხზ., ტ. 15, გვ. 418—431.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი ჩვენს რევოლუციაში. თხზ., ტ. 15, გვ. 437—462.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. პუბლიცისტის შენიშვნები. თხზ., ტ. 16, გვ. 239—323.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. განცხადება „რაბოჩაია გაზეტას" გამოცემის შესახებ. თხზ., ტ. 16, გვ. 361—369.

Большевистская печать. Краткие очерки истории. М., 1962.

Большевистская печать. Сб. материалов, вып. 3. М., 1961.

И. В. К у з н е ц о в, С. С. М а т в и е н к о. Центральный орган РСДРП — газета «Социал-демократ». М., 1978.

Р. П. О в с е п я н. Многонациональная печать большевиков. М., 1972.

М. В. С и д о р о в. Большевистская газета «Пролетарий» (1906—1909 гг.), М., 1956.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში
(1910—1914 წწ.)

სტოლიპინის რეაქციის შავბნელი პერიოდი, როგორც ბოლშევიკებმა იწინასწარმეტყველეს, დიდხანს არ გაგრძელდა. სამი წლის განმავლობაში, კონტრრევოლუციის შემოტევის შედეგად პროლეტარიატი უკან იხევდა, მაგრამ ეს უკანდახევა ორგანიზებულად ხდებოდა, მუშათა კლასი ძალებს ინარჩუნებდა, ირაზმებოდა არალეგალური პარტიის გარშემო, ემზადებოდა მომავალი ბრძოლებისათვის. 1910 წელს იწყება მუშათა მოძრაობის საგრძნობი გამოცოცხლება. პეტერბურგში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ეწყობა გაფიცვები და დემონსტრაციები. უკვე 1911 წლისათვის ამ გამოსვლებში მონაწილეობა მიიღო 105 ათასმა მუშამ, ანუ ორჯერ მეტმა, ვიდრე წინა წელს. ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ამოცანა იყო შეგნებული მუშების პარტიული ბირთვის დარაზმვა, პარტიის რიგების განმტკიცებისათვის ზრუნვა, ახალ პირობებში ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნა. 1910—1914 წლების ბოლშევიკური გაზეთები და ჟურნალები დაუღალავად იბრძოდნენ პარტიის მიერ მასობრივ ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებში გაბატონებისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ფართოდ განმარტავდნენ ლენინურ ეროვნულ პროგრამას, ამხილებდნენ საერთაშორისო ოპორტუნიზმს.

ამ საქმიანობაში დიდი წვლილი შეიტანა არალეგალურმა გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა“. იგი აღნიშნულ პერიოდში მრავალ წერილს აქვეყნებდა მუშათა პოლიტიკური აქტიურობის ზრდაზე. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაფიცვების, მასობრივი გამოსვლების ფართო ხასიათზე. ამ მასალებიდან გაზეთს სათანადო პოლიტიკური დასკვნები გამოჰქონდა, ადგილობრივ ორგანიზაციებს უკარნახებდა პარტიული მუშაობისა და მუშათა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის საუკეთესო მეთოდებსა და ფორმებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა გაზეთის როლი რსდმპ პრაღის VI კონფერენციის (1912 წლის იანვარი) მოწვევისათვის მზადების საქმეში, მისი გადაწყვეტილებების პროპაგანდასა და ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლაში. კონფერენციამ მენშევიკები განდევნა პარტიიდან, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომში რუსეთში დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. „სოციალ-დემოკრატი“ თანმიმდევრულად ეწეოდა პრაღის კონფერენციის მიერ გამომუშავებული ბოლშევიკური პოლიტიკური ხაზისა და ტაქტიკის პროპაგანდას

რევოლუციური აღმავლობის პერიოდში. ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთის მუშაობა, რაც დაკავშირებული იყო IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიასთან და შემდგომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმიანობასთან. დიდი წვლილი შეიტანა გაზეთმა ტროცკის ანტიპარტიული ე. წ. აგვისტოს ბლოკის ვანადგურებაში, ყურადღების ცენტრში ჰქონდა, აგრეთვე, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის პრობლემები, რომლებთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული საკითხი. ბურჟუაზია და მისი დამჭაშები ცდილობდნენ ერთი ერის მეორეზე წასისინებით განხეთქილება შეეტანათ მუშათა მოძრაობაში, მასების ყურადღება ჩამოეშორებინათ რევოლუციური ბრძოლისაგან და შოვინისტური პროპაგანდის გაძლიერებით მოემზადებინათ დამპყრობლური სისხლისმღვრელი ომი. ასეთ პირობებში „სოციალ-დემოკრატის“ წინაშე დადგა საპასუხისმგებლო ამოცანა — საკადრისი პასუხი გაეცა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის აპოლოგეტებისათვის, რასაც გაზეთმა წარმატებით გაართვა თავი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის სტატიას „რსდმპ ეროვნული პროგრამის შესახებ“. აგრეთვე, სხვა ბოლშევიკების სტატიებს. ამრიგად, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების გავრცელებას დიდად უწყობდა ხელს ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოში გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ააშკარავებდნენ მოჰავალი მსოფლიო ომის იმპერიალისტურ ხასიათს, რომლისთვისაც აშკარად ემზადებოდნენ ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები და მეფის რუსეთი. ვ. ი. ლენინი, როდესაც გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ განსაზღვრავდა პროლეტარიატის, როგორც რუსეთის რევოლუციის ჰეგემონის ამოცანებს, ზუსტად აყალიბებდა, აგრეთვე, მის პოზიციებს წარსულის კულტურულ ფასეულობათა და რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავის წინამორბედთა მიმართ. ამაზე მეტყველებენ ცნობილი ლენინური სტატიები „ლ. ნ. ტოლსტოი“ და „გერცენის ხსოვნას“. ამრიგად, 1910—1914 წლებში „სოციალ-დემოკრატი“ მოვლენების მარქსისტული ანალიზის საფუძველზე აქტიურად უწყობდა ხელს რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, მუშათა რევოლუციურ შემართებას თვითმპყრობელობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოლშევიკების სხვა არალეგალურ პერიოდულ გამოცემებს შორის ამ დროს განსაკუთრებული ადგილი უკავია „რაბოჩაია გაზეტას“. იგი გამოდიოდა საზღვარგარეთ, პარიზში, 1910 წლის 30 ოქტომბრიდან (12 ნოემბრიდან) 1912 წლის 30 ივლისამდე (12 აგვისტომდე). სულ გამოვიდა 9 ნომერი, ტირაჟი 3—6 ათასი ეგზემპლარი იყო. ეს პოპულარული ორგანო განკუთვნილი იყო მოწინავე სოციალ-დემოკ-

რატ მუშებისათვის, ძირეული პარტიული აქტივისტებისათვის. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელსაც გაზეთი მიზნად ისახავდა, იყო დახმარებოდა მუშებს უფრო უკეთ და ღრმად გაეგოთ პარტიის პოლიტიკა ახალ ვითარებაში, ე. ი. „სოციალ-დემოკრატთან" შედარებით უფრო პოპულარულად განემარტა მკითხველისათვის საარსებო საკითხები, გაეცნო მნიშვნელოვანი მოვლენები პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში.

გაზეთი შექმნა ვ. ი. ლენინმა და მისივე რედაქტორობით გამოდიოდა. „რაბოჩაია გაზეტაში" დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის 14 სტატია. მათ შორის „რევოლუციის გაკვეთილები", „დემონსტრაციების დასაწყისი", „რა ხდება სოფელში?", „ივანე ვასილის ძე ბაბუშკინი" და სხვ. გაზეთში თანამშრომლობდნენ. აგრეთვე, ს. გოპნერი, პ. ჯაფარიძე (ალიოშა), ნ. სემაშკო, ს. შაუმიანი და სხვ. ბოლშევიკებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ მენშევიკ-პარტიელები, გ. პლეხანოვის მომხრეები. რედაქციის მდივანი ნ. კრუპსკაია იყო.

გაზეთი აქტიურ პროპაგანდას უწევდა რევოლუციური მარქსიზმის იდეებს, ეწეოდა ბრძოლას მარცხნიდან და მარჯვნიდან ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, ხელს უწყობდა გამოეყენებინათ ბოლშევიკებს მასებში მუშაობის ლეგალური შესაძლებლობანი, დაუნდობლად ამხილებდა თვითმპყრობელობისა და ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ არსს, იდეურად ამზადებდა პროლეტარიატს ახალი რევოლუციისათვის. „რაბოჩაია გაზეტამ" დიდი მუშაობა გასწია „სოციალ-დემოკრატთან" ერთად რსდმპ სრულიად-რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის მომზადებისათვის. კონფერენციამ აღნიშნა, რომ „რაბოჩაია გაზეტა" გადაჭრით და თანამიმდევრულად იბრძოდა პარტიის განმტკიცებისა და პარტიულობისათვის და იგი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ აღიარა.

გაზეთის მუდმივი განყოფილებები იყო: „მუშათა ცხოვრება". „პარტიიდან", „წერილები ადგილებიდან", „პოლიტიკური მიმოხილვა", „ციხე და გადასახლება", „უცხოეთის ცხოვრება" და სხვ. გაზეთი ფართოდ ვრცელდებოდა რუსეთში. „რაბოჩაია გაზეტას" დიდი ინტერესით კითხულობდნენ და მასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებული პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, თბილისისა და სხვა ქალაქების მოწინავე მუშებს.

„რაბოჩაია გაზეტას" პარალელურად რუსეთში, პეტერბურგში, დაიწყო ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ზვეზდას" გამოცემა, რომელიც „პრავდის" წინამორბედი იყო. იგი გამოდიოდა 1910 წლის 16 (29) დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (5 მაისამდე). თავდაპირველად მისი ტირაჟი 7—10 ათას ეგზემპლარს შეადგენდა, შემდგომ — 15—20 ათასს, ხოლო 1912 წლის გაზაფხულისათვის —

50—60 ათასამდე გაიზარდა. ასეთი ტირაჟი მაშინ არც ერთ ბურჟუაზიულ გაზეთს არ ჰქონდა. 1912 წლის იანვრამდე იგი ყოველკვირეული გაზეთი იყო, ხოლო ამ დროიდან კვირაში 2—3-ჯერ გამოდიოდა. სულ გამოვიდა 69 ნომერი, რომელთაგან 30 კონფისკებულ იქნა ხელისუფლების მიერ, 8 კი — დაჯარიმებული.

ლეგალური მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის აღორძინება რუსეთში რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით. წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელსაც ვ. ი. ლენინი მაშინ ბოლშევიკებს უსახავდა. ოფიციალურად გაზეთი „ზვეზდა“ იქმნებოდა როგორც III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ორგანო. რედაქციის თავდაპირველ შემადგენლობაში შედიოდნენ: ბოლშევიკები ვ. ბონჩ-ბრუევიჩი და ნ. პოლეტაევი, მენშევიკ-პარტიელებისაგან (პლეხანოველებისაგან) ნ. იორდანსკი, სათათბიროს დეპუტატი ი. პოკროვსკი, რომელიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა. გაზეთის პირველი რედაქტორ-გამომცემელი კ. ერემეევია, შემდეგ, როგორც გამომცემელი, ხელს აწერდა ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი ჯერ კიდევ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ პერიოდიდან ვ. შელგუნოვი. 1912 წლის გაზაფხულზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა „ზვეზდას“ რედაქტორად ნ. ბატურინი დანიშნა.

გაზეთის საქმიანობაში შეინიშნება ორი პერიოდი: პირველი — 1910 წლის დეკემბრიდან 1911 წლის ივნისამდე (გამოვიდა 25 ნომერი), მეორე კი — ამ თარიღის შემდეგ მისი გამოცემის შეწყვეტამდე. „ზვეზდას“ პირველი პერიოდის ნომრების შინაარსში აისახა ლეგალური საგამომცემლო საქმიანობის პირველი გაუბედავი ნაბიჯები რეაქციის შავბნელი წლების შემდეგ. რედაქცია სუსტად იყო დაკავშირებული მუშებთან, მათი კორესპონდენციები იშვიათად ჩნდებოდნენ გაზეთის ფურცლებზე, არ წარმოებდა მწვავე კრიტიკა ლიკვიდატორების წინააღმდეგ, ამასთანავე იგრძნობოდა რედაქციაში მენშევიკ-პლეხანოველების მონაწილეობის ნეგატიური შედეგებიც. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ მწვავე პოლიტიკური საკითხების განხილვა ნაკლები ყოფილიყო გაზეთში.

ვ. ი. ლენინი, რომელიც გაზეთს საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა, ქმედით ზომებს იღებდა იმისათვის, რათა იგი სწრაფად გადაექცია მებრძოლ ორგანოდ. „ზვეზდას“ რედაქციისადმი გაგზავნილ თავის მრავალრიცხოვან წერილებში ვ. ი. ლენინი ზრუნავდა გაზეთის ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, იბრძოდა მისი სიმწვავისათვის, რომ მტკიცედ დაეცვა ბოლშევიკური მიმართულება. 1911 წლის ზაფხულში, 24 ივნისიდან (7 ივლისიდან) „ზვეზდას“ გამოცემა დროებით შეჩერდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუ-

ტატების არდადეგებზე წასვლის გამო. აღნიშნულ პერიოდს მიეკუთვნება რედაქციიდან მენშევიკ-პლეხანოველების გასვლაც. ამავე წლის შემოდგომაზე 5 (18) ნოემბრიდან (№ 26-დან) გაზეთის გამოშვება განახლდა მთლიანად ბოლშევიკური რედაქციის შემადგენლობით. ამ დროიდან რედაქციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა „ზვეზდას“ შინაარსი, გააძლიერა მისი გავლენა მუშებზე, შეურიგებლად იბრძვის ლიკვიდატორების წინააღმდეგ, იცავს პროლეტარიატის რევოლუციურ ამოცანებს, ზრდის მშრომელ მასებს ბოლშევიკური ლოზუნგების სულისკვეთებით, რაზმავს მათ პარტიის არალეგალური ორგანიზაციების გარშემო.

ვ. ი. ლენინი მუდმივად თანამშრომლობდა „ზვეზდაში“, რომლის ფურცლებზე 30-მდე სტატია გამოაქვეყნა, მათ შორის: „მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურებების შესახებ“, „ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტი“, „ლიბერალიზმი და დემოკრატია“ და სხვ. გაზეთში აქტიურად მონაწილეობდნენ, აგრეთვე: ნ. ბატურინი, ვ. ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. ვოროვსკი, ა. ელიზაროვა, კ. ერემეევი, ნ. კრილენკო, ვ. ნევსკი, მ. ოლმინსკი, III სახელმწიფო სათათბიროს წევრები: ნ. პოლეტაევი, ი. პოკროვსკი და სხვ.

ვ. ი. ლენინის მოწვევით „ზვეზდაში“ ნაყოფიერად მოღვაწეობდა მაქსიმ გორკი. კერძოდ, აქ გამოქვეყნდა პირველად „ზღაპრების“ საერთო სათაურით მისი შვიდი ნაწარმოები დიდი ციკლიდან, რომელსაც შემდგომში ეწოდა „ზღაპრები იტალიაზე“. ვ. ი. ლენინი ამ ზღაპრებს მაღალ შეფასებას აძლევდა. 1911 წელს „ზვეზდაში“ თანამშრომლობა დაიწყო ახალგაზრდა პოეტმა ე. პრიდვოროვმა, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია დემიან ბედნის ფსევდონიმით. გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა მისი საპირბოროტო პატარა ფელეტონები (იგავ-არაკები). დემიან ბედნის პუბლიცისტურმა პოეზიამ სწრაფად ჰპოვა ფართო აღიარება ბოლშევიკური პრესის მუშა-მკითხველთა შორის, აღსანიშნავია, რომ „ზვეზდას“ გარშემო გაერთიანდნენ პროლეტარული მწერლები და პოეტები, აგრეთვე მუშათა წრიდან გამოსული დამწყები ავტორები, რომელთა შორის იყვნენ: ა. ბოგდანოვი, ი. ვოინოვი, ს. განშინი, ლ. ზილოვი და სხვ.

როგორც ზემოთ ითქვა, „ზვეზდა“ გამიზნული იყო მუშათა კლასის მოწინავე, ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილისათვის. მისი ძირითადი მკითხველი მუშათა აქტივი იყო. გაზეთის ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა პარტიის მუშაობისა და მუშათა მოძრაობის აქტუალური საკითხები. „ზვეზდა“ თანამიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდა პარტიულობისათვის, ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის წინააღმდეგ, პასუხს სცემდა ყველა იმ კითხვას, რომელიც შეგნებულ მუშებს აღელვებდა, დაუღალავად ეწეოდა მარქსიზმის იდეების პროპა-

განდას ,გამოდიოდა საგაფიცვო ბრძოლის ორგანიზატორად, თავის გარშემო რაზმავდა მუშა-კორესპონდენტთა აქტივს, ამიტომაც გაზეთი მუშათა კლასსა და რუსეთის მშრომელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

გაზეთი „ზვეზდა" აქტიურად იბრძოდა რსდმპ VI (პრაღის) საერთო-რუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის, დიდ მუშაობას ეწეოდა ბოლშევიკების საარჩევნო პლატფორმის პროპაგანდისა და დაცვისათვის IV სახელმწიფო სათათბიროში არჩევნებთან დაკავშირებით. გაზეთში ასევე იბეჭდებოდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრთა გამოსვლები და შეკითხვები III სათათბიროში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაზეთის როლი 1912 წლის აპრილში ლენის ამბების გაშუქებაში. იგი დაუნდობლად ააშკარავებდა მეფის ჯალათების სისხლიან დანაშაულს. 1912 წლის 8 მარტს „ზვეზდა" გამოვიდა სამგლოვიარო ჩარჩოთი. პირველ გვერდზე მსხვილ ასოებით აწყობილი იყო: „ლენის საბადოებში. მოკლეს 270, დაჭრეს 250". გაზეთი მოუწოდებდა პროლეტარიატს გადამწყვეტი მოქმედებისაკენ, მის ფურცლებზე უწყვეტ ნაკადად იბეჭდებოდა მუშათა წერილები, რეზოლუციები, რომლებშიც გამოთქმული იყო აღშფოთება და პროტესტი თვითმპყრობელობის ამ საშინელი დანაშაულის გამო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლენის დღეებში „ზვეზდას" თითოეული ნომერი რეპრესიებს განიცდიდა, მათ კონფისკაციას ახდენდნენ, მაგრამ რედაქცია მაინც ახერხებდა, რომ ტირაჟის ნაწილს მაინც მიეღწია მკითხველებამდე.

„ზვეზდას" თემატიკა უაღრესად მრავალფეროვანი და ფართო იყო. მის ფურცლებზე ვხვდებით შემდეგ განყოფილებებსა და რუბრიკებს: „შრომის სამყაროში", „მუშათა ცხოვრება", „მუშათა მოძრაობა", „სახელმწიფო სათათბირო", „პრესის მიმოხილვა", „ქრონიკა", „რუსეთში", „პროვინცია", „პეტერბურგის შენიშვნები", „სახღვარგარეთული ცხოვრება" და სხვ. რედაქცია ფართოდ იყენებდა საგაზეთო ჟანრების მრავალფეროვნებას: სტატიებს, კორესპონდენციებს, წერილებს, რეცენზიებს, ნარკვევებსა და მოთხრობებს, ლექსებსა და იგავ-არაკებს. ამრიგად, გაზეთი „ზვეზდა" არალეგალური ბოლშევიკური პარტიის ხელში მძლავრ ლეგალურ საშუალებას წარმოადგენდა მუშათა კლასზე ზეგავლენის განხორციელების საქმეში.

დიდია „ზვეზდას" დამსახურება შასობრივი მუშათა გაზეთ „პრავდის" გამოცემის მომზადებისათვის. 1911 წლის ბოლოსა და 1912 წლის დასაწყისში „ზვეზდამ" გაშალა კამპანია ყოველდღიური მუშათა გაზეთის შექმნისა და მისთვის სახსრების შეგროვებისათვის. ფაბრიკებსა და ქარხნებში ფართოდ გაიშალა მუშაობა ახალი მუშათა

გაზეთის ფონდის შესაქმნელად. მუშები თავიანთ შრომით კაპიკებს სწირავდნენ ამ საშურო საქმეს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯგუფურ შეგროვებებს, რაც მასების გაზრდილი პოლიტიკური აქტივობის მაჩვენებელი იყო. ანგარიშები სახსრების შეგროვებაზე რეგულარულად იბეჭდებოდა „ზვეზდაში", ხოლო შემდგომ — „პრავდაშიც", რადგან მუშათა შენატანები საკუთარი გაზეთისათვის შემდგომაც გრძელდებოდა. ვ. ი. ლენინი გულისხმიერად ეცნობოდა ამ ანგარიშებს, რომელთა საფუძველზე აკეთებდა დასკვნებს მუშათა კლასის განწყობილების შესახებ, ბოლშევიკური პოლიტიკის გავლენაზე ქვეყნის ამა თუ იმ რაიონში. 1912 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა სახსრების 504 ჯგუფური შეგროვება „პრავდისათვის" 49 ქალაქში. ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „ნახევარი წლის მუშაობის შედეგები" გააანალიზა ეს მონაცემები და ფართო განზოგადებანი გააკეთა, იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მუშათა მასების მაღალ შეგნებულობას, პოლიტიკურ აქტივობასა და დაინტერესებულობას ამ საქმეში. 1912 წლის 22 აპრილს (5) მაისს გამოვიდა „ზვეზდას" უკანასკნელი ნომერი და ამავე დღეს დაიბეჭდა „პრავდა".

ჯერ კიდევ 1912 წლის 26 თებერვალს (10 მარტს) „ზვეზდასთან" ერთდროულად გამოიცა „ნევსკაია ზვეზდას" პირველი ნომერი, რომელიც „ზვეზდას" დახურვის შემდეგ მისი გამგრძელებელი იყო. გაზეთი გამოდიოდა 1912 წლის 5 (28) ოქტომბრამდე. სულ დაიბეჭდა 27 ნომერი. „ნევსკაია ზვეზდას" მეორე ნომერი გამოვიდა „ზვეზდას" დახურვის შემდეგ (მაისის დასაწყისში), იგი განკუთვნილი იყო მუშათა აქტივისათვის, მაშინ, როცა ამ დროს გამომავალი „პრავდა" ემსახურებოდა გაცილებით უფრო ფართო, მუშათა მასობრივ აუდიტორიას.

„ნევსკაია ზვეზდამ" დიდი მუშაობა გასწია IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის მომზადების პერიოდში. იგი პროპაგანდას უწევდა და იცავდა ბოლშევიკურ საარჩევნო პლატფორმას, შეუნელებლად იბრძოდა მენშევიკ-ლიკვიდატორების, ოტზოვისტების, ტროცკისტებისა და ბურჟუაზიული ლიბერალების წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მუშების პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის, არალეგალური ბოლშევიკური პარტიის გარშემო მათი დარაზმვის საქმეში.

„ნევსკაია ზვეზდასადმი" იდეურ ხელმძღვანელობას საზღვარგარეთიდან ახორციელებდა ვ. ი. ლენინი. გაზეთში დაბეჭდილია მისი 20-ზე მეტი სტატია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილი იყო საარჩევნო კამპანიის საკითხებისადმი: „წინასაარჩევნო მობილიზაციის ზოგიერთი შედეგი" (№ 6), „არჩევნები და ოპოზიცია" (№ 14), „პეტერბურგში არჩევნების მნიშვნელობა" (№ 15) და სხვ.

ვ. ი. ლენინს ეკუთვნოდა, აგრეთვე, სტატიები: „პოლიტიკური პარტიები რუსეთში“ (№ 5), „ეკონომიკური და პოლიტიკური გაფიცვა“ (№ 10), „დემოკრატია და ხალხისნობა ჩინეთში“ (№ 17) და სხვ. აღსანიშნავია, რომ „ნევსკაია ზვეზდას“ ფურცლებზე შენარჩუნებულ იქნა ძირითადად იგივე განყოფილებები და რუბრიკები, რომლებიც „ზვეზდაში“ არსებობდა. გაზეთში თანამშრომლობდნენ: ნ. ბატურინი, მ. ოლმინსკი, დემიან ბედნი, კ. ერემეევი, ვ. კარპინსკი, რ. ლუქსემბურგი, თ. შკულევი და მრავალი სხვა ავტორი, რომლებიც მუშამკითხველისათვის კარგად იყო ცნობილი „ზვეზდასა“ და „პრავდაში“. „ნევსკაია ზვეზდაში“მკითხველთა აქტიურ მონაწილეობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი არსებობის რამდენიმე თვეში გამოქვეყნდა მუშების მიერ გამოგზავნილი 360 კორესპონდენცია. გაზეთი ხშირ რეპრესიებს განიცდიდა. 27 ნომრიდან 9 იყო კონფისკებული, ხოლო 2 — დაჯარიმებული.

ცხადია, რევოლუციური აღმავლობის პერიოდში განსაკუთრებული როლი შეასრულა ყოველდღიურმა ლეგალურმა მასობრივმა მუშათა გაზეთმა „პრავდამ“, რომელსაც ბოლშევიკები გამოსცემდნენ პეტერბურგში 1912 წლის 22 აპრილიდან (ახალი სტილით — 5 მაისიდან). გაზეთის შექმნის ინიციატორები თვით მუშები იყვნენ. ვ. ი. ლენინის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ეს ინიციატივა აიტაცა ბოლშევიკურმა ლეგალურმა ყოველკვირეულმა გაზეთმა „ზვეზდამ“, რომელმაც, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ფართო კამპანია გააჩაღა ამ ახალი ორგანოს შესაქმნელად. „პრავდის“ გამოცემის ნებართვა ხელისუფლებამ მისცა III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს, ბოლშევიკ ნ. პოლეტაევს 1912 წლის 10 აპრილს. მის ბინაზე დაიგეგმა „პრავდის“ პირველი ნომერი, მომზადდა მასალები. გაზეთის შექმნაში მის გარდა მონაწილეობდნენ ი. სტალინი, ი. პოკროვსკი (ისიც III სათათბიროს დეპუტატი იყო), მ. ოლმინსკი და ნ. ბატურინი.

გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლა მუშებმა მთელ რუსეთში აღიქვეს, როგორც დიდი დღესასწაული. შემდგომში, გაზეთის მეორე წლისთავიდან, 1914 წლის 22 აპრილიდან (5 მაისიდან). ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნებოდა, როგორც მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ზეიმი. მეფის ხელისუფლებამ, მართალია, გაზეთის გამოცემის ნება კი დართო, მაგრამ პირველივე ნომრიდან დაუწყო მას დევნა, ხშირად კონფისკაციას ახდენდა, აჯარიმებდა, რედაქტორებს ატუსაღებდა. თავისი საკუთარი სახელწოდებით „პრავდამ“ დაახლოებით ერთი წელი იარსება 1913 წლის 5 ივლისამდე. ამ ხნის განმავლობაში 355 ნომერი გამოვიდა. მისი დახურვისა და პოლიციური დევნის შედეგად „პრავდა“ იძულებული გახდა სხვა სახელწოდებებით გამო-

სულიყო: „რაბოჩაია პრავდა“ — გამოიცა 17 ნომერი, „სეევერნაია პრავდა“ — 31 ნომერი, „პრავდა ტრუდა“ — 20 ნომერი, „ზა პრავდუ“ — 52 ნომერი, „პროლეტარსკაია პრავდა“ — 34 ნომერი, „პუტ პრავდი“ — 92 ნომერი, „რაბოჩი“ — 9 ნომერი, „ტრუდოვაია პრავდა“ — 35 ნომერი. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების წინ, 1914 წლის 8 (21) ივლისს ბოლშევიკური გაზეთი ხელისუფლებამ საბოლოოდ დახურა, სტამბა გაანადგურა, ხოლო თანამშრომლები — დააპატიმრა. „პრავდის“ გამოცემა განახლდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ — 1917 წლის 5 (18) მარტს. სულ 1912—1914 წლებში სხვადასხვა სახელწოდებებით გამოვიდა „პრავდის“ 645 ნომერი, რომელთაგან რეპრესიები 190-მა განიცადა. გაზეთის საშუალო ტირაჟი 40 ათასს, ხოლო ზოგიერთ თვეში 60 ათასს აღწევდა.

მკაცრი პოლიტიკური დევნის, ხშირი კონფისკაციების, დიდი ფულადი ჯარიმების პირობებში ყოველდღიურ ბოლშევიკურ გაზეთს შეეძლო ეარსება მხოლოდ მუშათა კლასის მუდმივი დახმარებისა და მხარდაჭერის შედეგად; 1912 წელს მუშებმა ლეგალური ბეჭდვითი სიტყვისათვის 620 ჯგუფური შეგროვება განახორციელეს, 1913 წელს — 281, ხოლო 1914 წლის პირველ ხუთ თვეში — 2873. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით სახსრების ეს შეგროვება განიხილებოდა როგორც პარტიის საწევრო შესატანები.

თუმცა, ოფიციალურად „პრავდა“ გამოიცემოდა სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით (სხვადასხვა დროს, როგორც გამომცემლები, ხელს აწერდნენ ბოლშევიკი-დეპუტატები ნ. პოლეტაევი, ა. ბადაევი, მ. მურანოვი, გ. პეტროვსკი და სხვ.), მაგრამ ფაქტობრივად იგი იყო არალეგალური ბოლშევიკური პარტიის ლეგალური ბეჭდვითი ორგანო და გამოდიოდა ვ. ი. ლენინის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ხელმძღვანელობით. როდესაც ვ. ი. ლენინი 1912 წლის ზაფხულიდან კრაკოვში იმყოფებოდა, თითქმის ყოველდღიურად წერდა „პრავდაში“, აძლევდა მითითებებს რედაქციას, საჭიროებისდა მიხედვით აკრიტიკებდა შეცდომებისათვის, იწონებდა კარგ გამოსვლებს, უსახავდა ამოცანებს, უკარნახებდა გზებს მათი გადაჭრისათვის. „პრავდაში“ ვ. ი. ლენინის 270-მდე სტატია და წერილი დაიბეჭდა.

„პრავდაში“ დაბეჭდილი ვ. ი. ლენინის ნაშრომები, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავდნენ გაზეთის მებრძოლურ. რევოლუციურ-მარქსისტულ მიმართულებას, გამოირჩეოდნენ მაღალი იდეურობითა და პრინციპულობით და ამავე დროს წარმოადგენდნენ პარტიულ პუბლიცისტიკის შესანიშნავ ნიმუშებს.

„პრავდა“ თანამიმდევრულად იბრძოდა პრაღის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებების, პარტიის პოლიტიკის განხორციე-

ლებისათვის, რომლებიც მიმართული იყო მასების მოსამზადებლად ახალი რევოლუციისათვის. იგი გვევლინებოდა პარტიულობისათვის, პარტიის რიგების განმტკიცებისათვის, პარტიასა და მასებს შორის კავშირის გაფართოებისათვის ბრძოლის ცენტრად. გაზეთი მთელი პირდაპირობით ამხილებდა მენშევიკ-ლიკვიდატორებს, ოტზოვისტებს, ტროცკისტებს, ნათელს ხდიდა ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ არსს.

ვ. ი. ლენინი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდად ზრუნავდნენ იმისათვის, რათა „პრავდაში" თანამშრომლობისათვის მოეზიდათ პარტიის საუკეთესო ძალები. გაზეთის რედაქციის წევრები და აქტიური თანამშრომლები სხვადასხვა დროს იყვნენ: ნ. ბატურინი, დემიან ბედნი, ს. დანილოვი, ა. ელიზაროვა, კ. ერემეევი, ნ. კრუპსკაია, ს. მალიშევი, ლ. და ვ. მენჟინსკები, ვ. ნევსკი, მ. ოლმინსკი, ნ. პოდვოისკი, ნ. პოლეტაევი, მ. საველიევი, კ. სამოილოვა, ი. სვერდლოვი, ნ. სკრიპნიკი, ი. სტალინი, პ. სტუჩკა და სხვები. „პრავდაში" აქტიურად მონაწილეობდნენ, აგრეთვე, IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი-დეპუტატები, განსაკუთრებით კი გ. პეტროვსკი. გაზეთის ლიტერატურულ თანამშრომელთა შორის იყვნენ, აგრეთვე, ტ. გნედიჩი, ბ. დანსკი, მ. ილინა, ნ. კრილენკო, პ. რიაბოვსკი, ა. სამოილოვი, ვ. ტიხომიროვი, ნ. ჩერდინცევი. „პრავდის" მუდმივ აქტივში შედიოდნენ არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციების კომიტეტების აქტივისტები, პროფესიული კავშირებისა და სადაზღვევო ორგანიზაციების მუშაკები.

„პრავდის" არსებობის პირველსავე პერიოდში, ანუ როდესაც იგი თავისი საკუთარი სახელწოდებით გამოდიოდა (1912 წლის აპრილი — 1913 წლის ივლისის დასაწყისი), მტკიცედ ჩამოყალიბდა გაზეთისათვის დამახასიათებელი რევოლუციურ-მარქსისტული მიმართულება, ასევე მისი გარეგნული სახე, როგორც მასალის მიწოდების თავისებური ფორმები, ასევე მკითხველებთან საუბრის განსაკუთრებული ტონი. ბოლშევიკები თავიანთი გაზეთის საქმიანობას წარმართავდნენ მუშათა აღზრდისათვის ისეთი სულისკვეთებით, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში.

„პრავდის" ურყევი რევოლუციური მიმართულებისათვის უმნიშვნელოვანესი და განმსაზღვრელი იყო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი სტატიები. ვ. ი. ლენინის პირველი სტატია „პრავდაში" დაიბეჭდა 1912 წლის 8—9 მაისს №№ 13 და 14) სათაურით: „ტრუდოვიკები და მუშათა დემოკრატია", რომელშიც გამახვილებულია ყურადღება IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში იმ ბრძოლის საკი-

თხებზე, რომლებიც სხვადასხვა კლასებისა და პარტიების საარჩევნო პლატფორმებს შორის წარმოებდა. ვ. ი. ლენინი შემდგომაც არაერთგზის უბრუნდება საარჩევნო კამპანიის პრობლემებს. ასეთებია, მაგალითად, „ლიბერალები და კლერიკალები“ (№ 74), „კადეტები და დემოკრატია“ (№ 75), „პრინციპული საკითხები“ (№ 79), „პეტერბურგის მუშათა დეპუტატი“ (№ 144), „კადეტები და ნაციონალისტები“ (№ 151) და სხვ.

ვ. ი. ლენინი „პრავდის“ რედაქციისადმი გაგზავნილ წერილებში გაზეთს უყენებდა მოთხოვნას, რათა მას გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინა მენშევიკ-ლიკვიდატორთა წინააღმდეგ როგორც საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, ისე მის შემდეგაც. ამ მხრივ ვ. ი. ლენინი „პრავდაში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიებში გვიჩვენებდა თანმიმდევრობისა და შეურიგებლობის მაგალითს პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების მოღალატეთა წინააღმდეგ, ზრუნავდა პარტიისა და მუშათა კლასის ინტერესების ერთიანობისათვის. ასეთი ხასიათისა, მაგალითად, „პრავდაში“ 1912 წელს დაბეჭდილი ნაშრომები: «ლიკვიდატორები და „ერთიანობა“» (№ 99), „რეფორმიზმის ავადმყოფობა“ (№ 180). 1913 წლის ნომრებში — „ღია პარტიის შესახებ“ (№ 24), „საკითხი ერთიანობის შესახებ“ (№ 39). «„ლუჩისა“ და „პრავდის“ მკითხველთა საყურადღებოდ» (№ 102) და სხვ. ვ. ი. ლენინის მრავალი სტატია მიძღვნილი იყო მარქსისტული თეორიის ძირითადი საკითხების გადმოცემისა და განვითარებისადმი, აგრარულ პრობლემებზე ბოლშევიკური პროგრამის დამუშავებისა და დასაბუთებისადმი, ეროვნული საკითხისადმი და ა. შ. თავისი სტატიებით ვ. ი. ლენინი ეხმაურებოდა საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარ მოვლენებს.

ამასთანავე, გაზეთი „პრავდა“ ფართოდ ბეჭდავდა, აგრეთვე, მრავალი სხვა ავტორის — ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების, ბოლშევიკ-ლიტერატორების, მუშა-აქტივისტების სტატიებს, ასევე — დიდძალ კორესპონდენციას, შენიშვნას, წერილს, ფელეტონს, ნარკვევს, ჩანახატს, რეცენზიას, პროზაულ ნაწარმოებებსა და ლექსებს. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია დემიან ბედნის ფელეტონები გალექსილი იგავ-არაკები. „პრავდის“ ფურცლებზე თავიდანვე უხვად ქვეყნდებოდა ლექსები (სულ მისი არსებობის განმავლობაში თითქმის 800 პოეტური ნაწარმოები დაიბეჭდა), რომელთა თემატიკა ძირითადად იყო მშრომელი ხალხის ცხოვრება, რევოლუციური მასების გაჭყობილებანი და მისწრაფებანი. ავტორებად ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან თვითონ მუშები, აგრეთვე ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი ბედი მუშათა მოძრაობას დაუკავში-

რეს. დემიან ბედნისთან ერთად პოეტ — „პრავდისტების“ რიცხვში იყვნენ: მ. არტამონოვი, ა. ბელოზეროვი, მ. ბორეცკაია, ი. ვოინოვი, მ. გერასიმოვი, ნ. დოდაევი, ვ. კნიაზევი, ი. ლოგინოვი, ა.პომორსკი და მრავალი სხვ. მუშათა გაზეთის მკითხველთა შორის ლექსები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.

საგაზეთო და ლიტერატურული ჟანრების მთელ მრავალფეროვნებას „პრავდა“ უნარიანად იყენებდა მუშა-მკითხველებზე ზეგავლენის მოსახდენად, იმისათვის, რათა მასების შეგნებამდე მიეტანა მარქსისტული პარტიის მძლეთა მძლე იდეები და მჭიდროდ დაერაზმა ისინი ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო. ასევე მრავალსახოვანი იყო გაზეთის მუდმივი განყოფილებები და რუბრიკები. ყველაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი განყოფილება „მუშათა მოძრაობა“, რომელსაც ხშირად მთელი გვერდი ეკავა ხოლმე და შედგებოდა ასეთი ქვეგანყოფილებებისაგან: „მუშათა ცხოვრება“, „მუშათა ქრონიკა“, „მუშათა ურთიერთდახმარება“, „პროფესიული მოძრაობა“ „ფაბრიკებსა და ქარხნებში“, „ქალის შრომა“ და სხვ. აქ გამოქვეყნებულ მასალებში გაზეთი კონკრეტული ფაქტებით მკითხველს უჩვენებდა მუშათა მზიცურ ექსპლოატაციას ფაბრიკანტებისა და ქარხნების მეპატრონეთა მხრივ. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლას, ოპერატიულად აშუქებდა მათ მსვლელობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, თანაც ამავე დროს იგი საგაფიცვო მოძრაობის ორგანიზატორადაც გამოდიოდა. განსაკუთრებით ფართოდ იწერებოდა, მაგალითად, „პრავდაში“ გაფიცვებზე ლენის ამბებთან, პირველი მაისის აღსანიშნავ დღესასწაულთან დაკავშირებით. 1913 წლის თებერვალში რუსეთში პირველად იზეიმეს მუშა ქალთა საერთაშორისო დღე, რამაც, აგრეთვე, ასახვა ჰპოვა „პრავდის“ ფურცლებზე.

პროფესიული კავშირების ცხოვრების გაშუქებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაზეთის გამოსვლებს მუშათა დაზღვევის საკითხებზე. ამ მიზნით მას სპეციალური რუბრიკაც კი ჰქონდა შემოღებული: „დაზღვევის საკითხები“. „პრავდის“ ეს მრავალმხრივი საქმიანობა ხელს უწყობდა ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებში — პროფკავშირებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებში ბოლშევიკური გავლენის გაძლიერებას, რაც საბოლოო ანგარიშში ხელს უწყობდა პარტიის მოღვაწეობაში არალეგალური და ლეგალური მუშაობის შეხამებას.

უაღრესად საყურადღებოა „პრავდის“ როლი მთელი რუსეთის მასშტაბით ბოლშევიკური მიმართულების პრესის ზრდასა და სრულყოფაში. მაგალითად, 1912 წლის ნოემბრიდან მან დაიწყო კამპანია მოსკოვში ყოველდღიური მარქსისტული მუშათა გაზეთის შექმნისა-

თვის. „პრავდის“ მეცადინეობით ასეთი გაზეთი — „ნაშ პუტ“ 1913 წლის ზაფხულში გამოვიდა. განყოფილებებში „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“ და „მუშათა ჟურნალები“ გაზეთი „პრავდა“ სისტემატურად აქვეყნებდა პარტიის თეორიული ორგანოების, აგრეთვე პრავდისტული და პროფკავშირული ჟურნალების, აგრეთვე ადგილობრივი ბოლშევიკური პრესის მიმოხილვებს. ხოლო, როდესაც 1913 წლის სექტემბერში და 1914 წლის თებერვალში „პრავდასთან“ შეიქმნა მასობრივი მუშათა ჟურნალები „ვოპროსი სტრახოვანია“ და „რაბოტნიცა“, გაზეთი სისტემატურად აცნობდა მათ შინაარსს. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის საქმიანობისადმი იყო მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სტატიები: „ნახევარი წლის მუშაობის შედეგები“, «მუშები ღ. „პრავდა“» და სხვ. ხოლო, რაც შეეხება გაზეთის მუდმივ განყოფილებას „პრესის მიმოხილვას“, რედაქცია მას უმთავრესად იყენებდა ლიკვიდატორული, ბურჟუაზიულ-ლიბერალური და შავრაზმული პრესის წინააღმდეგ, ააშკარავებდა და ღირსეულ პასუხს სცემდა მათ ცილისმწამებლურ გამოსვლებს.

„პრავდის“ მოღვაწეობაში 1912 წელი ხასიათდება აქტიური მონაწილეობით IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის გაშლილ საარჩევნო კამპანიაში. ამ საკითხებზე ვ. ი. ლენინის მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებში მოცემული იყო პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზი და დასახული იყო სათანადო ამოცანები. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, საარჩევნო კამპანიისადმი მიძღვნილ „პრავდის» მოწინავე სტატიებს, ასევე წერილებსა და კორესპონდენციებს. ამ უკანასკნელთათვის გაზეთში შემოიღეს სპეციალური განყოფილება „საარჩევნო კამპანია“, ხოლო ცოტა მოგვიანებით — „პასუხები ამომრჩევლებს“, სადაც ქვეყნდებოდა პასუხები რედაქციაში შემოსულ შეკითხვებზე ამომრჩეველთა უფლებების, არჩევნების წესის შესახებ და სხვ. „პრავდა“ განსაკუთრებით დაწვრილებით განმარტავდა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ექვს სამრეწველო გუბერნიაში მუშათა კურიების მიხედვით არჩევნების ჩატარებასთან. პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირის, კოსტრომის, ხარკოვისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში მთავრობის გადაწყვეტილებით მუშებს შესაძლებლობა ეძლეოდათ თავისი წარმომადგენლები აერჩიათ მოსახლეობის სხვა ფენებისაგან განცალკევებით. „პრავდა“ მუშებს მოუწოდებდა ამ გუბერნიებში დეპუტატებად რევოლუციური სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები აერჩიათ, განეპარტავდნენ ბოლშევიკთა პლატფორმას. „პრავდა“ საარჩევნო კამპანიაში ბოლშევიკების ლეგალური შტაბის როლს ასრულებდა. პრავდისტებმა არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, ექვსივე კურიებში მათი კანდიდატები იქნენ არჩეული. შემდგომში გაზეთი სისტემატუ-

რაც წერდა IV სახელმწიფო სათათბიროში ბოლშევიკური „ექვსეულის“ საქმიანობის შესახებ.

სხვა მასალებს შორის, რომლებიც გაზეთში ქვეყნდებოდა, აღსანიშნავია განყოფილებები: „რუსეთში“, „მოსკოვში“, „ქრონიკა“ „პროვინციის ცხოვრება“ და სხვ. 1913 წლის დასაწყისიდან „პრავდაში“ შემოღებულ იქნა მუდმივი რუბრიკა „გლეხთა ცხოვრება“. „პრავდა“ უყურადღებოდ არ ტოვებდა საერთაშორისო ცხოვრების საკითხებსაც, მკითხველები სისტემატურად საქმის კურსში ჰყავდა არა მარტო იმის თაობაზე, თუ მსოფლიოში სად რა ხდებოდა, არამედ მათ სათანადო პოლიტიკურ შეფასებასაც აძლევდა (ბალკანეთის ომი, მსოფლიო ომისათვის მზადება, კოლონიური პოლიტიკის განხორციელება იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ და ა. შ.). სათანადო ადგილი ეკავა გაზეთში საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, საზღვარგარეთული სოციალისტური პარტიების საქმიანობის საკითხებს. ბევრ მასალაში მხილებული იყო დასავლეთის მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის სხვადასხვა სახეობები.

„პრავდა“ მუდმივად ზრუნავდა მუშა მკითხველის ესთეტიკური აღზრდისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი სიყვარულის გაღვივებაში. გაზეთში იბეჭდებოდა რეცენზიები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, თეატრალურ დადგმებზე, სტატიები რუსული და მსოფლიო კულტურის სიმდიდრეებზე, დიდ მწერლებსა და მოაზროვნეებზე. გაზეთი მოუთხრობდა გამოფენებზე, მუზეუმებზე, იძლეოდა რჩევა-დარიგებებს თუ როგორ გასცნობოდნენ მათ. „პრავდა“ არაერთგზის გამოსულა მაქსიმ გორკის დასაცავად რეაქციული პრესის თავდასხმებისაგან. თავის მხრივ, დიდი პროლეტარული მწერალი ყოველმხრივ მხარს უჭერდა ბოლშევიკურ გაზეთს, აქტიურად მონაწილეობდა მასში და ეხმარებოდა რედაქციას წარმატებით გაძღოლოდა ლიტერატურულ-მხატვრულ განყოფილებას. მ. გორკის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა „პრავდის“ მუშა-პოეტების ლექსების ორი კრებული.

„პრავდის“ წარმატება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მუშა-კორესპონდენტების აქტიური მონაწილეობით მის საქმიანობაში. თითქმის ყოველ ნომერში მუშების მიერ დაწერილი რამდენიმე ათეული კორესპონდენცია იბეჭდებოდა. ამასთანავე, რედაქცია ხშირად მიმართავდა მათ თხოვნით, გამოეგზავნათ წერილობითი გამოხმაურებები გაზეთის მუშაობის საკითხებზე, მის განყოფილებებსა და რუბრიკებზე. გამოეთქვათ შეხედულებები ცალკეულ დაბეჭდილ მასალაზე. სხვა შემთხვევებში რედაქცია აქეყნებდა რჩევა-დარიგებებს იმის თაობაზე, თუ რაზე და როგორ ეწერათ. „პრავდა“ არა მარტო გაზეთი იყო მუშებისათვის, არამედ თვით მუშების გაზეთიც

და შან აღზარდა მუშა-რევოლუციონერთა მთელი თაობა, რომლებმაც შემდგომში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური რევოლუცია მოახდინა.

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ სხვადასხვა სახელწოდებით გამოცემული „პრავდის“ ნომრები. პირველ ყოვლისა, ეს ეხება გაზეთ „რაბოჩაია პრავდას“, რომელიც „პრავდის“ დახურვის შემდეგ გამოვიდა 1913 წლის 13 (26) ივლისს. სულ გამოიცა გაზეთის 17 ნომერი. „რაბოჩაია პრავდა“ არა მარტო აგრძელებდა „პრავდის“ იდეურ მემკვიდრეობითობას, არამედ მან აგრეთვე შეინარჩუნა თავისი წინამორბედის ფორმატი და საერთოდ გარეგნული სახე. მისთვისაც ასევე დამახასიათებელი იყო განყოფილებებისა და რუბრიკების მრავალფეროვნება, რომელთა შორის აღსანიშნავია: „მუშათა მოძრაობა“, „გაფიცვები“, „მუშათა ცხოვრება“, „მუშათა ქრონიკა“, „მუშათა ურთიერთდახმარება“, „დაზღვევა“, „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“, „პროფკავშირული მოძრაობა“, „პროფკავშირული პრესა“, „ფაბრიკებსა და ქარხნებში“, „მაღაროებსა და შახტებში“, „რკინიგზაზე“, „ქალთა შრომა“, „გლეხთა ცხოვრება“, „რუსეთში“, „საფოსტო ყუთი“ და სხვ. გაზეთში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის მრავალი სტატია და შენიშვნა, მათ შორის: „სიტყვები და საქმე“ (№ 3-ის მოწინავე), „კადეტები უკრაინის საკითხის შესახებ“ (№ 3), „მოწინავე კაპიტალის იდეები“ (№ 4), „რა შეიძლება გაკეთდეს სახალხო განათლებისათვის“ (№ 8) და სხვ.

სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობაში შესვენებამ (არდადეგებზე დეპუტატთა წასვლის გამო) გამოიწვია ის, რომ აღარ იყო საჭირო სათათბიროს სხდომების ანგარიშების გამოქვეყნება. ეს ვითარება „რაბოჩაია პრავდამ“ უნარიანად გამოიყენა მუშათა ცხოვრების უფრო ფართოდ გაშუქებისათვის, რისთვისაც მან სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა კორესპონდენტებისადმი (№ 14), რათა მათ მეტი ეწერათ და ეს მოწოდება მუშათა შორის ფართო მხარდაჭერას პოულობდა. სათათბიროს არდადეგების დროს მუშათა დეპუტატები გ. პეტროვსკი, ა. ბადაევი, მ. მურანოვი ხშირად ხვდებოდნენ თავის ამომრჩევლებს, პეტერბურგის, ხარკოვის, ეკატერინოსლავის გუბერნიის მუშებს. ეს ანგარიშები გაზეთში იბეჭდებოდა რუბრიკით — „დეპუტატის შენიშვნები“. გაზეთში გამოქვეყნებულ სხვა მასალებს შორის საყურადღებოა წერილი „ლესია უკრაინკას ხსოვნას“, რომელშიც ავტორი პ. დიატლოვი მკითხველს ატყობინებს სახელგანთქმული უკრაინელი მწერლის გარდაცვალებას საქართველოში. წერილში მაღალი შეფასება აქვს მიცემული ლესია უკრაინკას შემოქმედებას, მის მნიშვნელობას განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საერთოდ და კერძოდ პროლეტარიატისათვის. წერილის ბოლოს დაბეჭდილია პოე-

ტის სოციალური ჯერადობის ლექსის „განთიადის კოცონები“ თარგმანი (№ 16), ხოლო ბოლო ნომერში (№ 17) გამოქვეყნებულია ნეკროლოგი თანმიმდევარი მარქსისტის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ავგუსტ ბებელის გარდაცვალების გამო.

„რაბოჩაია პრავდა“ მეფის ხელისუფლების მხრივ მუდმივ დევნას განიცდიდა. მისი 17 ნომრიდან 13-ის კონფისკაცია მოახდინეს და რედაქტორები სამართალში მისცეს, 2 ნომერი დააჯარიმეს. 1913 წლის 1 (14) აგვისტოს (№ 17) „რაბოჩაია პრავდამ“ განაცხადა, რომ იძულებულია შეწყვიტოს არსებობა მუდმივი ჯარიმებისა და კონფისკაციების გამო.

„რაბოჩაია პრავდის“ დახურვის შემდეგ „პრავდის“ საქმიანობა გააგრძელა „სევერნაია პრავდამ“, რომელიც გამოდიოდა 1913 წლის 1 (14) აგვისტოდან 7 (20) სექტემბრამდე. სულ გამოიცა 31 ნომერი. გაზეთში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები: „ავგუსტ ბებელი“, „რუსეთის ბურჟუაზია და რუსეთის რეფორმიზმი“, „კლასობრივი ბრძოლა დუბლინში“, „ბრძოლა მარქსიზმისათვის“, „პოლიტიკის პრინციპული საკითხები“ და სხვ. განყოფილებები და რუბრიკები იგივე იყო, რაც „რაბოჩაია პრავდაში“, ხოლო მანამდე კი — „პრავდაში“.

„სევერნაია პრავდა“ არალეგალურ ბოლშევიკურ პარტიას ეხმარებოდა ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებზე მისი გავლენის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებაში. ასე, მაგალითად, მელითონელთა კავშირის გამგეობის არჩევნების წინ გაზეთმა გამოაქვეყნა პეტერბურგის რაიონების მუშა-მარქსისტების მიერ შემუშავებული კანდიდატების სია, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ აღნიშნა ამ არჩევნებში მარქსისტების ბრწყინვალე გამარჯვება და ლიკვიდატორების დამარცხება. გაზეთის ყურადღების ცენტრში იყო, აგრეთვე მუშათა ბეჭდვითი სიტყვის განვითარების საკითხები. მაგალითად, გაზეთის № 20-ში საერთო სათაურით „დღეს 25 აგვისტოს, მოსკოვში გამოდის მუშათა გაზეთის „ნაშ პუტის“ № 1“, დაიბეჭდა მისალმებები მოსკოვის გაზეთისადმი, რომელიც „პრავდის“ მხარდაჭერით და თაოსნობით დაარსდა. „სევერნაია პრავდის“ მრავალ ნომერში ქვეყნდებოდა მასალები, რომლებიც მიძღვნილი იყო მეფის ხელისუფლების მიერ მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დევნისა და შევიწროებისადმი. რედაქცია მრავალგზის მიმართავდა მუშებს მოწოდებით — ყოველმხრივ ხელი შეეწყოთ, მატერიალური და მორალური დახმარება გაეწიათ თავისი პრესისათვის.

გაზეთი მუდმივად განიცდიდა რეპრესიებს. გამოსული 31 ნომრიდან ხელისუფლებამ 19 აკრძალა, ხოლო 3 დააჯარიმა. პეტერბურ-

გის სასამართლო პალატის დადგენილებით 1913 წლის 7 (20) სექტემბერს „სევერნაია პრავდა“ დახურეს „აშკარად გამოხატული მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო“.

ახალი სახელწოდება, რომლითაც „პრავდა“ იბეჭდებოდა „სევერნაია პრავდის“ შემდეგ, იყო „პრავდა ტრუდა“. იგი გამოდიოდა 1913 წლის 11 (24) სექტემბრიდან 9 (22) ოქტომბრამდე. სულ გამოიცა 20 ნომერი. გაზეთის პირველსავე ნომერში რედაქცია წერდა: „მძიმე დროს გვიხდება გამოსვლა. ჩვენი პირველი ნომერი აღმოცენდება ამასწინათ დახურული მუშათა გაზეთების „პრავდის“, „რაბოჩაია პრავდის“, „სევერნაია პრავდის“ ნანგრევებზე... რაც უფრო ძლიერია რეპრესიები, რაც უფრო მძაფრია შემოტევები მუშათა გაზეთის წინააღმდეგ, მუშათა კლასმა მით უფრო თავგამოდებით უნდა დაიცვას იგი“. გაზეთი აგრძელებდა ამომრჩეველებთან სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ-დეპუტატების შეხვედრის ანგარიშების გამოქვეყნებას. „პრავდა ტრუდამ“ მკითხველებს აცნობა, თუ როგორ გაუსწორდა ხელისუფლება მოსკოვის მუშათა გაზეთს „ნაშ პუტს“. (№ 3), შემდეგ ნომრებში იგი არაერთხელ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ამ ფაქტისადმი, აქვეყნებს მოწინავე სტატიებს და სხვა მასალებს, რომლებშიც, კერძოდ, ლაპარაკია გაფიცვებზე, მოსკოვის საწარმოებში რომ იფეთქა მუშათა პრესის დევნის გამო, მოთხრობილია, აგრეთვე, სოლიდარობის მიზნით პეტერბურგში მოწყობილ გაფიცვებზე და სხვ.

განყოფილებას „მუშათა მოძრაობა“ გაზეთში ცენტრალური ადგილი ეკავა, ხოლო მასში მოთავსებული მასალები ხშირად მიძღვნილი იყო მოსკოვისადმი („მოსკოვი დაიძრა“, „მოსკოვის ამბები“, „საპროტესტო გაფიცვები“ და სხვ.). „პრავდა ტრუდა“ განსაკუთრებით ფართოდ აშუქებდა მოსკოვის ტრამვაის მუშათა გაფიცვას: მას ეძღვნებოდა მოწინავე სტატიები, კორესპონდენციები, ჩანახატები და ლექსებიც კი. საგაფიცვო მოძრაობის საკითხები გაზეთის ძირითადი თემა იყო. მაგალითად, გაზეთის № 15-ში ანშლაგით „პოლიტიკური გაფიცვები პეტერბურგში“ დაიბეჭდა 50 კორესპონდენცია და შენიშვნა სატახტო ქალაქის სხვადასხვა საწარმოებიდან. „პრავდა ტრუდაში“ სისტემატურად ქვეყნდებოდა, აგრეთვე, წერილები რუბრიკით „დაზღვევა“. იმის გამო, რომ ამ საკითხებზე უამრავი მასალა შემოდიოდა რედაქციაში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოეცათ სპეციალური ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი „ვოპროსი სტრახოვანია“. ამას იტყობინებოდა, კერძოდ გაზეთის № 12 და № 19.

არც „პრავდა ტრუდას“ ასცილებია მთავრობის რეპრესიები. გამოსული 20 ნომრიდან 13-ის კონფისკაცია მოახდინეს, ხოლო 1 დაჯარიმეს.

„ზა პრავდუ“ — ასე ეწოდებოდა ახალი სახელწოდებით გამოცემულ მუშათა გაზეთს. მისი პირველი ნომრები ჯერ კიდევ „პრავდა ტრუდას“ დახურვამდე გამოვიდა, როდესაც ამ უკანასკნელის გამოშვება ხელისუფლებამ დროებით შეაჩერა. „ზა პრავდუ“ იბეჭდებოდა 1913 წლის 1 (14) ოქტომბრიდან 5 (18) დეკემბრამდე. სულ გამოიცა 52 ნომერი. ამ პერიოდში გაზეთის ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში შექმნილი მდგომარეობა, კერძოდ, სათათბიროს ბოლშევიკური „ექვსეულის“ ბრძოლა მენშევიკური „შვიდეულის“ დეზორგანიზატორული მოქმედების წინააღმდეგ, მეცადინეობა იმისათვის, რათა ბოლშევიკ-დეპუტატებს შეექმნათ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ზა პრავდუს“ № 13-ში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი სათათბიროს ბოლშევიკური „ექვსეულის“ განცხადება, რომელიც მიმართული იყო მენშევიკური „შვიდეულისადმი“. მასში მთავარ მოთხოვნად იყო წამოყენებული თანასწორუფლებიანობა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ყველა საკითხის გადაწყვეტისას. რედაქციამ მოწოდებით მიმართა მუშებს მხარი დაეჭირათ ამ მოთხოვნისათვის. ისინი თავის მხრივ მხურვალედ გამოეხმაურნენ გაზეთის წამოწყებას, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა და იბეჭდებოდა მუშათა წერილები და მუშათა კრებების რეზოლუციები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ „ექვსეულის“ ბრძოლას სათათბიროში ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. გაზეთი მიესალმა „ექვსეულის“ გადაწყვეტილებას გამოჰყოფოდნენ ლიკვიდატორებს და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ჩამოეყალიბებინათ. ამის შემდგომ გაზეთი რეგულარულად აქვეყნებდა ბოლშევიკური ფრაქციის მიერ შემუშავებულ პროექტებს, პროპაგანდას უწევდა მათ. ბეჭდავდა აგრეთვე მუშათა მრავალრიცხოვან გამოხმაურებას ბოლშევიკური ფრაქციის საქმიანობაზე, მისალმებებს ბოლშევიკ-დეპუტატებისადმი. ამ თემას გაზეთი ხშირად მოწინავე სტატიებსაც უძღვნიდა და, რაც მთავარია, ლიკვიდატორებისა და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინის მრავალი სტატია გამოაქვეყნა, მათ შორის: „ცუდი საქმის ცუდი დაცვა“ (№ 12), «სათათბიროს „შვიდეული“» (№ 14), „ლიბერალური ბურჟუაზია და ლიკვიდატორები“ (№ 20), „მუშათა ერთიანობის შესახებ“ (№ 50) და სხვ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გაზეთმა პარტიის ცენტრალური ორგანოდან „სოციალ-დემოკრატიდან“ გადმობეჭდა ფ. ენგელსის სტატია „გამოთხოვება საყვარელ გაზეთთან“.

გაზეთში წამყვანი ადგილი ეკავა განყოფილებას „მუშათა მოძრაობა“, რომელშიც მრავალი რუბრიკა იყო გამოყენებული: „პოლიტიკური გაფიცვები“, „ეკონომიკური გაფიცვები“, „მუშათა სოლიდა-

რობა“, „ქალთა შრომა“, „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“. ხშირად ქვეყნდებოდა მასალები მეფის ხელისუფლების მიერ პრესის დევნის თაობაზე. განყოფილებაში „პროფესიული კავშირები“ მოთავსებული მასალებით გაზეთი ხელს უწყობდა კავშირებში ბოლშევიკური გავლენის შემდგომ გაფართოებას. ხოლო, განყოფილებით „დაზღვევის საკითხები“, ნომრიდან ნომერში ქვეყნდებოდა გამოხმაურებები, რომლებიც მხარს უჭერდნენ წინადადებას მასობრივი მუშათა ჟურნალის „ეოპროსი სტრახოვანიას“ შექმნას, მკითხველს აცნობდნენ ჟურნალის გამოსაცემად საჭირო სახსრების შეგროვების შესახებ. კვლავ მუდმივად იყო წარმოდგენილი რუბრიკები: „რუსეთში“, „პრესის მიმოხილვა“, „პატარა ფელეტონი“ და სხვ. გაზეთი მრავალ მასალას აქვეყნებდა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მათ შორის აღსანიშნავია: „ლიტერატურა და დემოკრატია“ (№ 2), „შემოტევა მ. გორკის წინააღმდეგ“ (№ 3), „ხელოვნება“ (№ 34), აგრეთვე, მასალები ნ. ოგარევსა და ნ. პომიალოვსკიზე, თეატრალური რეცენზიები, მუშა-პოეტების ლექსები. დაბოლოს, „ზა პრავდუსაც“ პისი წინამორბედების ბედი ხვდა წილად, მთავრობამ იგი დახურა 1913 წლის 5 (18) დეკემბერს. გამოსული 52 ნომრიდან 21-ის კონფისკაცია მოხდა, ხოლო 2 დაჯარიმდა.

მალე, ორი დღის შემდეგ, „ზა პრავდუს“ ნაცვლად 1913 წლის 7 (20) დეკემბრიდან გამოსვლას იწყებს გაზეთი „პროლეტარსკაია პრავდა“, რომელიც ასევე მეფის მთავრობის მიერ დევნილი „პრავდის“ გაგრძელებას წარმოადგენს. გამოიცა სულ 34 ნომერი 1914 წლის 21 იანვრამდე (3 თებერვლამდე). გაზეთი აგრძელებს „ზა პრავდუს“ მიერ დაწყებულ საქმეს, ნომრიდან ნომერში აქვეყნებს მასალებს სათათბიროში ბოლშევიკური ფრაქციის საქმიანობის შესახებ, ასევე მისალმებებს ბოლშევიკ-დეპუტატებისადმი. „პროლეტარსკაია პრავდის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის სახელით გამოქვეყნდა „ანკეტა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ“, რომელიც მიძღვნილი იყო ფრაქციის მიერ შემუშავებული კანონპროექტისადმი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ. მუშათა ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეხებოდა მასალები, რომლებიც იბეჭდებოდა შემდეგ განყოფილებებში: „მუშათა მოძრაობა. გაფიცვები“, „მუშათა დაზღვევა“, „პროფესიული მოძრაობა რუსეთში“, „მუშათა ცხოვრებიდან“, „მაღაროებსა და შახტებში“, „მუშათა ქრონიკა“. გლეხთა რევოლუციური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუბრიკს — „სოფლის ცხოვრება“ მშრომელი ხალხის ცხოვრებისადმი მიძღვნილი იყო. აგრეთვე, მოთხრობები და მრავალრიცხოვანი ლექსები. მკითხველები ფართო ინფორმაციას იღებდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული

ცხოვრების ყველა სფეროში ისეთ განყოფილებებში და რუბრიკებში გამოქვეყნებული მასალებით, როგორიც იყო: „დეპეშები“, „მოსკოვი“, „რუსეთში“, „საზღვარგარეთ“, „ქრონიკა“, „ბიბლიოგრაფია“ და სხვ. გაზეთი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ეროვნულ საკითხსაც. ამ მხრივ ფუძემდებლური ხასიათი ჰქონდა „პროლეტარსკაია პრავდაში“ დაბეჭდილ ვ. ი. ლენინის სტატიებს: „ნაციონალ-ლიბერალიზმი და ერების თვითგამორკვევის უფლება“, «„ნოვოე ვრემია“ და „რეჩი“ ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ».

„პროლეტარსკაია პრავდა“ ყურადღებას ამახვილებდა სახალხო განათლების საკითხებისადმი, რითაც მუშათა გაზეთი გამოეხმაურა მასწავლებელთა სრულიად-რუსეთის ყრილობის მომზადებას, ჩატარებასა და შედეგებს. ჯერ კიდევ ყრილობამდე გამოქვეყნდა ფრიად მნიშვნელოვანი სტატიები: სასკოლო საქმის ორგანიზაცია“ (№ 1), „მარქსი აღზრდის შესახებ“ (№ 14) და სხვ. ყრილობის დღეებში გაზეთი ყოველდღიურად ათავსებდა მასალებს საერთო სათაურით — „სახალხო მასწავლებელთა ყრილობა“. აღნიშნულ საკითხს გაზეთი მოწინავე სტატიებსაც უძღვნიდა, ბეჭდავდა ცოცხალ ჩანახატებს ყრილობის შთაბეჭდილებებზე. ამასთანავე, „პროლეტარსკაია პრავდა“ ეწეოდა მწვავე პოლემიკას სახალხო განათლების თაობაზე.

თავისი მუდმივი განყოფილებებით „პრესის მიმოხილვა“, „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“, „მუშათა ჟურნალები“, გაზეთი მუშა-მკითხველის ყურადღებას მიაპყრობდა პრესის განვითარების საკითხებს, იძლეოდა ამა თუ იმ გამოცემის შეფასებას, პოპულარიზაციას უწევდა ბოლშევიკურ (პრავდისტულ) ჟურნალ-გაზეთებს. არაერთხელ „პროლეტარსკაია პრავდა“ იძულებული იყო თავისი ბედის შესახებაც ეწერა, იგი მიმართავდა მუშებს, მატერიალურად დაეჭირათ მბარი გაზეთის კრიტიკული მდგომარეობის გამო. „პროლეტარსკაია პრავდის“ 34 ნომრიდან 12 კონფისკებულ იქნა. მეფის ხელისუფლებამ იგი 1914 წლის 21 იანვარს (3 თებერვალს) დახურა.

მეფის მთავრობის მიერ დევნილი „პრავდა“ გამოიცა ახალი სახელწოდებით — „პუტ პრავდი“ 1914 წლის 22 იანვრიდან (4 თებერვლიდან), გამოდიოდა ამავე წლის 21 მაისამდე (3 ივნისამდე). სულ გამოვიდა 92 ნომერი. გაზეთის არსებობის ოთხი თვის მანძილზე მის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები, რომლებშიც დამუშავებული იყო მარქსისტული ტაქტიკის, პარტიულობისათვის, ყველა ჯურის ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. ასეთებია, მაგალითად, სტატიები: „ა. ბოგდანოვის შესახებ“ (№ 21), „აგვისტოს ბლოკის დაშლა“ (№ 37), „იდეური ბრძოლა მუშათა მოძრაობაში“ (№ 77) და სხვ. ვ. ი. ლენინის მრავალ სტა-

ტიაში განხილული იყო, აგრეთვე, ეროვნული საკითხის მრავალფეროვანი ასპექტი.

„პუტ პრავდი“, ისევე როგორც მისი წინამორბედი, ეხმარებოდა არალეგალურ ბოლშევიკურ პარტიას გამოეყენებინა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნა მუშათა მასების პოლიტიკური განათლებისათვის, სათათბიროში ბოლშევიკური „ექვსეულის“ გავლენისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის. განყოფილებაში „სადაზღვევო კამპანია“ გაზეთი აქვეყნებდა სადაზღვევო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებულ მასალებს. ერთ-ერთ ნომერში (№ 27), მაგალითად, მითითებული იყო, რომ პეტერბურგის სადაზღვევო საბჭოს არჩევნებში წარმომადგენელთა უმრავლესობამ უარყო ლიკვიდატორებისა და ნაროდნიკების ბლოკის მიერ შემოთავაზებული განაწესი და მხარი დაუჭირეს გაზეთ „პუტ პრავდის“ მიერ შედგენილ ბოლშევიკურ განაწესს. შემდგომ ნომრებში გაზეთი იუწყება სადაზღვევო ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში „პუტ პრავდის“ მიერ შემუშავებული სიების მიხედვით წარმომადგენელთა უმრავლესობის არჩევის შესახებ. მუშათა მოძრაობის საკითხები ფართოდ შუქდებოდა გაზეთის ერთ-ერთ ძირითად განყოფილებაში — „მუშათა მოძრაობა“. ამ დიდი განყოფილების ჩარჩოებში შემოღებული იყო რუბრიკები: „გაფიცვები“, „პროფესიულ ორგანიზაციებში“, „მუშათა ცხოვრებიდან“, „ფაბრიკებსა და ქარხნებში“ და სხვ.

გაზეთმა ფართოდ აღნიშნა ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი. სხვა მასალებს შორის აღსანიშნავია რედაქციის მისალმება ახალი მასობრივი მუშათა ჟურნალის „რაბოტნიცას“ გამოსვლასთან დაკავშირებით. შემდგომშიც „პუტ პრავდი“ სისტემატურად აცნობდა მკითხველებს ამ ჟურნალის ცალკეული ნომრების შინაარსს. გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევდა ქალთა შრომის საკითხებს. „პუტ პრავდის“ № 35-ში გამოქვეყნდა წერილი რეზინის ფაბრიკა „ტრეუგოლნიკში“ მუშა ქალების მოწამვლის აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ. მას მოჰყვა მასალები პეტერბურგის სხვა ფაბრიკებში მასობრივ მოწამვლებზე, აფეთქებებზე მაღაროებში, რაც ცხადყოფდა მეწარმეთა მხრიდან შრომის უსაფრთხოების ელემენტარული მოთხოვნების დაცვის იგნორირებას. გაზეთი აშუქებდა აგრეთვე, საგაფიცვო მოძრაობას, რომელიც ფართოდ გაიშალა ამ ფაქტების მიმართ პროტესტის ნიშნად. გაფიცვების საპასუხოდ საწარმოთა მეპატრონეებმა ლოკაუტები გამოაცხადეს. არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ბოლშევიკური პარტია თავის ლეგალურ გაზეთს იყენებდა ფაბრიკანტებისა და მეწარმეთა შეთქმულების გამოსაშკარავებლად და ჩასაფუშავად. გაზეთი ყოველდღიურად გამოდიოდა ანშლაგით: „მასობრივი ლოკაუ-

ტი". ამ თემაზე მრავალი მასალა ქვეყნდებოდა. გაზეთი მოუწოდებდა მუშებს ლოკაუტის საპასუხოდ მჭიდროდ დარაზმულიყვნენ თავიანთ ორგანიზაციების გარშემო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის სტატიას „მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ (ლოკაუტი და მარქსისტული ტაქტიკა)", რომელიც გაზეთის № 54-ში დაიბეჭდა. იგი მკითხველს განუმარტავდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ლოკაუტის პირობებში საჭირო იყო ეკონომიკური გაფიცვებიდან გადასულიყვნენ მუშათა მოძრაობის უფრო მაღალ ფორმებზე (პოლიტიკური გაფიცვები, დემონსტრაციები და სხვ.). ამ ლენინური სტატიისა და, აგრეთვე ,პეტერბურგის ბოლშევიკების მიერ გამოცემული არალეგალური პროკლამაციის ზეგავლენით სატახტო ქალაქის მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია. ასევე, შემდგომში გაზეთი გამოეხმაურა 1 მაისის დღესასწაულს და ქვეყანაში ამ თარიღთან დაკავშირებით ფართოდ გაშლილ გაფიცვებს.

ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით რედაქცია ეძებდა ახალ ფორმებს მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლის უკეთ გასაშუქებლად. მისი რჩევით გაზეთმა პრაქტიკაში შემოიღო ჩანართი ფურცლების გამოშვება (როგორც წესი, კვირის ნომრებში). ეს ჩანართი ფურცლები თემატური ხასიათისა იყო („მეშახტის ფურცელი", „ბალტიისპირეთის მხარე", „პროფესიული მოძრაობა" და სხვ.). გაზეთის მუდმივი განყოფილებები და რუბრიკები იყო: „სოფლის ცხოვრება", „პრესის მიმოხილვა", „პატარა ფელეტონი", „მოსკოვი", „რუსეთში", „უცხოეთის ცხოვრება" და სხვ. № 32-დან მოყოლებული გაზეთმა შემოიღო ახალი განყოფილება — „მუშის ლიტერატურული თარო". აქ იბეჭდებოდა რეცენზიები მუშებისათვის საჭირო წიგნებზე, მათ შორის, მაქსიმ გორკის „ზღაპრებზე", რომელიც 1913 წელს გამოიცა მოსკოვში. იტალიიდან რუსეთში მაქსიმ გორკის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთში გვხვდება „მისალმებანი მაქსიმ გორკის". გაზეთი ხშირად ბეჭდავდა სტატიებსა და შენიშვნებს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების სხვადასხვა საკითხზე: „რეალიზმის აღორძინება" (№ 5), „მუშები და კინემატოგრაფი" (№ 50), „პირველი მაისი მუშათა პოეზიაში" (№ 75) და სხვ. ქვეყნდებოდა, აგრეთვე, მოთხრობები, ლექსები და იგავ-არაკები. გაზეთი ფართოდ აცნობდა მკითხველებს კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს. მ. სალტიკოვ-შჩედრინის გარდაცვალების წლისთავს გაზეთმა ორი სტატია მიუძღვნა, ასევე, რამდენიმე მასალაში ტ. შევჩენკოს შემოქმედებაზე იყო საუბარი.

აღსანიშნავია, რომ გაზეთს ჰქონდა რუბრიკები, რომლებიც უშუალოდ მუშათა ბეჭდვით სიტყვას ეხებოდა: „მუშათა ჟურნალები", «მისალმებები. გაზეთ „პუტ პრავდისადმი"», «გაზეთ „პუტ

პრავდისადმი“ მხარდაჭერა» და სხვ. გაზეთ „პუტ პრავდის“ გამოცემის პერიოდი დაკავშირებულია მუშათა ბეჭდვითი სიტყვის პირველ დღესასწაულთან. ერთი თვით ადრე ამ თარიღამდე — ყოველდღიური მარქსისტული მუშათა გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლის მეორე წლისთავამდე, „პუტ პრავდაში» (№ 42) გამოქვეყნდა პრავდისტული ჯგუფის ღია წერილი „ყველა შეგნებულ მუშასა და მუშათა ბეჭდვითი სიტყვის მეგობარს“, რომელიც შეიცავდა მოწოდებას — გამოეცხადებინათ 22 აპრილი (5 მაისი) მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღედ და ფართოდ ჩაეტარებინათ სახსრების შეგროვება „პუტ პრავდის“ ფონდში. გაზეთი მომდევნო ნომრებში სისტემატურად იტყობინებოდა გაზეთის „რკინის ფონდში“ შემონატანების შესახებ. გაზეთში გამოჩნდა მუდმივი განყოფილება „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღე“, რომელსაც ზოგიერთ ნომერში მთელი გვერდი ეკავა. აქ ქვეყნდებოდა მუშათა გამოხმაურებები, მისალმებები გაზეთისადმი, მოგონებები „პრავდის“ შექმნის შესახებ, წინადადებები, უკეთ როგორ აღენიშნათ მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღე. მეტად შთამბეჭდავი იყო გაზეთ „პუტ პრავდის“ № 67 საიუბილეო ნომერი, რომელიც 130 ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა. იგი გამოვიდა ანშლაგით: „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღე“. მასში, აგრეთვე, მითითებული იყო, რომ „ნომერი მიძღვნილია რუსეთში ყოველდღიური მარქსისტული მუშათა პრესის შექმნისადმი“. ამ ნომრის პირველ გვერდს ამშვენებდნენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პორტრეტები, აგრეთვე, „ზვეზდასა“ და „პრავდის“ პირველი ნომრების პირველი გვერდების ფოტორეპროდუქციები. გაზეთის რვავე გვერდი ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი იყო მიძღვნილი — დაიბეჭდა მისალმებები გაზეთისადმი, აგრეთვე სტატიები და კორესპონდენციები: პრავდა“ და „მუშათა მოძრაობა“, „ჩვენი თანამშრომლები“, „როგორ კეთდება გაზეთი“, „ხელმოწერა გაზეთზე“, „მუშათა გაზეთის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიები“, „რკინის ფონდი“ და სხვ. ამავე ნომერში დაბეჭდილი იყო მოთხრობები და ლექსები მუშათა გაზეთის შესახებ. ამ ნომრის გამოცემის ერთდროულად გამოვიდა პრავდისტული გაზეთის — „რაბოჩის“ პირველი ნომერი, რომელიც ასევე მთლიანად მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი იყო მიძღვნილი. ამის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში „პუტ პრავდი“ აქვეყნებდა როგორც მისალმებებს, ასევე კორესპონდენციებს იმის თაობაზე, თუ როგორ ჩატარდა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღე.

„გაზეთი „პუტ პრავდი“ ხელისუფლებამ დახურა 1914 წლის 21 მაისს (3 ივნისს). გამოსული 92 ნომრიდან 12 კონფისკებული იქნა, ხოლო 5 — დააჯარიმეს.

ერთ-ერთი სახელწოდება, რომლითაც გამოდიოდა მეფის ხელისუფლების მიერ დევნილი „პრავდა“, იყო „რაბოჩი“, რომელიც 1914 წლის 22 აპრილიდან (5 მაისიდან) 7 (26) ივლისამდე არსებობდა. საყურადღებოა, რომ ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ იცვლებოდა არა მარტო გაზეთის ფორმატი და პერიოდულობა, არამედ თვით გამოცემის ტიპიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „რაბოჩის“ პირველი ნომერი გამოვიდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გაზეთი „პუტ პრავდი“ იცემოდა და იგი მთლიანად მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი იყო მიძღვნილი. მას ბროშურის ფორმა ჰქონდა და ძირითადად დაიბეჭდა მასალები, რომლებიც მუშათა პრესის ისტორიას ეხებოდა. იგი იხსნებოდა ვ. ი. ლენინის სტატიით „რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან“ და თავდებოდა მეორე ლენინური სტატიით „ჩვენი ამოცანები“. „რაბოჩის“ მეორე ნომერი გამოვიდა ერთი თვის შემდეგ 22 მაისს (4 ივნისს), ხელისუფლების მიერ გაზეთ „პუტ „პრავდის“ დახურვის შემდეგ. ამჯერად, „რაბოჩის“ უკვე დიდი გაზეთის სახე ჰქონდა, „პრავდისათვის“ დამახასიათებელი განყოფილებებითა და რუბრიკებით („მუშათა მოძრაობა“, „გაფიცვები“, „სახელმწიფო სათათბირო“, „რუსეთში“, საზღვარგარეთ“ და სხვ.). ამის პარალელურად ბოლშევიკებმა გამოიყენეს მათ ხელთ არსებული ნებართვა „ტრუდოვაია პრავდას“ სახელწოდებით ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზე. გარკვეულ ხანს დაწესდა ამ ორი გაზეთის გამოსვლის ერთგვარი მორიგეობა. მაგალითად, 23 მაისს გამოვიდა, „ტრუდოვაია პრავდა“, მაგრამ არ გამოსულა „რაბოჩი“, 24—29 მაისს გამოიცა „რაბოჩის“ №№ 3—6 და მხოლოდ 30 მაისს დაიბეჭდა „ტრუდოვაია პრავდის“ № 2, რის შემდეგაც მისი რეგულარული გამოცემა მოგვარდა. „რაბოჩის“ ფორმატმა კვლავ ცვლილება განიცადა, იგი მნიშვნელოვნად შემცირდა, გვერდების რაოდენობაც მერყეობდა. შინაარსის თვალსაზრისით გაზეთი „პრავდის“ ხაზს აგრძელებდა. მაგალითად, № 7-ის მასალები მიძღვნილი იყო ყველა ჯურის ლიკვიდატორობის მხილებისადმი, მასში, კერძოდ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია „ავანტიურიზმის შესახებ“. მთელი უკანასკნელი ნომერი, რომელიც იმპერიალისტური ომის წინ გამოვიდა, მიძღვნილი იყო ვენის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისადმი. აღსანიშნავია, რომ „რაბოჩის“ ბოლო ნომრებში პრაქტიკაში შემოიღეს ფოტოილუსტრაციების ბეჭდვა. მაგალითად, გამოქვეყნდა ნ. დობროლიუბოვის, ნ. ჩერნიშევსკის, მ. გორკისა და სხვათა პორტრეტები. მე-9 ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთი „რაბოჩი“ მეფის ხელისუფლებამ დახურა.

„ტრუდოვაია პრავდა“ — ასე ეწოდებოდა ბოლშევიკური მუშათა გაზეთ „პრავდის“ ბოლო გამოცემას. მისი გამოსვლა დაიწყო 1914 წლის 23 მაისს (5 ივნისს). როგორც ზემოთ აღინიშნა, „ტრუდოვაია

პრავდის“ და „რაბოჩის“ პირველი ნომრები მონაცვლეობით იბეჭდებოდა. პირველი მათგანი, № 2-დან მოყოლებული, ყოველდღიურ გამოცემად გადაკეთდა, ხოლო მეორე კი — პრავდისტულ ყოველკვირეულად. გაზეთი „ტრუდოვაია პრავდა“ გამოდიოდა 1914 წლის 8 (21) ივლისამდე. სულ გამოიცა 35 ნომერი.

გაზეთის ფურცლებზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა მენშევიკ-ლიკვიდატორებისა და მათი ბეჭდვითი ორგანოების წინააღმდეგ გამართულ მწვავე პოლემიკას, რომელიც, პირველ ყოვლისა, ეხებოდა სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით მომხდარ განხეთქილებას. გაზეთში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის შემდეგი სტატიები: „ერთიანობის შესახებ“ (№ 2), „მუშათა კლასი და მუშათა ბეჭდვითი სიტყვა“ (№№ 15 და 16), „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის შედეგებისათვის“ (№ 31) და სხვ. მასალები სახელმწიფო სათათბიროში ბოლშევიკური (პრავდისტული) „ექვსეულის“ საქმიანობის შესახებ მუდმივად ქვეყნდებოდა რუბრიკით: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია“. აღსანიშნავია, რომ „ტრუდოვაია პრავდა“ აგრძელებდა „პრავდისათვის“ დამახასიათებელი განყოფილებებისა და რუბრიკების ტრადიციას („სახელმწიფო სათათბირო“, „მუშათა მოძრაობა და გაფიცვები“, „მუშათა ცხოვრება“, „პროფესიული მოძრაობა“, „გლეხების ცხოვრება“, „რუსეთში“ და სხვ.). ამასთანავე, გაზეთმა შემოიღო ახალი რუბრიკებიც: „მუშათა გამოხმაურება მორიგ სადღეისო საკითხებზე“, „სადღეისო თემაზე“ და სხვ.

ვ. ი. ლენინის წინადადებით, რომელიც მან წამოაყენა „რაბოჩის“ № 1-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი ამოცანები“ და ითვალისწინებდა გაზეთის დამატებად საოლქო ფურცლების გამოშვებას, „ტრუდოვაია პრავდამ“ ასეთი ფურცლები მიუძღვნა ცალკეული სამრეწველო ცენტრების ან წარმოების დარგების მუშათა ცხოვრებასა და ბრძოლას („ურალის ფურცელი“, „საფეიქრო მრეწველობაში“ და სხვ.). საერთოდ, „ტრუდოვაია პრავდისათვის“ სულ უფრო დამახასიათებელი ხდებოდა მუშათა ცხოვრებაზე მასალების თემატურად გამოქვეყნება რეგიონების მიხედვით („სამხრეთის რაიონი“, „ვოლგისპირეთი“, „ბალტიისპირეთის მხარე“, „მოსკოვი“, „ხარკოვი“ და სხვ.). გაზეთი ნომრიდან ნომერში აქვეყნებდა ცნობებს პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლებზე, რაც სულ უფრო მწვავდებოდა ქვეყნის ყველა კუთხეში. განსაკუთრებით ფართოდ იყო საუბარი ბაქოს ნავთის სარეწებსა და ქარხნებში მიმდინარე საყოველთაო გაფიცვაზე. ამ საკითხს ეძღვნებოდა როგორც მოწინავე სტატიები და კორესპონდენციები, ისე ჩანახატები და ლექსებიც, ქვეყნდებოდა, აგრეთვე, მრავალი საწარმოს მუშათა რეზოლუციები ბაქოელებთან

მათი სოლიდარობის თაობაზე. „ტრუდოვაია პრავდამ“ № 32-ში დაბეჭდა მასალა პოლიციის მიერ პეტერბურგში პუტილოვის ქარხნის მუშათა მიტინგის მონაწილეთა დახვრეტის შესახებ, რომელიც ჩატარდა ბაქოში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. შემდგომ ნომერში გაზეთი ეცადა გამოხმაურებოდა ამ მხეცურ ანგარიშსწორებას, მაგრამ ხელისუფლებამ ამ ნომრის კონფისკაცია მოახდინა, ხოლო „ტრუდოვაია პრავდის“ სტამბა იმავე დღეს დაარბიეს. გაზეთის № 34-ში, რომელიც 6 (19) ივლისს გამოიცა, მრავალრიცხოვანი მასალა დაიბეჭდა პუტილოვის ქარხანაში მუშების დახვრეტის პროტესტის ნიშნად. ეს ნომერი იხსნებოდა ანშლაგით „პროტესტის გაფიცვები. მიტინგები. დაპატიმრებანი“ და მოწინავე სტატიით «„ტრუდოვაია პრავდა“ ალყაში». ორი დღის შემდეგ, 1914 წლის 8 (21) ივლისს, № 35-ის გამოცემისას, გაზეთი საბოლოოდ დახურა მეფის მთავრობამ, ნომრის კონფისკაცია მოახდინა, ხოლო რედაქცია და სტამბა პოლიციამ დაარბია, თანაც ამას დაემატა გაზეთის ყველა იქ მყოფი თანამშრომლის დაპატიმრება.

ამრიგად, მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ ცარიზმმა ანვარიში გაუსწორა მასობრივ მუშათა გაზეთს „პრავდას“ და მისი გამოცემის განახლება ბოლშევიკებმა შეძლეს მხოლოდ 1917 წლის 5 (18) მარტს, ანუ უკვე თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

ლიკვიდატორების, ოტზოვისტების, ტროცკისტების, II ინტერნაციონალის რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლებში არანაკლები როლი შეასრულეს ლეგალურმა თეორიულმა ჟურნალებმა „მისლმა“ და „პროსვეშჩენიემ“. მათ ფურცლებზე განიხილებოდა ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობებში მუშათა კლასის ბრძოლასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი.

ლეგალური ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ჟურნალი „მისლი“ გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან 1911 წლის აპრილამდე. სულ გამოიცა ხუთი ნომერი, უკანასკნელი (№ 5) კონფისკებულ იქნა. ჟურნალს ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა. აქ დაიბეჭდა მისი ექვსი სტატია, მათ შორის: „რუსეთში გაფიცვების სტატისტიკის შესახებ“, „იუბილეს თაობაზე“, „პოლიტიკური შენიშვნები“ და სხვ. ჟურნალში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვოროვსკი, მ. ოლმინსკი და ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, მათ გარდა თანამშრომლობდნენ კლარა ცეტკინი და ფ. როტშტეინი, აგრეთვე ზოგიერთი მენშევიკ-პარტიელი (გ. პლეხანოვი და სხვ.).

ვ. ი. ლენინის მითითებით, მთავრობის მიერ დახურული „მისლის“ ნაცვლად ბოლშევიკებმა შეძლეს პეტერბურგში მარქსისტული მიმართულების ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და

ლიტერატურული ჟურნალის „პროსვეშჩენიეს“ გამოცემა. იგი გამოდიოდა 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე და პარტიის თეორიულ ორგანოს წარმოადგენდა. მისი ტირაჟი 5 ათას ეგზემპლარს აღწევდა. ამ ჟურნალის საქმიანობასაც ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთიდან წარმართავდა და მუდმივად თანამშრომლობდა მასში. სულ ჟურნალში ვ. ი. ლენინის ოცზე მეტი ნაშრომი დაიბეჭდა, მათ შორის: „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“, „კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე“, „ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ და სხვ. ჟურნალის № 1-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის სტატია „გამოთხოვება საყვარელ გაზეთთან“.

„პროსვეშჩენიეს სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ: მ. საველიევი, მ. ოლმინსკი, ა. ელიზაროვა და სხვ. სტატიების ავტორთა შორის იყვნენ, აგრეთვე ვ. ვოროვსკი, ნ. კრუპსკაია, ფ. როტშტეინი, ნ. სემაშკო, თ. სერგეევი, ი. სტალინი, პ. სტუჩკა, ა. ტროიანოვსკი, ერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწენი ა. ბებელი, ი. ლენსკი და სხვ.

ჟურნალის ფურცლებზე გვხვდება მუდმივი რუბრიკები: „შინაური მიმოხილვა“, „უცხოეთის მიმოხილვა“, „სადღეისო საკითხები“, „მიმდინარე ცხოვრების ქრონიკა“. „პროსვეშჩენიეში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა მხატვრულ-ლიტერატურულ, ბელეტრისტულ განყოფილებას, რომელსაც მ. გორკი ხელმძღვანელობდა. აქ ბევრი მისი ნაწარმოები („ბავშვობა“, „გაქურდვა“ და სხვ.) დაიბეჭდა. ქვეყნდებოდა, აგრეთვე, დემიან ბედნის, ს. ასტროვის, მ. გერასიმოვისა და სხვების ლექსები.

ბოლშევიკურმა ჟურნალმა „პროსვეშჩენიემ“ მუშათა მოძრაობის საკითხების ფართოდ გაშუქებით, რევოლუციური მარქსიზმის ყველა მტრის დაუნდობელი მხილებით გამორჩეული როლი შეასრულა რუსეთის მოწინავე მუშების მარქსისტულ-ინტერნაციონალურ აღზრდაში.

ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდის ბოლშევიკური ჟურნალ-გაზეთების შესწავლისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ გამოცემებზეც, როგორიცაა ჟურნალები „ვოპროსი სტრახოვანია“ და „რაბოტნიცა“.

„ვოპროსი სტრახოვანია“ მასობრივი ყოველკვირეული ჟურნალი იყო, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა 1913 წლის 26 ოქტომბრიდან (8 ნოემბრიდან) 15 ათასიანი ტირაჟით. იგი შეიქმნა ყოველდღიურ ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდის“ ბაზაზე და ამ გაზეთის უშუალო დამატებას წარმოადგენდა. მით უმეტეს, რომ იგი „პრავდის“ თანამშრომლების ძალებით კეთდებოდა. ჟურნალი განუხრელად ზრუნავდა იმ დროს რუსეთში ფართოდ გავრცელებულ სადაზღვევო მოძ-

რაობის განვითარებისათვის. „ვოპროსი სტრახოვანია“ არალეგალურ ბოლშევიკურ პარტიას ეხმარებოდა ზეგავლენა მოეხდინა მუშათა კლასის ამ ლეგალურ ორგანიზაციებზე. ჟურნალი მკითხველებს განუმარტავდა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო დაზღვევის ახალი კანონის გამოცემასთან. იბრძოდა საავადმყოფო სალაროების ცენტრალიზაციისათვის (რაც ხელს შეუწყობდა მუშათა დარაზმვას ქალაქის ან რაიონის მასშტაბით), მუშათა თვითმმართველობისათვის სადაზღვევო ორგანიზაციებში, იმისათვის, რათა ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელ ორგანოებში არჩეული ყოფილიყვნენ ბოლშევიკური (პრავდისტული) კანდიდატები. საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ეაზეთი მოხერხებულად ეწეოდა ბოლშევიკური, ე. წ. „ჩამოუპრელელოზუნგების“ პროპაგანდას (დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია).

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა ჟურნალს. ბოლშევიკები უნარიანად იყენებდნენ ამ გამოცემის გარეგნულ, ვიწრო-სპეციალურ ფორმას სერიოზული ამოცანების გადასაწყვეტად, კერძოდ, ჟურნალი გადააქციეს მასების პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის საშუალებად, მის ფურცლებზე განუხრელად იცავდნენ პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს. ამ მიზნის მისაღწევად ჟურნალი იყენებდა მრავალფეროვან ჟანრებსა და მასალის მიწოდების ფორმებს. მასალების უმრავლესობა ჟურნალში იბეჭდებოდა მუდმივი რუბრიკებით: „სადაზღვევო კამპანია“, „პროფესიულ კავშირებში“, „იურიდიული განყოფილება“, „პროვინციულ დაწესებულებებში“, „დაზღვევა საზღვარგარეთ“ და სხვ. ჟურნალში იბეჭდებოდა, აგრეთვე, სადაზღვევო საბჭოს სხდომების ანგარიშები, მუშათა მრავალრიცხოვანი წერილები, შენიშვნები და კორესპონდენციები, გვხვდება მხატვრული ნაწარმოებებიც.

იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ხელისუფლებამ აკრძალა „ვოპროსი სტრახოვანიას“ გამოცემა. მისი უკანასკნელი № 28 (36) გამოვიდა 1914 წლის 12 (25) ივნისს.

ქალთა მასობრივი ორკვირეული ჟურნალი „რაბოტნიცა“ გამოვიდა ვ. ი. ლენინის ინიციატივით პეტერბურგში 1914 წლის თებერვლიდან. ჟურნალის ქვესათაურში მითითებული იყო: „ჟურნალი მიზნად ისახავს მუშა-ქალთა მოძრაობის ინტერესების ყოველმხრივ დაცვას“. საგულისხმოა, რომ მისი პირველი ნომრის გამოცემა დაემთხვა ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს და მასალებიც ძირითადად ამ თემას მიეძღვნა. ახალმა ჟურნალმა მუშა-ქალთა შორის თავიდანვე მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. აღსანიშნავია, რომ „რაბოტნიცას“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ქალთა საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის — კლარა ცეტკინის მისალმება რუსი

მუშა-ქალებისადმი. აქვე დაიბეჭდა, აგრეთვე, ანგარიშები ჟურნალის გამოსაცემად საჭირო სახსრების შეგროვების თაობაზე.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „რაბოტნიცას“ პარტიულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობით საქმიანობას, სისტემატურად თვალყურს ადევნებდა როგორც მისი გამოცემის ორგანიზაციას, ასევე შინაარსს. ჟურნალის ხელმძღვანელებად და თანამშრომლებად მოღვაწეობდნენ თვალსაჩინო ბოლშევიკი-ქალები: ნ. კრუპსკაია, ი. არმანდი, ლ. სტალი, ა. ელიზაროვა-ულიანოვა, კ. სამოილოვა, პ. კუდელი, ე. როზმიროვიჩი, ლ. მენჟინსკაია და სხვ.

როგორც ერთ-ერთი პრავდისტული გამოცემა, „რაბოტნიცა“ მკითხველთა ფართო მასებისათვის გასაგები ენით ეხმაურებოდა მუშათა მოძრაობისა და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას, ბოლშევიკურ, რევოლუციურ-მარქსისტული პოზიციებიდან აშუქებდა მათ. ჟურნალის უკვე პირველსავე ნომერში გამოჩნდა მასალები სადაზღვევო კამპანიის შესახებ; № 3 იხსნებოდა სტატიით „ქალთა საარჩევნო უფლებები“, რომელიც მუშა-ქალებს მოუწოდებდა ებრძოლათ სამოქალაქო უფლებებისათვის; სტატიით „მუშა-ქალი და 8 საათიანი სამუშაო დღე“ ჟურნალის № 4 ეხმაურებოდა „პუტ პრავდაში“ გამოქვეყნებული კანონის პროექტს მაქსიმალურ 8 საათიან სამუშაო დღეზე, რომელიც ბოლშევიკმა-დეპუტატებმა შეიტანეს IV სახელმწიფო სათათბიროში. საერთოდ სათათბიროში რსდმპ ფრაქციის საქმიანობას ჟურნალი სხვა ნომრებშიც აშუქებდა. ჟურნალი ფართოდ გამოეხმაურა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღესა და საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულს — 1 მაისს.

ჟურნალი სისტემატურად ათავსებდა მასალებს მუშა-ქალების შრომის მძიმე პირობებზე, მოუწოდებდა თავის მკითხველებს, მშრომელ ქალებს მამაკაც მუშებთან ხელიხელჩაკიდებულებმა აქტიურად იბრძოლონ კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის. წერილები და კორესპონდენციები თავსდებოდა რუბრიკებით: „ქალის შრომა“, „მუშა-ქალები და დაზღვევა“, ნომრის ბოლოს, როგორც წესი, იბეჭდებოდა „საფოსტო ყუთი“. სხვა მასალებთან ერთად ჟურნალში ქვეყნდებოდა ნარკვევები, მოთხრობები და ლექსები. აქ აქტიურად თანამშრომლობდნენ პოეტი-პრავდისტები — დემიან ბედნი, მ. არტამონოვი, ნ. დოლაევი და სხვები. ამრიგად, მთელი თავისი მრავალფეროვანი შინაარსით ჟურნალი ხელს უწყობდა ქალთა პროლეტარული მასების ორგანიზაციასა და დარაზმვას.

მეფის მთავრობა, ისევე როგორც სხვა პრავდისტულ გამოცემებს, ჟურნალ „რაბოტნიცასაც“ დევნიდა. მან მხოლოდ ოთხი თვე იარსება. მისი უკანასკნელი ნომერი (№ 7) 1914 წლის 26 ივნისს (9 ივლისს)

გამოვიდა, ხოლო გამოცემის განახლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1917 წლის მაისში.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ბოლშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ პარტიული საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას. პარტიულ კონფერენციებსა და თათბირებზე ხშირად განიხილებოდა ღონისძიებანი ლეგალური პარტიული ბეჭდვითი სიტყვის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის. პრესის თაობაზე ამ პერიოდში მიღებულ დადგენილებათა შორის აღსანიშნავია რსდმპ საერთო-რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიულ მუშაკებთან გამართული კრაკოვისა და პორონინის თათბირების გადაწყვეტილებანი და სხვ.

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდაზე, მისი რიგების განმტკიცებაზე დიდი გავლენა მოახდინეს პრავდისტული მიმართულების ადგილობრივმა ლეგალურმა და არალეგალურმა გამოცემებმა. ბოლშევიკურ გაზეთებს შორის, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ყოველდღიური მასობრივი მუშათა გაზეთის „ნაშ პუტის“ საქმიანობა. იგი გამოდიოდა მოსკოვში 1913 წლის 25 აგვისტოდან (7 სექტემბრიდან), 17—20 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით, სულ გამოიცა 16 ნომერი. ვ. ი. ლენინი მუდმივად თანაშრომლობდა გაზეთში. აქ მისი 10 სტატია დაიბეჭდა, ზოგიერთი მათგანი ერთდროულად „პრავდაშიც“ ქვეყნდებოდა. „ნაშ პუტის“ რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნ. იაკოვლევი, ვ. იახონტოვი, ვ. ლობოვა, ი. სკვარცოვ-სტეპანოვი და სხვ. თანამშრომლებად მოწვეული იყვნენ, აგრეთვე, მ. ოლმინსკი, მ. გორკი, IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი-დეპუტატები. გაზეთში ხშირად თავსდებოდა დემიან ბედნის ფელეტონები საჭირბოროტო საკითხებზე. მოსკოველ ბოლშევიკთა ორგანო პრავდისტული მიმართულებისა იყო და სრულიად სამართლიანად ვ. ი. ლენინი მას «მოსკოვურ „პრავდას“» უწოდებდა. გაზეთის ფურცლებზე ფართოდ შეეჭდებოდა მუშათა მოძრაობის, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საკითხები. იგი განუხრელად იბრძოდა არალეგალური ბოლშევიკური პარტიის განმტკიცებისათვის, გადაჭრით ილაშქრებდა ლიკვიდატორობის წინააღმდეგ. „ნაშ პუტ“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსკოველ მუშებს შორის, როცლებიც თავის მხრივ მას ყოველნაირად მხარს უჭერდნენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ მუშათა 395 ჯგუფი აგროვებდა სახსრებს მის გამოსაცემად. მეფის ხელისუფლება გაზეთს მუდმივად დევნიდა. მისი 15 ნომრიდან 12 კონფისკებული იყო. № 16-ის გამოცემის შემდეგ გაზეთი დახურეს, ხოლო თანამშრომლები დააპატიმრეს, რასაც მოსკოვის მუშებმა მასობრივი საპროტესტო გაფიცვებით უპასუხეს. ამ გაფიცვებში 90 ათასი კაცი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ № 17-ის

მოწინააღმ სტატია (ამ ნომრის გამოცემა ვერ მოხერხდა) გამოაქვეყნა გაზეთმა „პრავდა ტრუდამ“.

ამ პერიოდის სხვა ადგილობრივ ბოლშევიკურ გაზეთებს შორის ყურადღებას იმსახურებენ: ლეგალური ჟურნალი „ნორ ხოსკი“ („ახალი სიტყვა“), რომელიც ბაქოში სომხურ ენაზე გამოდიოდა 1911—1912 წლებში, აქვე რუსულ ენაზე 1914 წლის აპრილ-მაისში გამოიცა ყოველკვირეული გაზეთი „ნაშა ჟიზნი“, ასევე სხვა ქალაქებშიც უშვებდნენ ბეჭდვით ორგანოებს: „ვილნისს“ („ტალღას“) — რიგაში, „ბოლოს იზ პოდპოლიას“ — ბარნაულში, „მოლოტს“ — ვოლოგდაში და სხვ.

ლიტერატურა

ვ. ი. ლენინი. ნახევარი წლის მუშაობის შედეგები. თხზ., ტ. 18, გვ. 217—236.
ვ. ი. ლენინი. მუშები და „პრავდა“. თხზ., ტ. 18, გვ. 358—360.
ვ. ი. ლენინი. წინათ და ახლა. თხზ., ტ. 18, გვ. 361—363.
ვ. ი. ლენინი. მუშათა კლასი და მუშათა პრესა. თხზ., ტ. 20, გვ. 444—453.
ვ. ი. ლენინი. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის შედეგებისათვის. თხზ., ტ. 20, გვ. 681—691.
ვ. ი. ლენინი. „პრავდის“ ათი წლის იუბილესათვის. თხზ., ტ. 33, გვ. 409—414.
ვ. ი. ლენინი. გაზეთ „პრავდის“ რედაქციას. თხზ., ტ. 35, გვ. 27—29.
ვ. ი. ლენინი. ა. მ. გორკის. თხზ., ტ. 35, გვ. 44—45.
Большевистская печать. Краткие очерки истории. М., 1962.
Большевистская печать. Сб. материалов. вып. 3. М., 1961.
С. А. Андропов. Боевое оружие партии. Газета «Правда» в 1912 — 1917 гг. Л., 1962.
С. А. Андропов. Большевистская печать в трех революциях. М., 1978.
Ленинской «Правде» — 70 лет. М., 1982.
В. Т. Логинов. Ленинская «Правда». М. 1972.
Г. В. Петраков. Марксистская рабочая печать в годы нового революционного подъема. М., 1983.

თემა მეექვსე

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში თებერვლის რევოლუციის წლებში (1914—1917 წ. თებერვალი)

პირველი მსოფლიო ომის წლებში ბოლშევიკური პარტიის საქმიანობა უაღრესად რთულ საერთაშორისო და საშინაო პირობებში მიმდინარეობდა. მეფის პოლიცია პირდაპირ თავს ესხმოდა „შინაგან მტერს“ — პროლეტარიატს. ციმბირის ყველაზე მოშორებულ რაიო-

ნებში გადაასახლეს პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები: გ. ორჯონიკიძე, ი. სვერდლოვი, ი. სტალინი, ს. სპანდარიანი, მ. ფრუნზე და სხვ. მთელი ლეგალური ბოლშევიკური პრესა გაანადგურეს. ომის დაწყების წინ მხოლოდ ერთი ბოლშევიკური გამოცემა გადარჩა — ჟურნალი „ზარია პოვოლჟია“ (გამოდიოდა სამარაში), მაგრამ 1914 წლის ივლისში ისიც დახურეს. განუწყვეტელი დევნის, დაპატიმრების და გადასახლების ვითარებაში, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, მუშაობა ასჯერ რთული გახდა.

საერთაშორისო ხასიათის სირთულეები იმაში გამოიხატებოდა, რომ ყველა მსხვილი დასავლეთევროპული სოციალ-დემოკრატიული პარტია თავიანთ იმპერიალისტური მთავრობების მხარეზე გადავიდა. II ინტერნაციონალმა, რომელიც მთლიანად ოპორტუნიზმის ჭაობში ჩაეფლო, დახარა თავისი დროშები კაპიტალის წინაშე, მისი ლიდერები სოციალ-შოვინისტებად იქცნენ.

იმისათვის, რომ განემარტათ ომის მძარცველური, დამპყრობლური ხასიათი, ემხილებინათ აშკარა და შენიღბული შოვინისტები, დაერაზმათ ყველა ჭეშმარიტი რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტი, მოემზადებინათ მასები რევოლუციისათვის, ბოლშევიკების პარტიას აუცილებლად უნდა მოეგვარებინა ფურცლების, გაზეთების, ჟურნალების, კრებულების გამოცემა. და ეს გაკეთდა, მიუხედავად სამხედრო დროის ყველანაირი სირთულისა.

ომის წლებში გამოცემული ბოლშევიკური გაზეთებიდან, პირველ რიგში აღსანიშნავია რსდმპ ცენტრალური ორგანოს — „სოციალ-დემოკრატის“ საქმიანობა. ამ გაზეთის გამოცემა ვ. ი. ლენინმა განაახლა № 33-დან, 1914 წლის 1 ნოემბრიდან შვეიცარიაში. იმპერიალისტური ომის პერიოდის ამ პირველსავე ნომერში გაზეთი პროპაგანდას უწევდა პარტიის ლოზუნგებს ომის, მშვიდობისა და რევოლუციის შესახებ. გაზეთი თანმიმდევრულად იბრძოდა აშკარა შოვინისტების (პლეხანოვის, შეიდემანის, სამბას, ვანდერველდეს, ჰაინდმანის) და შოვინისტ-ცენტრისტების (კაუცკის, ლონგეს, ტროცკის, მარტოვის, ჩხეიძის) წინააღმდეგ. ამხილებდა რა შოვინისტურ თეორიებს „სამშობლოს დაცვის“, „სამოქალაქო ზავის“ „განიარაღების“, „ულტრაიმპერიალიზმის“ შესახებ, ტროცკისტულ ლოზუნგს — „არც გამარჯვება, არც დამარცხება“, ვ. ი. ლენინმა „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია, რომლის ქვაკუთხედად იქცა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა რამდენიმე, ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. მისი სტატიები „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“, „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“, „რევოლუციის ორი მიმართულების შესახებ“, „იმპერიალისტურ ომში საკუთარი მთავ-

რობის დამარცხების შესახებ“, „მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი“ ითელებიან შემოქმედებითი მარქსიზმის საუკეთესო ნაწარმოებებად, განსაზღვრავდნენ „სოციალ-დემოკრატის“ მიმართულებას. ცენტრალური ორგანოს ფურცლებზე იბეჭდებოდა მრავალი მასალა, რომლებიც მიძღვნილი იყო ახალი, III ინტერნაციონალის შექმნისადმი. გამოვიდა ციმერვალდისა და კინტალეს საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციებისადმი მიძღვნილი გაზეთის სპეციალური ნომრები. გაზეთის ფურცლებზე შემდგომი განვითარება ჰპოვა ეროვნულმა საკითხმა. ყველა ქვეყნის ხალხთა პროლეტარულ ძმობას ეძღვნება ცნობილი ლენინური სტატია „ველიკორუსეშის ეროვნული სიამაყის შესახებ“.

ომის წლებში „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა განყოფილებას „ცნობები რუსეთიდან“. აქ გამოქვეყნებულ მასალებში განზოგადებული იყო ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის რევოლუციური მუშაობის გამოცდილება. გაზეთი ამზადებდა რუსეთის მუშებსა და გლეხებს სოციალისტური რევოლუციისათვის, სისტემატურად აქვეყნებდა ფასალებს სახელმწიფო სათათბიროში ბოლშევიკ-დეპუტატების გამოსვლებზე, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების საქმიანობაზე, ჯარის ნაწილებში ომის საწინააღმდეგო აგიტაციაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობდა რუსეთის პროლეტარიატის რიგების დარაზმვას, აქტიურებდა მის რევოლუციურ ბრძოლას.

უაღრესად დიდია „სოციალ-დემოკრატის“ როლი ყველა ქვეყნის რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტების შეკავშირებაში. გაზეთს იღებდნენ არა მარტო ევროპის უმსხვილეს ცენტრებში, არამედ ამერიკისა და ავსტრალიის ცალკეულ ქალაქებშიც კი. ინგლისის, საფრანგეთის, სკანდინავიის, ამერიკის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის შესახებ რედაქციაში სისტემატურად გზავნიდნენ მასალებს კორესპონდენტები მ. ლიტვინოვი, ა. კოლონტაი, ი. არმანდი. „სოციალ-დემოკრატის“ უკანასკნელი, 58-ე ნომერი გამოვიდა 1917 წლის 31 იანვარს. იგი, როგორც პარტიის ცენტრალური ორგანო, შეცვალა გაზეთმა „პრავდამ“, რომლის გამოცემა 1917 წლის 5 (18) მარტს განახლდა.

გაზეთის გარდა ცენტრალური ორგანოს რედაქცია გამოსცემდა ჟურნალ „კომუნისტს“ (1915 წ.) და „სოციალ-დემოკრატის კრებულს“ (1916 წ.). ჟურნალსა და კრებულშიც უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა III, სოციალისტური ინტერნაციონალის შექმნის აუცილებლობას, ეროვნულ საკითხს და, რაც მთავარია, აქტუალურ თეორიულ პრობლემებს.

დიდი სიძნელეების მიუხედავად ფურცლების, გაზეთების, ჟურნალების და კრებულების გამოსაცემად მნიშვნელოვანი საქმიანობა გააჩაღეს რსდმპ ადგილობრივმა კომიტეტებმა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდნენ ადგილობრივი გაზეთები „პროლეტარსკი გოლოსი“ (პეტროგრადი) და „ნაშა გაზეტა“ (სარატოვი). ამ ბეჭდვითი ორგანოების გარდა გამოდიოდნენ, აგრეთვე, „პროლეტარსკოე სლოვო“ (როსტოვი), „ზვეზდა“ და „იუჟნაია პრავდა“ (ეკატერინოსლავი), „პრავდა ტრუდა“ (დონბასი), „გოლოს სოციალ-დემოკრატა“ (ხარკოვი), „ტოვარიშჩ პროლეტარია“ (ირკუტსკი) და სხვ.

ჟურნალებს შორის წამყვანი ადგილი ეკავა „ვოპროსი სტრახოვანიას“, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე გამოდიოდა და ბოლშევიკებმა მოახერხეს 1915 წელს აღედგინათ მისი გამოცემა. ჟურნალის ომის პერიოდის № 1 (39) გამოვიდა 20 თებერვალს (5 მარტს), იგი ყოველთვიური იყო, სულ გამოიცა 25 ნომერი. „ვოპროსი სტრახოვანია“, ისევე როგორც წინა წლებში, ფართოდ აშუქებდა მუშათა ცხოვრებას. ჟურნალი მუშებს განუმარტავდა იმპერიალისტური ომის ნამდვილ არსს მთელი მისი შედეგებით (შიმშილი, ნგრევა, გაჩანაგება), ცენზურის პირობებში ყველა საშუალებას ხმარობდა, რათა პროლეტარული მასები დაერაზმა მეფის მთავრობის მიერ დევნილი ბოლშევიკური პარტიის გარშემო. ჟურნალ „ვოპროსი სტრახოვანიას“ მნიშვნელობა ომის პერიოდში განუზომლად იზრდებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მაშინ ბოლშევიკური პარტიის ერთადერთ ლეგალურ საერთო-რუსეთის პერიოდულ ორგანოს წარმოადგენდა.

ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად აკრიტიკებდნენ ბურჟუაზიულ და შემთანხმებლურ გაზეთებს, აქარწყლებდნენ სოციალ-შოვინისტების ცდებს რეაქციულ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში ჩაეთრიათ მუშები. 1916 წლის მაისში № 5 (54)-ში „ვოპროსი სტრახოვანია“ აქვეყნებს ვ. ი. ლენინის მიერ სპეციალურად ამ ჟურნალისათვის დაწერილ სტატიას „გერმანული და არაგერმანული შოვინიზმის შესახებ“, რომელიც მკაცრად ამხილებდა სოციალ-შოვინისტების გამცემლობას. ამავე ნომერში ჟურნალმა ფართოდ აღნიშნა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღე (ცერძოდ, აქ დაიბეჭდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი მისალმებები). შემდგომ ორმაგ (№ 6—7) ნომერში ავტორები დაჟინებით ეწეოდნენ მუშათა გაზეთის გამოცემის განახლების იდეის პროპაგანდას, ამასთანავე, მათ მხედველობაში ჰქონდათ მუშებისათვის კარგად ცნობილი გაზეთი „პრავდა“, რაზედაც აშკარად მიუთითებდნენ. ჟურნალის გარეგნული სახე, განყოფილებები და რუბრიკები იგივე იყო ომის წლებში, როგორც ომამდელ პერიოდში. აქაც პოეტ-პრავდისტების ბევრი ლექსი ქვეყნდებოდა.

ყველა თავისი მასალით ბოლშევიკური ჟურნალი ყოველმხრივ

ხელს უწყობდა მუშების აღზრდას ომისა და მისი გამჩაღებლებისადმი სიძულვილის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ამზადებდა პროლეტარიატს ახალი რევოლუციისათვის. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჟურნალი „ვოპროსი სტრახოვანია“ გამოდის როგორც რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სადაზღვევო ორგანო.

ომის პერიოდის რუსეთში სხვა ჟურნალებიც გამოდიოდა, კერძოდ, „ტექსტილშჩიკი“ (პეტროგრადი), „გოლოს პეჩატნოგო ტრუდა“ (მოსკოვი), „ნაშე სლოვო“ (კინეშმა), „ზარია პოვოლჟია“ (სამარა), „პრიკუბანსკიე სტეპი“ (ეკატერინოგრადი). ადგილობრივი ბოლშევიკური პრესის ყველაზე თვალსაჩინო პუბლიცისტი იყო მ. ოლმინსკი. იგი არა მარტო ხელმძღვანელობდა „ნაშა გაზეტას“, რედაქტორობდა „გოლოს პეჩატნოგო ტრუდას“, არამედ აქტიურად მონაწილეობდა კრებულების „პოდ სტარიმ ზნამენეს“ და „პრილივის“ მომზადებაგამოცემაში.

რსდმპ ადგილობრივი კომიტეტების ჟურნალ-გაზეთები ლენინური იდეების ჭეშმარიტი გამტარებლები იყვნენ, რაზმავდნენ რუსეთის მუშებსა და გლეხებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ადგილობრივი კომიტეტებისა და მათი ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობისათვის პროგრამული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის სტატიას „რამდენიმე თეზისი“, რომელიც „სოციალ-დემოკრატის“ № 47-ში დაიბეჭდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდის ბოლშევიკური პრესა წარმოადგენს პარტიის გმირული ბრძოლის შესანიშნავ მატიანეს მუშათა და გლეხთა ფართო მასების დარაზმვისათვის მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად. მან გვიჩვენა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, სოციალიზმის საქმის ერთგულების შესანიშნავი მაგალითი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია. თხზ., ტ. 21, გვ. 13—24.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ. თხზ., ტ. 21, გვ. 21, გვ. 110—115.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. სოციალიზმი და ომი. თხზ., ტ. 21, გვ. 357—412.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ. თხზ., ტ. 21, გვ. 413—418.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რამდენიმე თეზისი. თხზ., ტ. 21, გვ. 490—494.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. წერილები შორიდან. თხზ., ტ. 24, გვ. 387—392.

Большевистская печать. Краткие очерки истории М., 1962.

Большевистская печать. Сб. материалов, вып. 3, М., 1959

А. Б а д а е в. Большевики в Государственной думе. Воспоминания. М., 1954.

А. Ф. Бережной. Русская легальная печать в годы первой мировой войны. Л. 1975.
И. В. Кузнецов, С. С. Матвиенко. Центральный орган РСДРП газета «Социал-демократ». М., 1978.

თემა მეშვიდე

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების პერიოდში (1917 წ. მარტი—ოქტომბერი)

პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა რუსეთის ხალხებს აურაცხელი ტანჯვა და გასაჭირი მოუტანა. ქვეყნად მწიფდებოდა რევოლუცია. 1917 წლის თებერვალში პეტროგრადის პროლეტარიატისა და რევოლუციურად განწყობილი ჯარების იერიშის შედეგად მეფის თვითმპყრობელობა დაეცა. მაგრამ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია მოექცა, თუმცა ხალხის ზურგს უკან შექმნილი ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის გვერდით არსებობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. მენშევიკებმა და ესერებმა მშრომელთა მოტყუების წყალობით ხელში ჩაიგდეს საბჭოების ხელმძღვანელობა და ცდილობდნენ იგი დროებითი მთავრობის დანამატად გადაექციათ. ხელისუფლების სათავეში მოსულ ბურჟუაზიას თავისი კლასობრივი ბუნების გამო არც შეეძლო და არც უნდოდა დაეკმაყოფილებინა მშრომელთა მასების არსებითი საჭიროებანი. დროებითი მთავრობა, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან, მიისწრაფოდა იმპერიალისტური ომის გაგრძელებისაკენ. იგი, ამასთანავე, სრულიად არ ფიქრობდა არც გლეხებისათვის მემამულეთა მიწების გადაცემას, არც რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღებას და მუშათა კლასის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და არც სახელმწიფო ხელისუფლების ძველი აპარატის მოსპობას. ამრიგად, ბოლშევიკების წინაშე დაისახა მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადაცემის, მათში უმრავლესობის მოპოვების ამოცანა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ამოცანა. ამ პირობებში ბოლშევიკებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ მძლავრ და ბასრ იარაღს, როგორიც იყო ბეჭდვითი სიტყვა.

თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ქვეყნის ყველა კუთხეში არსებული ბოლშევიკური ორგანიზაციები გადამჭრელ ზომებს იღებენ პარტიული პრესის აღდგენისათვის, რომელიც მეფის ხელისუფლებამ იმპერიალისტური ომის წლებში გაანადგურა. ზრუნავენ ჟურნალ-გაზეთების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. მეფის თვითმპყრობელობის დამხობის მეხუთე დღეს 1917 წლის 5 (18) მარტს პეტროგრადში განახლდა ყოველდღიური გაზეთის „პრავდის" გამოცემა, რომელიც ამ დროიდან ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გახდა. მთელი თავისი საქმიანობით „პრავდა" ხელს უწყობდა მასების განათლებისა და აღზრდის საქმეს, ეხმარებოდა პარტიას გამოემუშავებინა და ცხოვრებაში გაეტარებინა ტაქტიკური ხაზი რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე. „პრავდის" საშუალებით პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისადმი იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მეცადინეობით რსდმპ (ბ) VI ყრილობის დროისათვის ქვეყანაში გამოდიოდა 40-ზე მეტი ბეჭდვითი ორგანო, რომელთა საერთო ტირაჟი დაახლოებით 1,5 მილიონი ეგზემპლარი იყო, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ბოლშევიკთა პრესის ორგანოები თითქმის გაორმაგდა.

ბეჭდვითი სიტყვისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის 1917 წლის მაისში პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ბეჭდვითი სიტყვის ბიურო, რომელმაც ივნის-ივლისში გამოუშვა ოთხი სპეციალური „ბიულეტენი", მათში მოთავსებული იყო ლიტერატურული მასალები ადგილობრივი ბოლშევიკური ჟურნალ-გაზეთებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე სისტემატურად განიხილავდნენ პარტიული პრესის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. პარტიის ჩამოჩენილი მოღვაწენი ვ. ი. ლენინის მეთაურობით უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ უმნიშვნელოვანეს ბეჭდვით ორგანოებს, აქტიურად თანამშრომლობდნენ მათში.

ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბეჭდვითი სიტყვის საქმიანობაში 1917 წელს შეინიშნება ორი ძირითადი ეტაპი, რომლებიც გაპირობებული იყო თვით რევოლუციის განვითარების მსვლელობით. პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს თებერვლიდან ივლისის დღეებამდე, დროებითი მთავრობის მიერ სახალხო დემონსტრაციის დახვრეტამდე. ამ ეტაპზე პარტიას აღებული ჰქონდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების კურსი ლოზუნგით „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" თავისი პრესის საშუალებით იგი იბრძოდა საბჭოების ერთხე-

ლისუფლებიანობისათვის, მათში უმრავლესობის მოპოვებისათვის. დიდ პოლიტიკურ მუშაობას ახორციელებდა ფრონტსა და ზურგში. დაუღალავად ეწეოდა პროპაგანდას და აგიტაციას მუშებში, ჯარისკაცებსა და გლეხებში, რაზმავდა მათ ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო.

მართალია, 1917 წლის მარტ-ივნისში ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა ლეგალური იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მუშაობა უხდებოდა უაღრესად რთულ და ძნელ პირობებში. ბურჟუაზიული პრესა მენშევიკებისა და ესერების ბეჭდვითი ორგანოების დახმარებით მიმართავდა აღვირახსნილ ცილისწამებასა და დევნას ბოლშევიკებისა და მათი ჟურნალ-გაზეთების მიმართ. ამასთანავე, ქაღალდი, სტამბები, ექსპედიცია და სხვ. ბურჟუაზიის ხელში იყო და, ცხადია, ბოლშევიკურ გამოცემათა რედაქციები დიდ სიძნელეებს განიცდიდნენ. მხოლოდ მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერის წყალობით პარტია ახერხებდა ყველა წინააღმდეგობის გადალახვას და განამტკიცებდა თავის პრესას, რომელსაც იგი პოლიტიკური ბრძოლის ბასრ იარაღად იყენებდა.

1917 წლის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში მეორე ეტაპია ივლის-ოქტომბრის მონაკვეთი. ეს იყო მძაფრი კლასობრივი ბრძოლის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდი. ესერები და მენშევიკები, რომლებმაც საბოლოოდ უღალატეს ხალხს, კონტრრევოლუციის გზას დაადგნენ. საბჭოები მათ ხელში დროებითი მთავრობის მორჩილი გახდა, ორხელისუფლიანობა დამთავრდა. დაიწყო ბოლშევიკებისა და მათი ბეჭდვითი ორგანოების დევნა. ამ პირობებში პარტიამ დროებით მოხსნა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ პარტიის VI ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ბურჟუაზიული ხელისუფლების შეიარაღებული აჯანყებით დამხობის თაობაზე.

კონტრრევოლუცია, რომელსაც მხარს უჭერდნენ შემთანხმებლები, ამზადებდა პროვოკაციებსა და შეთქმულებებს. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო კორნილოვის აჯანყება, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში სამხედრო დიქტატურის დამყარება. რუსეთის ბურჟუაზიას აქტიურად ეხმარებოდნენ სხვა ქვეყნების იმპერიალისტები. ამ რთულ და მწვავე პოლიტიკურ ვითარებაში ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა პარტიის ხელმძღვანელობით რაზმავს მასებს კონტრრევოლუციის ასალაგმავად. ბრძოლის მსელელობაში მშრომელები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სიმართლეში, იზრდება საბჭოების ბოლშევიზაციის პროცესი. პარტიის მოწოდებით პეტერბურგის რევოლუციურმა მასებმა გაანადგურეს კორნილოველი ამბოხებულები.

ამ პერიოდში ბოლშევიკური პრესის თავისებურება ის იყო, რომ იგი, ამზადებდა რა მასებს შეიარაღებული ბრძოლისათვის, აჯანყებისათვის, ააშკარავებდა კონტრრევოლუციის ხრიკებს, დროებითი მთავრობის ანტიხალხურ მოქმედებას, უჩვენებდა ქვეყნის საშინელ მდგომარეობას: სამეურნეო ნგრევას, ხალხის სიღატაკესა და შიმშილს, იმპერიალისტური ომით გამოწვეულ დაუსრულებელ მსხვერპლს. იგი პროპაგანდას უწევდა პარტიის პროგრამულ დებულებებს სოციალისტური რევოლუციის გზების შესახებ, განმარტავდა, რომ ქვეყნის ხსნა შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ ხალხს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. პარტიულმა ბეჭდვითმა სიტყვამ შეასრულა რევოლუციური ძალების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის როლი ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად, და როდესაც მშრომელთა მასების თავგანწირული ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა, მთელ მსოფლიოს ამცნო რუსეთში ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

როგორც ზემოთ ითქვა, „პრავდის“ გამოცემა აღდგა 1917 წლის 5 (18) მარტს და ამ ხნის განმავლობაში მისი 99 ნომერი გამოიცა. გაზეთის ტირაჟი 85—100 ათასი ეგზემპლარი იყო. დასაწყისში „პრავდა“ იბეჭდებოდა ჟურნალ „სელსკი ვესტნიკის“ სტამბაში, ხოლო შემდგომ პარტიულ სტამბაში, რომელიც „ტრუდის“ სახელწოდებით არის ცნობილი. გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნდა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი „რუსეთის ყველა მოქალაქეს“, რომელშიც მოცემული იყო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შეფასება და დასახული იქნა პარტიისა და პროლეტარიატის უახლესი ამოცანები. ვ. ი. ლენინი, რომელიც ამ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მხურვალედ მიესალმა „პრავდის“ გამოცემის აღდგენას. მან გაზეთისათვის დაწერა „წერილები შორიდან“, რომლის პირველი ნაწილი „პრავდის“ №№ 14 და 15-ში დაიბეჭდა. ხოლო, როდესაც ვ. ი. ლენინი რუსეთში 3 (16) აპრილს დაბრუნდა, იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს „პრავდას“. გაზეთის ფურცლებზე მისი 160-ზე მეტი სტატია, შენიშვნა და სხვა მასალა გამოქვეყნდა.

სხვადასხვა დროს „პრავდის“ რედაქციაში შედიოდნენ: კ. ერემეევი, მ. კალინინი, ვ. მოლოტოვი, მ. მურანოვი, მ. ოლმინსკი, ი. სტალინი, მ. ულიანოვა (რედაქციის მდივანი) და სხვ. გაზეთის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: კ. ბონჩ-ბრუევიჩი, დემიან ბედნი, ა. კოლონტაი, ნ. კრუპსკაია, კ. სამოილოვა, ლ. სტალი, პ. სტუჩკა და სხვ.

პარტიისათვის, პროლეტართა მასებისათვის, რევოლუციის განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „პრავდის“ 7 (20) აპრილის ნომერში (№ 26) გამოქვეყნებულ ვ. ი. ლენინის სტა-

ტიას „პროლეტარიატის ამოცანების შესახებ მოცემულ რევოლუციაში“. მასში გადმოცემული იყო ვ. ი. ლენინის ცნობილი აპრილის თეზისები, რომლებშიც მითითებული იყო საორიენტაციო გზები პარტიის და მუშათა კლასისათვის რევოლუციური ბრძოლის ახალ პირობებში მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ. გაზეთმა შემდგომ ფართოდ გააშუქა რსდმპ (ბ) პეტროგრადისა და სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის მუშაობა, სადაც ლენინურმა თეზისებმა და ლოზუნგებმა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ სრული მხარდაჭერა ჰპოვა. „პრავდაში“ 26 აპრილიდან (9 მაისიდან) 2 (15) მაისამდე ყოველდღიურად იბეჭდებოდა ანგარიშები აპრილის კონფერენციის მიმდინარეობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს ისტორიული დოკუმენტები სწორედ აქედან გადაიბეჭდებოდა ხოლმე ადგილობრივ ბოლშევიკურ გაზეთებში და ამრიგად ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდნენ. „პრავდის“ ფურცლებზე შუქდებოდა მთელი ის უდიდესი მუშაობა, რომელსაც პარტია აწარმოებდა აპრილის თეზისებითა და აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. ნომრიდან ნომერში თვით იელისის ამბებამდე „პრავდა“ პროპაგანდას უწევდა ლენინურ ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, რომელიც განსაზღვრავდა უახლოეს პოლიტიკურ ამოცანებს. გაზეთში ქვეყნდებოდა ყველა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი.

გაზეთის მასალების თემატიკა უაღრესად ფართო და მრავალფეროვანი იყო. „პრავდა“ აშუქებდა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებს, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ათავსებდა მასალებს საერთაშორისო ცხოვრების საკითხებზე, ბეჭდავდა ფართო ინფორმაციას, აქტიურად ეხმაურებოდა ყველა საჭირბოროტო პრობლემას. „პრავდა“ ეხმარებოდა ბოლშევიკურ პარტიას მასებისადმი ხელმძღვანელობის განხორციელებაში, ამზადებდა მშრომელებს სოციალისტური რევოლუციისათვის, ზრდიდა პროლეტარიატს, განმარტავდა ბოლშევიკურ ლოზუნგებს, რაზმავდა მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს პარტიის გარშემო, ააშკარავებდა რევოლუციის მტრებს, ნიღაბს ხდიდა შემთანხმებლებს — მენშევიკებსა და ესერებს. გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევდა მასობრივი პოლიტიკური კამპანიების ჩატარებას, იყენებდნენ მათ მშრომელთა დასარაზმავად პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტისათვის. ასეთი კამპანიები იყო: დემონსტრაციების მოწყობა, არჩევნები საქალაქო სათათბიროში, საბჭოების I ყრილობისათვის მზადება და სხვ.

ბურჟუაზიულმა პრესამ გააჩაღა ცილისმწამებლური შეტევა „პრავდის“ წინააღმდეგ. დევნის ინიციატორად გამოვიდა კონტრრე-

ვოლუციური გაზეთი „რუსსკაია ვოლია“. ამ კამპანიაში ჩაერთო ესერულ-მენშევიკური ბეჭდვითი სიტყვაც. „პრავდა“ საკადრის პასუხს აძლევდა ცილისმწამებლებს. ამ ბრძოლაში მას მხარს უჭერდნენ მუშები და ჯარისკაცები, რომლებიც „პრავდას“ თავის გაზეთად თვლიდნენ. მათ შეჰქმნეს „პრავდის“ ე. წ. „რკინის ფონდი“ და რედაქციას უგზავნიდნენ მრავალრიცხოვან შემოწირულობებს გაზეთის გამოსაცემად, სტამბისა და ქალალდის შესაძენად და სხვ.

„პრავდა“ ხელმძღვანელ როლს ასრულებდა მთელი ბოლშევიკური პრესის მიმართ. მისგან სწავლობდნენ ადგილობრივი ბოლშევიკური გაზეთები. „პრავდის“ ფურცლებზე მასალები წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი ფორმებითა და ჟანრებით. მოწინავე და სხვა სტატიებთან ერთად ნომრიდან ნომერში იბეჭდებოდა მოკლე შენიშვნები, კორესპონდენციები, ანგარიშები, პრესის მიმოხილვები, რევოლუციური სიმღერები და ლექსები, ფელეტონები, იგავ-არაკები, სატირული სცენები. გაზეთისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების წერილების დიდი რაოდენობით გამოქვეყნება უკლებლივ ყველა ნომერში, აგრეთვე რეზოლუციების პუბლიკაციები, რომლებიც მიღებული იყო მიტინგებზე, კრებებზე, გლეხთა შეკრებებზე. ამ პერიოდში „პრავდის“ მუდმივი განყოფილებები იყო: „რევოლუცია“ (ზოგჯერ — „რევოლუცია პროვინციაში“), „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“, „მუშათა მოძრაობა“, „პროფკავშირული მოძრაობა“, „სამხედრო განყოფილება“, „მუშათა და ჯარისკაცთა ერთობა“, „გლეხური მოძრაობა“, „პრესის მიმოხილვა“, „ქრონიკა“ და სხვ. მასებში გაზეთის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს მის ფურცლებზე მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების მისალმებების ნაკადის გამოქვეყნება.

1917 წლის 5 (18) ივლისს დროებითი მთავრობის ბრძანებით „პრავდის“ რედაქცია გაანადგურეს იუნკრებმა და კაზაკებმა. მეორე დღეს პარტიულ სტამბა „ტრუდში“ — მისი მე-100 ნომრის ნაცვლად გამოვიდა «ლისტოკ „პრავდი“», მაგრამ იმავე დღეს სტამბაც ასევე განადგურდა და გაზეთი ოფიციალურად დახურეს. ივლის-ოქტომბერში დროებითი მთავრობის მიერ დევნილი „პრავდა“ გამუდმებით იცვლიდა სახელწოდებას და გამოდიოდა როგორც „ლისტოკ „პრავდი“ (1 ნომერი), „პროლეტარი“ (10 ნომერი),[14], „რაბოჩი“ (12 ნომერი), „რაბოჩი პუტი“ (46 ნომერი). 1917 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) გაზეთმა გამოსვლა დაიწყო თავისი ძველი სახელწოდებით — „პრავდა“.

---

14 მის გამოცემამდე პარტიის ცენტრალური ორგანოს ფუნქციას რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ასრულებდა გაზეთი „რაბოჩი ი სოლდატი“, რომელსაც რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია უშვებდა.

«ლისტოკ „პრავდის“» ერთადერთი ნომერი გამოვიდა 1917 წლის 6 (19) ივლისს. რედაქციის განცხადებაში ნათქვამი იყო: «იმის გამო, რომ საშუალება არა გვაქვს დღეს გამოვუშვათ „პრავდის“ მორიგი ნომერი, ჩვენ ვუშვებთ „ლისტოკ „პრავდის“....» გაზეთის ნომერი იხსნებოდა პარტიის ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტების მიმართვით „სიმშვიდე და თავშეკავება“. შემდეგ გამოქვეყნებული იყო ვ. ი. ლენინის ხუთი ნაშრომი: „სად არის ხელისუფლება და სად არის კონტრრევოლუცია?“, „შავრაზმული გაზეთებისა და ალექსინსკის საზიზღარი ცილისწამება“, „ავყიაობა და ფაქტები“, „დედაარსთან საახლოვე“, „დრეიფუსის ახალი საქმე?“ ამ ნაშრომებში მოცემულია მომენტის პოლიტიკური შეფასება, ნაჩვენებია ივლისის მოვლენების მნიშვნელობა და მხილებული არიან ხალხის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორები. «ლისტოკ „პრავდიმ“» კონტრრევოლუციის ბანაკში ახალი გაცოფება გამოიწვია. მისი გავრცელებისათვის იმავე დღეს პეტროგრადში იუნკრებმა მხეცურად მოკლეს მუშა-პრავდისტი ივანე ვოინოვი.

ორი კვირის განმავლობაში პარტიას არ ჰქონდა საშუალება პეტროგრადში გამოეცა თავისი ბეჭდვითი ორგანო. მხოლოდ 23 ივლისს (5 აგვისტოს) შესაძლებელი გახდა ყოველდღიური გაზეთის „რაბოჩი ი სოლდატის“ გამოშვება დროებითი მთავრობის მიერ დახურული „სოლდატსკაია პრავდის“ ნაცვლად. იგი გამოდიოდა 1917 წლის 9 (22) აგვისტომდე. სულ გამოვიდა 15 ნომერი, მისი ტირაჟი 50—70 ათას ეგზემპლარს შეადგენდა. გაზეთის რედაქციაში შედიოდნენ: ა. ილინ-ჟენევსკი, ვ. ნევსკი, ნ. პოდვოისკი, ბ. შუმიაცკი და სხვ. როგორც ითქვა, პარტიის გადაწყვეტილებით ამ გაზეთს ცენტრალური ორგანოს ფუნქცია უნდა შეესრულებინა, ერთდროულად შეეცვალა როგორც „სოლდატსკაია პრავდა“, ისე „პრავდაც“. გაზეთის საერთოპარტიულ ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ ი. სვერდლოვი, ი. სტალინი. მასში თანამშრომლობდნენ, აგრეთვე, დემიან ბედნი, ბ. ბრესლავი, ა. კოლონტაი, კ. მეხონოშინი, კ. სამოილოვა, ე. იაროსლავსკი და სხვ. გაზეთის მუდმივ განყოფილებებში რუბრიკებით „მუშათა მოძრაობა“, „ჯარისკაცების წერილები“, „ხმა ფრონტიდან“ იბეჭდებოდა მკითხველთა წერილები და შენიშვნები, მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგების რეზოლუციები. გარდა ამისა, გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა სტატიები და სხვა მასალები, რომლებიც განმარტავდნენ მიმდინარე მომენტს, ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკასა და ლოზუნგებს.

პარტიის VI ყრილობის მუშაობის დღეებში, რომელიც პეტროგრადში ნახევრად ლეგალურად ტარდებოდა 1917 წლის 26 ივლისიდან (8 აგვისტოდან) 3 (16) აგვისტომდე, გაზეთში თავსდებოდა ან-

გარიშები მისი სხდომების შესახებ (ოღონდ მითითებული არ იყო, სად ტარდებოდა ეს სხდომები), გადმოცემული იყო მოხსენებების მოკლე შინაარსი, ქვეყნდებოდა ყრილობისადმი მისალმებები, გამოხმაურებები მის გადაწყვეტილებებზე. გაზეთის № 12-ის დამატებად რედაქციამ გამოუშვა სპეციალური დამატება, რომელშიც დაიბეჭდა ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები. ამასთანავე გაზეთმა ფართო მუშაობა გაშალა ყრილობის მასალების პროპაგანდისა და ახსნა-განმარტებისათვის. „რაბოჩი ი სოლდატის" ბოლოსწინა № 14-ში მოწინავე სტატიად გამოქვეყნდა „მოსკოვის თათბირის წინააღმდეგ". რომელიც ცენტრალური კომიტეტის დავალებით ი. სტალინმა დაწერა. მასში მხილებულია დროებითი მთავრობის მიერ მოწვეული ე. წ. სახელმწიფო თათბირის კონტრრევოლუციური ხასიათი. გაზეთის № 15-ის გამოსვლის შემდეგ დროებითმა მთავრობამ იგი დახურა. შემდგომში რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საშხედრო ორგანიზაციის ორგანოს სახით იგი შეცვალა გაზეთმა „სოლდატმა", ხოლო პარტიის ცენტრალური ორგანოს სახით კი — გაზეთმა „პროლეტარმა".

„პროლეტარის" პირველი ნომერი გამოიცა 1917 წლის 13 (26) აგვისტოს, ანუ „რაბოჩი ი სოლდატის" დახურვის მესამე დღეს და გამოდიოდა 26 აგვისტომდე (6 სექტემბრამდე), სულ დაიბეჭდა 10 ნომერი. ცენტრალური ორგანოს რედაქციაში შედიოდნენ მ. ვოლოდარსკი, ვ. მილიუტინი, ი. სტალინი და სხვ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა, აგრეთვე, „თანამშრომელთა გაფართოებული კოლეგია", რომელიც განყოფილებათა გამგეებისაგან შედგებოდა. გაზეთის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასში 12 განყოფილება შედიოდა: პარტიული ცხოვრების (ი. სვერდლოვი), პოლიტიკურ გამოხმაურებათა განყოფილება (დ. მანუილსკი), მუნიციპალური და უცხოეთის განყოფილებები (მ. ურიცკი), ჯარისკაცული (ვ. მენჟინსკი, ვ. ნევსკი), საგლეხო (ვ. ნევსკი), საფაბრიკო-საქარხნო და სადაზღვევო განყოფილებები (ნ. სკრიპნიკი), აგრეთვე, პროფესიული, სასურსათო და სხვა განყოფილებები. ცხადია, ყველა ამ განყოფილებამ „პროლეტარის" ხანმოკლე არსებობის გამო სათანადოდ ვერ გაშალა მუშაობა. ეს პროცესი გაგრძელდა შემდგომ გამოცემულ გაზეთებში „რაბოჩიში" და „რაბოჩი პუტში". „პროლეტარში" ყველაზე უფრო რეგულარულად ჩნდებოდა რუბრიკები: „მუშათა ცხოვრება", „პროვინცია", „უკანასკნელი ცნობები", „მიმდინარე მომენტი".

ვ. ი. ლენინი, რომელიც იძულებული იყო იმ დროს იატაკქვეშეთში გადასულიყო, ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალური ორგანოს საქმიანობას და თანამშრომლობდა მასში. „პროლეტარში" პირველად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები: „კამენევის გამოსვლის

შესახებ ცაკ-ში სტოკჰოლმის კონფერენციის გამო“ (№ 3), „ქვებს ხედავს, რიყეს ვერაო“ (№ 6), „პოლიტიკური შანტაჟი“ (№ 10). გაზეთი აგრძელებდა „რაბოჩი ი სოლდატის“ მიერ დაწყებულ მუშაობას VI ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის დარგში. „პროლეტარის“ № 1-ში გამოქვეყნდა პარტიის VI ყრილობის დავალებითა და სახელით შედგენილი „მანიფესტი“, რომელშიც პარტია მოუწოდებდა მუშებს, ჯარისკაცებს, გლეხებს ყოველმხრივ მოემზადებინათ ძალები ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. ყრილობის მასალების ბეჭდვა „პროლეტარის“ შემდგომ ექვს ნომერში გრძელდებოდა.

ქვეყნად მდგომარეობა უაღრესად რთული იყო. კონტრრევოლუცია სულ უფრო მეტად გადადიოდა შეტევაზე, ამზადებდა შეთქმულებას. სწორედ ამ მიზნისათვის იყო განკუთვნილი მოსკოვში მოწვეული ე. წ. სახელმწიფო თათბირი. ბოლშევიკური პარტია უნარიანად იყენებდა თავის გაზეთ „პროლეტარს“ შეთქმულთა მხილებისათვის, მოუწოდებდა მასებს სიფხიზლისა და ორგანიზებულობისაკენ. მოსკოვის პროლეტარიატის გაბედულმა გამოსვლამ, რაც გამოიხატა სახელმწიფო თათბირის მოწვევის წინააღმდეგ გამართული 400 ათასიანი გაფიცვით, „პროლეტარის“ ფურცლებზე მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. „მოსკოვი გაფიცულია. გაუმარჯოს მოსკოვს!“ — წერდა გაზეთი თავისი პირველი ნომრის მოწინავეში. ბოლშევიკური გაზეთის მამხილებელმა საქმიანობამ რევოლუციის მტრების ბანაკში გაბოროტება გამოიწვია. 24 აგვისტოს (6 სექტემბერს) დროებითმა მთავრობამ გაზეთი „პროლეტარი“ დახურა, მისი უკანასკნელი მე-10 ნომერი ხელისუფლებამ ნაწილობრივ ჩაიგდო ხელში.

მაგრამ ხელისუფლებამ ვერ შესძლო ბოლშევიკური სიმართლის ჩახშობა: მეორე დღესვე 25 აგვისტოს (7 სექტემბერს) პარტიის ცენტრალურმა ორგანომ განაახლა გამოსვლა „რაბოჩის“ სახელწოდებით. ახალმა ყოველდღიურმა გაზეთმა, რომელიც 50-ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა, სულ ცხრა დღე იარსება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში 12 ნომერი გამოიცა (ცალკეულ დღეებში უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან დაკავშირებით ორ-ორი ნომერი იბეჭდებოდა — ძირითადი და საგანგებო). გაზეთში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვოლოდარსკი, ვ. მილიუტინი, მ. საველიევი, ი. სტალინი და სხვ.

„რაბოჩის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის შემდეგი სტატიები: „ქაღალდის რეზოლუციები“, „სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ“ (№ 2); „პუბლიცისტის დღიურიდან. გლეხები და მუშები“ № 6); „რევოლუციის გაკვეთილები“ (№№ 8 და 9), „ცილისმწამებელთა შესახებ“ (№ 8) და სხვ. აღსანიშნავია, რომ „რაბოჩი-ს“ № 1-ში მეორეჯერ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „პოლიტიკური

შანტაჟი“, რომელიც მანამდე გამოქვეყნდა გაზეთ „პროლეტარის“ ბოლო ნომერში, რომლის ტირაჟის ნაწილი, როგორც ზემოთ ითქვა, ხელისუფლებამ ჩაიგდო ხელში. რაც შეეხება განყოფილებებსა და რუბრიკებს, ისინი ძირითადად ისეთივე დარჩნენ, როგორც „პროლეტარში“.

გაზეთის მთელი სახე მეტყველებს იმაზე, რომ იგი გამოდიოდა კონტრრევოლუციური კორნილოვის ამბოხების მრისხანე დღეებში. ნომრიდან ნომერში „რაბოჩის“ ფურცლებზე ჩნდება ანშლაგები და რუბრიკები: „შეთქმულება რევოლუციის წინააღმდეგ“, „ბურჟუაზიის შეთქმულება“, „ბურჟუაზიისა და კორნილოვის შეთქმულება“, „ბურჟუაზიისა და მემამულეების შეთქმულება“. გაზეთი ქმედითად ეხმარება ბოლშევიკურ პარტიას მასების მობილიზაციასა და დარაზმვაში შეთქმულთა გასანადგურებლად, აქვეყნებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცებისადმი, მიტინგებისა და კრებების რეზოლუციებს, ოპერატიულ ცნობებს კონტრრევოლუციურ ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლის მსვლელობაზე (ეს მასალები, კერძოდ, იბეჭდებოდა განყოფილებებში „უკანასკნელი ცნობები“ და „ღამის ცნობები“).

მასებში ბოლშევიკური პარტიის უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად კორნილოვის ამბოხება დამარცხდა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა პეტროგრადის პროლეტარიატმა, რომელმაც უმაგალითო სიმტკიცე, მამაცობა და რევოლუციის საქმისადმი თავდადება გამოამჟღავნა. კორნილოვშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის მსვლელობაში ჩვენი პარტია კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო, უმაგალითოდ გაიზარდა მისი ავტორიტეტი მასებში. დიდია ამ პერიოდში ცენტრალური ორგანოს დამსახურება. მის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა.

გაზეთი „რაბოჩი“ თავის მასალებში მკაცრად ამხილებდა მენშევიკებისა და ესერების პარტიების შემთანხმებლური პოლიტიკის მთელ დამღუპველობას. გაზეთი მკითხველებს მოუთხრობდა იმის შესახებ, თუ როგორ აქცევდნენ ზურგს ამ პარტიებს მშრომელები და როგორ ირაზმებოდნენ ისინი ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური პარტიის — ბოლშევიკების პარტიის გარშემო. გაზეთი თანმიმდევრულად იტყობინება საბჭოების გადასვლაზე რევოლუციური ბრძოლის გზაზე, ბოლშევიკების მხარეზე. მაგალითად, საგანგებო გამოშვებაში, რომელიც საღამოს 1 (14) სექტემბერს (№ 11) გამოვიდა, გაზეთი მკითხველებს ამცნობს, რომ პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭომ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას დაუჭირა მხარი.

„რაბოჩის“ მე-12 ნომრის გამოსვლის შემდეგ დროებითმა მთავრობამ იგი დახურა, მაგრამ ერთი დღის შემდეგ 3 (18) სექტემბრიდან

რსდმპ (ბ) ცენტრალური ორგანო გამოდის ახალი სახელწოდებით — „რაბოჩი პუტ“. იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე იბეჭდებოდა — 26 ოქტომბრამდე (8 ნოემბრამდე). ამ ხნის განმავლობაში გამოვიდა გაზეთის 46 ნომერი, ხოლო ტირაჟი კი 100 ათას ეგზემპლარს აჭარბებდა.

ცენტრალური ორგანოს რედაქციაში კვლავინდებურად შედიოდნენ: ბ. ვოლოდარსკი, ი. სტალინი და სხვ. გაზეთში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ვ. მილიუტინი, მ. საველიევი, კ. სამოილოვა, ი. სვერდლოვი, ნ. სკრიპნიკი, მ. ურიცკი, ბ. შუმიაცკი და სხვ. „რაბოჩი პუტში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის 10 სტატია: „კომპრომისების შესახებ“, „რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი“, „რევოლუციის ამოცანები“, „კრიზისი მომწიფდა“ და სხვ.

გაზეთი პროპაგანდას უწევდა და იცავდა ლენინურ მიზანდასახულობებს მასების მოსამზადებლად სოციალისტური რევოლუციისათვის, შეიარაღებული აჯანყებისათვის, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. იგი უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა მასებში ესერულ-მენშევიკური გავლენის საბოლოოდ აღმოფხვრისათვის, დაუცხრომლად იღვწოდა მშრომელთა დასარაზმავად პროლეტარიატის პარტიის დროშის გარშემო. ამ მიზნით გაზეთი იყენებდა სხვადასხვა ჟანრებსა და ფორმებს, მათ შორის მხატვრულ ნაწარმოებებსაც, განსაკუთრებით ლექსებს.

„რაბოჩი პუტმა“ დიდი როლი შეასრულა საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის მომზადებაში, რომელიც ჯერ 20 ოქტომბრისათვის იყო დანიშნული, ხოლო საბჭოების ცაკ-ის გადაწყვეტილებით გადატანილ იქნა 25 ოქტომბრისათვის. ნომრიდან ნომერში პირველ გვერდზე ქვეყნდებოდა ანშლაგი მოწოდებით: „ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! ემზადეთ საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობისათვის!.. დაუყოვნებლივ მოიწვიეთ საბჭოების საოლქო ყრილობები!“ გაზეთის ფურცლებზე კვლავ აღორძინდა პარტიის გადაწყვეტილებით ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ შეიარაღებული აჯანყების წინა დღეს, 24 ოქტომბერს (6 ნოემბერს), „რაბოჩი პუტის“ № 44 გამოვიდა მოწოდებით, რომელიც პირველ გვერდზე იყო დაბეჭდილი მსხვილი შრიფტით. კითხვაზე „რა სჭირდებათ მუშებს, ჯარისკაცებს, გლეხებს და ქალაქისა და სოფლის მთელ ღარიბებს?“ — გაზეთი პასუხობდა: „პირველ ყოვლისა, საჭიროა კორნილოველებს ხელიდან გამოვგლიჯოთ ხელისუფლება და გადავცეთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს... ჩვენი უპირველესი მოთხოვნაა: მ თ ე ლ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ს ა ბ ჭ ო ე ბ ს!“ ამის შესახებ იყო ნათქვამი, აგრეთვე, ი. სტალინის მიერ დაწერილ მოწინავე სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა სათაურით

„რა გეჭირდება ჩვენ“. იმავე დღეს, დილით დროებითმა მთავრობამ გასცა ბრძანება გაზეთის დახურვის შესახებ. იუნკერთა შენაერთი თავს დაესხა პარტიულ სტამბას „ტრუდს“, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა. პეტროგრადის საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებით რევოლუციურმა რაზმმა გაწმინდა იუნკრებისაგან შენობა და სტამბასა და რედაქციაში გაძლიერებული დაცვა დააყენა. გაზეთის გამოცემა გაგრძელდა. აჯანყების დღეს, 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) გაზეთი გამოვიდა ანშლაგით: „მთელი ძალაუფლება მუშათა და გლეხთა საბჭოებს! ზავი! პური! მიწა!“ გაზეთ „რაბოჩი პუტის“ უკანასკნელი, № 46 გამოვიდა 25 ოქტომბერს (8 ნოემბერს). იგი იტყობინებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, ხელისუფლების საბჭოების ხელში გადასვლის, საბჭოების II ყრილობის გახსნისა და ვ. ი. ლენინის ისტორიული გამოსვლების შესახებ. მეორე დღიდან, 1917 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) პარტიის ცენტრალურმა ორგანომ განაახლა გამოსვლა „პრავდის“ სახელწოდებით.

1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე „პრავდის“ კვალდაკვალ მრავალ ქალაქში აღმოცენდნენ ბოლშევიკური გაზეთები: მოსკოვში გამოდის „სოციალ-დემოკრატი“, კიევში — „გოლოს სოციალ-დემოკრატა“, თბილისში — „კავკაზსკი რაბოჩი“ (რუსულ ენაზე) და „ბრძოლა“ (ქართულ ენაზე), ოდესაში — „იუჟნი რაბოჩი“, ხარკოვში — „პროლეტარი“, ჩიტაში — „ზაბაიკალსკი რაბოჩი“ და სხვ. ბევრი გაზეთი იბეჭდებოდა ჯარისკაცებისა და გლეხებისათვის. მათგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „სოლდატსკაია პრავდას“, „დერევენსკაია ბედნოტას“ (პეტროგრადი), „დერევენსკაია პრავდას“ (მოსკოვი). დიდი დამსახურება მიუძღვით, აგრეთვე, ჟურნალებს: „რაბოტნიცას“, „პროსვეშჩენიესა“ და „ვოპროსი სტრახოვანიას“.

1917 წლის ადგილობრივი ბოლშევიკური პრესიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლშევიკების მიერ მოსკოვში გამოცემული ყოველდღიური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში 1917 წლის 7 (20) მარტიდან გამოდიოდა 47—60 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით. მან იარსება 1918 წლის მარტამდე, როდესაც იგი „პრავდას“ შეუერთდა (ამ დროისათვის „პრავდის“ გამოცემა პეტროგრადიდან მოსკოვში იქნა გადმოტანილი).

გაზეთი შეიქმნა როგორც რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის ბიუროსა და მოსკოვის კომიტეტის ორგანო (შემდგომში იგი გახდა პარტიის მოსკოვის საოლქო ბიუროსა და მოსკოვის კომიტეტის, ხოლო მოგვიანებით რსდმპ მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის ორგანოც). რედაქციის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდ-

ნენ: მ. ოლმინსკი, ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, ვ. სმირნოვი, ვ. სოლოვიოვი, ვ. იაროსლავსკი და სხვ. მათ გარდა გაზეთში მუდმივად თანამშრომლობდნენ სხვა პარტიული მუშაკებიც, გამოცდილი ჟურნალისტები და ლიტერატორები: ა. ბუბნოვი, ბ. ვოლინი, ნ. მეშჩერიაკოვი, ვ. ნოგინი, პოეტი-პრავდისტი ლეონტი კოტომკა (ვ. ზელენსკი) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაცია, რომლის ორგანოსაც წარმოადგენდა „სოციალ-დემოკრატი", აერთიანებდა ცენტრალური სამრეწველო რაიონის თოთხმეტ გუბერნიას — ვლადიმირის, ვორონეჟის, კალუგის, კოსტრომის, კურსკის, მოსკოვის, ნიჟეგოროდის, ორლოვის, რიაზანის, სმოლენსკის, ტამბოვის, ტვერის, ტულისა და იაროსლავის გუბერნიებს. გაზეთი მეტნაკლებად ყველა ამ გუბერნიაში ვრცელდებოდა; მას ზოგჯერ ქვეყნის სხვა რაიონებშიც იწერდნენ.

თავისი საქმიანობის პირველივე ნაბიჯებიდან „სოციალ-დემოკრატმა" აშკარად გამოაცხადა თავისი სოლიდარობა „პრავდასთან", კვალდაკვალ მიჰყვებოდა მის მიმართულებასა და თემატიკას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დამყარებული როგორც ცენტრალურ ორგანოსთან, ისე მრავალ ადგილობრივ ბოლშევიკურ გამოცემასთან. საგულისხმოა, რომ „სოციალ-დემოკრატი" და „პრავდა" ხშირად ერთმანეთისაგან ერადაბეჭდავდნენ ხოლმე უმნიშვნელოვანეს წერილებს. „სოციალ-დემოკრატის" ფურცლებზე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საერთოპარტიული მნიშვნელობის მასალებს. „პრავდის" შემდეგ მან უმალვე გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის „წერილები შორიდან", აგრეთვე კორესპონდენცია ვ. ი. ლენინის ემიგრაციიდან დაბრუნებისა და მასთან პეტროგრადის პროლეტარიატის საზეიმო შეხვედრის შესახებ. გაზეთმა გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები, რსდმპ (ბ) საერთო რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის მასალები, კერძოდ, აქ პირველად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სიტყვის მოკლე ანგარიში, რომელიც მან წარმოსთქვა კონფერენციის გახსნისას, აგრეთვე ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკური ზომების შესახებ, პარტიის VI ყრილობის რეზოლუციები, რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პარტიის მოსკოვის საოლქო ბიუროსა და მოსკოვის კომიტეტის გადაწყვეტილებები, მიმართვები და სხვა დოკუმენტები. ამასთანავე გაზეთი ხშირად აქვეყნებდა გამოხმაურებებს პარტიულ გადაწყვეტილებებზე, რაც თვალნათლივ მიუთითებდა იმაზე, თუ ბოლშევიკური ლოზუნგები როგორ ეუფლებოდნენ მასებს და როგორ ხორციელდებოდნენ ისინი ცხოვრებაში.

გაზეთის მუდმივი განყოფილებები და რუბრიკები იყო: „პარტიული ცხოვრება“, „მუშათა მოძრაობა“, „ფაბრიკებსა და ქარხნებში“, „პროფესიული ცხოვრება“, „ჯარისკაცული ცხოვრება“, „გლეხური ცხოვრება“, „მიტინგები და კრებები“ და სხვ. რედაქცია მოუწოდებდა მშრომელებს აქტიურად ეთანამშრომლათ გაზეთში, რამაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა. „სოციალ-დემოკრატი“ ყოველდღიურად დიდძალ წერილსა და შენიშვნას იღებდა რიგითი მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისაგან. უდავოდ გაზეთის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს მის ფურცლებზე გლეხ გ. ანდრეევის წერილის „პარტიების შესახებ“ გამოქვეყნება, რომელიც თავისი პოლიტიკური ზემოქმედების ძალითა და თავისებურებებით შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენდა. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ მალე ეს წერილი გადაბეჭდეს „პრავდამ“ და სხვა ბოლშევიკურმა ჟურნალ-გაზეთებმა, და რაც მთავარია, მან ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

როგორც სტატიებში, ისე კორესპონდენციებსა და წერილებში „სოციალ-დემოკრატი“ ყურადღებას ამახვილებდა პოლიტიკური დემონსტრაციების, მაისობების, მიტინგების მომზადებისა და ჩატარების გაშუქებას ცენტრალური სამრეწველო რაიონის ყოველ კუთხეში. გაზეთს თავისი მკითხველები ყოველთვის საქმის კურსში პყავდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა სატახტო ქალაქში — პეტროგრადში. კერძოდ, მის ფურცლებზე ფართოდ აღინიშნა 3—5 იელისის მოვლენები. მიუხედავად ხელისუფლების ცდებისა, რომ გაზეთი დაეხურათ, მასების მხარდაჭერის მეოხებით „სოციალ-დემოკრატი“ კვლავ განაგრძობდა არსებობას, ეხმარებოდა ბოლშევიკურ პარტიულ ორგანიზაციებს რსდმპ (ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, მასების მომზადებაში შეიარაღებული აჯანყებისათვის. დიდი როლი შეასრულა გაზეთმა დროებითი მთავრობის მიერ მოსკოვში მოწვეული სახელმწიფო თათბირის მხილებასა და მის ჩაფუშვაში. ასევე პარტიული ორგანიზაციის ბასრი იარაღი იყო „სოციალ-დემოკრატი“ რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლის დღეებში კორნილოვის კონტრრევოლუციური ამბოხების წინააღმდეგ, საბჭოების ბოლშევიზაციისათვის გაშლილ საქმიანობაში.

ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე ორი კვირით ადრე „სოციალ-დემოკრატმა“ პარტიის ცენტრალური ორგანოდან გადმობეჭდა ვ. ი ლენინის სტატია „კრიზისი მომწიფდა“. ამავე დღეებში გაზეთმა გამოაქვეყნა მასალები „ჯარისკაცები წითელი გვარდიის შესახებ“. გაზეთი დაბეჯითებით სვამდა საკითხს მუშათა შეიარაღების შესახებ, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მოსკოვისა და ცენტრალური სამრეწველო რაიონის სხვა ქალაქების მშრომელთა მზადებას სოციალისტური რევოლუციისათვის. 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს)

გაზეთი თავის მკითხველებს აღფრთოვანებით ატყობინებდა დროებითი მთავრობის დამხობას, მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. შემდგომში გაზეთი მოუთხრობდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ ნაბიჯებზე, მის პირველ დეკრეტებზე.

ამიერკავკასიაში ამ პერიოდში, 1917 წლის 11 (24) მარტიდან 1918 წლის თებერვლამდე გამოდიოდა რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის (№ 175-დან რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის) ყოველდღიური ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი“ რუსულ ენაზე 6 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით. რედაქციაში შედიოდნენ: პ. ჯაფარიძე, ს. ქავთარაძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი და სხვ. გაზეთი პარტიის ცენტრალური ორგანოდან სისტემატურად გადმობეჭდავდა ხოლმე ვ. ი. ლენინის სტატიებს („რევოლუციის ერთ-ერთი ძირეული საკითხი“, „ბრძოლა ნგრევასთან“, „კრიზისი მომწიფდა“, „წერილი ამხანაგებს“) და სხვა უმნიშვნელოვანეს მასალებს. გაზეთი პროპაგანდას უწევდა საერთო რუსეთის VII პარტიული კონფერენციისა და პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ფართოდ აშუქებდა კავკასიის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას. გაზეთი საქართველოს კონტრრევოლუციურმა მენშევიკურმა მთავრობამ 1918 წლის 8 თებერვალს დახურა.

თბილისში სხვა ბოლშევიკური გაზეთებიც გამოდიოდა. ქართულ ენაზე 1917 წლის ივნისიდან 1918 წლის თებერვლამდე 5-ათასიანი ტირაჟით იბეჭდებოდა რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის (№ 23-დან რსდმპ (ბ) კავკასიის საოლქო და თბილისის კომიტეტების) ორგანო — გაზეთი „ბრძოლა“ (რედაქტორები ფ. მახარაძე და მ. ცხაკაია); ერთდროულად სომხურ ენაზე თბილისში იცემოდა, აგრეთვე, გაზეთი „ბანვორი კრივი“ („მუშის ბრძოლა“), ხოლო ბაქოში რუსულ ენაზე — „ბაკინსკი რაბოჩი“, სომხურ ენაზე — „სოციალ-დემოკრატ“ და აზერბაიჯანულ ენაზე — „გუმეთი“ („ენერგია“).

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში. თხზ., ტ. 24, გვ. 1—9.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ორხელისუფლებიანობის შესახებ. თხზ., ტ. 24, გვ. 22—26.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ჯარისკაცები და მიწა. თხზ., ტ. 24, გვ. 149—150.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. მარქსიზმი და აჯანყება. თხზ., ტ. 26, გვ. 5—12.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. კრიზისი მომწიფდა. თხზ., ტ. 26, გვ. 70—83.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. წერილი ამხანაგებისადმი. თხზ., ტ. 26, გვ. 653—660.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. წერილი ბოლშევიკების პარტიის წევრებისადმი. თხზ., ტ. 26, გვ. 247—251.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რუსეთის მოქალაქეებისადმი. თხზ., ტ. 26, გვ. 275.

Большевистская печать. Краткие очерки истории. М., 1962.
Большевистская печать. Сб. материалов. вып. 4. М., 1960.
С. А. Андропов. Большевистская печать в трех революциях. М., 1978.
Б. Заславский, И. Сазонов. Х. Астрахон. «Правда» в 1917 году. М., 1962.
Н. Кузнецов, А. Шумаков. Большевистская печать Москвы. М., 1968.
Страницы славной истории. Воспоминания о «Правде». М., 1962.

თემა მერვე

ოქტომბრამდელი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის პუბლიცისტები

ოქტომბრამდელი პერიოდის პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის შესწავლა გულისხმობს ვ. ი. ლენინისა და ლენინის სკოლის პუბლიცისტების: ვ. ვ. ვოროვსკის, მ. ვ. ლუნაჩარსკის, მ. ს. ოლმინსკის, კ. ს. ერემეევის, ე. მ. იაროსლავსკის, ი. სკვორცოვ-სტეპანოვის, ს. გ. შაუმიანის და სხვათა პუბლიცისტური ოსტატობის ანალიზს.

ვ. ი. ლენინმა, რომელიც მრავალწლოვანი ბოლშევიკური გამოცემების წამყვანი პუბლიცისტი და რედაქტორი, საბჭოთა პუბლიცისტიკის ფუძემდებელი იყო, შექმნა პუბლიცისტიკის სხვადასხვა ჟანრის უბადლო ნიმუშები. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების შესწავლა საბჭოთა ჟურნალისტებს ეხმარება თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენონ უმდიდრესი ლენინური გამოცდილება თემის შერჩევის, მის დამუშავებასა და მასალის ლიტერატურულ გამართვასთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინის მასალათა ანალიზისას შემდეგი საკითხები უნდა გამოვყოთ:

ლენინი პუბლიცისტი — თანამედროვეობის ისტორიკოსი; ლენინის პუბლიცისტიკის ორგანული კავშირი მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლასთან; ვ. ი. ლენინის პუბლიცისტიკის მეცნიერულობა და პარტიულობა; ლენინის პუბლიცისტიკის პოლემიკური მიმართულება; ლენინის პოლემიკის თავისებურებები: იგი „არ ერიდებოდა თავის იდეურ მოწინააღმდეგეს“, ამავე დროს არ იყო „პირადულობის გამომჟღავნების ნატამალიც კი“. „ამ გაგებით, — წერს პ. ლეპეშინსკი, — იგი გამორჩეულად განსხვავდება არა მარტო თავშეუკავებელი და ისტერიული მარტოვისაგან, არამედ — პლეხა-

ნოვისაკენაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთი კრიტიკა მკითხველიც კი ვ. ი. ლენინის მთელ ნაწერებში ვერ შეხვდება ვერც ერთ „პოლემიკურ მომხიბვლელობას“, რომელსაც პირადულობის ელფერი დაჰკრავს, და რომელიც არ გამოხატავდა მისი მოწინააღმდეგის ხასიათის ღრმა გააზრებას საკამათო საკითხის პოლიტიკური არსის თვალთახედვით“[15]. ვ. ი. ლენინის პოლემიკური ხერხები: მოწინააღმდეგის იდეის სატირული გადმოცემა, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა სიტყვისა და საქმის დაპირისპირება, ხალხური ანდაზების მიზანმიმართული, პოლიტიკურად გამართლებული და მახვილგონივრული გამოყენება და სხვ. აღსანიშნავია, აგრეთვე ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კომპოზიციურად გამართული აგებულება, არგუმენტაციის დამაჯერებლობა, განზოგადებებისა და დასკვნების სიღრმე, კომპოზიციისა და სტილის ერთიანობა, ლენინური პუბლიცისტიკის პოპულარობა და ხატოვანება. ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვ. ი. ლენინი არასოდეს არ ცდილობდა მკითხველის გართობას, რაიმეს თქმას მხოლოდ „ლამაზი სიტყვისათვის“.

„ლენინი არასოდეს არ ცდილობდა ლამაზი ფრაზებით ყურადღების მიქცევას, მაგრამ რაკიღა იგი იბრძოდა და ამ ბრძოლაში ცდილობდა მოწინააღმდეგე წარმოეჩინა სასაცილოდ, ოდიოზურად, რაკიღა იგი ამხილებდა მოწინააღმდეგეს, რაკიღა ის აჩვენებდა თავის უპირატესობას... რაკიღა მისი სტატიები გამოირჩევიან ენამოსწრებულობით, სარკაზმით, იგი მწარედ ამათრახებს სიტყვებით“[16].

უაღრესად თვალსაჩინოა ლენინური პუბლიცისტიკის ჟანრობრივი მრავალფეროვნება: პოლემიკური შენიშვნები, სტატიები, თეორიული სტატიები, მიმოხილვები, რეცენზიები, პამფლეტები, ფელეტონები. ვ. ი. ლენინს შესანიშნავად შეეძლო ჟანრის შერჩევა გამოსვლის მიზანთან დაკავშირებით (მარქსიზმის იდეების პროპაგანდა და პოპულარიზაცია, ამ იდეების მტრებთან ბრძოლა).

ლენინის რედაქტორული და პუბლიცისტური მოღვაწეობის შესახებ ძვირფას ინფორმაციას შეიცავენ ნ. კრუპსკაიას, ა. ლუნაჩარსკის, მ. ოლმინსკის, ვ. ვოროვსკის, ვ. ბონჩ-ბრუევიჩის, ვ. კარპინსკის, პ. ლეპეშინსკის მოგონებები, რომლებიც გამოქვეყნებულია წიგნის „ლენინი — ჟურნალისტი და რედაქტორი“ მეხუთე განყოფილებაში (მოსკოვი. „გოსპოლიტიზდატი“, 1960).

ლენინის პუბლიცისტური ოსტატობის თავისებურებათა გარკვევაში დიდ დახმარებას გაგვიწევენ ა. ბერეჟნოის, ე. ზაპადოვის, ა. ცე-

---

15 П. Лепешинский. Великий журналист нашей эпохи. В кн.: Ленин — журналист и редактор. М., 1960, с. 312.

16 А. В. Луначарский. Ленин как редактор. В кн.: Ленин—журналист и редактор. М., 1960, с. 334.

იტლინგის, ბ. იაკოვლევის, ნ. პროშურინის, ვ. კუზნეცოვის წიგნები, რომლებიც მოცემული თემის ლიტერატურის სიაშია მითითებული.

ფრიად საყურადღებოა ვ. ვოროვსკის, ა. ლუნაჩარსკის, მ. ოლმინსკის, ი. სკვორცოვ-სტეპანოვის, ს. შაუმიანის პუბლიცისტური ოსტატობა. ბოლშევიკურ პრესაში ამ პუბლიცისტ-ლენინელების გამოსვლები ჭეშმარიტი პუბლიცისტური ნიჭით გამოირჩევიან. პრინციპულობა, იდეურობა, ურთულეს პოლიტიკურ საკითხებში სწორად გარკვევის უნარი, თემისა და ტაქტის გამახვილებული გრძნობა, მაღალი ჟურნალისტური ოსტატობა — აი, ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია პრესაში მათი გამოსვლებისათვის. მაგალითად, სერგო ორჯონიკიძის ზუსტი და სხარტი განმარტებით ს. შაუმიანი იყო „შემოქმედებითი მარქსიზმის მძიმე არტილერია". შემოქმედებითი მარქსიზმის მხურვალე პროპაგანდისტების ვ. ვოროვსკის, ა. ლუნაჩარსკის, მ. ოლმინსკის, ი. სკვორცოვ-სტეპანოვისა და ს. შაუმიანის კორესპონდენციები, სტატიები, რეცენზიები, ფელეტონები ასწავლიან საბჭოთა ჟურნალისტებს საზოგადოებისათვის შინაარსობრივად მნიშვნელოვანი, ხოლო ფორმით სრულყოფილი პუბლიცისტური ნაწარმოებების შექმნას. პუბლიცისტიკის ლენინური სკოლის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი სტატიები: ვ. ვოროვსკის „გემი-მოხეტიალე", „მსოფლიო და რეაქცია". ა. ლუნაჩარსკის „თვითკმაყოფილი ფლიუგერები", „პაემანი ბერკორეში", „პარტიული სელიფანი", მ. ოლმინსკის „სათათბიროს კულუარებში", „კულტურული ხალხი და ჭუჭყიანი სინდისი", „ამხ. ლენინზე", ი. სკვორცოვ-სტეპანოვის „იუზოვსკის კატასტროფის გამო", ს. შაუმიანის „ჩვენი ამოცანები", „უკან დასახევი გზა არ არის", „პლეხანოვის წერილის გამო" და სხვ.

ლიტერატურა

Ленин журналист и редактор. Сб. материалов. М., 1960.

В. В. Воровский. Избранные произведения о первой русской революции. М., 1960.

А. В. Луначарский. Самодавольные флюгеры; свидание в Бьеркоре, партийный Селифан. Сб., «Русский фельетон». М., 1958, с. 43—44, 383—385, 385—386.

М. С. Ольминский. Сочинения, т. 2, М., 1935.

С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. 1. М., 1957.

Х. Г. Барсегян. С. Г. Шаумян. М., 1975.

А. К. Белков. В. В. Воровский. М., 1971.

А. Ф. Бережной. В. И. Ленин — публицист и редактор. М., 1975.

Б. П. Веревкин. М. С. Ольминский. М., 1972.

А. Западов. Мысль и слово. Из наблюдений над литературной работой В. И. Ленина. М., 1970.

Н. Г. Зорина, А. А. Савенков. В. И. Ленин и партийные публицисты. Л., 1972.
А. А. Круглов. А. В. Луначарский. М., 1972.
В. И. Кузнецов. О полемическом искусстве В. И. Ленина. М., 1971.
Н. Прошурин. Сила ленинского слова. М., 1969.
А. Цейтлин. Стиль Ленина — публициста. М., 1969.
В. В. Шаров. И. Н. Скворцов-Степанов. М., 1972.
Б. Яковлев. Ленин — публицист. М., 1960.

თემა მეცხრე

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა სოციალისტური რევოლუციის განვითარებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში (1917 წ. ნოემბერი — 1918 წ. ივლისი)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მასებმა მოახდინეს 1917 წელს, რუსეთში შეიქმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. კაცობრიობის ისტორიაში ხალხთა მასების ეს უდიდესი გამარჯვება მომზადდა მარქსისტულ-ლენინური პარტიის გიგანტური საქმიანობით, რომელმაც აღზარდა და დარაზმა მუშათა კლასი და გლეხობა და წინ წარუძღვა მათ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. პარტიის მძლავრი და ბასრი იარაღი ამ ბრძოლაში იყო ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი ბეჭდვითი სიტყვა. ბოლშევიკურმა პრესამ, რომელიც კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის ფუნქციას ასრულებდა, მდიდარი ისტორიული გამოცდილება დააგროვა, უდიდესი როლი შეასრულა პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ახალ ისტორიულ ვითარებაში კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის წინაშე ახალი დიდი ამოცანები დაისახა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იგი მმართველი პარტიის პრესა გახდა. პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა მოწოდებული იყო დახმარებოდა პარტიას ახალი, საბჭოთა წყობილების განმტკიცებაში, მშრომელთა დარაზმვაში ოქტომბრის დიად მონაპოვართა განმტკიცებისათვის საბრძოლველად, კონტრრევოლუციის გასანადგურებლად, სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ბოლშევიკური პრესის ლენინური ტრადიციები — პრინციპული პარტიულობა, მასობრიობა და ხალხურობა, სიმართლისმოყვარეობა და შეურიგებლობა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძო-

ლაში — წარმოადგენდა ძვირფას და უმდიდრეს მემკვიდრეობას პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვისათვის. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის პრესა მოწოდებული იყო გაეგრძელებინა ეს სახელოვანი ტრადიციები, ახალ პირობებში გადაეწყვიტა რთული პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები.

1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის იელისამდე მიმდინარეობს საბჭოთა ჟურნალისტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ბოლშევიკური პარტია ენერგიულად ახორციელებს პროლეტარული სახელმწიფოს ბეჭდვითი სიტყვის მშენებლობის ლენინურ პროგრამას. ჯერ კიდევ 1917 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „როგორ უზრუნველვყოთ დამფუძნებელი კრების წარმატება“ ვ. ი. ლენინი აყენებდა უმნიშვნელოვანეს ამოცანებს პრესის ორგანიზაციის თაობაზე, როდესაც მუშები პოლიტიკურ ძალაუფლებას ხელში აიღებდნენ. მათ შორის წამოყენებული იყო ასეთი მოთხოვნა: „სახელმწიფო ხელისუფლება, საბჭოების სახით, იღებს ყ ვ ე ლ ა სტამბას და მ თ ე ლ ქაღალდს და ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ა ღ ი ანაწილებს მას: პირველ ადგილას არის სახელმწიფო...“[17] ხოლო სტატიაში „რევოლუციის ამოცანები“, რომელიც ასევე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ერთი თვით ადრე გამოქვეყნდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ „რაბოჩი პუტში“, ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა იმ პირველი რიგის ღონისძიებებს, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურას უნდა განეხორციელებინა. „მხოლოდ საბჭოთა მთავრობას, — მიუთითებდა იგი, — შეუძლია წარმატებით ებრძოლოს ისეთ აღმაშფოთებელ უსამართლობას, როგორიცაა კაპიტალისტების მიერ ხალხისაგან ნაძარცვი მილიონების მეოხებით უდიდესი სტამბებისა და გაზეთების უმრავლესობის ხელში ჩაგდება“. და შემდეგ: „საჭიროა ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური გაზეთების („რეჩი“, „რუსკოე სლოვო“ და სხვ.) დახურვა, მათი სტამბების კონფისკაცია...“[18].

კონტრრევოლუციური გაზეთების დახურვასთან ერთად, რომლებიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა ენერგიულად შლიდნენ გაზეთების, ჟურნალებისა და პრესის სხვა ორგანოების ქსელს, ქმნიდნენ დაწესებულებებს, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ ბეჭდვით სიტყვას, აგრეთვე ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ბეჭდვითი პროპაგანდის აპარატს.

რაც მთავარია, საჭირო იყო ახალი პირობების შესაბამისად ბეჭ-

---

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 25, გვ. 463.
[18] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 26, გვ. 61.

დვითი სიტყვის შეიარაღება მოქმედების პროგრამით, რაც ვ. ი. ლენინმა განახორციელა. თავის მოხსენებაში პარტიის VIII ყრილობაზე მან აღნიშნა პრესის, როგორც პარტიის უმნიშვნელოვანესი საშუალების, დიდი მნიშვნელობა ცხოვრების ყველა სფეროსადმი ხელმძღვანელობაში, მუშებისა და გლეხების პოლიტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენი პარტია „პირველად ისტორიაში იყენებს თანამედროვე სასტამბო მსხვილ კაპიტალისტურ ტექნიკას არა ბურჟუაზიისათვის, არამედ მუშებისა და გლეხებისათვის“[19].

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაწერილ სტატიებში ლენინმა გამოიმუშავა ფუძემდებლური დებულებები ბეჭდვითი სიტყვის ადგილის, როლისა და ამოცანების შესახებ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ისეთი ნაშრომები, როგორიცაა „პირველანდელი მონახაზი სტატიისა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ და თვით სტატია „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, რომელიც 1918 წლის აპრილში ერთდროულად გამოქვეყნდა „პრავდისა“ და „იზვესტიის“ ფურცლებზე და აგრეთვე მოგვიანებით დაწერილი სტატია „ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ“ (1918 წლის სექტემბერი).

პირველყოვლისა, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის იარაღს, სოციალისტური მშენებლობის საშუალებას. პრესის მთავარი ამოცანაა მასების აღზრდა კომუნიზმის სულისკვეთებით. ამასთანავე, ლენინი განსაკუთრებით მიუთითებდა ეკონომიკური აღზრდისა და ხელახალი აღზრდის საჭიროებაზე. სოციალიზმი შეუძლებელია შრომისადმი მაღალი ნაყოფიერების გარეშე. ამის მიღწევისათვის კი აუცილებელია შრომისადმი ახლებური, შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავება, შეგნებული დისციპლინის დამყარება. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ პრესა უნდა გადავაქციოთ სენსაციის ორგანოდან, პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების უბრალო აპარატიდან მასების ხელახალი ეკონომიკური აღზრდის იარაღად, მასებისათვის იმის ეაცნობის იარაღად, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ შრომა ახლებურად. სხვა ადგილას, აეითარებდა რა ამ აზრს, ვ. ი. ლენინი ლაპარაკობდა იმის საჭიროებაზე, რომ აუცილებელია „გადავაქციოთ პრესა უმთავრესად ყოველდღიური პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების ორგანოდან მოსახლეობის მასების ეკონომიკური აღზრდის სერიოზულ ორგანოდ“[20].

---

19 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 179.
20 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 232.

ვ. ი. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ მასების ეკონომიკური აღზრდა უნდა ვაწარმოოთ არა განყენებულად, არა ზოგადი მსჯელობების გზით, არამედ საბჭოთა საზოგადოების ყველა სფეროდან აღებული ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებით, მთელი ძალით გამოვიყენოთ ახალი ცხოვრების მოწინავე მშენებლობის მაგალითის დიადი ძალა. როდესაც მასების ეკონომიკური აღზრდისათვის ბეჭდვითი სიტყვის მუშაობის გაძლიერებაზე ლაპარაკობდა, ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა გაზეთებს იმის გამო, რომ ისინი ეადაჭარბებულ ყურადღებას უთმობდნენ ზოგადპოლიტიკურ საკითხებს, არ განაზოგადებდნენ ცხოვრებიდან აღებულ ფაქტებს, სუსტად აშუქებდნენ მშრომელთა ბრძოლას სოციალიზმის მშენებლობისათვის. სტატიაში „ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ“ იგი მიუთითებდა: „რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რახარუხი. რაც შეიძლება ნაკლები ინტელიგენტური მსჯელობა. უფრო ახლოს ცხოვრებასთან. მეტი ყურადღება იმას, თუ მუშათა და გლეხთა მასა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ როგორ აშენებს რაღაც ა ხ ა ლ ს თავის ყოველდღიურ მუშაობაში. მეტი შემოწმება იმისა, თუ რამდენად კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ა ეს ახალი“[21].

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა იმ ფაქტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლდნენ, ავლენენ და შემდგომშიც სულ უფრო მეტად გამოავლენენ თავიანთ შემოქმედებითს ინიციატივას. ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად ვ. ი. ლენინი სახავდა შრომითს კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას და ამასთან დაკავშირებით იგი მიუთითებდა, რომ „მხოლოდ სოციალიზმი, სპობს რა კლასებს და, მაშასადამე, მასების დამონებას, პირველად ხსნის გზას შეჯიბრებისათვის ნამდვილად მასობრივი მასშტაბით“[22]. და, სწორედ ამ შეჯიბრებაში ყველაზე უფრო ნათლად ელინდება მილიონობით მუშებისა და გლეხების ახლებური დამოკიდებულება შრომისადმი. ყოველივე ეს ავალდებულებდა პრესას დახმარებოდა პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ფართოდ მოეწყოთ შეჯიბრება და უზრუნველეყოთ მისდამი ხელმძღვანელობა. ამასთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინი პარტიულ და საბჭოთა პრესას მოუწოდებდა, გადაეჭრათ სამი კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანა: შეჯიბრების საჯაროობის, მოძრაობის შედეგების შესადარისობისა და გამოცდილების პრაქტიკულად გამეორების ამოცანები.

---

[21] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 28, გვ. 103.
[22] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 27, გვ. 306.

ამასთანავე, ერთად, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ კარგისაგან სწავლასთან ერთად ბეჭდვითი სიტყვა მოწოდებულია უკუაგდოს ყოველივე უვარგისი, გადაჭრით ებრძოლოს იმას, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში. რადგანაც პრესა მებრძოლი და რევოლუციურია და პარტიის უბასრესი იარაღია, იგი მოწოდებულია დაუნდობლად ამოძიოკვოს წარსულის მავნე გადმონაშთები, ამხილოს მუშათა და გლეხთა მტრები — თაღლითები, მოთავისენი, მუქთახორები. ვ. ი. ლენინი პრესის მუშაკების ყურადღებას მიაქცევდა იმაზე, რათა ისინი „აწარმოებდნენ საქმიან, ულმობელ, ჭეშმარიტად რევოლუციურ ომს ბოროტების კონკრეტულ მატარებლებთან“[23].

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის პოლიტიკურ სიმტკიცეზე, რევოლუციურ ხასიათზე, პრინციპულობასა და მებრძოლურ ხასიათზე ზრუნვასთან ერთად, ლენინი საჭიროდ თვლიდა პარტიულ ორგანიზაციებს ყურადღება მიეპყროთ პარტიული ჟურნალისტების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. იგი წერდა: „ყოველდღიური პროპაგანდა და აგიტაცია უნდა ატარებდეს ნამდვილად კომუნისტურ ხასიათს. ყველა იმ ბეჭდვითს ორგანოს, რომელიც პარტიის ხელთ არის, რედაქტორობას უნდა უწევდნენ საიმედო კომუნისტები, რომელთაც დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება პროლეტარული რევოლუციის საქმისადმი“[24].

როდესაც ვ. ი. ლენინი პრესის ძირითად ამოცანებს განსაზღვრავდა, იგი ეხებოდა არა მარტო პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის იდეური შინაარსის საკითხებს, არამედ მისი მუშაობის ფორმებს, მეთოდებსა და ხერხებსაც. ხაზს უსვამდა პრესის დიფერენციაციის აუცილებლობას, დიდ ყურადღებას უთმობდა, აგრეთვე, გაზეთის ენას; ჟურნალისტებისაგან მოითხოვდა წერის მაღალ კულტურას, ებრძოდა ენის დანაგვიანებას, საგაზეთო შაბლონსა და შტამპს.

ვ. ი. ლენინის მითითებები პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ხასიათისა და ამოცანების შესახებ საფუძვლად დაედო მრავალ პარტიულ გადაწყვეტილებას. პარტიის VIII, IX, XI, XII, XIII ყრილობების რეზოლუციებში, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში ლენინური იდეები პარტიული დირექტივების ფორმას იღებდნენ, ვითარდებოდნენ და კონკრეტდებოდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ხანებში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც პარტიული და საბჭოთა პრესა წყვეტდა, იყო საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის მიერ მიღებული პირველი დეკრეტების პროპაგანდა. 1917 წლის 27 ოქტომბერს (9 ნოემბერს) „პრავდამ“ და „იზვესტიამ“, ასე-

---

23 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 103.

24 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 242.

ვე სხვა გაზეთებმა გამოაქვეყნეს დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. ხოლო შემდგომ მოწინავე სტატიებსა და სხვა მასალებში განმარტავდნენ ამ ისტორიულ დოკუმენტებს, კომენტარებს უკეთებდნენ მათ. ადგილობრივი პრესა პარტიულ ორგანიზაციებს ეხმარებოდა ადგილებზე საბჭოების შექმნასა და განმტკიცებაში, მკითხველებს ფართოდ მოუთხრობდა, თუ როგორ ხორციელდებოდა ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები, ასახავდა მთელს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის ტრიუმფალური ნაბიჯებით სვლას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე კონტრრევოლუციურმა ძალებმა შეუტიეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. გენერალმა კრასნოვმა კაზაკთა პოლკები დაძრა რევოლუციური პეტროგრადის წინააღმდეგ. კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად მუშებისა და ჯარისკაცების დარაზმვის ქმედითი საშუალება იყო პარტიული და საბჭოთა პრესა. მისი საშუალებით კომუნისტურმა პარტიამ მოწოდებით მიმართა ხალხს, აღედგინა რევოლუციის დასაცავად. გაზეთების ფურცლებზე ქვეყნდებოდა ცნობები საომარი მოქმედების მიმდინარეობის, წითელგვარდიელთა და ჯარისკაცთა გმირობაზე. პარტიის ხელმძღვანელობით კერენსკისა და კრასნოვის თეთრგვარდიული ჯარები განადგურებულ იქნა. მაგრამ ქვეყნის წინაშე ახალმა საშიშროებამ იჩინა თავი — დაიწყო გერმანელთა შემოტევა. მთელი ქვეყანა სამხედრო ბანაკად იქცა. 1918 წლის თებერვალში „პრავდამ" გამოაქვეყნა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია". დასახულ იქნა ამოცანა მუშათა და გლეხთა არმიის — წითელი არმიის შექმნის შესახებ. საბჭოთა პრესა განმარტავდა ამ ღონისძიების მნიშვნელობას რევოლუციის ბედისათვის, ხალხის გამარჯვებისათვის. ფართოდ შუქდებოდა წითელი არმიის მშენებლობის საკითხები. ახალგაზრდა, ბრძოლებში დაბადებულმა წითელმა არმიამ მოიგერია გერმანელ იმპერიალისტთა შემოტევა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიაღწიეს ბრესტის ზავს. ამით მოპოვებულ იქნა დროებითი შესვენება, რაც ასე აუცილებელი იყო ქვეყნისათვის, რომელიც ახალ ისტორიულ გზას დაადგა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა ზომებს იღებდნენ, რათა უზრუნველეყოთ ბეჭდვითი სიტყვის ნამდვილი, ჭეშმარიტი თავისუფლება მშრომელთა ფართო მასებისათვის. პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში (ძირითად კანონში), რომელიც მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის მიერ 1918 წლის 10 ივლისს,

ნათქვამი იყო: „მშრომელთათვის საკუთარ შეხედულებათა გამოხატვის ნამდვილი თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა სპობს ბეჭდვითი სიტყვის დამოკიდებულებას კაპიტალისაგან და მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის ხელში გადასცემს მთელ ტექნიკურ და მატერიალურ სახსრებს გაზეთების, ბროშურების, წიგნებისა და ყოველგვარ სხვა ბეჭდურ ნაწარმოებთა გამოსაცემად და უზრუნველყოფს მათ თავისუფლად გავრცელებას მთელ ქვეყანაში".

კომუნისტური პარტია დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის სისტემის შესაქმნელად, მიმდინარეობდა მისი სრულყოფის პროცესი, გამოჩნდა სხვადასხვა ტიპის ჟურნალ-გაზეთები, ხორციელდებოდა პრესის ტიპიზაცია, იქმნებოდა პერიოდული ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის და აშუქებდნენ სახელმწიფო და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. „პრაედასა" და „იზვესტიასთან" ერთად 1918 წელს დაიწყო სხვა გაზეთების გამოცემაც. სოფლის მკითხველებისა და წითელარმიელებისათვის 1918 წლის მარტში შეიქმნა გაზეთი „ბედნოტა". პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის საკითხებს აშუქებდა ახლადშექმნილი გაზეთი „ჟიზნ ნაციონალნოსტეი", ხოლო მრეწველობის, ფინანსებისა და ვაჭრობის პრობლემებს — გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნი". თუ ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე ბოლშევიკების განკარგულებაში სულ რამდენიმე ათეული გამოცემა იყო, უკვე 1918 წლის დასაწყისისათვის გამოდიოდა 563 პარტიული და საბჭოთა გაზეთი და 753 ჟურნალი (მათ შორის მარტო პეტროგრადსა და მოსკოვში 50-მდე ჟურნალი იბეჭდებოდა). მოგვარებული იქნა ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერით გავრცელება და მოსახლეობისათვის მიყიდვა.

პრესის საქმიანობის წარმატებით წარმართვის უზრუნველსაყოფად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობაზე მეტყველებს ბეჭდვითი სიტყვის საჭროებისათვის სპეციალური სახელმწიფო დაწესებულებების შექმნა. მაგალითად, 1918 წლის 7 სექტემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ჩამოყალიბდა რუსეთის დეპეშათა სააგენტო (როსტა), რომელიც შემდგომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს დეპეშათა სააგენტოდ (საკდესი) გადაიქცა. ამავე წლებში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს ზომები საგამომცემლო საქმის მოწესრიგებისათვის. სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1919 წლის 21 მაისს დაამტკიცა დებულება „სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ", რომლის მიხედვითაც ქვეყანაში შეიქმნა ბეჭდვითი

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ. ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐᲓ, ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ. ᲐᲛ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲛ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲧᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲭᲠᲔᲚ ᲖᲝᲛᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲙᲝᲜᲢᲠᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲔᲢᲠᲝ�გᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲦᲕᲐᲠᲫᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲢᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ („ᲠᲣᲡᲡᲙᲐᲘᲐ ᲕᲝᲚᲘᲐ“, „ᲑᲘᲠᲟᲔᲕᲘᲔ ᲕᲔᲓᲝᲛᲝᲡᲢᲘ“, „ᲒᲐᲖᲔᲗᲐ-ᲙᲝᲞᲔᲘᲙᲐ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.). 1917 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ „ᲞᲠᲐᲕᲓᲐᲨᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲘᲧᲝ: „ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲐ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲣᲚ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲡ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲒᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲬᲣᲗᲔᲑᲨᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲐᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲔᲑᲘ. ᲐᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ ᲘᲛ ᲡᲘᲑᲘᲜᲫᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲦᲕᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲙᲕᲔᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲐᲮᲠᲩᲝᲠᲗᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲞᲠᲔᲡᲐ“. ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲛᲙᲐᲠᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲔᲬᲔᲝᲓᲜᲔᲜ ᲙᲝᲜᲢᲠᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲡ, ᲗᲔᲡᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲨᲤᲝᲗᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ. ᲔᲡ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲡᲐᲛ ᲧᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲦᲝ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ. 1918 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲜᲢᲠᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲜᲠᲔᲑᲘ. ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲔᲑᲡ, ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐᲡ, ᲠᲝ-

მელშიც გაშუქებული იყო ამ ბობოქარი დროის ყველა საქირბოროტო საკითხი. გაზეთები უხვად იყენებდნენ ქუდებს, მოწოდებებს, ლოზუნგებს და სხვ.

ლიტერატურა

ვ. ი. ლენინი. სიტყვა პრესის საკითხზე (სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1917 წ., 4 (17) ნოემბრის სხდომა). თხზ., ტ. 26, გვ. 330—332.

ვ. ი. ლენინი. პირველადელი მონახაზი სტატიისა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები". თხზ., ტ. 27, გვ. 232—240.

ვ. ი. ლენინი. საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები. თხზ., ტ. 27, გვ. 307—308.

დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. პარტიული და საბჭოთა სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 231.

დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის შესახებ. პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 234.

Партийная и советская печать в борьбе за построение социализма и коммунизма. М., 1966.

Н. К. Крупская. Воспоминания о Ленине. М., 1968.

А. А. Круглов. Ленин и становление советской прессы. М., 1973.

А. Л. Мишурис. Печать, рожденная Октябрем. М., 1968.

А. З. Окороков. Октябрь и крах русской буржуазной прессы. М., 1970.

თემა მეათე

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში (1918—1920 წწ.)

საერთაშორისო და შინაურმა კონტრრევოლუციამ პირი შეკრეს და ერთიანი ძალებით შეუტიეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას, რითაც დაარღვიეს მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი შრომა და აიძულეს ისინი ჩაბმულიყვნენ შეიარაღებულ ბრძოლებში. მცირე ხნის მშვიდობიანი შესვენების შემდეგ. 1918 წელს დაიწყო სამოქალაქო ომი, ანუ რუსეთის ხალხების, მუშებისა და გლეხების ომი საბჭოთა ხელისუფლების გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ. კომუნისტური პარტიის მოწოდებით მთელი ქვეყანა სამხედრო ბანაკად გადაიქცა. ქვეყანაში შექმნილი განსაკუთრებული მძიმე პირობების გამი

საბჭოთა მთავრობამ შემოიღო სამხედრო კომუნიზმი. ამ ვითარებაში პარტიული და საბჭოთა პრესა მოწოდებული იყო შეესრულებინა და შეასრულა კიდეც ხალხის მთელი ძალების მობილიზაცია და დარაზმვა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში ვ. ი. ლენინმა გამოაქვეყნა ახალი ნაწარმოებები, რომლებიც მიძღვნილი იყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბეჭდვითი სიტყვისადმი („ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ", „დიადი თაოსნობა", „თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ" და სხვ.). შესანიშნავ დოკუმენტს, რომელშიც გადმოცემული იყო ჟურნალისტების საქმიანობის საბრძოლო პროგრამა, წარმოადგენს პარტიის VIII ყრილობის რეზოლუცია პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ყრილობამ აღნიშნა, რომ პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომელთა შორის მთავარი იყო მოწყვეტა ადგილობრივი. ხშირად კი საერთო პოლიტიკური ცხოვრებისგანაც. გაზეთები ხშირად ივსებოდა გრძელ-გრძელი, ნაკლებ საინტერესო სტატიებით, აგრეთვე სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების ნაირნაირი განკარგულებებითა და დადგენილებებით. იგრძნობოდა ის ვითარებაც. რომ პარტიის საუკეთესო ლიტერატურული ძალები წავიდნენ სახელმწიფოებრივ სამუშაოზე, პრესა კი მეტწილ შემთხვევაში ნაკლებად გამოცდილ მუშაკთა ხელში აღმოჩნდა. პარტიული კომიტეტები ადგილებზე არასაკმარისად ხელმძღვანელობდნენ თავის ბეჭდვითს ორგანოებს, არ ზრუნავდნენ რედაქციების განმტკიცებისაკენ პოლიტიკურად მომზადებული, გამოცდილი მუშაკებით.

აღნიშნა რა ეს ნაკლოვანებები და კვლავ ხაზი გაუსვა რა ბეჭდვითი სიტყვის დიდ მნიშვნელობას, რომელიც წარმოადგენდა „პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის მძლავრ იარაღს, უაღრესად ფართო მასებზე ზემოქმედების შეუცვლელ საშუალებას", ყრილობამ მოთხოვა პარტიულ კომიტეტებს გადაჭრით მოეწესრიგებინათ ბეჭდვითი სიტყვისადმი ხელმძღვანელობის საქმე. „...პარტიული კომიტეტები, — ნათქვამია VIII ყრილობის რეზოლუციაში, — რედაქციებს უნდა აძლევდნენ საერთო პოლიტიკურ დირექტივებსა და მითითებებს და თვალყურს ადევნებდნენ დირექტივების შესრულებას, მაგრამ ისე, რომ არ ერეოდნენ რედაქციების ყოველდღიური მუშაობის წვრილმანებში"[25].

---

25 პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 282.

საკითხი გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების ქმედითობის შესახებ. რეზოლუციის ერთ-ერთ პუნქტში მითითებული იყო: „ის პირნი ან დაწესებულებანი, რომელთა მოქმედებაზეც ლაპარაკია პრესაში, ვალდებული არიან უმოკლეს ვადაში მისცენ იმავე გაზეთის ფურცლებზე საქმიანი ფაქტიური უარყოფა, ანდა მიუთითონ გამოსწორებულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი უარყოფა ან მითითება არ გამოქვეყნდება, რევოლუციური ტრიბუნალი აღძრავს საქმეს დასახელებულ პირთა ან დაწესებულებათა წინააღმდეგ“[26].

პრესის მდგომარეობასა და ამოცანებთან დაკავშირებული საკითხები დასმული იყო პარტიის IX ყრილობაზეც, რომელიც 1920 წლის მარტ-აპრილში შედგა. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა ბეჭდვითი სიტყვის ბრძოლის განსაკუთრებული მნიშვნელობა მრეწველობის აღდგენისა და განვითარების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ამ მიზნით სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის. „პარტიული პრესა, — ნათქვამი იყო ყრილობის რეზოლუციაში ორგანიზაციული საკითხის შესახებ, — შრომითი შეჯიბრების გამოწვევის მძლავრი ორგანო უნდა გახდეს“[27]. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ქვეყანა დიდ სიძნელეებს განიცდიდა: არ გვყოფნიდა პური, ნახშირი, ქაღალდი. საკმარისია ითქვას, რომ სამოქალაქო ომის წლებში იძულებული იყვნენ თვით „პრავდაც“ კი ხშირად არასრული ფორმატით გამოეცათ. ბევრი გაზეთი გასახვევ ქაღალდზე იბეჭდებოდა, მაგრამ ისიც ცოტა იყო. ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აგრეთვე, სასტამბო ტექნიკა. ამიტომ საკვლევით გასაგებია, რომ პარტიის IX ყრილობამ რეზოლუციაში „სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ“ სპეციალური განყოფილება დაუთმო ქაღალდის მრეწველობისა და პოლიგრაფიის მდგომარეობის დახასიათებას და განსაზღვრა ამოცანები ამ სფეროში. ყრილობამ ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რათა ყველა ღონისძიება ყოფილიყო მიღებული ქაღალდის წარმოების გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სასტამბო საქმეში წესრიგის შეტანისათვის, რათა „უზრუნველყონ მუშურ-გლეხური რუსეთი სოციალისტური ბეჭდვითი სიტყვით“[28].

ამ მძიმე წლებში პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა კვლავ ვითარდებოდა და სულ უფრო მეტად ხდებოდა ჩვენი ხალხის ბასრ იარაღად. 1920 წლის მონაცემებით მარტო ადგილობრივი გაზეთების რიცხვი 580 იყო (მათ შორის — 246 საგუბერნიო და 334 — სამაზრო). ამ პერიოდის რთული პირობების, პოლიგრაფიული ბაზის სი-

---

26 პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 282.

27 იქვე, გვ. 289—290.

28 იქვე, გვ. 289.

სუსტის, ქაღალდის რესურსების სიმცირის მიუხედავად ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყველა ღონე იხმარეს, რათა მასობრივი ტირაჟებით გამოცემულიყო მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებები, რუსეთისა და უცხოეთის მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებანი. 1917 წელს დაისტამბა 6,6 ათასი წიგნი, 1919 წელს — 7,5 ათასი, 1920 წელს — 5,3 ათასი. შესაბამისად ტირაჟები წლების მიხედვით შეადგენდა — 69,4 მილიონ, 82,5 მილიონ, 57,1 მილიონ ეგზემპლარს.

სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ფლაგმანი, ისევე როგორც წინა პერიოდში, გაზეთი „პრავდა" იყო, რომლის გამოცემა 1918 წლის გაზაფხულიდან გადაიტანეს პეტროგრადიდან მოსკოვში, სადაც მაშინ გადავიდნენ ხელმძღვანელი პარტიული და მთავრობის დაწესებულებები.

„პრავდა" თავის ფურცლებზე აშუქებდა ყველა საჭირბოროტო საკითხს, რომელსაც ცხოვრება მაშინ აყენებდა. ქვეყნდებოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტები, როგორიც იყო პარტიული ყრილობებისა და საბჭოების ყრილობების მასალები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები და მიმართვები. სახალხო კომისართა საბჭოსა და მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭოს დეკრეტები და გადაწყვეტილებები. „პრავდაში" სისტემატურად იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები, მისი მოხსენებები ყრილობებზე, კრებებსა და მიტინგებზე, ასევე პარტიის სხვა მოღვაწეების, სახალხო კომისრების, წითელი არმიის მხედართმთავრებისა და პოლიტმუშაკების სტატიები და გამოსვლები. გაზეთი მშრომელებს განუმარტავდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, აღაფრთოვანებდა წითელი არმიის მებრძოლებს ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს ყოველმხრივი დახმარება გაეწიათ ფრონტისათვის.

აღმოსავლეთის ფრონტი მაშინ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. რევოლუციის ბედი, პირველ ყოვლისა, იქ უნდა გადაწყვეტილიყო, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდა პარტია თავისი პრესის საშუალებით. მაგალითად, 1919 წლის 12 აპრილს „პრავდაში" გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „რკპ ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისები აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობასთან დაკავშირებით". პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი პირდაპირობით ლაპარაკობდა იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც საბჭოთა რესპუბლიკა აღმოჩნდა. კოლჩაკელების ჯარები ვოლგისაკენ მოიწევდნენ. ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებდა ყველა მშრომელს, დარაზმულიყვნენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, რევოლუციური შემართებით ეკეთებინათ ყველა საქმე. ამ მოწოდების საპა-

სუხოდ გაზეთ „პრავდის“ შემდგომ ნომრებში იბეჭდებოდა მუშათა და გლეხთა კოლექტიური წერილები და რეზოლუციები, რომლებშიც ნათქვამი იყო მშრომელთა მზადყოფნაზე რევოლუციის დასაცავად, მტრის გასანადგურებლად. სამოქალაქო ომის წლებში „პრავდა“ დაწერილებით აცნობებდა მკითხველს ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ მიზნით შემოღებული იყო მუდმივი განყოფილება „ცნობები ფრონტიდან“. გაზეთი ღრმად აანალიზებდა რესპუბლიკის სამხედრო მდგომარეობას, არწმუნებდა მუშებსა და გლეხებს მათი საქმის სიმართლეში, უნერგავდა გამარჯვების მტკიცე რწმენას, სისტემატურად მოუთხრობდა წითელი არმიის მებრძოლების, მუშებისა და გლეხების გმირობასა და მამაცობაზე კოლჩაკელების, დენიკინელების, ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მასალებს უდიდესი აღმზრდელობითი და დამრაზმავი მნიშვნელობა ჰქონდათ, ხელს უწყობდნენ ფრონტსა და ზურგში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას.

გაზეთის საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი პროლეტარული მწერლები. „პრავდაში“ სისტემატურად იბეჭდებოდა პოეტ-პუბლიცისტის დემიან ბედნის ნაწარმოებები, რომლებიც მიძღვნილი იყო აქტუალური საკითხებისადმი, ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენებისადმი. დემიან ბედნის სატირული ლექსები და იგავ-არაკები ამხილებდნენ საბჭოთა ქვეყნის მტრებს, რევოლუციის მოწინააღმდეგეებს, ებრძოდნენ ყოველგვარ მანკიერებას, ამათრახებდნენ დეზერტირებს, მხდალებს, პანიკიორებს, ხოლო „პრავდაში“ გამოქვეყნებულ პოლიტიკურ ლექსებში პოეტი განადიდებდა საბჭოთა ადამიანების გმირობას, წითელარმიელების საბრძოლო შემართებასა და მამაცობას. მისმა ბევრმა ლექსმა ხალხში დიდი პოპულარობა მოიპოვა. როგორც პოეტი-აგიტატორი, დემიან ბედნი სამოქალაქო ომში მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა წითელი დროშის საბრძოლო ორდენით.

„პრავდაში“ ასევე ენერგიულად მოღვაწეობდა ცნობილი მწერალი ა. სერაფიმოვიჩი. როგორც „პრავდის“ კორესპონდენტი, იგი იყოფებოდა აღმოსავლეთის, სამხრეთის, დასავლეთის, კავკასიის ფრონტებზე და გაზეთში 50-ზე მეტი ნარკვევი, სტატია და კორესპონდენცია გამოაქვეყნა. ა. სერაფიმოვიჩის საგაზეთო გამოსვლების ძირითადი თემები იყო წითელი არმიის მებრძოლთა გმირობა, პარტიის მუშაობის გამოცდილება პროლეტარული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, პარტიის ხელმძღვანელი და აღმზრდელობითი როლი სოციალისტური სამშობლოს დამცველთა რიგების განმტკიცების საქმეში. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ა. სერაფიმოვიჩის პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

ფრონტებზე არსებული მდგომარეობის გაშუქებასა და მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად მასების დარაზმვასთან ერთად „პრავდა“ მოუთხრობდა ზურგში მუშათა და გლეხთა გმირობაზე, მათ შრომითს გამარჯვებებზე. ამ მხრივ გაზეთის გამოსვლების ძირითადი თემები იყო: ბრძოლა ნგრევასთან, ტრანსპორტის აღდგენა, არმიისა და ქალაქის უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით, სათბობის დამზადება, შრომისადმი ახლებური დამოკიდებულების დანერგვა. პარტიულმა და საბჭოთა პრესამ, და პირველ რიგში „პრავდამ“, ხელი შეუწყო საზოგადოებრივი შრომის ისეთი ახალი ფორმის განვითარებას, როგორიც იყო კომუნისტური შაბათობები.

კომუნისტური შაბათობის მოწყობის ინიციატორებად გამოვიდნენ მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშები. მათ 1919 წლის 10 მაისს მოწყობილ პირველ შაბათობაზე დატვირთეს და გადმოტვირთეს დიდძალი ტვირთი, ჩაატარეს ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტი. აღსანიშნავია, რომ შრომის ნაყოფიერება 2—3-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ სამუშაო დღეს. შაბათობის მონაწილეებმა გვიჩვენეს შრომითი გმირობისა და მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის მაგალითები. გაზეთმა „პრავდამ“ ამ თაოსნობის შესახებ კორესპონდენცია გამოაქვეყნა 17 მაისის ნომერში სათაურით „მუშაობა რევოლუციურად (კომუნისტური შაბათი)“, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებშიც ეწყობოდა შაბათობები. „პრავდის“ ფურცლებზე სპეციალური განყოფილებაც კი გამოჩნდა — „კომუნისტური შაბათობები“.

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა შაბათობებს, როგორც მშრომელთა თავდადებული გმირობის გამოვლინებას შრომაში, როგორც კომუნიზმის ფაქტობრივ დასაწყისს და ამ საკითხს სპეციალური ბროშურა მიუძღვნა — „დიადი თაოსნობა“. იგი 1919 წლის ივლისში გამოვიდა, რის შესახებაც „პრავდამ“ ფართოდ აუწყა მკითხველებს. ვ. ი. ლენინი თავის ბროშურაში აანალიზებს გაზეთის ფურცლებზე შაბათობებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მასალებს და ახასიათებს მათ, როგორც დიად თაოსნობას, როგორც კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს. ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომში პრესას დაუსახა მოქმედების ნათელი და გამოკვეთილი პროგრამა. ვ. ი. ლენინის „დიადი თაოსნობა“ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების კლასიკური ნაწარმოებია და, ამავე დროს, იგი ლენინური-პარტიული პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

ამ მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიას დიდ დახმარებას უწევდა პრესა, და უპირველეს ყოვლისა, „პრავდა“. კომუნისტური შაბათობების ფართოდ გაშუქებისათვის ბეჭდვითი სიტყვა სხვადასხვა საშუალებებსა და ხერხებს იყენებდა. მაგალითად, 1920

წლის 10 აპრილს შაბათობის ჩატარებას მიეძღვნა ერთდროული ვაზეთი „კომუნისტური შაბათობა“, რომელიც მოსკოვის გაზეთების რედაქციათა მუშაკებმა მოამზადეს.

პრესა ფართოდ აშუქებდა, აგრეთვე, საბჭოთა სოფლის ცხოვრებას. სულ უფრო მჭიდრო ხდებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა პარტიის VIII ყრილობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების შესახებ. კომუნისტური პარტია მიუთითებდა, რომ პურისათვის ბრძოლა არსებითად სოციალიზმისთვისაც ბრძოლა იყო. „პრავდა“ კონკრეტული მაგალითებით უჩვენებდა, თუ როგორ ძლევდნენ სასურსათო სიძნელეებს, რა ზომებს იღებდნენ პურით წითელარმიელებისა და მუშების უზრუნველყოფისათვის. როგორც „პრავდა“, ასევე ადგილობრივი ვაზეთები ბევრს წერდნენ მშრომელთა თავდადებული ბრძოლის შესახებ შიმშილობის წინააღმდეგ, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით კი ვოლგისპირეთში, მოუსავლიანობით.

პარტიული და საბჭოთა პრესა ააშკარავებდა უცხოელ ინტერვენტთა მოქმედებასა და მიზნებს, რომლებმაც წამოიწყეს შეტევა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მკითხველებისათვის ნათელს ხდიდა კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეების რეაქციულ ანტიხალხურ პოლიტიკას. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა მშვიდობის პოლიტიკაა. უკვე შაშინ ჩვენი პრესა თანმიმდევრულად ავითარებდა თეზისს ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის თაობაზე. ამაკე დროს, საბჭოთა გაზეთების ფურცლებზე მრავლად ქვეყნდებოდა მასალები ინტერვენტთა მხეცობის შესახებ. ამ ფაქტებით პრესა საბჭოთა ადამიანებს ზრდიდა მტრისადმი სიძულვილის სულისკვეთებით, მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს გმირული ბრძოლისაკენ.

„პრავდისა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილი ეკავა მასალებს, რომლებიც საერთაშორისო მუშათა რევოლუციურ მოძრაობას ასახავდნენ. იმ მრისხანე წლებში ყველა ქვეყნის შრომელები აღტაცებითა და სიამაყით უყურებდნენ საბჭოთა რუსეთს, ძმურ მხარდაჭერას ამჟღავნებდნენ ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხებისადმი, რომლებიც თავგანწირულად იბრძოდნენ ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხისა და ბოლშევიკური პარტიის მაგალითი ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელებს აღაფრთოვანებდა თავისი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. გერმანიაში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში რევოლუციური ბრძოლები მიმდინარეობდა. ევროპასა და ამერიკაში ფართოდ გაიმართა მოძრაობა ლოზუნგით „ხელები შორს რუსეთისაგან!“ იმპერია-

ლისტები სისხლში ახრჩობდნენ მუშათა გამოსელებს, სასტიკად გა-უსწორდნენ რევოლუციონერებს გერმანიასა და უნგრეთში. ჯალა-ბების ხელით დაიღუპნენ მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე-ნი — კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი. მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. მტკიცდებოდა ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობა. 1919 წლის მარტში შეიქმნა პროლეტარიატის საერთაშორისო რევო-ლუციური მოძრაობის მებრძოლი შტაბი — III, კომუნისტური ინ-ტერნაციონალი. ჩვენი გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ ამ მოვლენებს, მათ შორის მრავალი მასალა იბეჭდებოდა კომინტერნის შექმნასთან დაკავშირებით. ფართოდ გაშალა თავისი საქმიანობა ჟურნალმა „კო-მუნისტიჩესკი ინტერნაციონალმა", რომლის პირველი ნომერი 1919 წლის 1 მაისს გამოვიდა. იგი წარმოადგენდა მუშათა კლასის საერთა-შორისო კავშირის განმტკიცებისათვის, პროლეტარული ინტერნაციო-ნალიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდისათვის ბრძოლის მძლავრ საშუალებას.

როდესაც სამოქალაქო ომის პერიოდში ჩვენი პრესის საქმიანო-ბაზე ვმსჯელობთ, აუცილებელია ხაზგასმით ითქვას მისი როლის შე-სახებ მასობრივი პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში. ძირითადად კამპანიები მიძღვნილი იყო წითელი არმიის რიგებში მობილიზაციის, ტრანსპორტის აღდგენის, სასურსათო რაზმების ჩამოყალიბების, პარ-ტიული კვირეულის მოწყობისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პოლი-ტიკური და ეკონომიკური ამოცანებისადმი. ამ კამპანიების მსვლე-ლობაში ბეჭდვითი სიტყვა კონკრეტული მაგალითებით განმარტავდა პარტიისა და მთავრობის ლოზუნგებსა და პოლიტიკას, პოლიტიკუ-რად ზრდიდა მასებს, შთააგონებდა მათ, რათა გამოეჩინათ შემოქმე-დებითი ინიციატივა, აემაღლებინათ შეგნებულობის დონე.

კომუნისტური პარტია, რომელიც დაუღალავად ზრუნავდა მასე-ბის პოლიტიკური აღზრდისა და განათლებისათვის, ფართოდ იყენებ-და პრესას მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრპაგანდისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო „პრავდის" საქმიანობა, რომ-ლის ფურცლებზე თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ხშირად გამოდიოდა ვ. ი. ლენინი. თავის ნაშრომებში იგი განაზოგადებდა მა-სების რევოლუციური ბრძოლის ისტორიულ გამოცდილებას. მარქ-სიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პარტიის პოლიტიკის საკითხებზე პრე-საში ქვეყნდებოდა, აგრეთვე, ლენინის თანამებრძოლების, პარტიისა და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეების სტატიები.

„პრავდის" საქმიანობისათვის დამახასიათებელი იყო მკითხველ-თა სხვადასხვა ჯგუფებისადმი დიფერენციული მიდგომა. ეს მას სა-შუალებას აძლევდა აგიტაცია უფრო კონკრეტული, ადვილად მისა-წვდომი გაეხადა, უფრო ღრმად გაეშუქებინა საკითხები, რომლებიც

მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს აღელვებდა. მაშინ გაზეთში მუდმივად არსებობდა განყოფილებები: „მუშა-ქალის ფურცელი“, „წითელარმიელის ფურცელი“, „ახალგაზრდა კომუნისტის ფურცელი“ და სხვ., რომლებშიც სისტემატურად იბეჭდებოდა ქალების, წითელარმიელების, ახალგაზრდების წერილები, აგრეთვე პარტიის პოლიტიკისადმი მიძღვნილი სტატიები. ეს მასალები ხელს უწყობდნენ პარტიის კავშირის განმტკიცებას მასებთან, ეხმარებოდნენ მშრომელებს, გარკვეულიყვნენ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში, დაერაზმათ ისინი საშირბოროტო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ახალი ცხოვრების მშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვისათვის ბრძოლაში „პრავდასთან“ ერთად დიდი წილი შეჰქონდა „იზვესტიასაც“ — სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოს. სამოქალაქო ომის პერიოდში „იზვესტიის“ ფართი თემატიკაზე მეტყველებენ გაზეთის განყოფილებები: „წითელი ფრონტი“, „მუშათა ცხოვრება“, „სურსათ-სანოვაგე“, „პარტიული ცხოვრება“ და სხვ. გაზეთში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა განყოფილებას „მთავრობის მოქმედებანი“ და „განკარგულებები“, რომლებშიც იბეჭდებოდა სრულიად რუსეთის ცაკ-ის, სახკომსაბჭოს დეკრეტები და დადგენილებები, ინფორმაციები მთავრობის ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. გაზეთი „იზვესტია“ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ბრძოლას მშვიდობისათვის, საბჭოთა რესპუბლიკის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას სხვა ქვეყნებთან. გაზეთი დაუღალავად ეწეოდა საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის პროპაგანდას.

გაზეთ „იზვესტიასთან“ არის დაკავშირებული მწერალ-ბოლშევიკის, ჩაპაევის ლეგენდარული დივიზიის კომისრის დ. ფურმანოვის პუბლიცისტური მოღვაწეობის დასაწყისი. მის სტატიებსა და კორესპონდენციებში დამაჯერებლად არის ასახული იმ წლების მოვლენები. ნაჩვენებია მუშებისა და გლეხების სიმტკიცე და მამაცობა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვისა და განმტკიცებისათვის. ამავე წლებში დ. ფურმანოვი სხვა გაზეთებშიც თანამშრომლობდა. განსაკუთრებით ხშირად იბეჭდებოდა მისი წერილები ივანოვოს გაზეთ „რაბოჩი კრაიში“. სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა გაზეთებში დ. ფურმანოვის 100-ზე მეტი სტატია, ნარკვევი და შენიშვნა დაიბეჭდა.

ასევე ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში ყოველდღიური გაზეთი „ბედნოტა“. იგი ეხმარებოდა პარტიას სოფლის მშრომელთა დარაზმვაში თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის, ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაწევის, არმიისა და

ქალაქების პურით უზრუნველყოფისათვის. ნომრიდან ნომერში გაზეთი მკითხველს ესაუბრებოდა საბჭოთა ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, განუმარტავდა პოლიტიკურ ვითარებას. ყოველდღიურად იბეჭდებოდა ცნობები სამხედრო მოქმედების, ფრონტებზე არსებული ვითარების, წითელი არმიის მებრძოლების გმირობის შესახებ. „ბედნოტამ" დიდი როლი შეასრულა საბჭოთა მთავრობის დეკრეტების პროპაგანდის საქმეში. იგი ხალხისათვის გასაგებს ხდიდა იმ დიად გარდაქმნებს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა, რაზმავდა მასებს სოციალისტური სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. გაზეთი „ბედნოტა" ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის მძიმე პერიოდში აღაფრთოვანებდა მასებს სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის, განუსრელად ატარებდა პარტიის გენერალურ ხაზს. ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა გაზეთ „ბედნოტას" საქმიანობას სამოქალაქო ომის წლებში: „ოთხი წელიწადი ღირსეულად და წარმატებით იღვწოდა გაზეთი, რომ სამსახური გაეწია მშრომელი გლეხობის ინტერესებისათვის"[27].

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პარტიის სწორი ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად შეიქმნა სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელების მტკიცე სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ამავე პერიოდში დაიწყო ბეჭდვითი სიტყვის განვითარება ეროვნულ ენებზე, რაშიც ნათლად გამოვლინდა კომუნისტური პარტიის მზრუნველობა წინათ დაჩაგრული ხალხების კულტურის განვითარებაზე. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეროვნული პოლიტიკის სრულყოფილი და მრავალმხრივი გაშუქებისათვის. სპეციალურად შეიქმნა ყოველკვირეული გაზეთი „ეიზნ ნაციონალნოსტეი". გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 9 ნოემბრიდან 1922 წლის 15 თებერვლამდე და წარმოადგენდა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის ორგანოს. იგი მშრომელებს ზრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, იბრძოდა ეროვნული რესპუბლიკების განმტკიცებისათვის, ააშკარავებდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს. გაზეთში ხშირად ბეჭდავდა სტატიებს ი. სტალინი, რომელიც იმ დროს ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი იყო. „ეიზნ ნაციონალნოსტეის" ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახლდათ ისეთი საკითხების გაშუქება, რომლებიც დაკავშირებული იყო ხალხთა მეგობრობის განმტკიცებასთან, მათ დარაზმვასთან საბჭოთა რესპუბლიკის გარშემო. სამოქალაქო ომის მძიმე წლებში გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა მოწოდებები ხალხებისადმი — ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ. გაზეთი „ეიზნ ნა-

---

29 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 33, გვ. 290.

ციონალნოსტეი“ ბევრს აკეთებდა იმისათვის, რათა დახმარებოდა სხვადასხვა ეროვნებების მშრომელებს, გამოემუშავებინათ სახელმწიფო ხელისუფლების ფორმები, რათა მთლიანად დაეკმაყოფილებინათ ამა თუ იმ ხალხის მოთხოვნები, გაეთვალისწინებინათ მათი ეროვნული თავისებურებანი და, რაც მთავარია, წარმატებით გადაეჭრათ რუსი ხალხის მეთაურობით ყველა ეროვნებისა და ხალხის მტკიცე კავშირის შექმნის ამოცანა.

სამოქალაქო ომის მძიმე პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ ცალკეული სამრეწველო საწარმოების აღსადგენად, საფინანსო საქმის მოსაგვარებლად, მოსახლეობის სურსათით, ხოლო მრეწველობის ნედლეულით მოსამარაგებლად, ტრანსპორტის გამოსაყენებლად ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის. ყველა ეს საკითხი ფართოდ იყო დასმული და შუქდებოდა ყოველდღიურ გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნში“, რომელიც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსების, სურსათისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატების ორგანოს წარმოადგენდა. ამ გაზეთისათვის, რომელიც 1918 წლის 6 ნოემბრიდან გამოდიოდა, დამახასიათებელი იყო მასალები, რომლებშიც ასახვას პოულობდა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში არსებული მდგომარეობა. 1920 წლის ივლისიდან დაწყებული, გაზეთი ყოველდღიურად აქვეყნებდა ეკონომიკურ მიმოხილვებს მრეწველობის ძირითად დარგებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. გაზეთი ასევე ყურადღებას უთმობდა სახალხო მეურნეობის მმართველობის ორგანიზაციას. იგი მკითხველებს მუდმივად აწვდიდა ინფორმაციებს რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობის შესახებ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნმა“, როგორც მშრომელთა დიდი დღესასწაული, ისე აღნიშნა შატურის ელექტროსადგურის — საბჭოთა ენერგეტიკის პიონერის — პირველი რიგის მშენებლობის დამთავრება. გაზეთის 1920 წლის 29 ივლისის მთელი ნომერი ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მიეძღვნა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი მუშაობა გაშალეს სოციალისტური ეკონომიკის შექმნისათვის. ეს საშური საქმე ბევრ სიძნელეს აწყდებოდა, ბევრი საკითხი ნათელი არ იყო და მოითხოვდა ფართო განხილვას. ამ მიზნით გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ ფურცლებზე ეწყობოდა დისკუსიები. მაგალითად, 1920 წელს ჩატარდა დისკუსია კოოპერაციის როლის, მნიშვნელობისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ. ამ დისკუსიის შედეგებმა გარკვეული დახმარება გაუწია პარტიას აღნიშნული საკითხი IX ყრილობაზე ყოველმხრივ განეხილა და მიეღო სათანადო გადაწყვეტილება.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ მუშაობაში ამ პერიოდში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. გაზეთი ცოტა მასალებს ბეჭდავდა იმის შესახებ, თუ საწარმოებში მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები პრაქტიკულად როგორ წყვეტდნენ სამეურნეო მშენებლობის ამოცანებს. მის ფურცლებზე იშვიათად გამოდიოდნენ მუშკორები, მრავალი საგაზეთო მასალა კადაჭარბებით აკადემიური იყო. გაზეთის მუშაობის ეს ხარვეზები შემდგომში, აღდგენითს პერიოდში, მკაცრად გააკრიტიკა ვ. ი. ლენინმა, რაზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

სამოქალაქო ომის წლებში წითელი არმიის მებრძოლთა პოლიტიკური აღზრდის გაძლიერებისა და გაუმჯობესების ინტერესებს ემსახურებოდა წითელარმიული პრესა. არმიასა და ფრონტებზე პოლიტგანყოფილებები და რევოლუციური სამხედრო კომიტეტები უშვებდნენ მასობრივ, პოპულარულ გაზეთებს. 1918—1919 წლებში მათი რაოდენობა 90-ს აღწევდა. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ეს საქმიანობა აღმოსავლეთის ფრონტზე. საკმარისია ითქვას, რომ 1919 წლის ოქტომბრისათვის ამ ფრონტის არმიებში გამოდიოდა 25-მდე გაზეთი, რომელთა საერთო ყოველდღიური ტირაჟი 250 ათასი ეგზემპლარი იყო. აღმოსავლეთის ფრონტის წითელარმიელთა შორის ყველაზე უფრო პოპულარობით სარგებლობდა მე-5 არმიის გაზეთი „კრასნი სტრელოკი“, რომელმაც არმიასთან ერთად ისტორიული გზა გაანვლო ყაზანიდან ბაიკალამდე. მის ფურცლებზე აისახა საბჭოთა ადამიანების გმირობა კოლჩაკის არმიების წინააღმდეგ ბრძოლებში, ასალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრება, კომუნისტური პარტიის დამრაზმველი და წარმმართველი როლი და სხვ.

ერთ-ერთი პირველი წითელარმიული გაზეთი იყო, აგრეთვე, „სოლდატ რევოლუციი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა ცარიცინში 1918 წლის 7 აგვისტოს. ეს გაზეთი განკუთვნილი იყო ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის, შემდგომ კი სამხრეთის ფრონტის ნაწილების მებრძოლთათვის. იგი 18 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით იბეჭდებოდა. გაზეთი „სოლდატ რევოლუციი“ ფართოდ მოუთხრობდა მკითხველებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებზე, პოლიტიკურ მოვლენებზე, ფრონტებზე არსებულ მდგომარეობაზე. გაზეთის მიერ ჩატარებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ხელს უწყობდა ფრონტზე წარმატების მოპოვებას.

1919 წლის ნოემბერში ბუდიონის კორპუსმა, რომელმაც გაანადგურა დენიკინის, შკუროსა და მამონტოვის ცხენოსანი ბანდები, ვორონეჟი დაიკავა. ტროფეებს შორის აღმოჩნდა საბეჭდი მანქანა „ამერიკანკა“ და შრიფტი. ამ მოწყობილობის საფუძველზე ცხენოსანთა კორპუსთან შეიქმნა საველე სტამბა და 1919 წლის 25 ნოემბერს გა-

მოვიდა გაზეთ „კრასნი კავალერისტის“ პირველი ნომერი. გაზეთი არა მარტო წითელარმიელთა შორის, არამედ ფრონტისპირა რაიონების აღვილობრივ მოსახლეობაშიც ვრცელდებოდა. 1920 წელს, როდესაც პანების პოლონეთთან ომი წარმოებდა, „კრასნი კავალერისტი“ გამოდიოდა რუსულ, უკრაინულ და პოლონურ ენებზე. გაზეთთან ერთად რედაქცია დიდი რაოდენობით უშვებდა ფურცლებს, რომლებიც მიმართული იყო წითელი არმიის მებრძოლებისადმი და, აგრეთვე, მოწინააღმდეგის ჯარების ჯარისკაცებისადმი. გაზეთს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული პირველ ცხენოსანთა არმიის მებრძოლებთან და მეთაურებთან და მუდმივად ამაღლებდა მათ საბრძოლო განწყობილებასა და პოლიტიკურ შეგნებულობას.

წითელარმიული პრესის ისტორიაში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა უკრაინის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის, ხოლო შემდგომ მე-12 არმიის გაზეთმა „კრასნაია არმიამ“, რომელიც 1919 წლის მარტიდან გამოდიოდა. გაზეთი მრავალრიცხოვანი ფაქტებით მუშურ-გლეხური არმიის მებრძოლებს ზრდიდა სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის გმირობისა და მამაცობის სულისკვეთებით. რედაქციის მუშაკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა გაზეთი რეგულარულად გამოსულიყო, ხშირად მას ტყვიების ქვეშაც კი უშვებდნენ. მებრძოლებსა და მეთაურებს უყვარდათ თავიანთი გაზეთი, და როდესაც იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. მკითხველები მატერიალურ დახმარებას უწევდნენ, შეგროვილი სახსრებით ყიდულობდნენ ქაღალდს, საღებავებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ მე-12 არმიის შემადგენლობაში, სადაც „კრასნაია არმია“ გამოდიოდა, შედიოდა სამოქალაქო ომის სახელგანთქმული მხედართმთავრის ნ. შჩორსის დივიზია, რომელსაც გარკვეული წვლილი შეჰქონდა გაზეთის გამოცემაში.

დასახელებული გაზეთების გარდა დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, აგრეთვე, გაზეთები „კრასნოარმეეცი“ (დასავლეთის ფრონტის მე-16 არმიის პოლიტგანყოფილების ორგანო), „რევოლუციონნაია არმია“ (აღმოსავლეთის ფრონტი), „კრასნი ვოინი“ (მე-9 არმია, 1920 წელს მისი რედაქტორი დ. ფურმანოვი იყო), „კრასნი ბალტიისკი ფლოტი“ და მრავალი სხვა.

კომუნისტური პარტია ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა წითელარმიულ ბეჭდვით სიტყვას, განაზოგადებდა საუკეთესო გაზეთების გამოცდილებას და, ამასთანავე, აკრიტიკებდა ზოგიერთი მათგანის მიერ დაშვებულ შეცდომებს. პარტია წითელარმიულ პრესას მრავალმხრივ დახმარებას უწევდა. რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოსთან შეიქმნა სპეციალური ბიურო, რომელიც ფრონტულ პრესას ამარაგებდა ლიტერატურული მასალებით. ამ საქმიანობაში აქტიურად

მონაწილეობდა პოეტი ვ. ლებედევი. რომელიც მრავალ თავის ლექსს შენიშვნას თუ ფელეტონს ხელს აწერდა ფსევდონიმს — კუმაჩს.

მხურვალე, მართალი ლშევიკური სიტყვა ინტერვენტების ჯარებსაც წვდებოდა. ამ ჯარ ის ჯარისკაცები რწმუნდებოდნენ იმაში, რომ ისინი მოატყუეს კაპიტალისტებმა. რომლებმაც გააგზავნეს საბჭოთა რუსეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ საომრად. რკპ (ბ) უცხოური ჯგუფების მიერ გამოშვებული ფურცლები და გაზეთები. რომლებიც ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე იბეჭდებოდა, ჯარისკაცთა მასებში პოლიტიკური მუშაობის ქმედითი საშუალება იყო. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ამ გამოცემებს.

სამოქალაქო ომის წლებში, რაიონებში, რომლებიც ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების ჯარებმა დროებით ხელში ჩაიგდეს. ფართოდ გაიშალა პარტიზანული მოძრაობა. პარტიზანული რაზმების პარტიული ორგანიზაციები გამოსცემდნენ როგორც ნაბეჭდ, ისე ხელნაწერ გაზეთებს. ბელორუსიაში გამოდიოდა „ბელორუსკაია პრავდა“, შორეულ აღმოსავლეთში „კრასნი სუჩანეცი“, „ნაპატი“, „პარტიზანსკი კლიჩი“, ციმბირში „სოხა ი მოლოტი“ და სხვ. ყველა ამ გაზეთმა დიდი როლი შეასრულა მტრის გასანადგურებლად მშრომელთა დარაზმვაში, ხელს უწყობდა პარტიზანული რაზმების მებრძოლთა აღზრდას შეგნებული დისციპლინის, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადების სულისკვეთებით. თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების მიერ დაკავებულ რაიონებში აქტიურად მოქმედებდნენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არალეგალურად უშვებდნენ ფურცლებსა და გაზეთებს. მაგალითად, ოდესაში გამოდიოდა გაზეთი „კომუნისტი“, მინსკში — „პოდპოლნაია პრავდა“, „ზვიზდა“ „ბედნიაკი“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში თვით ცხოვრებამ დაბადა ბეჭდვითი სიტყვის ახალი სახეები, რომლებიც თავისი ოპერატიულობის წყალობით სწრაფად პოულობდნენ ფართო მასების აღიარებას. ერთ-ერთი ასეთი სახე იყო გაზეთები, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოს (როსტას) მოძრავი ლიტერატურულ-საინსტრუქტორო ჯგუფები უშვებდნენ 1918—1920 წლებში. მრავალი ფრონტი და ფრონტისპირა რაიონი მოიარა აგიტმატარებელმა „ოკტიაბრსკაია რევოლუციამ“, სადაც ისტამბებოდა გაზეთი „გამარჯვებისაკენ“. მებრძოლი ტონი, მაღალი ოპერატიულობა გაზეთს შინაარსიანსა და საინტერესოს ხდიდა და იგი მკითხველთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. საგულისხმოა ისიც, რომ თავისი მაგალითით იგი კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა ადგილობრივი პრესის მუშაკებზე.

მდინარეებზე კამასა და ვოლგაზე 1919 წელს დადიოდა ლიტერატურულ-საინსტრუქტორო გემი. აქაც როსტას მუშაკები უშვებდნენ გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“, რომლის ტირაჟიც ვრცელდებოდა წითელარმიელებსა და მდინარისპირა რაიონების მშრომელებში. სააგიტაციო მატარებლებისა და გემების გამსვლელი რედაქციები გაზეთების გამოცემასთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდნენ ფურცლების გამოშვებისათვის, ლიტერატურის გავრცელებისა და მასებში პოლიტიკური აგიტაციის ჩატარებისათვის.

როსტა თავის საქმიანობაში არ ისაზღვრებოდა პრესისადმი საშინაო და საერთაშორისო ინფორმაციის მიწოდებით, იგი საკუთარი ძალებით კედლებზე გასაკრავად უშვებდა „საგანგებო ბიულეტენებსა“ და „კედლის გაზეთებს“, რომლებიც შეიცავდნენ უკანასკნელ ცნობებს და სააგიტაციო გამოხმაურებებს მათზე. რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსთან არის, აგრეთვე, დაკავშირებული სამოქალაქო ომის წლებში ბეჭდვითი სიტყვის ისეთი თავისებური და ქმედითი სახის წარმოშობა, როგორიცაა სატირული და სააგიტაციო „როსტას ფანჯრები“. ეს იყო თვალშისაცემი, ფერადოვანი ნახატებით შესრულებული პლაკატები, რომლებსაც მინაწერები ლექსის სახით ჰქონდა გაკეთებული. როგორც კი ტელეგრაფი რაიმე ცნობას გადმოსცემდა ფრონტიდან, უმალვე ამ თემაზე „ფანჯარა“ ჩნდებოდა. „როსტას ფანჯრებში“ აისახებოდა ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა — პარტიის ყრილობები, საბჭოების ყრილობები, ცალკეული პოლიტიკური კამპანიები და სხვ. „როსტას ფანჯრები“ გამოიფინებოდა ხოლმე მაღაზიების ვიტრინებში, იკვრებოდა სახლების კედლებზე. მათთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური სიმძაფრე, ოპერატიულობა, სიცხადე, მისაწვდომობა. სულ სამოქალაქო ომის წლებში ათასზე მეტი „ფანჯარა“ იქნა გამოშვებული. ამ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ვ. მაიაკოვსკი, იგი თვითონ ხატავდა პლაკატებს და ლექსებსაც წერდა მათთვის. ვ. მაიაკოვსკის მიერ გაკეთებული პლაკატები დიდი წარმატებით სარგებლობდა. მოსკოვის მაგალითისებრ სატირულ და სააგიტაციო „ფანჯრებს“ იმ წლებში როსტას ზოგიერთი ადგილობრივი განყოფილებაც უშვებდა.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის მკაცრ და მრისხანე წლებში კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმულმა მუშათა კლასმა, მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის მთელმა ხალხმა გადალახა ყველა სიძნელე და გაანადგურა ყველა მტერი. ამ გმირულ ბრძოლაში უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიულმა და საბჭოთა ბეჭდვითმა სიტყვამ.

ლიტერატურა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ. თხზ., ტ. 28, გვ. 100—103.
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. დიადი თაოსნობა. თხზ., ტ. 29, გვ. 479—504.
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რუსული ენის გაწმენდის შესახებ. თხზ., ტ. 30, გვ. 354—355.
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ (შავი მონასახი). თხზ., ტ. 31, გვ. 493—495.
Партийная и советская печать в борьбе за построение социализма и коммунизма, М., 1966.
Н. К. К р у п с к а я. Воспоминания о Ленине. М., 1968.
И. А. Б р ы л я к о в. Российское телеграфное. М., 1976.
С. И. С т ы к а л и н. Окна сатиры РОСТА. М., 1976.

თ ე მ ა მ ე თ ი რ თ მ ე ტ ე

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.)

სამოქალაქო ომი ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამარჯვებით დამთავრდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში მათ დაამარცხეს ინტერვენტები და თეთრგვარდიელები. სახალხო მეურნეობის აღსადგენად მშვიდობიან შრომაზე გადასვლას ჩვენი ქვეყანა უმძიმეს პირობებში ახორციელებდა. მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა ოთხწლიანი იმპერიალისტური ომისა და სამწლიანი უცხოეთის ინტერვენციის შედეგად გაჩანაგებული და გაპარტახებული იყო. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მუშებისა და გლეხების წინაშე დადგა ნათელი ამოცანა — დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა.

სამოქალაქო ომის პერიოდში პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მთელი ძალები მიმართული იყო ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციონერების განადგურებისაკენ. ამ მიზნით ქვეყანაში შემოღებულ იქნა სამხედრო კომუნიზმი. მშრომელთა მასები შეგნებულად იღებდნენ მსხვერპლს, იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებას. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ გლეხობა, რომლის ინტერესები შეეჯახა სამხედრო კომუნიზმის მთელ სისტემას, ვეღარ ურიგდებოდა სამხედრო დროის მკაცრ კანონებს. ამ დაძაბულ ვითარებაში, 1921 წლის მარტში, შეიკრიბა პარტიის X ყრილობა. ყრილობაზე გაკეთებულ თავის მოხსენებაში ვ. ი. ლენინმა წამოაყენა წინადადება, გადასულიყვნენ ახალ ეკონომიკურ პოლიტი-

კაზე. სასურსათო გაწერა შეცვლილი იქნა ნატურალური გადასახადით. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობდა მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას. ჰქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაზე გადასვლისათვის.

ყრილობის წინ ჩატარებულმა დისკუსიამ პროფკავშირების შესახებ, ცხადყო პარტიაში ოპოზიციური ჯგუფების არსებობა, რომლებიც წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ. ლენინის ხელმძღვანელობით პარტიამ ამხილა და გაანადგურა ოპორტუნისტები. პარტიის X ყრილობამ თითოეული კომუნისტისაგან მოითხოვა სიმტკიცე, რკინისებური დისციპლინა და ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება „პარტიის ერთიანობის შესახებ", რომელიც მიმართული იყო ყოველგვარი ოპორტუნისტული დაჯგუფებებისა და ფრაქციების წინააღმდეგ. პარტია რაზმავდა თავის რიგებს, მტკიცდებოდა ორგანიზაციულად.

1922 წელს განხორციელდა ჩვენი ქვეყნის ხალხების გაერთიანება ერთ ძმურ ოჯახად, შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. კომუნისტური პარტია მოუწოდებდა მშრომელებს ყველა ძალები დაეძაბათ, რათა უსწრაფესად მოეშუშებინათ ომით მიყენებული ჭრილობები, აღედგინათ მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა უმოკლეს ვადაში გადაჭრა ეს საპასუხისმგებლო ამოცანა.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, სოციალიზმის წარმატებით აშენებისათვის პირობების მოსამზადებლად გაშლილ ბრძოლაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა პარტიის საიმედო და ნაცად იარაღს — პარტიულ და საბჭოთა ბეჭდვით სიტყვას. კომუნისტური პარტია, რომელიც ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა პრესას, განსაზღვრავდა მის სამუშაო პროგრამას, სახავდა მის წინაშე კონკრეტულ ამოცანებს. ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს ჟურნალ-გაზეთების საქმიანობას და შეუნელებლად ზრუნავდა მათი ქმედითობის ამაღლებისათვის. ვ. ი. ლენინის მიერ 1921—1923 წლებში დაწერილი მთელი რიგი სტატიები შეიცავენ უმნიშვნელოვანეს მითითებებს ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ.

სტატიაში „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ", რომელიც ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმას" 1922 წლის № 2-ში გამოქვეყნდა, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ პარტია ძლიერია თავისი კავშირით მშრომელთა უფართოეს მასებთან. „ავანგარდი, — წერდა იგი. — მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის ამოცანებს, როცა მას უნარი შესწევს არ მოსწყდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მასას, როცა მას მართლაც შეუძლია წინ წაუძღვეს მთელ მა-

სას"[30]. ბეჭდვითი სიტყვა სწორედ წარმოადგენს ავანგარდის მასებთან ახალი კავშირის შექმნისა და განმტკიცების ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას. იგი, ამავე დროს, ემსახურება პროლეტარიატისათვის მტრული იდეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. კომუნისტური პრესა უნდა მებრძოლური იყოს და მტკიცედ იცავდეს დიალექტიკურ მატერიალიზმის, მარქსიზმის პრინციპებს.

1921 წლის თებერვალში „პრავდაში" დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ორი სტატია: „განსახკომის მუშაობის შესახებ" და „ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ". მათგან პირველში მთელი სიცხადით არის ნაჩვენები კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ძირფესვიანი განსხვავება ბურჟუაზიულისაგან. „კაპიტალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კაზეთებს აქცევდა კაპიტალისტურ საწარმოებად, მდიდრების გამორჩენის, მათი ინფორმაციისა და თავის შექცევის იარაღად, მშრომელთა მასის მოტყუებისა და გაბრიყვების იარაღად... ჩვენ დ ა ვ ი წ ყ ე თ გაზეთის გადაქცევა იმის იარაღად, რომ გავანათლოთ მასები და ვასწაულოთ მათ ცხოვრება და თავიანთი მეურნეობის შენება უ მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ო დ და უ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ო დ. მაგრამ ჩვენ ეს არის მხოლოდ დავიწყეთ ამის გაკეთება. სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცოტა გავაკეთეთ. ამავე დროს საჭიროა კიდევ ძალიან ბევრი გავაკეთოთ, კიდევ ძალიან დიდი გზა გავიაროთ. ნაკლები პოლიტიკური რაჰარუხი, ნაკლები ზოგადი მსჯელობა და აბსტრაქტული ლოზუნგები, რომლებითაც ტკბებიან გამოუცდელი კომუნისტები, რომლებსაც თავიანთი ამოცანები ვერ შეუგნიათ, მეტი საწარმოო პროპაგანდა. ყველაზე მეტად კი — პრაქტიკული გამოცდილების საქმიანი, უნარიანი, მასის განვითარების დონესთან შეგუებული გათვალისწინება"[31].

მეორე სტატიაში ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნს" იმის გამო, რომ მას არ შესწევს უნარი სათანადო პროპაგანდა გაუწიოს ახალს, საქმიანად მოუთხროს მკითხველებს ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ. მასობრივი მკითხველისათვის გაუგებარი იყო გაზეთის გაჭიანურებული მსჯელობები, ღვლარჭნილობა, სქოლასტიკური დასკვნები, პრაქტიკული მუშაობის კონკრეტული ფაქტების უგულებელყოფა. „მეტი ცოდნა ფაქტებისა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ნაკლები ყბედობა, რომელიც კომუნისტურ პრინციპულობას ჩემულობს"[32].

ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული დებულებები საფუძველად დაედო პარტიის მთელ რიგ გადაწყვეტილებებს ბეჭდვითი სიტყვის

---

[30] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 33, გვ. 262.
[31] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 150.
[32] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 169.

შესახებ. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 4 აპრილის ცირკულარში „ადგილობრივი გაზეთების პროგრამის შესახებ“ მითითებულია, რომ პრესაში ფაქტებით აგიტაციამ გადაჭრით უნდა შეცვალოს ზოგადი, განყენებული მსჯელობით აგიტაცია; გაზეთებმა ფართოდ უნდა განმარტონ მთავრობის დეკრეტები და დადგენილებები, პროპაგანდა გაუწიონ მეურნეობის წარმართვის მოწინავე მეთოდებს, გააშუქონ კოლექტიური მეურნეობის უპირატესობანი, მოუიხრონ როგორც შრომის გმირებზე, ისე დეზერტირებზე, ფართოდ აღწერონ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობა, გვიჩვენონ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა.

თავის უკანასკნელ სტატიებში, რომლებიც „პრავდაში“ 1923 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა („კოოპერაციის შესახებ“, „უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი“ და სხვ.) ვ. ი. ლენინი კვლავ ავითარებს აზრს იმის თაობაზე, რომ აუცილებელია მშრომელებს ვზრდიდეთ ახალი ცხოვრების მშენებლობის კონკრეტულ მაგალითებზე. ვ. ი. ლენინის აზრით, ბეჭდვითი სიტყვის ამოცანაა, აგრეთვე, ყველა იმ საუკეთესოსა და მოწინავის პროპაგანდა, რაც კაცობრიობას შეუქმნია წინა პერიოდში, დახმარება მშრომელებისადმი, რათა ისინი დაეუფლონ სამამულო და მსოფლიო კულტურის მიღწევებს. ამავე დროს, პრესა უნდა ზრუნავდეს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის.

სოციალისტურ მშენებლობაში პრესის როლის ამაღლებისათვის საჭირო გახდა გაზეთების ქსელის ერთიანი სახელმწიფო გეგმის კამომუშავება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სახელმწიფო ქსელში შეტანილი იქნა პარტიული, პროფკავშირული, სამხედრო-პოლიტიკური, ვიწროსპეციალური და საუწყებო პერიოდული გამოცემები — სულ 232 გაზეთი, მათგან საგუბერნიო იყო — 158, სადაც ითვლებოდა 20 გლეხური, 11 კომკავშირული და 74 სამაზრო გაზეთი. სახელმწიფო ქსელში გაერთიანებულ გაზეთებს შორის 51 საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ენებზე გამოდიოდა, დანარჩენები კი — რუსულ ენაზე.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში მძაფრად გაიშალა იდეოლოგიური ბრძოლა. ბურჟუაზიის იდეოლოგებმა ახალი მეთოდების გამოყენება სცადეს — ისინი ქადაგებდნენ, რომ ნეპის შემოღებით თითქოს მოხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ბურჟუაზიული გადაგვარება. ეს კონტრრევოლუციური შეხედულებები ყველაზე უფრო სრულად აისახა ეგრეთ წოდებულ სმენოვეხოველობაში. საზღვარგარეთ თეთრმა ემიგრანტებმა 1921 წლის ივლისში გამოსცეს კრებული „სმენა ვეხ“, ხოლო მოგვიანებით პარიზში ამავე სახელწოდების ჟურნალიც გამოვიდა. „რევოლუციის ცნობის“, „ხალხთან ზავის“

ფრაზეოლოგიის საფარქვეშ ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობდნენ პროპაგანდა გაეწიათ ანტისაბჭოთა შეხედულებებისათვის, ვარაუდობდნენ საბჭოთა ქვეყანაში „მშვიდობიანი გზით" კაპიტალიზმის რესტავრაციას. მალე სმენოვეხოველობა კონტრრევოლუციური ელემენტების დროშა გახდა. ჩვენს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სმენოვეხური ლიტერატურის გამოცემასაც. რამდენიმე ჟურნალის გამოშვებასთან ერთად, ბურჟუაზიამ 1922 წლის შემოდგომაზე „ლისტოკ ობიავლენიის" — მოსკოვის ნეპმანთა ჯგუფის გაზეთის გამოცემაც კი შეძლო. რადგანაც ამ დროს დაშვებული იქნა კერძო გამომცემლობები, მათი რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1923 წლის 1 ივლისისათვის ქვეყნის 678 გამომცემლობიდან 233 კერძო იყო. ეს მონაცემები თვალნათლივ მეტყველებენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოცოცხლებას და ბურჟუაზიული ელემენტების მისწრაფებას თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ბეჭდვითი სიტყვა.

ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მტრული გამოცემების წინააღმდეგ მხოლოდ ადმინისტრაციული ზომების მიღება არ იქნებოდა საკმარისი. საჭირო იყო გაძლიერებულიყო იდეოლოგიური ბრძოლა ბურჟუაზიული გავლენის ასალაგმავად. სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებამ წიგნის ბაზრისადმი დადებითი გავლენა მოახდინა იდეოლოგიური მუშაობის ამ უბნის გაჯანსაღებაზე. მაგრამ მთავარი ამოცანა იყო იმის აუცილებლობა, რათა ფართოდ გაშლილიყო ბრძოლა მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რისთვისაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოეყენებინათ პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც აღდგენითი პერიოდის დასაწყისში ერთგვარ კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მკვეთრად შემცირდა გაზეთების რაოდენობა, ასევე მათი ტირაჟიც, საკმარისი რაოდენობით არ იყო ქაღალდი, სათანადო სახსრები. პარტიის XI ყრილობაზე (1922 წლის მარტი-აპრილი) მიღებულ რეზოლუციაში „ბეჭდვითი სიტყვისა და პროპაგანდის შესახებ" ნათქვამი იყო, რომ „კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდის საფუძველზე გარდუვალია ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერება არა მარტო მოსახლეობის წვრილბურჟუაზიულ ფენებზე, არამედ პროლეტარიატის უველაზე მეტად ჩამორჩენილ ნაწილებზეც". საჭირო იყო ყოველნაირად გაეფართოებინათ სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა, გადაჭრით ებრძოლათ ბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ. ყრილობამ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „პარტიის ბრძოლაში მასებზე გავლენისათვის, მათი კომუნისტური განათლებისა და ორგანიზაციისათვის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ იარაღს ბეჭდვითი სიტყვა წარმოადგენდა"[33]. მაგრამ იმისათვის, რომ პრესას ეს ამოცანა შეესრულებინა, საჭირო იყო მისი გან-

[33] პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 331.

მტკიცება. ამიტომ ყრილობამ მოითხოვა მთელი ბეჭდვითი სიტყვისადმი პარტიული პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება. პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ რედაქციებში სამუშაოდ გაეგზავნათ გამოცდილი და შემოწმებული პარტიული მუშაკები. საგაზეთო მუშაობა ჟურნალისტ-კომუნისტისათვის ყრილობამ ძირითად პარტიულ მუშაობად მიიჩნია.

ყრილობის რეზოლუციაში განსაზღვრული იყო ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოების მთავარი ამოცანა. „ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვის ხასიათი, — მიუთითებდა ყრილობა, — გადაჭრით უნდა შეიცვალოს. ადგილობრივი გაზეთების ძირითად შინაარსს უნდა შეადგენდეს ადგილობრივი მშენებლობის, მშრომელთა ცხოვრების, მუშაობისა და ბრძოლის საკითხები, ამასთან, ამ საკითხებს უნდა განიხილავდნენ გაზეთის ფურცლებზე მკითხველთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე ცოცხალი უშუალო გამოხმაურების ფორმით“[34]. სანგანგებო ზომები იქნა მიღებული, აგრეთვე, ბეჭდვითი სიტყვის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებით მრავალ გაზეთს დახმარება გაეწია სახელმწიფო დოტაციის სახით. ამრიგად, პარტიის XI ყრილობამ გამოიმუშავა ადგილობრივი გაზეთების საქმიანობის ფართო პროგრამა, განსაზღვრა ამ პერიოდში ბეჭდვითი სიტყვის წინაშე მდგომი პოლიტიკური ამოცანები. პარტიული ორგანიზაციები, გაზეთების რედაქციები მთელ თავის მუშაობას აგებდნენ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ნიშნით.

1922 წლის მაისში შესრულდა მასობრივი მუშათა გაზეთ „პრავდის“ შექმნის ათი წლისთავი. პარტიის XI ყრილობამ დაადგინა 1912 წელს გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლის აღსანიშნავად 5 მაისი დაწესდეს ბეჭდვითი სიტყვის დღედ. და მართლაც, მთელმა ქვეყანამ აღნიშნა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. ამ დღეს „პრავდაში“ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის ისტორიული მნიშვნელობის სტატია «„პრავდის“ ათი წლის იუბილესათვის», აგრეთვე, ი. სტალინის, ე. იაროსლავსკის, გ. პეტროვსკის, მ. ოლმინსკისა და სხვების სტატიები და მოგონებები. ბეჭდვითი სიტყვის დღემ, რომელმაც გაზეთების საქმიანობის გარშემო კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა, უჩვენა, რომ ჩვენი პარტიული და საბჭოთა პრესა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისათვის მახლობელი და მშობლიურია.

პარტიის XII ყრილობამ (1923 წლის აპრილი) აღნიშნა პრესის საქმიანობაში ერთგვარი გაუმჯობესება. თუმცა მისი განმტკიცების საკითხები ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გადაწყვეტილი. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში მითითებული იყო, რომ მკითხველთა

---

[34] იქვე, ტ. 332.

მთელი მრავალფეროვანი მასის სწორად მომსახურების ინტერესებისათვის აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო გაზეთების დიფერენციაცია (ცენტრალური და საოლქო ხელმძღვანელი გაზეთები, ცენტრალური მასობრივი, საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო მასობრივი გაზეთები და ა. შ.). „მკითხველის თითოეული ძირითადი ფენისათვის, — ნათქვამია ყრილობის დადგენილებაში, — აუცილებელია შეექმნათ გაზეთის განსაკუთრებული ტიპი“[35]. სულ მალე, XII ყრილობის შემდეგ, გლეხობისათვის შეიქმნა მასობრივი ცენტრალური „კრესტიანსკაია გაზეტა“, აგრეთვე „ბატრაკი“, ხოლო „ბედნოტა“, რომელიც 1918 წლიდან გამოდიოდა, მთლიანად გლეხური გახდა და ემსახურებოდა სოფლის აქტივს, პირველ რიგში სოფლის კომუნისტებს. ხოლო „რაბოჩაია გაზეტა“, რომლის გამოცემა 1922 წლიდან დაიწყო, მასობრივი მუშათა ფართო მკითხველისათვის განკუთვნილი ორგანო იყო.

პარტიის XIII ყრილობაზე (1924 წლის მაისი) აღინიშნა ბეჭდვითი სიტყვის შემდგომი განვითარება. გაზეთების ერთჯერადმა ტირაჟმა 3 მილიონ ეგზემპლარს მიაღწია. ყრილობაზე გადაწყდა მკვეთრად შეემცირებინათ საუწყებო ლიტერატურის გამოშვება, რათა გამოთავისუფლებული რესურსები გლეხური და ეროვნული პრესისათვის მოეხმარებინათ. ახალგაზრდობას შორის პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის ფართოვდებოდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბეჭდვითი სიტყვის ქსელი. 1924 წლის 24 მაისიდან გამოდის ცენტრალური კომკავშირული გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“, ხოლო 1925 წლის მარტიდან — „პიონერსკაია პრავდა“. წითელ არმიაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, მებრძოლთა და მეთაურთა სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო პრესის განვითარებას „კრასნაია ზვეზდას“ მეთაურობით, რომლის პირველი ნომერი 1924 წლის 1 იანვარს გამოვიდა. პარტია დიდ მზრუნველობას იჩენდა პროფკავშირული პრესის განვითარებისათვის. 1920 წლისათვის პროფკავშირული ორგანიზაციები 20 გაზეთსა და 100 ჟურნალს უშვებდნენ. 1921 წლის 15 თებერვლიდან გამოდის ცენტრალური ყოველდღიური პროფკავშირული გაზეთი „ტრუდი“. დიდი პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე რკინიგზელთა გაზეთი „გუდოკი“. ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლამ, პარტიის რიგების ზრდამ მოითხოვა კომუნისტების თეორიული მომზადების ამაღლება. ამ მიზნით 1924 წლიდან დაიწყო ცენტრალური კომიტეტის თეორიული ორგანოს ჟურნალ „ბოლშევიკის“ გამოცემა, ხოლო სოფლის პარტიული კადრებისათვის იყო განკუთვნილი ჟურნალი „დერევენსკი კომუნისტი“. 1925 წელს

[35] პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 362.

ქვეყანაში გამოდიოდა 589 გაზეთი, მათ შორის 141 იყო გლეხური, 76 — მუშათა, 72 — კომკავშირული, 17 — სამხედრო გაზეთები. ეროვნული პრესა წარმოდგენილი იყო 153 გაზეთით. საერთო ერთჯერადმა ტირაჟმა 7,5 მილიონ ეგზემპლარს მიაღწია, რაც 1922 წლის მაჩვენებელს სამჯერ აღემატებოდა. ყოველივე ეს მიუთითებდა იმაზე, რომ ბეჭდვითი სიტყვა გამოვიდა კრიზისული მდგომარეობიდან.

გაზეთების ქსელის გაფართოებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ჟურნალების გამოცემა. ცენტრალურ ჟურნალებთან („ბოლშევიკი", „დერევენსკი კომუნისტი") ერთად გამოდის ადგილობრივი პარტიული ჟურნალებიც. მშრომელთა მასების ყოველმხრივ პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდას ემსახურებოდა შემდეგი ჟურნალები, რომელთა გამოშვება ამ პერიოდში დაიწყო: „კრასნაია ნოვი", „ნოვი მირი", „ოკტიაბრი", „მოლოდაია გვარდია". ფართო გავრცელება ჰპოვა ამ დროს მასობრივმა ჟურნალებმა. მაგალითად, მარტო „რაბოჩაია გაზეტას" გამომცემლობა 1925 წელს უშვებდა ჟურნალებს: „კროკოდილს", „რაბოტნიცას", „ეკრანს", „იუნი სტროიტელს", „მურზილკას" და სხვ. თავის მხრივ „კრესტიანსკაია გაზეტა" გამოსცემდა „კრესტიანკას", „ლაპოტს", „ჟურნალ კრესტიანსკოი მოლოდიოჟის" და სხვ. გაზეთი „პრავდა" უშვებდა ორკვირეულ ჟურნალს „პროექტორს", ხოლო „იზვესტია" — „კრასნაია ნივას". 1923 წლიდან გამოდის, აგრეთვე, პოპულარული ჟურნალი „ოგონიოკი".

გრძელდებოდა მუშაობა ქვეყანაში საგამომცემლო საქმის გაუმჯობესებისათვის. მასობრივი ტირაჟებით გამოდის მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებები, დაიწყო ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა. 1924 წელს შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა ცენტრალური გამომცემლობა, რომლის ამოცანას შეადგენდა ეროვნულ ენებზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის გამოშვება. ჩამოყალიბდა აგრეთვე, მსხვილი გამომცემლობებიც: „კრასნაია ნოვი", „ზემლია ი ფაბრიკა", „მოლოდაია გვარდია".

ამრიგად, პარტიის XI, XII, XIII ყრილობების გადაწყვეტილებები ხელს უწყობდნენ არა მარტო ჟურნალებისა და გაზეთების, არამედ ბეჭდვითი სიტყვის სხვა სახეობების განვითარებასაც. აი, ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემიც:

გ ა ზ ე თ ე ბ ი

წელი	გაზეთების რაოდენობა	ერთჯერადი ტირაჟი (მილ. ეგზ.)
1923	889	2,7
1925	1120	8,1

წიგნები

წელი	წიგნების რაოდენობა (ათასობით)	ტირაჟი (მილ. ეგზ)
1921	6,5	44,2
1922	11,4	54,7
1923	14,8	84,7
1924	18,4	139,9
1925	32,3	303,1

ჟურნალები და სხვა გამოცემები

წელი	დასახელებათა რაოდენობა	წლიური ტირაჟი (მილ. ეგზ)
1921	856	—
1922	1207	16,3
1923	1609	67,5
1924	1667	92,1
1925	1749	146,1

საერთაშორისო და საკავშირო ინფორმაციით გაზეთების უკეთ მომსახურების მიზნით 1925 წლის ივლისში შეიქმნა საკავშირო დეპეშათა სააგენტო (საკდესი), რომელიც ქვეყნის ცენტრალური საინფორმაციო ორგანო გახდა.

აღდგენით პერიოდში შემდგომი განვითარება ჰპოვა მუშსოფლკორთა მოძრაობამ. თუ 1924 წელს ქვეყანაში 100 ათასი მეშა და სოფლის კორესპონდენტი იყო, ერთი წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 216 ათასს მიაღწია. მუშსოფლკორები ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის თავდადებული მებრძოლები იყვნენ, თავიანთი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით მშრომელთა შორის დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ. კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდნენ მასობრივი მუშსოფლკორული მოძრაობისადმი, ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ მას. მუშსოფლკორებთან დიდ მუშაობას ეწეოდა გაზეთი „პრავდა“. 1923 წლის 17 ნოემბერს გაზეთში დაიბეჭდა მ. კოლცოვის სტატია „მუშკორთა თათბირზე“. მასში მოთხრობილი იყო „პრავდის“ მუშკორთა პირველი შეკრების შესახებ, სადაც მოხსენებით გამოვიდა მ. ულიანოვა და რომელმაც განაზოგადა რედაქციის აქტივთან მუშაობის გამოცდილება. რედაქციასთან შეიქმნა მუშა კორესპონდენტთა ბიურო და ჩამოყალიბდა კლუბი.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1925 წლის ივნისში მიიღო

სპეციალური დადგენილება „მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის შესახებ“. მასში მითითებული იყო: „პარტიის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ პოლიტიკურად აღვზარდოთ მუშა და სოფლის კორესპონდენტი, გადავაქციოთ ის პარტიის აქტიურ თანაშემწედ მუშაობაში საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად, ბრძოლაში არსებულ ნაკლოვანებებთან, ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან“[36]. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში განსაზღვრული იყო მუშა და სოფლის კორესპონდენტებისადმი ხელმძღვანელობის ძირითადი ფორმები და მეთოდები. შეიქმნა სპეციალური ჟურნალი „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტი“, რომლის რედაქტორობა მ. ულიანოვას დაეკისრა (ეს ჟურნალი ამჟამადაც გამოდის). დიდი ტირაჟებით გამოდიოდა, აგრეთვე, დამხმარე ლიტერატურა, რომელიც განკუთვნილი იყო იმათთვის, ვინც თანამშრომლობას იწყებდა გაზეთში. ამავე პერიოდში ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებში შეიქმნა მუშსოფლკორთა განყოფილებები, აგრეთვე წრეები, სადაც მკითხველთა აქტივი რეგულარულად მეცადინეობდა. ამ წლებში ცენტრალურმა კომიტეტმა მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით მუშსოფლკორთა ორი სრულიად საკავშირო თათბირი ჩაიტარა.

მუშსოფლკორთა მოძრაობის ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა კედლის გაზეთების ქსელი. პირველად ისინი გამოჩნდნენ სამოქალაქო ომის პერიოდში ფაბრიკებსა და ქარხნებში, წითელი არმიის ნაწილებში, სოფლად კი, უფრო მოგვიანებით, 1922 წელს ჰპოვეს გავრცელება. 1924 წლისათვის ქვეყანაში თუ 3 ათასი კედლის გაზეთი გამოდიოდა, ერთი წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 40 ათასს გადააჭარბა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პრესაში გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი კრიტიკული წერილების ქმედითობას. პარტიის მითითებით მრავალ სახალხო კომისარიატში შეიქმნა სპეციალური ბიუროები რედაქციაში შემოსული წერილების განსახილველად და ზომების მისაღებად.

პარტიული და საბჭოთა პრესა აქტიურად ეხმარებოდა კომუნისტურ პარტიას ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. გაზეთების ფურცლებზე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სახალხო მეურნეობის აღდგენის საკითხებს, ყოველდღიურად შუქდებოდა წარმატებები სამეურნეო ფრონტზე. ამ დროის უმნიშვნელოვანესი თემები იყო ფაბრიკებისა და ქარხნების მუშაობის ნორმალიზაცია, შრომის დისციპლინის განმტკიცება, წარმოების რაციონალიზაციის განხორციელება. დიდი ყურადღება ექცეოდა მძიმე მრეწველობას. პრესა ზრდიდა მუშათა მასებს წარმოების მოწინავე ადამიანების გმირული შრომის მაგალითებზე, აკრიტიკებდა პარტიული, საბჭოთა და სამე-

---

36 პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 455.

ურნეო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამხილებდა წვრილბურჟუაზიულ განწყობილებათა გამოვლინებებს მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილში, ებრძოდა წამგლეჯებს, გამცდენებს, შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს.

ამავე დროს, პარტიული და საბჭოთა პრესა პარტიის ხელში მძლავრი იარაღი იყო სიძნელეების გადალახვაში. იმ წლებში საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ყოველი მხრიდან მტრებით იყო გარშემორტყმული, განიცდიდა დიდ სასურსათო სიძნელეებს. პრესა არ გაურბოდა მწვავე საკითხებს, მთელი ხმით ლაპარაკობდა მათ შესახებ. ცნობილია, მაგალითად, თუ რა დიდი უბედურება დაატყდა საბჭოთა ხალხს 1921—1922 წლებში ვოლგისპირეთში შიმშილობის გამო, რაც მოუსავლიანობით იყო გამოწვეული. მთელი ჩვენი პრესა აქტიურად ეხმარებოდა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს მასების დარაზმვაში შიმშილობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ საქმიანობაში ფართოდ იყო ჩაბმული საბჭოთა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვაც. გაზეთები „კომუნისტი“ და „მუშის შრომა“ ნომრიდან ნომერში იტყობინებოდნენ რესპუბლიკის მშრომელების ძმურ დახმარებაზე თავისი თანამოძმეებისადმი, იმ წვლილზე, რაც მათ შეჰქონდათ სტიქიური უბედურებით გამოწვეული მძიმე შედეგების ლიკვიდაციისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. ეს მაგალითი თვალნათლივ მიუთითებს საბჭოთა პრესის სისხლხორცეულ კავშირზე ხალხთან, მის დიდ დახმარებაზე პარტიისადმი ურთულესი ამოცანების გადაწყვეტაში, მშრომელთა აღზრდაში ერთიანობის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებით.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში პარტია განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა სოფლად მუშაობის საკითხებს. პრესა ფართოდ გამოეხმაურა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის თაობაზე, პროპაგანდას უწევდა პარტიის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობდა გლეხობაში შრომის კოლექტიური მეთოდების ჩვევების გამომუშავების აუცილებლობის, კოოპერაციის ყველა ფორმის განვითარების, ღარიბი გლეხებისათვის დახმარების გაძლიერების, სწორი საგადასახადო და აგრარული პოლიტიკის გატარებისადმი. პრესა ხელს უწყობდა უპარტიო გლეხთა ფართო აქტივის შექმნას, მის დარაზმვას პარტიის გარშემო, მშრომელ გლეხთა მასებს ზრდიდა კომუნიზმის სულისკვეთებით.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა დიდ ყურადღებას უთმობდა, აგრეთვე, ვაჭრობის საკითხებს, რადგან საკითხი „ვინ-ვის“ წყვეტდა არა მარტო

მრეწველობისა და ტრანსპორტის, არამედ ვაჭრობის სფეროშიც. პრესა ყოველმხრივ პროპაგანდას უწევდა ლენინურ ლოზუნგს იმის შესახებ, რომ კომუნისტებმა უნდა ისწავლონ ვაჭრობა. იგი აქტიურად ხელს უწყობდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის გამარჯვებას კერძო სექტორზე.

პარტიული და საბჭოთა პრესა შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ანტიპარტიული დაჯგუფებების წინააღმდეგ. პარტიას ამ დროს თავზე მოახვიეს დისკუსია, რომლის მსვლელობაში გაზეთები ამხილებდნენ ტროცკისტებს, იბრძოდნენ ლენინური კურსის გამარჯვებისათვის. XIII პარტიულმა კონფერენციამ შეაჯამა დისკუსიის შედეგები, დაგმო ტროცკისტული ოპოზიცია. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის რეზოლუციაში ხაზგასმით იქნა აღნიშნული გაზეთებში პარტიული ცხოვრების განყოფილებების განმტკიცებისა და საერთოდ ამ განყოფილების მუშაობის შემდგომი სრულყოფის საჭიროება.

1924 წლის 21 იანვარს პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მსოფლიო პროლეტარიატმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. მეორე დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის ეს სამწუხარო ამბავი სამგლოვიარო ფურცლებით გახდა ცნობილი. 23 იანვარს გამოვიდა გაზეთების „პრავდისა" და „იზვესტიის" ერთობლივი საგანგებო გამოშვება, რომელიც მიძღვნილი იყო ვ. ი. ლენინის გარდაცვალებისადმი. შემდგომ ნომერში „პრავდა" და სხვა გაზეთები აქვეყნებდნენ მასალებს სამგლოვიარო დღეების შესახებ დედაქალაქში, ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში. 27 იანვარს, ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეს, გაზეთებში სამგლოვიარო წერილებთან ერთად დაიბეჭდა საბჭოების II სრულიად საკავშირო ყრილობის სხდომის ანგარიში. ყრილობის დელეგატებმა ფიცი დადეს ცხოვრებაში განეხორციელებინათ ლენინის ანდერძი. მთელი 1924 წლის განმავლობაში „პრავდასა" და სხვა გაზეთებში შემოღებული იყო მუდმივი განყოფილება „ლენინის ხსოვნას". აქ გამოქვეყნებული სტატიები და კორესპონდენციები მკითხველებს მოუთხრობდნენ იმის შესახებ, თუ ხალხი როგორ პასუხობდა საქმეებით დიდ დანაკლისს. 31 იანვარს „პრავდაში" დაიბეჭდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა „მუშებისა და მუშა ქალებისადმი", რომელშიც პარტია მოუწოდებდა უპარტიო ამხანაგებს, მუშებსა და მუშა ქალებს, შესულიყვნენ პარტიის რიგებში. წამოყენებული იქნა ლოზუნგი: „მუშები დაზგიდან პარტიის რიგებში". ეს იყო პარტიაში ლენინური გაწვევა, რომლის მსვლელობა ფართოდ შუქდებოდა პრესაში. უპარტიო მუშების მხურვალე სურვილი, რომ აენაზღაურებინათ დიდი დანაკლისი, გამოიხატა იმით,

რომ მოკლე ხანში პარტიის რიგებში 250 ათასი ახალი წევრი, მოწინავე მუშა შევიდა.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის წლებში პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა დიდ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. 1921 წელს დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან, ხელი მოაწერეს რაპალის ხელშეკრულებას გერმანიასთან, დამყარდა ნორმალური ურთიერთობა ირანთან, ავღანეთთან და თურქეთთან. მიმდინარეობდა კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი. თუმცა აგრესიულად განწყობილი იმპერიალისტური წრეები არ ცხრებოდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო კერზონის ულტიმატუმი, რომელმაც სსრ კავშირსა და ინგლისს შორის ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია. საბჭოთა მთავრობამ მშვიდობისმოყვარული ნოტა გაუგზავნა ინგლისს მიუხედავად ლორდ კერზონის პროვოკაციისა. საგულისხმოა, რომ იმ დროს, როცა გამოჩნდა ინგლისის კაბინეტის მემორანდუმი, ლოზანაში დაქირავებულმა მკვლელმა სიცოცხლეს გამოასალმა პარტიის ერთგული შვილი, საბჭოთა დიპლომატი და ბოლშევიკი პუბლიცისტი ვ. ვოროვსკი, რამაც მუშათა და გლეხთა რისხვა და აღშფოთება გამოიწვია. მთელ ქვეყანაში ტარდებოდა მიტინგები და კრებები, რომლებზედაც განიხილავდნენ კერზონის მემორანდუმსა და ვ. ვოროვსკის ვერაგულ მკვლელობას. მიტინგებსა და კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში მშრომელები სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ პროვოკატორებს და აცხადებდნენ თავიანთი მზადყოფნის შესახებ დაეცვათ საბჭოთა ქვეყანა იმპერიალისტთა შემოტევებისაგან, დაეცვათ მშვიდობის საქმე. ინგლისის იმპერიალიზმმა თავის მიზანს ვერ მიაღწია. ამჯერად კონფლიქტი მოგვარდა, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა შეიარაღებული შეჯახების თავიდან აცილება.

საბჭოთა პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. კონკრეტული ფაქტების საფუძველზე იგი საბჭოთა ადამიანებს ზრდიდა პროლეტარული სოლიდარობის, ძმური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. „პრავდის" ფურცლებზე ამ დროს ხშირად გამოდიოდნენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეები: ბელა კუნი, კოლაროვი, ვარსკი, კუუსინენი, სტუჩკა და სხვები. ისინი თავიანთ სტატიებში გვაძლევდნენ სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარი მოვლენების ანალიზს, განაზოგადებდნენ რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებას. პარტიული და საბჭოთა პრესა, ამასთანავე, ფართოდ აშუქებდა კომუნისტური ინტერნაციონალის საქმიანობას. ბევრი მასალა იბეჭდებოდა კაპიტალის ქვეყნებში პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლებზე, გაფიცვებსა და გამოსვლებზე,

რომლებსაც ხშირად ბურჟუაზიული მთავრობები არბევდნენ და სასხლშიც კი ახრჩობდნენ. საინტერესო იყო, აგრეთვე, პრესაში კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელების სოლიდარობის ასახვა ჩვენი ქვეყნისადმი. ვოლგისპირეთში შიმშილობას ფართოდ გამოეხმაურა საერთაშორისო პროლეტარიატი. მრავალ ქვეყანაში დაიწყო სახსრების შეგროვება დახმარების ფონდში. გაზეთები, მაგალითად, იტყობინებოდნენ, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მშრომელთა მიერ ამ მიზნით შეგროვებული იქნა 100 მილიონ მარკაზე მეტი. ეს იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურება.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. განსახკომის მუშაობის შესახებ. თხზ., ტ. 32, გვ. 148—154.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ. თხზ., ტ. 32, გვ. 159—160. 169.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. წერილი გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნის" რედაქციას. თხზ., ტ. 33, გვ. 20—23.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ. თხ., ტ. 33, გვ. 262—275.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ნ. ოსინსკის. თხზ., ტ. 36, გვ. 658—659.

Партийная и советская печать в борьбе за построение социализма и коммунизма. М., 1966.

С. В. К а р а в а ш к о в а. Рабселькоровское движение в стране в первые годы советской власти. М., 1967.

В. В. У ч е н о в а. Партийно-советская печать восстановительного периода. М., 1964.

თ ე მ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების პუბლიცისტიკა

(1918—1925 წწ.)

საბჭოთა ხელისუფლების უკვე პირველ წლებში პუბლიცისტიკამ ღრმად გაიდგა ფესვები საბჭოთა პრესაში. მისთვის დამახასიათებელი იყო თანამედროვეობის ცოცხლად ასახვა, რასაც თან ახლდა ღრმა კომენტარები, განცდილ მოვლენათა ზუსტი შეფასებანი, ყურადსაღები დასკვნები, ფიქრები ცხოვრების მიერ დასმულ საჭირბოროტო საკითხებზე.

საბჭოების მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წამყვანი ავტორი და

პუბლიცისტი, ისევე როგორც წინა წლებში, იყო ვ. ი. ლენინი. მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა ეხმაურება ამ პერიოდის ისტორიის სამ ძირითად ეტაპს: საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალურ სელას (1917 წლის ნოემბერი — 1918 წლის დასაწყისი); სამოქალაქო ომის წლებს (1918—1920 წწ.); სახალხო მეურნეობის აღდგენის დასაწყისს (1920—1923 წწ.). ვ. ი. ლენინის პუბლიცისტური სტატიების შესწავლისა და მათი ღრმა გააზრებისათვის საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ, პირველყოვლისა, ლენინური პუბლიცისტიკის თემატიკისადმი; მეორე მხრივ, ჟანრობრივი მრავალფეროვნებისადმი; და ბოლოს, ოსტატობის დამახასიათებელ თავისებურებებზე.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის 1918—1920 წლების საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკა ემსახურება უმთავრეს ამოცანას — შინაური და უცხოეთის კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების განადგურებას, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის — საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მტკიცე დასაყრდენის — დაცვას.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი წლების პერიოდის ლენინური პუბლიცისტიკის ძირითადი თემატური მიმართულებებია: ლენინური კოოპერაციული გეგმა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაშუქება, პოლემიკა ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეებთან, საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტებისა და „მემარცხენე ფრაზიორების“ მხილება, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გეგმის შემუშავება.

ვ. ი. ლენინის პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელია ჟანრობრივი მრავალფეროვნება. იგი წარმატებით იყენებს სტატიას, მიმოხილვას, ინტერვიუს, წერილს, მიმართვას, პრესის მიმოხილვას, რეცენზიას და პამფლეტს. ლენინური პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუშებია სტატიები: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“, „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“, „უცნაური და შემზარავი“, „ოქროს მნიშვნელობის შესახებ ახლა და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ“; მიმართვა — „ყველაფერი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად!“; სტატია-პამფლეტი — „პუბლიცისტის შენიშვნები“; საგაზეთო წერილის ჟანრი — „წერილი მუშებსა და გლეხებს კოლჩაკზე გამარჯვების თაობაზე“ და სხვ.

როდესაც პრესაში გამოქვეყნებულ ვ. ი. ლენინის ნაშრომებს განვიხილავთ პუბლიცისტური ოსტატობის თვალსაზრისით, უაღრესად საგულისხმოა გავიაზროთ მისი შემოქმედების დამახასიათებელი თავისებურებანი: უმნიშვნელოვანესი თეორიული, პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო პრობლემების გაჭედული მეცნიერული დამუშა-

ვება, ყოვლისმძლე ოპტიმიზმი, მგზნებარება და ჩვენი ქვეყნის მტრების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთება. ამავე დროს, ყურადღებას იპყრობს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში ენობრივ-სტილისტიკური ხერხებისა და საშუალებების სიმდიდრე და მრავალფეროვნება, მის მიერ ახალი ცხოვრების მშენებლობის ყურადსაღები ფაქტებისა და მაგალითების ოსტატურად გამოყენება, ღრმა განზოგადებისა და დამაჯერებელი დასკვნების გამოტანის უნარი.

ვ. ი. ლენინმა აღზარდა ბოლშევიკური ჟურნალისტიკის საუკეთესო ტრადიციების ერთგულ გამგრძელებელთა მთელი პლეადა. ლენინური სკოლის პარტიულ პუბლიცისტთა მოღვაწეობამ ჟურნალ-გაზეთებში 1918—1925 წლებში მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის განვითარებას, ხელი შეუწყო მისი როლის ამაღლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალიზმის მშენებლობაში.

ფართო პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა ამ წლებში გაზეთ „პრავდაში" ე. იაროსლავსკი. იგი ძირითადად წერდა სტატიებს პოლიტიკურ თემებზე, აგრეთვე მიმოხილვებს სხვადასხვა საკითხებზე. მისი კომენტარები უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე ყოველთვის დამაჯერებელი და სარწმუნო იყო. აღსანიშნავია ე. იაროსლავსკის სტატიები და პამფლეტები, რომლებიც მიძღვნილი იყო ანტირელიგიური თემებისადმი. მან ათეიზმის საკითხებზე 500-ზე მეტი სტატია, ბროშურა და წიგნი გამოაქვეყნა.

ამ პერიოდის პარტიულ პუბლიცისტთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია მ. კალინინს — ცაკ-ის თავმჯდომარეს. „პრავდაში", „იზვესტიაში" და „ბედნოტაში" გამოქვეყნებული პოპულარული სტატიებითა და შენიშვნებით, გლეხებისადმი მიმართული წერილებითა და მოწოდებებით მან მასობრივი საბჭოთა მკითხველის მოწონება დაიმსახურა. მეტად საინტერესოა მ. კალინინის აქტიური მონაწილეობა აგიტმატარებლის „ოქტომბრის რევოლუციის" გაზეთის „კ პობედეს" საქმიანობაში. აქ მან მრავალი მასალა გამოაქვეყნა, რომელთა შორის ყურადღებას იმსახურებს მ. კალინინის წერილი წითელარმიელ პეტროვისადმი, აგრეთვე გაზეთის მიერ ცალკე ფურცლად გამოშვებული მოწოდება „განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა ძმური კავშირი" და სხვ. გამოჩენილი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწე მ. კალინინი თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში წარმოგვიდგება როგორც ღრმა ანალიტიკოსი. მას ბრწყინვალედ შესწევდა უნარი რეალური საზოგადოებრივი პროცესები გაეაზრებინა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შუქზე.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის თეორიასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ს. კიროვს. სამოქ-

ლაქო ომის პერიოდში ხშირად იბეჭდებოდა მისი სტატიები „პრავდაში“, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: „თერგის ნაპირებზე“, „დენიკინი კავკასიაში“ და სხვ. ს. კიროვი 1921—1925 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთებში „ბაკინსკი რაბოჩი“ და „კომუნისტი“. ს. კიროვის პუბლიცისტიკის შესწავლისას გასათვალისწინებელია ის დიდი ზეგავლენა, რასაც მისი შემოქმედებითი საქმიანობა ახდენდა სახალხო ტრიბუნის, მგზნებარე რევოლუციონერის ჩამოყალიბებაზე.

როგორც კომუნისტური პარტიის, ისე მისი ბეჭდვითი სიტყვის ისტორიისათვის გარკვეულ ინტერესს შეიცავს ი. სკვორცოვ-სტეპანოვის პუბლიცისტიკა. მისი შემოქმედების მთავარი მიმართულებებია: სტატიები და მიმოხილვები ეკონომიკურ თემაზე, განსაკუთრებით კი ელექტრიფიკაციის თემებზე. დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აგრეთვე, მისი მეცნიერულ-ათეისტური პუბლიცისტიკა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მარტო „პრავდის“ ფურცლებზე მან 80-ზე მეტი სტატია და ფელეტონი დაბეჭდა, რომლებიც მიძღვნილი იყო ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრობლემებისადმი, პარტიის გენერალური ხაზის დაცვისადმი ოპორტუნისტთა შემოტევებისაგან. უდავოდ პუბლიცისტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოები ამ პერიოდში იყო მისი წიგნი „რსფსრ-ს ელექტრიფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით“ (1922 წ.), რომელმაც ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ნიჭიერი პუბლიცისტის კალამს ეკუთვნის ცენტრალურ პრესაში სამეცნიერო-ათეისტურ თემებზე გამოქვეყნებული სტატიები და, განსაკუთრებით კი, მისი წიგნი „ნარკვევები რელიგიურ რწმენათა განვითარების შესახებ“, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სახელმძღვანელოდ იხმარებოდა პარტიული განათლების ქსელში.

ერთ-ერთი გამოჩენილი და ნიჭიერი პარტიული პუბლიცისტი იყო ა. ლუნაჩარსკი — რსფსრ განათლების სახალხო კომისარი, სოციალისტური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, ოქტომბრის რევოლუციამდელი ყველა ბოლშევიკური ორგანოს აქტიური თანამშრომელი იყო, ვ. ი. ლენინის ერთგული თანამებრძოლი. რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც იგი ხშირად გამოდიოდა პრესაში ლიტერატურის, ხელოვნების, ესთეტიკის საკითხებზე, განათლების პრობლემებზე. ა. ლუნაჩარსკი მხარს უჭერდა ყოველივე ახალსა და ნიჭიერს, რაც რევოლუციის საქმეს ემსახურებოდა. დიდია მისი დამსახურება ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, რომელსაც იგი „მომავლისადმი მიმართულ ხელოვნებას“ უწოდებდა. საოცრად დიდია მისი სტატიებისა და რეცენზიების დიაპაზონი. იგი

ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ისეთ საეტაპო ნაწარმოებებს, როგორიცაა ა. ფადეევის „განადგურება“, მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“, დ. ფურმანოვის „ჩაპაევი“, თ. გლადკოვის „ცემენტი“, ა. სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“, ვ. მაიაკოვსკის, ს. ესენინის, დ. ბედნის. ე. ბაგრიცკის, ბ. პასტერნაკის, ი. სელვინსკის და მრავალი სხვა პოეტის ლექსებს. ბევრს წერდა ა. ლუნაჩარსკი თეატრზე, მხარს უჭერდა ახალგაზრდა საბჭოთა დრამატურგებს. მრავალი სტატია მიძღვნილი აქვს სალტიკოვ-შჩედრინის, გოგოლის, გრიბოედოვის, სვიფტის, ჰაინეს, შოუს და სხვათა შემოქმედებისადმი. იგი ხელს უწყობდა საზღვარგარეთულ პროგრესულ ლიტერატურასთან კავშირის განმტკიცებას, იყო რ. როლანის, ბ. ბრეჰტის, ა. ბარბიუსის, ბ. შოუს პირადი მეგობარი.

ოციანი წლების აქტიური ავტორები იყვნენ გ. პეტროვსკი, დ. მანუილსკი, ვ. ზატონსკი, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა პუბლიცისტიკის განვითარებაში. კერძოდ, დ. მანუილსკი — უკრაინის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ინტერნაციონალის გამოჩენილი მოღვაწე (შემდგომში კომინტერნის აღმასკომის მდივანი, ხოლო დიდი სამამულო ომის შემდგომ უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი) ხშირად გამოდიოდა ჟურნალ „კომუნისტიჩესკაია რევოლუციაში“ პამფლეტებით. მაგალითად, პამფლეტში „მათი პორტრეტები“ მან ზედმიწევნით ზუსტად დაახასიათა საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრები — ესერთა ზოგიერთი ბელადი და მათი მფარველი II ინტერნაციონალიდან. დ. მანუილსკი ააშკარავებდა II ინტერნაციონალის მეთაურის ე. ვანდერველდეს — საერთაშორისო მუშათა კლასის მოღალატის — და მისი დამქაშების ნამდვილ მიზნებს, როდესაც ესერების პროცესზე ჩამოვიდნენ, ვითომდა მართლმსაჯულების დაცვისათვის. სინამდვილეში კი ისინი ცდილობდნენ გადაერჩინათ სამართლიანი შურისგებისაგან ესერთა პარტიის მესვეურები, რომელთაც დიდი ზიანი და უბედურება მოუტანეს საბჭოთა სამშობლოს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პარტიულ და საბჭოთა პრესაში სამსახურს დიდი ძალები და ენერგია მოახმარეს გამოჩენილმა მწერლებმა და პოეტებმა: მ. გორკიმ, ვ. მაიაკოვსკიმ, ა. სერაფიმოვიჩმა, დ. ბედნიმ, დ. ფურმანოვმა, პ. ბაჟოვმა, კ. იუდინმა და კალმის სხვა ოსტატებმა. მათი პუბლიცისტური გამოსვლები ჟურნალ-გაზეთებში დიდ ყურადღებას იმსახურებენ.

ამ პერიოდში მ. გორკის პუბლიცისტურ ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სტატიები: „მიმართვა ხალხისადმი და მშრომელი ინტელიგენციისადმი“ („პრავდა“, 1918 წ. 3 დეკემბერი), „გუშინ და დღეს“ (ჟურნალი „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონა-

ლი". 1919, № 1). ეს უკანასკნელი მიძღვნილი იყო რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის საერთაშორისო მნიშვნელობისადმი.

როგორც ზემოთ ითქვა, ვ. მაიაკოვსკი აქტიურად თანამშრომლობდა „როსტას ფანჯრების", ანუ საჭირბოროტო თემებზე პლაკატების გამოშვებაში. საკმარისია ითქვას, რომ მის კალამს ეკუთვნის 350-მდე პლაკატი, რომლებსაც იგი გასაოცარი სისწრაფით აკეთებდა, ეხმაურებოდა ფრონტის ამბებს, დასცინოდა თეთრგვარდიელ გენერლებს, კლასობრივ მტრებს, წითელარმიელებს, მუშებსა და გლეხებს უჩვენებდა მათ ნამდვილ სახეს, აღაფრთოვანებდა მასებს მტრებზე გამარჯვების მოპოვებისათვის. საერთაშორისო და შინაური კონტრრევოლუციის განადგურების შემდეგ „როსტას ფანჯრების" თემატიკა დაკავშირებული იყო ნგრევის ლიკვიდაციასთან, სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებასთან. რამდენიმე პლაკატი გამოშვებული იქნა სათაურით „გაუმარჯოს ელექტრიფიკაციას!" სამოქალაქო ომის შემდეგ პლაკატების გამოშვებას ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის მთავარი პოლიტსაგანმანათლებლო კომიტეტი, რომელიც განათლების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შედიოდა. ვ. მაიაკოვსკი ამ პერიოდშიც ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა პლაკატების გამოშვებაში. მისი ნამუშევრების მთავარი თემა იყო ქვეყნის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობა, საბჭოთა მთავრობის დეკრეტებისა და დადგენილებების პროპაგანდა. ვ. მაიაკოვსკის ბევრი პლაკატი მშრომელებს მოაგონებდა სიფხიზლის აუცილებლობას, ზრუნვას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. მაიაკოვსკის მოღვაწეობა პრესაში, კერძოდ გაზეთ „იზვესტიაში", სადაც გამოქვეყნდა მისი ცნობილი ლექსი „სხდომის-მოყვარეთა" შესახებ, რომელსაც ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა. ვ. მაიაკოვსკის საგაზეთო ლექსებში ასახული იყო ის მწვავე, ცხოვრებისეული პრობლემები, რომლებსაც პარტია და ხალხი წყვეტდნენ. თავისი მხატვრულ-პუბლიცისტური სიტყვის ძალით პოეტი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ხაზის განხორციელებას.

აღნიშნულ წლებში საყურადღებო პუბლიცისტური გამოსვლები ჰქონდათ მწერლებს ა. სერაფიმოვიჩს, დ. ფურმანოვსა და სხვებს, რომელთა შემოქმედებაზე წინა თავში იყო საუბარი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. უცნაური და შემზარავი. თხზ., ტ. 27, გვ. 61—71.
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი. თხზ., ტ. 28, გვ. 271—401.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. წერილი მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო. თხზ., ტ. 29, გვ. 555—665.
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. საუკუნეობრივი წყობის რღვევიდან ახლის შემოქმედებისაკენ. თხზ., ტ. 30, გვ. 630—633.
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ. თხზ., ტ. 33, გვ. 111—121.
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. პუბლიცისტის შენიშვნები. მაღალ მთებზე ასვლისა, სასოწარკვეთილების მავნებლობისა, ვაჭრობის სარგებლობისა, მენშევიკებისადმი დამოკიდებულებისა და სხვათა შესახებ. თხზ., ტ. 33, გვ. 230—240.

თ ე მ ა მ ე ც ა მ ე ტ ე

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა სოციალიზმის საძირკვლის მშენებლობის — ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში (1926—1932 წწ.)

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა წარმატებით გადაკვეთეს სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანა. ცხოვრება მოითხოვდა სოციალიზმისაკენ წინსვლის დაჩქარებას, მოკლე ვადაში განხორციელებულიყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, გათვალისწინებული იყო გარკვეული ისტორიული პერიოდისათვის, შეიცავდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, წვრილი გლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებად გადაქცევის, კულტურული რევოლუციის განხორციელების იდეებს. სწორედ ვ. ი. ლენინის ეს პროგრამა დაედო საფუძვლად პარტიის XIV და XV ყრილობების გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მითითებულია სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის მშენებლობისათვის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ჩატარებისათვის საჭირო გზები და მეთოდები.

პარტიის XIV ყრილობამ დასახა ამოცანა — გადაგვექცია საბჭოთა ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელიც შეძლებდა საკუთარი ძალებით ეწარმოებინა საჭირო მოწყობილობა და უზრუნველყოფდა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ჩატარება პასუხობდა მუშათა კლასისა და გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებს. მძიმე ინდუსტრიის, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობის, შექმნა და განვითარება გადამწყვეტი წინამძღვარი იყო სოფლის მეურნეობის

ტექნიკური გადაიარაღებისა და აღმავლობისათვის, მსუბუქი და კვების მრეწველობის წინსვლისათვის, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

პარტიის XV ყრილობაზე პარტიამ აიღო კურსი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობების გაერთიანებისაკენ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად და გამოიმუშავა ღონისძიებები იმისათვის, რათა მატერიალური და ფინანსური დახმარება გაეწიათ გლეხობისათვის მიწათმოქმედების ახალ, სოციალისტურ რელსებზე გადაყვანისათვის.

XVI პარტიულ კონფერენციაზე დამტკიცდა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რაც წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის მთელ ფრონტზე სოციალიზმის ფართო შეტევის პროგრამას.

პარტიულ და საბჭოთა ბეჭდვით სიტყვას დაეკისრა უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა — ყველა მშრომელის შეგნებამდე დაეყვანა კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებები, დაერაზმა მასები მათი განხორციელებისათვის. ჟურნალ-გაზეთებმა დიდი მუშაობა გასწიეს პირველი ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდისათვის, სისტემატურად ეწეოდნენ მრავალმხრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას. 1928—1932 წლებში მთელს საბჭოთა კავშირში გრანდიოზული საქმიანობა გაჩაღდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის რეალიზაციისათვის. ამ პერიოდში განხორციელდა პირველი ხუთწლიანი გეგმა, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება — აშენდა სოციალისტური საზოგადოების საფუძვლები. სახალხო მეურნეობის სოციალისტურმა გარდაქმნამ განაპირობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა, უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის ლიკვიდაცია. თუმცა ღონისძიებების გატარების დროს დაშვებული იქნა უხეში შეცდომები, დიდი რაოდენობით საშუალო გლეხი განაკულაკეს და გაუმართლებლად გადაასახლეს ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

კომუნისტური პარტია მუდმივად ზრუნავდა ბეჭდვითი სიტყვის ზრდისა და შემდგომი განვითარებისათვის. 1926—1932 წლები ხასიათდება პრესის მნიშვნელოვანი განვითარებით. თუ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდის ბოლო, 1925 წელს, ქვეყანაში ითვლებოდა 1120 გაზეთი 8,1 მილიონი ეგზემპლარი ერთჯერადი ტირაჟით, 1932 წლისათვის უკვე გამოდიოდა 7536 გაზეთი 35.5 მილიონი ეგზემპლარი ერთჯერადი ტირაჟით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჟურნალების ქსელიც. თუ 1926 წელს 1631 ჟურნალი გამოდიოდა 167,3 მილიონი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით, 1932 წელს შესაბამისად ჟურნალების რიცხვმა 2144-ს მიაღწია, ხოლო წლიურმა ტი-

რაჟმა 317,6 მილიონ ეგზემპლარს. ფართოდ ვითარდებოდა წიგნის საგამომცემლო საქმეც. თუ 1926 წელს ქვეყანაში გამოიცა 33,5 ათასი წიგნი 224,3 მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით, 1929 წლისათვის — 42,3 ათასი წიგნი 318,8 მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით

შემდგომი განვითარება ჰპოვა, აგრეთვე, რადიოჟურნალისტიკამ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მრავალ რადიოგაზეთს უშვებდნენ. მაგალითად, 1926 წლის 11 აპრილიდან — „გლეხთა რადიოგაზეთს“, 1926 წლის 15 მაისიდან — „მუშათა რადიოგაზეთს“, 1926 წლის 1 დეკემბრიდან — «„კომსომოლსკაია პრავდას“ რადიოთი», 1927 წლის 1 ნოემბრიდან — „წითელარმიულ რადიოგაზეთს“ და სხვ. მოკავშირე რესპუბლიკებშიც ფართო განვითარება ჰპოვა რადიომაუწყებლობამ, დაიწყო რადიოგადაცემები კიევიდან, თბილისიდან, ბაქოდან, ტაშკენტიდან, ხარკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან.

ამ წლებში შეიქმნა ცენტრალური დარგობრივი გაზეთები — „სელსკოხოზიაისტვენნაია გაზეტა“ (შემდგომ იგი „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიედ“ გადაკეთდა), „ზა ინდუსტრიალიზაციუ“, „ტეხნიკა“, „ზა პიშჩევუიუ ინდუსტრიუ“ და სხვ.; გაიზარდა საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების რაოდენობა, იქმნება რაიონული გაზეთების ფართო ქსელი. მნიშვნელოვნად გარდაქმნა თავისი მუშაობა სასოფლო პრესამ. მაგალითად, „კრესტიანსკაია გაზეტა“ სისტემატურად უშვებდა საოლქო და სამხარეო შემცველ გვერდებს, რათა უფრო ფართოდ გაეშუქებინა კოლექტივიზაციის საკითხები. ახალ, მაღალ საფეხურზე ავიდა სოფლკორთა მოძრაობა. საკმარისია ითქვას, რომ „კრესტიანსკაია გაზეტამ“ მარტო 1929 წელს ერთ მილიონამდე წერილი და კორესპონდენცია მიიღო. ასეთი რეკორდული მაჩვენებლისათვის არც მაშინ და არც შემდგომ არც ერთ გაზეთს არ მიუღწევია. გაზეთების რედაქციები განმტკიცდნენ პარტიის მიერ მომზადებული და აღზრდილი კადრებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბეჭდვითი სიტყვის პოლიგრაფიული ბაზა, ე. ი. შეიქმნა ყველა პირობა პრესის შემდგომი აღმავლობისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში მიიღო მთელი რიგი დადგენილებები ბეჭდვითი სიტყვის საკითხებზე: პრესისა და მუშსოფლკორთა მოძრაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ, გაზეთებში პარტიული ცხოვრების განყოფილებათა მუშაობის დაყენების შესახებ, ბეჭდვითს სიტყვაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის შესახებ, გაზეთებსა და ჟურნალებში ეკონომიის რეჟიმის, წარმოების რაციონალიზაციის კამპანიების ჩატარების შესახებ, პრესაში სოციალისტუ-

რი შეჯიბრების გაშუქების, გაზეთის მუშაკთა მომზადების შესახებ და სხვ.

კოლექტივიზაციის საფუძველზე ქვეყანაში მომხდარ სოციალურ-კლასობრივ ცვლილებებთან დაკავშირებით შეიქმნა დარგობრივი სასოფლო-სამეურნეო გაზეთები — „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე", ხოლო მოგვიანებით — „სოვხოზნაია გაზეტა", გაზეთ „ბედნოტას" გამოცემა კი 1931 წლის იანვრიდან შეწყდა. დიდ საagიტაციო, პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ საქმიანობას ეწეოდა „კრესტიანსკაია გაზეტა". მაგალითად, გაზეთმა 1931 წელს მოაწყო სრულიად საკავშირო კონკურსი პურის მოსავლის აღებისა და დამზადების საუკეთესოდ შესრულებისათვის. აღნიშნულ კონკურსში 7 ათასმა კოლმეურნეობამ მიიღო მონაწილეობა. ამავე წელს გაზეთმა ადგილებზე სოფლკორთა 740 შეკრება და თათბირი ჩაატარა. კოლექტივიზაციის პერიოდში „კრესტიანსკაია გაზეტა" საბჭოთა კავშირის 20 პუნქტში იბეჭდებოდა და მისი ერთჯერადი ტირაჟი 3 მილიონი ეგზემპლარი იყო. მსოფლიოში მაშინ არც ერთ გაზეთს არ ჰქონია ასეთი ტირაჟი.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის წლებში ფართო განვითარება ჰპოვა რაიონულმა პრესამ. რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 18 იანვრის დადგენილებამ „სოფლის რაიონული და ძირეული პრესის შესახებ". ამ დადგენილებაში განზოგადებულია რაიონული გაზეთების დადებითი გამოცდილება, აღნიშნულია მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და დასახულია ღონისძიებები მათი უსწრაფესად აღმოფხვრისათვის. რაიონული პრესის დასახმარებლად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა ჟურნალი „რაიონნაია პეჩატი". საყურადღებოა, აგრეთვე, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 19 აგვისტოს დადგენილება „საფაბრიკო-საქარხნო პრესის შესახებ", რომელიც მიმართული იყო მასობრივი ბეჭდვითი სიტყვის განმტკიცებისადმი, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს იყო მშრომელებთან. წიგნის გამოცემის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს ემსახურებოდა საკ. კპ ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 15 აგვისტოს დადგენილება „საგამომცემლო მუშაობის შესახებ".

კომუნისტური პარტიის მუდმივი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა უფრო ღრმად აშუქებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს, უფრო კონკრეტულად და საქმის ცოდნით ეხმარებოდა პარტიას დასახული ამოცანების შესრულებაში. პრესის საქმიანობაში შეინიშნებოდა მრავალი თვისებრივი ცვლილებანი, უფრო სრულყოფილი ხდებოდა მისი მუშაობის ფორმები და

მეთოდები. დასახული ამოცანების განხორციელებისათვის გაზეთების რედაქციები უნარიანად იყენებდნენ მრავალფეროვან ჟანრებს: სტატიებს, ფელეტონებს, სატირულ ლექსებსა და იგავ-არაკებს, ნარკვევებს, კორესპონდენციებს, საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვებს და სხვ. გაზეთების მუშაობაში ჩაბმული იყვნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, აგრეთვე მრავალი საბჭოთა მწერალი და პოეტი, მათ შორის მ. გორკი, ვ. მაიაკოვსკი, დ. ბედნი, ა. ბეზიმენსკი და სხვ.

ჟურნალ-გაზეთებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა ნარკვევმა. „პრავდაში", „კომსომოლსკაია პრავდასა" და სხვა გაზეთებში გამოქვეყნებული ნარკვევების ავტორები იყვნენ გამოჩენილი საბჭოთა ჟურნალისტები და მწერლები: ბ. გორბატოვი, ვ. სტავსკი, პ. პავლენკო, მ. შაგინიანი, ნ. პოგოდინი, ბ. გალინი და სხვ. მათ ნარკვევებში მოთხრობილი იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შოწინავე ადამიანებზე, ნაჩვენები იყო საბჭოთა ადამიანის — სოციალიზმის მშენებლის სახე.

პრესაში სულ უფრო მეტი რაოდენობით იბეჭდებოდა ფელეტონები. ფელეტონი — საბჭოთა გაზეთების მებრძოლი სატირული ჟანრია, რომელიც გამოიყენება ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესებისათვის, იგი წარმოადგენს ბასრ იარაღს ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცნობილი ჟურნალისტები და მწერლები მ. კოლცოვი, ი. ილფი და ე. პეტროვი, დ. ზასლავსკი და სხვები წარმატებით მუშაობდნენ ამ რთულ და მნიშვნელოვან ჟანრში.

პარტიის XV ყრილობამ, რომელმაც სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანები დასახა, წამოაყენა ლოზუნგი თვითკრიტიკის შესახებ. თვითკრიტიკის მეთოდი კადრების აღზრდის განსაკუთრებული მეთოდია. პარტია კომუნისტებს ზრდის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი მაღალი მოთხოვნელობის სულისკვეთებით. თვითკრიტიკის ლოზუნგი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საკ. კპ ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თვითკრიტიკის შესახებ 1928 წლის 3 ივნისს გამოაქვეყნა მიმართვა „პარტიის ყველა წევრისადმი, ყველა მუშისადმი". მასში მითითებული იყო, რომ რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანები შეუძლებელია გადაწყდეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში მასების გაბედული ჩაბმის, მილიონობით მშრომელთა მიერ მმართველი აპარატის შემოწმებისა და კონტროლის გარეშე. „თვითკრიტიკის ლოზუნგი პიროვნების მიუხედავად, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — ზემოდან ქვემოთ და ქვეშიდან ზემოთ კრიტიკა — ერთ-ერთი სადღეისო ცენტრალური ლუზუნგია".

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც პარტიის ამ მითითებებით ხელმძღვანელობდა, ამ პერიოდში შეუდგა კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდის ფართოდ და გაბედულად გამოყენებას იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ საბჭოთა ხალხს დაუსახა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვემოდან, მილიონობით მშრომელთა მხრიდან კრიტიკის გაშლას, რათა ამით გაეუმჯობესებინათ სოციალისტური მშენებლობის საქმე. მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი აქტიური მონაწილეობა სოციალისტური წყობის ნამდვილი დემოკრატიზმისა და საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის ნათელი დადასტურება იყო. ამ მიზნით „პრავდამ“ და სხვა გაზეთებმა შემოიღეს სპეციალური ფურცლები — „მასების კონტროლის ქვეშ“, რომლებსაც ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან ერთად უშვებდნენ. ეს ფურცლები და გაზეთის სხვა კრიტიკული მასალები მოიცავდნენ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა მხარეს. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდს იყენებდა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებისათვის, რის შედეგადაც ჟურნალ-გაზეთები უფრო სიცოცხლისუნარიანნი გახდნენ, ხოლო მუშსოფლკორთა ქსელი სერიოზულ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1931—1932 წლებში მუშსოფლკორთა არმიამ 3 მილიონ კაცს მიაღწია.

ამ პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა ბეჭდვითი სიტყვის უმნიშვნელოვანესი ამოცანის — კრიტიკის ქმედითობის განხორციელებას. როდესაც ამა თუ იმ ნაკლოვანებებსა თუ დარღვევებზე გაზეთი შენიშვნებს, კორესპონდენციებს ან ფელეტონებს ბეჭდავს, ამით რედაქცია საზოგადოებრივი აზრის გამომუშავებას უწყობს ხელს. ამიტომ არა მარტო კრიტიკული მასალების ავტორებს, არამედ მკითხველთა ფართო წრეებსაც აინტერესებთ, თუ რა დასკვნები იქნა გაკეთებული გაზეთის კრიტიკული გამოსვლების შემდეგ, რა კონკრეტული ზომები იქნა მიღებული ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე, გაზეთების მიერ შემოღებული რუბრიკები გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი „წერილების კვალდაკვალ“ ასწავლიდნენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, ვისი მუშაობაც გაკრიტიკებულ იქნა, საქმიანად გამოხმაურებოდნენ მათ, ზრდიდა მათ კრიტიკისადმი პრინციპული დამოკიდებულების სულისკვეთებით.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მშრომელთა აქტიური ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში. ხოლო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის საქმეში

დიდ მნიშვნელობას იძენდა ზრუნვა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, თვითღირებულების შემცირების, შრომითი დისციპლინის განმტკიცებისა და ეკონომიის რეჟიმის განხორციელებისათვის. 1926 წლის გაზაფხულზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით პრესაში დაიწყო კამპანია ეკონომიის რეჟიმის თაობაზე. მრავალ გაზეთში შემოღებულ იქნა სპეციალური რუბრიკები, სადაც იბეჭდებოდა მასალები ამ კამპანიის მსვლელობის შესახებ. ამ მიმართულებით გაზეთების წარმატებით მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საკ. კპ ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1926 წლის 28 აპრილს მიიღო სპეციალური დადგენილება „პერიოდული პრესის დაყენება მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით". ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესაბამისად პარტიულმა და საბჭოთა ბეჭდვითმა სიტყვამ გარდაქმნა თავისი მუშაობა და დაიწყო ამ საკითხების უფრო სრულად და საქმის ცოდნით გაშუქება. ასევე წარმატებით ჩაატარა პრესამ ამ წლებში კამპანია წარმოების რაციონალიზაციისათვის. ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო, აგრეთვე, საზოგადოებრივი და საწარმოო დათვალიერებები, რომლებიც წარმოება-დაწესებულებების მასობრივი შემოწმების მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა. ამ დათვალიერებებში მონაწილეობდნენ მუშების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის ფართო ფენები. რაც დიდ პოლიტიკურ აღმავლობას იწვევდა და ხელს უწყობდა საქმის გაუმჯობესებას. გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობდნენ, აგრეთვე, საწარმოო ურთიერთგადაძახილს, საზოგადოებრივ და საწარმოო კონკურსებს და სხვ.

პრესის მასობრივი მუშაობის განსაკუთრებული ფორმა იყო მუშსოფლკორთა რეიდები, რომელთა ჩატარება დაკავშირებული იყო ბეჭდვითს სიტყვაში დამკვრელობის, მუშსოფლკორთა დამკვრელური ბრიგადების წარმოშობასთან. აღნიშნული ბრიგადები მთელს ქვეყანაში კონტროლს აწესებდნენ თითოეული საამქროს, უბნის საქმიანობაზე, გამოდიოდნენ მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ინიციატორებად. მაგალითად, „პრავდის" დამკვრელმა ბრიგადებმა 1929—1930 წლებში 60 რეიდი ჩაატარეს, რომლის დროსაც ამხელდნენ ფაბრიკა-ქარხნების, საერთო საცხოვრებლების, სასადილოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, მათი გამოსწორებისათვის რაზმავდნენ საწარმოთა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს. აღსანიშნავია, რომ 1930 წლისათვის „პრავდის" მუშკორ-დამკვრელთა რიცხვმა 10 ათასს მიაღწია, 1931 წელს — 20 ათასს, ხოლო 1932 წელს — 50 ათასს. პირველი ხუთწლედის განმავლობაში „პრავდის" მუშკორთა ბრიგადებმა 2 ათასი რეიდი ჩაატარეს, მათ შორის 10 — საკავშირო.

პირველი ხუთწლედის წლებში სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო გაქანება მიიღო და ახალ, თვისობრივად მაღალ საფეხურზე ავიდა. 1929 წლის 20 იანვარს „პრავდაში" პირველად გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?", რომელიც მან 1918 წლის იანვარში დაწერა. ცოტა ხნის შემდეგ, 1924 წლის 14 აპრილს „პრავდაში" ასევე პირველად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის მეორე სტატია «პირვანდელი მონახაზი სტატიისა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები"». ორივე ეს სტატია შეიცავდა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის პროგრამას. ვ. ი. ლენინის აღნიშნულმა სტატიებმა, რომლებიც შემდგომ მთელ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა, მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მასებში და მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. სოციალისტური შეჯიბრება მთელი მუშათა კლასის საქმედ იქცა და იგი ფართოდ გავრცელდა ქვეყანაში, რაშიც დიდი როლი შეასრულა პრესამ. სწორედ გაზეთებმა შეამჩნიეს და აიტაცეს მშრომელთა ისეთი საყურადღებო მოძრაობა, როგორიც იყო დამკვრელობა ბეჭდვითი სიტყვა დიდ ყურადღებას უთმობდა შეჯიბრების ორგანიზაციის ფორმებს, სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს პრაქტიკული გამოცდილების შესახებ, ამასთანავე ერთად, იგი აკრიტიკებდა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის გაშუქებას. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრება მოიცავდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს სფეროს: თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და სხვ. იქმნებოდა დამკვრელი ბრიგადები, ყალიბდებოდა წუნის წინააღმდეგ ბრძოლის საინიციატივო ჯგუფები, რაციონალიზატორთა ბრიგადები და ა. შ. მთელმა პარტიულმა და საბჭოთა ბეჭდვითმა სიტყვამ დიდი სამუშაო გასწია იმისათვის, რათა მუშათა კლასის შეგნებაში მტკიცედ დამკვიდრებულიყო იმის შეგნება, რომ შეჯიბრება და ხუთწლედი ერთმანეთისგან განუყოფელია. შეჯიბრების ზრდის კვალობაზე, რომელიც მილიონთა საქმიანობის მუდმივ მეთოდად, სოციალისტური მშენებლობის მძლავრ ბერკეტად იქცა, მუშათა კლასში იშვა ხუთწლედის ვადამდე შესრულების იდეა, რამაც კონკრეტული გამოსახულება ჰპოვა ლოზუნგში „ხუთწლედი ოთხ წელში".

მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისდამი პარტიული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სწორ ხელმძღვანელობას. ამიტომ პრესის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა ეს საკითხი. ამას-

თან დაკავშირებით ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა იყო შეჯიბ-
რებაში კომუნისტების ავანგარდული როლის უზრუნველყოფა. ამი-
ტომ შეჯიბრების მასობრივად გაშლის პირველი დღეებიდანვე პრე-
საში სისტემატურად შუქდებოდა ამ საყოველთაო-სახალხო მოძრა-
ობაში კომუნისტებისა და დამკვრელობის აქტიური როლი, მასალებ-
ში ხაზგასმული იყო საკითხი პარტიული ძალების ისე განაწილების
შესახებ, რაც შესაძლებელს გახდიდა პარტიული გავლენის გაძლიე-
რებას წარმოების ყველა უბანზე. ჟურნალ-გაზეთებმა დიდი მუშაობა
გასწიეს დამკვრელი ბრიგადების სრულიად საკავშირო ყრილობის
მომზადებისა და ჩატარებისათვის, ამ ყრილობის მასალების პროპა-
განდისათვის, რომლებშიც მოცემული იყო შრომის ნაყოფიერების
შემდგომი აღმავლობის პროგრამა.

პირველი და მეორე ხუთწლედის მიჯნაზე წარმოიშვა და განვი-
თარდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა — იზოტოველთა
მოძრაობა, რაშიც დიდი წელილი შეიტანა პრესამ, კერძოდ, დიდი
ამ საქმეში გაზეთ „პრავდის" დამსახურება, რომელმაც პირველმა
დაბეჭდა მეშახტე-მნგრეველის ნ. იზოტოვის წერილი მისი საწარმოო
გამარჯვების შესახებ 1932 წლის 11 მაისის ნომერში. მან მაღალ
შრომის ნაყოფიერებას მიაღწია ქვანახშირის მოპოვებაში, დონეცკის
პასეინის ჭ. ენიკიევის № 1 შახტში შექმნა ახალგაზრდა მნგრეველთა
კვალიფიკაციის ამაღლების სკოლა. მალე ამ ინიციატივას მრავალი
მიმდევარი გაუჩნდა. პრესის საშუალებით იზოტოველთა მოძრაობა
საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად იქცა.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა დიდ ყურადღებას
უთმობდა სოციალიზმის მშენებლობას არა მარტო მრეწველობაში,
არამედ სოფლის მეურნეობაშიც. იგი განუხრელად იბრძოდა პარტიის
XV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოფლის
სოციალისტურად გარდაქმნისათვის, ვ. ი. ლენინის კოოპერაციული
გეგმის შესაბამისად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.
სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში
დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კადრებს. იქმნებოდა სკოლები და
კურსები საკოლმეურნეო კადრების მომზადებისათვის. კოლმეურნეო-
ბების განმტკიცებისათვის პარტიამ გადაწყვიტა სოფლად სამუშაოდ
გაეგზავნა 25 ათასი მოწინავე მუშა. ეს საკითხები იმდროინდელი
პრესის ყურადღების ცენტრში იდგა.

წარმატებებთან ერთად კოლექტივიზაციის ჩატარებაში შეინიშ-
ნებოდა არაჯანსაღი მოვლენები, საკოლმეურნეო მშენებლობაში პარ-
ტიის პოლიტიკის გამრუდების ფაქტები. პარტიის ცენტრალურმა
კომიტეტმა გადაჭრით დაგმო ეს ნეგატიური მოვლენები და საქმის

გამოსასწორებლად 1930 წლის 14 მარტს მიიღო სპეციალური დადგენილება „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად პარტიულმა და საბჭოთა ბეჭდვითმა სიტყვამ დიდი დახმარება გაუწია პარტიას ადგილებზე დაშვებული შეცდომების გამოსწორების საქმეში. 1930 წლის 1 ივლისისათვის ქვეყანაში უკვე 86 ათასი კოლმეურნეობა ითვლებოდა, რომლებშიც 6 მილიონი გლეხური მეურნეობა გაერთიანდა. 1931 წლის იანვარში „პრავდამ“ გამოაცხადა სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო კოლმეურნეობაზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაზე. ერთი წლის განმავლობაში ამ კონკურსთან დაკავშირებით გაშლილ შეჯიბრებაში ათეულ ათასობით კოლმეურნეობა ჩაება. როგორც „პრავდა“, ისე სხვა გაზეთებიც ნომრიდან ნომერში აშუქებდნენ მის მიმდინარეობას, ავრცელებდნენ საუკეთესო კოლექტივების გამოცდილებას.

სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საკითხებს ჟურნალ-გაზეთები ყოველ ნომერში დიდ ადგილს უთმობდნენ, იყენებდნენ მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს, შეიმჩნეოდა ჟანრების მრავალფეროვნებაც. მოწინავე წერილებსა და სტატიებთან ერთად პრესაში ფართოდ იყო წარმოდგენილი შენიშვნა, კორესპონდენცია და ნარკვევი, რომელთა ავტორებად გვევლინებიან ცნობილი საბჭოთა მწერლები და ჟურნალისტები მ. შოლოხოვი, მ. კოლცოვი, თ. პანფეროვი და სხვ. აღსანიშნავია, რომ საკოლმეურნეო თემაზე საზღვარგარეთელი პროგრესული პუბლიცისტებიც კი წერდნენ. მაგალითად, „პრავდის“ 1931 წლის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ფრანგი მწერლისა და კომუნისტის ვაიან კუტურიეს შესანიშნავი ნარკვევი იმის თაობაზე, თუ საბჭოთა ადამიანებმა როგორ შექმნეს მსხვილი საბჭოთა მეურნეობა „ზერნოგრადი“.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში შეიქმნა დარგობრივი გაზეთების ქსელი. კერძოდ, გაზეთი „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე“ დაარსდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხების ყოველმხრივი გაშუქებისათვის, საწარმოო პროპაგანდის გაშლისათვის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განმტკიცებისათვის საბრძოლველად. იგი სხვა გაზეთებთან ერთად ფართოდ აშუქებდა მოწინავე გამოცდილებას სოფლის მეურნეობაში, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელება მიმდინარეობდა რთულ საერთაშო-

რისო ვითარებაში. კაპიტალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტური მთავრობები ყველა ზომას იღებდნენ იმისათვის, რათა ხელი შეეშალათ სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობისათვის. ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტთა წაქეზებით ამ პერიოდში მრავალ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა მტრულ გამოხდომებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. 1927 წლის ზაფხულში საბჭოთა დაწესებულებებზე პროვოკაციული თავდასხმები მოეწყო ჩინეთში პეკინში, შანხაისა და ტიანძინში. ლონდონში — „არკოსზე", რის შედეგადაც ინგლისმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა სსრ კავშირთან. ვარშავაში პოლონეთის მოქალაქემ, ყოფილმა რუსმა თეთრგვარდიელმა მოკლა საბჭოთა კავშირის ელჩი პ. ვოიკოვი. უშუალო სამხედრო მუქარასთან დაკავშირებით კომუნისტურმა პარტიამ მოწოდებით მიმართა საბჭოთა ხალხს აემაღლებინათ სიფხიზლე, ყოველმხრივ განმტკიცებინათ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. პარტიის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი სამშობლოს მშრომელები. ისინი მჭიდროდ ირაზმებოდნენ, პრესის საშუალებით გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას იმპერიალისტთა ხრიკებისადმი, საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისადმი. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებში, ხალხმრავალ კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში საბჭოთა კავშირის მშრომელები გამოხატავდნენ აღშფოთებასა და რისხვას იმპერიალისტთა პროვოკაციული მოქმედების გამო და აცხადებდნენ თავიანთ მზადყოფნას — გამანადგურებელი პასუხი გაეცათ ომისგამჩაღებელთა ხრიკებისადმი.

მშრომელთა ინიციატივით დაიწყო სახსრების შეგროვება თვითმფრინავთა ესკადრილიის — „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს" — აგებისათვის. მთელმა საბჭოთა პრესამ ფართოდ დაუჭირა მხარი ამ პატრიოტულ წამოწყებას. გაზეთების ფურცლებზე რეგულარულად იბეჭდებოდა ანგარიშები შემოსული თანხების შესახებ. მშრომელთა სახსრებით აგებული თვითმფრინავები საზეიმოდ გადაეცემოდა ხოლმე წითელ არმიას. საბჭოთა მთავრობა, იმპერიალისტთა პროვოკაციების მიუხედავად, მტკიცედ და ურყევად განაგრძობდა მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ. ამასთანავე, იღებდა სათანადო ზომებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

ბევრი მასალა ეძღვნებოდა საერთაშორისო მუშათა და რევოლუციურ მოძრაობას. ფართოდ შუქდებოდა, მაგალითად, ინგლისში მაღაროელთა გაფიცვა, რომელიც მალე საყოველთაო გაფიცვაში გადაიზარდა. საბჭოთა პროფკავშირების მოწოდებით საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა გაფიცულ ინგლისელ მუშათა დასახმარებლად მოკლე დროში 6 მილიონი მანეთი შეაგროვეს. ყურადღების ცენტრში იყო, აგრეთვე, რევოლუციური მოძრაობა ჩინეთში. კაპიტალისტური ქვეყ-

ნების მშრომელები, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა და სიძნელეებისა. სსრ კავშირში აგზავნიდნენ თავიანთ დელეგაციებს, რომლებიც ეცნობოდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას და თავიანთი შთაბეჭდილებების შესახებ მოუთხრობდნენ ჩვენი პრესის ფურცლებზე.

კაპიტალისტური ქვეყნები 1929—1933 წლებში მოიცვა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. მკვეთრად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, მილიონობით უმუშევარი სიღატაკისა და შიმშილის მარწუხებში მოექცა. უაღრესად გამწვავდა იმპერიალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობა. ბაზრებისათვის ბრძოლა კაპიტალისტურ ქვეყნებს უბიძგებდა ომის გაჩაღებისაკენ. იმპერიალისტური იაპონია თავს დაესხა ჩინეთს, შეიყვანა ჯარები მანჯურიაში. ამრიგად, შორეულ აღმოსავლეთში შეიქმნა ომის კერა. საბჭოთა ადამიანები თანაუგრძნობდნენ ჩინელ ხალხს, რომლებმაც იაპონელ დამპყრობთაგან თავდასხმა განიცადეს. პრესის ფურცლებზე ჩვენი ქვეყნის მშრომელები სოლიდარობას უცხადებდნენ თავიანთ ჩინელ ძმებს.

პარტიული და საბჭოთა პრესა სსრ კავშირის მიღწევათა მაგალითზე უჩვენებდა სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით, ნათლად და დამაჯერებლად მოუთხრობდა მკითხველებს სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიკის არნახულ ზრდაზე, საბჭოთა ხალხის კულტურის აყვავებაზე, პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაზე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდის საბჭოთა ჟურნალისტიკის ისტორიაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო პერიოდულ პრესაში ჩვენი ორი ვამოჩენილი მწერლის მ. გორკისა და ვ. მაიაკოვსკის აქტიური მონაწილეობა.

მ. გორკი, როგორც ცნობილია, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბოლშევიკურ ბეჭდვით სიტყვასთან ჯერ კიდევ რევოლუციამდელ წლებში. მისი წერილები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც იბეჭდებოდა. მაგრამ თანამიმდევრულად და სისტემატურად საბჭოთა პრესაში იგი თანამშრომლობდა სწორედ ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პერიოდში. მწერლის პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ მის მიერ „პრავდისა“ და „იზვესტიისათვის“ 1927 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიები. კუნძულ კაპრიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი სამკურნალოდ იმყოფებოდა, მ. გორკიმ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და გამოაქვეყნა ნარკვევების შესანიშნავი ციკლი. მ. გორკი მჭიდროდ დაუკავშირდა ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, გაზეთების

ფურცლებზე ნარკვევებთან ერთად ათავსებდა სტატიებს, გამოხმაურებებს მოვლენებზე. მწერლის ბევრი მასალა მიძღვნილი იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საკითხებისადმი.

მ. გორკის მრავალი წერილი პრესაში შეეხებოდა კულტურული რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტას, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პრობლემებს. ამასთანავე, იგი, როგორც სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის, პროლეტარული სოციალისტური ჰუმანიზმისათვის აქტიური მებრძოლი, დაუნდობლად ამხილებდა ბურჟუაზიული დასავლეთის ლპობად კულტურას, კაცთმოძულე ფაშისტურ იდეოლოგიას. თავის გამოსვლებში, აგრეთვე, კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესისადმი მიმართვაში, რომელიც 1935 წლის ივნისში პარიზში შეიკრიბა, მ. გორკი კვლავ და კვლავ სვამდა კითხვას: „ვისთან ხართ თქვენ, „კულტურის ოსტატებო“? (პირველად მან ეს კითხვა დასვა 1922 წლის 22 მარტს „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც ასევე იყო დასათაურებული: „ვისთან ხართ თქვენ, „კულტურის ოსტატებო?“). სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ფუძემდებელი თავისი მგზნებარე სტატიებით ადამიანებს მოუწოდებდა სიფხიზლისაკენ, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ამ პერიოდში მ. გორკის ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე. მისი ინიციატივით ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა ახალ-ახალი ჟურნალები, ისეთები, როგორიც იყო: „ნაში დოსტიჟენია“, „სსსრ ნა სტროიკე“, „ზა რუბეჟომ“, „ლიტერატურნაია უჩობა“, „კოლხოზნიკი“. მ. გორკის წინადადებით დაიწყო კოლექტიური ნაშრომების სერიების „სამოქალაქო ომის ისტორიისა“ და „ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიის“ გამოცემა. ასეთივე საინტერესო საქმის წამომწყები იყო იგი. როდესაც მწერალთა და ჟურნალისტთა დიდი კოლექტივის ძალებით 1935 წელს გამოიცა წიგნი „მსოფლიოს დღე“.

გაზეთის მუშაკად აცხადებდა თავის თავს ვ. მაიაკოვსკი. და მას ამისათვის ყველა საფუძველი ჰქონდა. იგი არა მარტო ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტი იყო, არამედ გამოჩენილი საბჭოთა პუბლიცისტიც. (განსაკუთრებით აქტიური და ნაყოფიერი იყო მაიაკოვსკის თანამშრომლობა მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში 1926—1930 წწ.). მარტო ერთი, 1928 წლის განმავლობაში მან ასამდე ლექსი გამოაქვეყნა. ვ. მაიაკოვსკი ლექსების თემატიკას, როგორც წინა წლებში, განსაზღვრავდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, ის კონკრეტული ამოცანები, რომლებსაც პარტია ქვეყნის წინაშე აყენებდა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, პირველი ხუთწლედი და შეჯიბრება მისი ოთხ წელიწადში

შესრულებისათვის. მუშათა კლასის კავშირი შმრომელ გლეხობასთან. კლასობრივი ბრძოლა და სიფხიზლე. თვითკრიტიკის გაშლა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. კულტურული რევოლუცია. ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა — ყოველივე ეს კონკრეტულად და უშუალოდ იყო ასახული ვ. მაიაკოვსკის ლექსებში. დიდ ინტერესს იწვევს ვ. მაიაკოვსკის თანამშრომლობა „კომსომოლსკაია პრავდაში". იგი ამ გაზეთის შტატიანი ლიტერატურული მუშაკი იყო. მისი ლექსები ორგანულად ერწყმოდა გაზეთს. პოეტი ყოველთვის ეძებდა და ნახულობდა თემისადმი მიდგომის ახალ კუთხეს, იჩენდა ორიგინალობას. მისი ლექსები ხან მოწინავე სტატიის მაგივრობას სწევდა, ხან პროპაგანდისტულ სტატიას ცვლიდა, ხან კი საერთაშორისო მიმოხილვას. გაზეთის იმდროინდელი ნომრების გადათვალიერებისას თვალში გვხვდება, რომ ვ. მაიაკოვსკის საგაზეთო ლექსები ზოგჯერ გალექსილ ფელეტონად წარმოგვიდგება, ზოგჯერ გალექსილ ნარკვევად. რეცენზიადაც და გარითმულ რეპორტორულ ანგარიშადაც კი. პოეტი ხშირად მოგზაურობდა ქვეყანაში და თავის ახალდაწერილ ლექსებს ადგილობრივ გაზეთებშიც ათავსებდა, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთ „ზარია ვოსტოკაშიც".

ლიტერატურა

ვ. ი. ლენინი. როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება? თხზ., ტ. 26, გვ. 471—483.

ვ. ი. ლენინი. ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის. თხზ., ტ. 33, გვ. 37—48.

ვ. ი. ლენინი. კოოპერაციის შესახებ, თხზ., ტ. 33, გვ. 551—561.

პარტიული ცხოვრების განყოფილების დაყენების შესახებ „პრავდაში". საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წ. 17 დეკემბრის დადგენილება, — პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 485—486.

პარტიული ცხოვრების განყოფილებათა დაყენების შესახებ გაზეთებში. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წ. 24 დეკემბრის დადგენილება, — იქვე, გვ. 486—489.

პარტიის მორიგი ამოცანები მეშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის დარგში. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წ. 27 აგვისტოს დადგენილება. — იქვე, გვ. 481—485.

ბეჭდვითი სიტყვისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1927 წ. 3 ოქტომბრის დადგენილება, — იქვე, გვ. 496—498.

ფაბრიკებისა და ქარხნების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, 1929 წ. 9 მაისის დადგენილებიდან. — იქვე, გვ. 526.

ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციას. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წ. 25 იანვრის დადგენილებიდან. — იქვე, გვ. 527.

ოკრუგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გაზეთების ქსელის რეორგანიზაციის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წ. 11 აგვისტოს დადგენილება, — იქვე, გვ. 535—536.
სოფლის რაიონული და ძირეული პრესის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წ. 18 იანვრის დადგენილება. — იქვე, გვ. 541—545.
შუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის გარდაქმნის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 16 აპრილის დადგენილება. — იქვე, გვ. 548—553.
საფაბრიკო-საქარხნო პრესის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. 12 აგვისტოს დადგენილება. — იქვე, გვ. 581—584.
Партийная и советская печать в борьбе за построение социализма и коммунизма. М., 1966.
И. В. Кузнецов. Партийно-советская печать в годы социалистической индустриализации страны. М., 1977.

თემა მეთოთხმეტე

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების წლებში (1933—1937 წწ.)

1933 წლიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო მისი შემდგომი განვითარების ახალი პერიოდი. რომელიც ხასიათდებოდა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლით. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო იზრდებოდა პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში: მისთვის დამახასიათებელი იყო თანამიმდევრული ბრძოლა სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრის, მრეწველობასა და ტრანსპორტში მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღწევის, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მილიონობით მასების ჩაბმისათვის ახალი ცხოვრების მშენებლობაში, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში საბჭოთა პრესა კვლავინდებურად კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და შეუცვლელი იარაღი იყო. ამ პერიოდში ჩვენი ჟურნალ-გაზეთები განაგრძობენ მკითხველთა მასებთან და მუშსოფლკორებთან თავისი კავშირის განსამტკი-

ცალად ახალი გზებისა და მუშაობის ფორმების ძებნას, იზრდება მათი წვლილი სოციალ'ტურ მშენებლობაში, საბჭოთა ხალხის კომუნისტურ აღზრდაში.

საბჭოთა კავშირში 1933—1937 წლებში ჟურნალისტიკის მდგომარეობას ცხადყოფენ შემდეგი ციფრობრივი მონაცემები:

გაზეთების გამოცემა

1933 წელს გამოდიოდა	8319 გაზეთი	35.7 მილიონი ეგზემპლარი ერთჯერადი ტირაჟით
1934	10668	34,7
1935	9990	35,7
1936	9250	38,0

ჟურნალების გამოცემა

1933 წელს გამოდიოდა	1919 ჟურნალი	170,0 მილიონი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით
1934	1862	173,4
1935	2101	202,4
1936	1915	249,2

ის ფაქტი, რომ ამ წლებში შეინიშნებოდა ჟურნალ-გაზეთების ქსელის ერთგვარი შემცირება, გაპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: პირველი ხუთწლედის პერიოდში ხშირად იქმნებოდა პარალელური თემატიკის შემცველი ორგანოები, რომლებიც ხშირად ერთმანეთის დუბლირებას ახდენდნენ. დაწყებული 1934 წლიდან და ყველა ომისწინა წლების განმავლობაში ჟურნალ-გაზეთების ტირაჟები განუხრელად იზრდებოდა.

მნიშვნელოვნად დიდდებოდა, აგრეთვე, ამ პერიოდში გამოცემული წიგნების ტირაჟებიც. მაგალითად, 1933 წელს გამოიცა 44,5 ათასი წიგნი 493,5 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით, შესაბამისად 1936 წელს ეს ციფრები შეადგენდა 43,6 ათასს და 574,8 მილიონს.

1933 წელს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის სრულიად საკავშირო კომიტეტი. რომელსაც დაევალა რადიომაუწყებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა, ქვეყნის ყველა მაუწყებლობის ორგანოსადმი ხელმძღვანელობა, მათ შორის, რაიონული ცენტრების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების ძირეული სატრანსლაციო კვანძებისადმი ხელმძღვანელობა. კომიტეტის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო მაუწყებლობის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი როლის

ამაღლებას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეორე ხუთწლედში ძირითადად გადაიკრა ერთიანი რადიომაუწყებლობის პროგრამის გადაცემა მოსკოვიდან ქვეყნის ყველა რადიოცენტრებში. რამაც დააჩქარა ადგილობრივი მაუწყებლობის განვითარება, მათ შორის სსრ კავშირის ხალხთა ენებზე. დაიწყო „უკანასკნელ ცნობათა“ რეგულარული გამოშვება, რაც ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთ მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენების რადიოინფორმაციის ძირითადი ფორმა გახდა. ქვეყანაში მუშაობდა 64 რადიოსამაუწყებლო სადგური, რომლებიც გადაცემებს სსრ კავშირის ხალხთა 62 ენაზე აწარმოებდა.

პარტიული და საბჭოთა პრესის განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა არა მარტო ჟურნალ-გაზეთების რაოდენობისა და მათი ტირაჟების ზრდა, არამედ, აგრეთვე, მათი შინაარსის არსებითი გაუმჯობესება, მათი როლის ამაღლება სოციალიზმის მშენებლობაში, მკითხველთა შეგნებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერებაში. პრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური იდეოლოგიის დამკვიდრება, სოციალისტური მშენებლობის ახალ-ახალი ფაქტების გამოყენებით უფრო აქტიური დახმარება გაეწია პარტიისათვის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

პარტიულმა და საბჭოთა პრესამ დიდი მუშაობა გასწია პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებების, მეორე ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდისათვის. მშრომელთა დარაზმვისათვის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. სხვა უმნიშვნელოვანეს პრინციპულ დებულებათა შორის, რომლებიც პარტიის XVII ყრილობის რეზოლუციაშია აღნიშნული, უაღრესად საგულისხმო იყო მითითება იმის თაობაზე, რომ ტექნიკური რეკონსტრუქციის, ტექნიკის ათვისებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების გადამწყვეტი პირობაა კვალიფიციური მუშების, ტექნიკოსებისა და ინჟინრების მომზადება. საკუთარი პროლეტარული საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის პრობლემის გადაჭრა პარტიის ამ მითითების შესაბამისად ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მუშაობა საწარმოებში ტექნიკური სწავლების მოწყობისათვის, რაშიც დიდ ორგანიზატორულ როლს ასრულებდა პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა. ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლაში ინიციატივას იჩენდა სპეციალური ბეჭდვითი ორგანო „ტექნიკა“, რომლის ფურცლებზე ფართოდ წარმოებდა საბჭოთა და საზღვარგარეთული ტექნიკის პროპაგანდა, ტარდებოდა დისკუსიები აქტუალურ ტექნიკური პრობლემების შესახებ, ქვეყნდებოდა ნოვატორული წინადადებები და სხვ. გაზეთი განუხრელად ზრუნავდა ქვეყანაში ტექნიკის

დაუფლებისათვის გაშლილი მასობრივი მოძრაობის განვითარებაზე, ტექნიკური ცოდნის გავრცელებაზე, საწარმოო სპეციალობის საუკეთესოდ ათვისებაზე, გამოდიოდა სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მეცნიერებისა, რაციონალიზატორთა და ნოვატორთა შეკრებების ინიციატორად და სხვ.

ამ პერიოდში სოციალისტური შეჯიბრება კვლავინდებურად საბჭოთა პრესის წამყვანი თემა იყო. მასების პოლიტიკური და ეკონომიკური აღზრდისათვის, მუშების მიერ ტექნიკის შესწავლისა და დაუფლებისათვის, ახალი კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის პარტიისა და მისი პრესის მიერ გაწეული მუშაობის ერთ-ერთი შესანიშნავი შედეგი იყო სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმის ჩასახვა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო ახალ ტექნიკასა და მის წარმატებით ათვისებაზე. სამრეწველო საწარმოებში და შემდგომ ტრანსპორტზე წარმოიშვა და ფართო გასაქანი ჰპოვა სოციალისტური შეჯიბრების ისეთმა ფორმამ, როგორიც იყო სტახანოვური მოძრაობა. შრომის ნაყოფიერების ამაღლებისადმი მიძღვნილმა ამ მასობრივმა მოძრაობამ თავიდანვე კომუნისტური პარტიისა და მისი პრესის მხრივ ყოველმხრივი მხარდაჭერა ჰპოვა.

„პრავდის“ 1935 წლის 2 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია „მნგრეველ სტახანოვის რეკორდი“. მასში მოთხრობილი იყო, რომ 31 აგვისტოს ალექსი სტახანოვმა, დონბასის კადიევსკის რაიონის შახტის „ცენტრალური-ირმინოს“ მნგრეველმა, ერთ ცვლაში მოანგრია 102 ტონა ქვანახშირი, რაც რამდენიმეჯერ აღემატებოდა გამომუშავების ჩვეულებრივ ნორმებს. ა. სტახანოვმა 6 საათის მუშაობით მოიპოვა იმდენი ქვანახშირი, რამდენსაც საშუალო მგრეველი მთელ თვეს იძლეოდა. ეს მართლაც არნახული რეკორდი იყო! უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ა. სტახანოვის ამ რეკორდის შესახებ ცნობა დაბეჭდა რაიონულმა გაზეთმა „კადიევსკი პროლეტარიმ“ 1 სექტემბრის ნომერში. ამის შემდეგ „პრავდამ“ აქტიურად დაუჭირა მხარი ამ ახალ წამოწყებას. 6 სექტემბრის ნომერში მან გამოაქვეყნა კორესპონდენცია „საბჭოთა გოლიათები“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ა. სტახანოვის საწარმოო რეკორდმა ახალი იმპულსი მისცა მეშახტეთა საქმიანობას და ბევრმა მოწინავე მნგრეველმა გადაწყვიტა ახლებურად ემუშავა, შეჯიბრებოდნენ სტახანოვს. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი იუწყებოდა, რომ შეჯიბრების გაშლაში მაგალითებს კომუნისტები იძლეოდნენ. კერძოდ, უბნის პარტორგმა, მირონ დიუკანოვმა სამი დღის შემდეგ გადააჭარბა ა. სტახანოვის რეკორდს — ცვლაში 115 ტონა ქვანახშირი გამოიღო. გაზეთი ხაზს უსვამდა, რომ ყოველივე ეს მოასწავებდა ახალ,

დიდ სახალხო მოძრაობის დასაწყისს და ყოველმხრივ მიესალმებოდა მას.

„პრავდასთან“ ერთად ჩვენი ქვეყნის სხვა გაზეთებიც აქტიურად გამოეხმაურნენ დომბასელ მეშახტეთა ინიციატივას, რომელთა ბრწყინვალე წარმატება მოასწავებდა სოციალისტური შეჯიბრების უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლას. ამ მოძრაობის მონაწილენი ანგრევდნენ ძველ ტექნიკურ ნორმებს და ქმნიდნენ ახალს, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ ეკონომიკურად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებას. ეს მიუთითებდა სსრ კავშირის მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის მკვეთრ ზრდაზე. რაც მთავარია, პრესა გამოდიოდა არა მოვლენების პასიური რეგისტრატორის, არამედ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის მასობრივი ლაშქრობის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის როლში. როდესაც გაზეთები აქვეყნებდნენ ცნობებს მშრომელთა პირველი რეკორდების შესახებ, თავიდანვე პრინციპულად უმნიშვნელოვანეს ლოზუნგს აყენებდნენ: „ერთეულთა შეჯიბრებიდან მასების შეჯიბრებისაკენ“, რითაც გარკვეულ მიმართულებას აძლევდნენ ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობას. პრესაში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდა ახალი სახელები, შრომის გმირთა მიერ ახალი სიმაღლეების დაპყრობის შთამბეჭდავი მაგალითები: მჭსოველები ევდოკია და მარია ვინოგრადოვები, მემანქანე პეტრე კრივონოსი, მჭედელი ალექსანდრე ბუსიგინი, მეფეხსაცმელე ნიკოლოზ სმეტანინი და მრავალი სხვ.

ნოვატორთა მოძრაობამ მოიცვა ეკონომიკის ყველა დარგი. მას მხარი დაუჭირეს არა მარტო მუშებმა, არამედ სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. ამ უკანასკნელთა შორის სტახანოვური მოძრაობის ინიციატორები იყვნენ მაღალი მოსავლის მიღების ოსტატები მ. დემჩენკო და მ. განაცენკო, მექანიზატორები პ. ანგელინა, ს. პელეგუცინი, კ. ბორინი და სხვები.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა დიდ მუშაობას ეწეოდა სტახანოველთა მოწინავე გამოცდილების შეკრებაში, განზოგადებაში, პოპულარიზაციასა და ფართოდ დანერგვაში. ეს საქმიანობა, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა საკუთარი კორესპონდენტებისა და ავტორთა აქტივის სტატიების, ნარკვევებისა და კორესპონდენციების გამოქვეყნებას სტახანოვური მოძრაობის პიონერებზე, მათი შრომის ხერხებსა და მეთოდებზე (აღსანიშნავია, რომ ამ თემებზე ბევრს წერდნენ ისეთი მწერლებიც, როგორიც იყვნენ ბ. გორბატოვი, ბ. გალინი, ვ. გროსმანი, მ. შაგინიანი, ა. ავდეენკო და სხვ.). მეორე მხრივ, პრესა ერთგვარ სრულიად საკავშირო ტრიბუნას წარმოადგენ-

და და თავის ფურცლებს უთმობდა თვით სტახანოველებს, წარმოების ნოვატორებს, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის მებრძოლ ენთუზიასტებს. „სტახანოველის ტრიბუნა“ მრავალი გაზეთის მუდმივი რუბრიკა გახდა. პარტიული და საბჭოთა პრესა მიისწრაფოდა ღრმად გაეაზრებინა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, ცდილობდა ტექნიკაში მომხდარი ცვლილებანი დაეკავშირებინა სოციალურ ცვლილებებთან, მშრომელთა ეკონომიკურ აღზრდასთან და. რაც მთავარია, ჩვენი პრესა ცხადყოფდა, რომ სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში იჭედებოდა ახალი ეპოქის ადამიანი, რომელსაც ფართო კულტურული და პოლიტიკური თვალთახედვა გააჩნდა, გამოირჩეოდა მაღალი საზოგადოებრივი აქტივობითა და ბოლშევიკური პრინციპულობით, კარგად ესმოდა თავისი საქმე და ძალ-ღონეს არ ზოგავდა სამშობლოს აყვავებისათვის.

მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის დარგში დასახული იქნა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი სრულყოფის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცების საპასუხისმგებლო ამოცანა. ამ წლებში კომუნისტური პარტია მშრომელთა ყურადღებას მიაქცევდა მოსავლიანობის გადიდებისა და სოფლის მეურნეობაში მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე. იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის, რომლებიც პარტიამ დასახა ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დადგენილებას ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში პოლიტიკურ განყოფილებათა ჩამოყალიბების შესახებ. ამ ახალ რგოლებს დიდი როლი უნდა შეესრულებინათ სოფლად პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის გაუმჯობესებაში და, ამიტომაც იყო, რომ პარტიამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებებში სამუშაოდ გააგზავნა 17 ათასი ყველაზე უფრო მტკიცე და მომზადებული პარტიული და კომკავშირული მუშაკი.

დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო I ყრილობამ, რომელიც მოსკოვში 1933 წლის 15 თებერვალს გაიმართა, დასახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გაშლილი და უაღრესად კონკრეტული პროგრამა, განაზოგადა და შეაჯამა კოლექტივიზაციის პირველი შედეგები. მთლიანი კოლექტივიზაციის შედეგად წვრილი, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ წარმოებად გადასვლის განხორციელება მოასწავებდა რევოლუციას ეკონომიკურ ურთიერთობაში, გლეხობის ცხოვრების მთელ წყობაში. დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო II ყრილობამ განსაზღვრა კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების პერსპექტივები. ამ ყრი-

ლობის ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან განიხილა და მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის პირველი სანიმუშო წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების წესდება. მასში განზოგადებული იყო ახალი ურთიერთობანი სოფლად, ხახგასმული იყო, რომ საკოლმეურნეო გზა, სოციალიზმის გზა ერთადერთი სწორი გზა იყო მშრომელი გლეხობისათვის. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით განუზომლად გაიზარდა სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და პოლიტიკური დონე, გამდიდრდა მათი სულიერი ცხოვრება. ყველა ეს პრობლემა ფართოდ შუქდებოდა პარტიულ და საბჭოთა პრესაში.

მრავალმა სარედაქციო კოლექტივმა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის წლებში მდიდარი გამოცდილება დააგროვა სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნისათვის ბრძოლაში, მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების პროპაგანდასა და ფართოდ გაშლაში, საკოლმეურნეო მშენებლობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. ამ პერიოდის ერთ-ერთ საუკეთესო გაზეთად სამართლიანად ითვლებოდა ცენტრალური მასობრივი ორგანო „კრესტიანსკაია გაზეტა". 1933 წლის 23 ნოემბერს აღინიშნა ამ გაზეთის ათი წლისთავი. ამასთან დაკავშირებით საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მას მისალმება გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ათი წლის განმავლობაში „კრესტიანსკაია გაზეტა" ერთგულად იცავდა მუშათა და გლეხთა კავშირის დიად საქმეს, იყო პარტიის მებრძოლი და აქტიური თანაშემწე სოფლის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ მომავალშიც გაზეთი წარმატებით გაართმევს თავს მასზე დაკისრებულ საპატიო მოვალეობას.

გაზეთი, რომელიც დიდი ტირაჟით, 3 მილიონამდე ეგზემპლარის რაოდენობით, გამოდიოდა და სოფლის კორესპონდენტთა მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა, დიდ მუშაობას ატარებდა პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის. იგი სისტემატურად უწევდა პროპაგანდას საუკეთესო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, ცალკეული კოლმეურნეების გამოცდილებას, იჩენდა მრავალ ჟურნალისტურ ინიციატივას, აქტიურად უწყობდა ხელს სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას. გაზეთი ფართოდ იყენებდა ორგანიზატორული მუშაობის ისეთ ქმედით ფორმას, როგორიც იყო გამსვლელი რედაქციები. საგულისხმოა, რომ ამ მიზნით რედაქცია ხშირად თვითმფრინავებს იყენებდა, აგრეთვე რკინიგზის ვაგონებსა და კატარღებს, რომლებშიც მოწყობილი იყო სტამბები: ჰქონდათ, აგრეთვე, კინოდანადგარები

და რადიომიმღებები. „კრესტიანსკაია გაზეტა“ კვლავინდებურად ფართოდ მიმართავდა მასობრივი გაზეთის მუშაობისათვის დამახასიათებელ ფორმებსა და მეთოდებს: საოლქო და რაიონული გვერდების გამოშვებას, ძირეულ პრესასთან ერთად ერთობლივი მასალების მომზადებას, სოფლკორთა შეკრებებს ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, მასობრივ რეიდებს, აწყობდა სხვადასხვა საჩის კონკურსებს, დათვალიერებებსა და ა. შ. მკითხველების გაზეთთან კავშირის დიდ მასშტაბებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რედაქცია ყოველდღიურად საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ათასამდე წერილს იღებდა. ამ მხრივ იგი ყველა გაზეთზე წინ იყო. გლეხები უამრავ შეკითხვებს უგზავნიდნენ რედაქციას. ყველაზე უფრო რთული საკითხების გასარკვევად გაზეთი იზიდავდა გამოცდილ იურისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. მ. კალინინიც, რომელიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდა „კრესტიანსკაია გაზეტას“ საქმიანობას, ხშირად პასუხობდა გლეხების წერილებს, რომელთა დიდი ნაწილი გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. მკითხველს უყვარდა „კრესტიანსკაია გაზეტა“, სჯეროდა მისი. გაზეთში მოთავსებული მასალებით საოლქოეურნეო სოფელი სწავლობდა ცხოვრების ახლებურად, კომუნისტურად მშენებლობას.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში დიდი როლი შეასრულეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებათა გაზეთებმა, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 15 ივნისის დადგენილებით შეიქმნა. ამავე დროს განეკუთვნება, აგრეთვე, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საბჭოთა მეურნეობებში ასეთივე გაზეთების ჩამოყალიბების შესახებ. ამ პარტიული დირექტივების შესაბამისად უკვე 1933 წლის 15 დეკემბრისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებებთან შეიქმნა 2150-ზე მეტი გაზეთი, რომელთა საერთო ერთჯერადი ტირაჟი 1 მილიონ ეგზემპლარს აღემატებოდა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში კი 700-მდე გაზეთი გამოიცემოდა. თავდაპირველად ამ გაზეთების ფორმატი პატარა იყო და თვეში 5—10-ჯერ გამოდიოდა, მაგრამ თანდათან ყოველდღიურ გამოშვებაზე გადადიოდნენ. ამასთანავე მათთვის დამახასიათებელი იყო საგანგებო დამატებითი ნომრების, ასევე „ელვების“ გამოცემა კოლმეურნეთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან დაკავშირებით. პოლიტგანყოფილებათა პრესის გავლენით ბეჭდვითი სიტყვის საქმიანობაში ებმებოდა კოლმეურნე სოფლკორების დიდი რაოდენობა, გამოაცოცხლეს მუშაობა საოლქოეურნეო კედლის გაზეთებმა, იქმნებოდა მრავალრიცხოვანი საველე გაზეთები ბრიგადებში და სხვ. ცენტრალური კომიტე-

ტის გადაწყვეტილებით მალე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებათა გაზეთები რაიონულ გაზეთებად გადაკეთდა.

საკოლმეურნეო წყობილების ზრდისა და განმტკიცების საქმეში თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა ეროვნული რესპუბლიკების პრესასაც. იგი აქტიურად უჭერდა მხარს კოლექტიური მეურნეობების განვითარებისათვის კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს, იბრძოდა ცხოვრებაში მათი განხორციელებისათვის, თავის ფურცლებზე აყენებდა მრავალ საჭირბოროტო საკითხს, დაუღალავად ზრუნავდა ორგანიზატორულ-მასობრივი მუშაობის გამოცოცხლებისათვის.

მთელი საბჭოთა პრესის უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენდა ახალი კონსტიტუციის, რომელიც საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ მიიღო 1936 წლის 7 დეკემბერს, პროპაგანდა. მისი თითოეული განყოფილებისა და მუხლის დაწვრილებითი ახსნა-განმარტება, მასების პოლიტიკური აქტივობის შემდგომი ამაღლება, ძირითადი კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის, საბჭოთა დემოკრატიის ფართოდ გაშლის ჩვენება. პრესის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პირველი არჩევნებისათვის მზადება ახალი კონსტიტუციის საფუძველზე.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ზრდა და მისი სრულყოფა მეორე ხუთწლედის წლებში — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგს წარმოადგენდა. ჩვენი პერიოდიკის საქმიანობისადმი კონკრეტულმა ხელმძღვანელობამ და შეუნელებელმა კონტროლმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ, მისდამი ყოველდღიურმა დახმარებამ უზრუნველყო ჟურნალ-გაზეთების მაღალი იდეური დონე. სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები მრავალფეროვანი იყო; ხშირად ტარდებოდა გაზეთის მუშაკთა, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა თათბირები, „პრავდაში“ რეგულარულად თავსდებოდა პრესის მიმოხილვები. ამასთანავე, პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყურადღებით ეკიდებოდა ჟურნალისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმეს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები „ჟურნალ „პარტიინოე სტროიტელსტვოს“ შესახებ“ (1933 წ. 7 აპრილი), «გაზეთების „სევერონ-კავკაზსკი ბოლშევიკისა“ და „ზვეზდას“ (პერმი) მშრომელთა წერილებზე მუშაობის შესახებ» (1936 წ. 20 მარტი), «გაზეთების „პრავდა სევერასა“ და „გორკოვსკაია კომუნას“

ავტორთა კადრების შესახებ» (1937 წ. 25 მარტი) და სხვები შეიცავდნენ პროგრამულ მითითებებს ჟურნალისტური საქმიანობის სხვადასხვა საკითხზე, რაც ხელს უწყობდა პრესის ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებას.

პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მრავალრიცხოვან ფორმებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა პერიოდულ გამოცემებს ჟურნალისტებისა და მუშსოფლკორებისათვის — „ჟურნალისტს", „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტს", „სელკორს", „ფაბრიჩნო-ზავადსკოი პეჩატს" (შემდგომში „3 პომოშჩ ფაბრიჩნო-ზავადსკოი გაზეტას"), „რაიონნაია პეჩატს" (შემდგომში „3 პომოშჩ რაიონნოი გაზეტას", ხოლო 1933 წლის ოქტომბრიდან „რაიონნაია ი პოლიტატდელსკაია პეჩატს") დაემატა „ბოლშევისტსკაია პეჩატი", რომლის პირველი ნომერი 1933 წლის ოქტომბერში გამოვიდა. თავდაპირველად ჟურნალი ყოველდეკადურად იბეჭდებოდა, შემდგომში — თვეში ორჯერ, და ბოლოს — თვეში ერთჯერ, მისი ტირაჟი — 13—18 ათასი ეგზემპლარი იყო. მასში ქვეყნდებოდა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, პრესის მიმოხილვები, პრობლემური სტატიები, მასალები, რომლებიც შეიცავდნენ ცალკეული სარედაქციო კოლექტივებისა და წამყვანი საბჭოთა ჟურნალისტების გამოცდილებას. ჟურნალი ბეჭდავდა წერილებს, აგრეთვე, საზღვარგარეთული კომუნისტური და ბურჟუაზიული პრესის შესახებ. ჟურნალის მასალების მრავალფეროვნებაზე მეტყველებს მისი რუბრიკები: „გამოცდილება, ინიციატივა, პრაქტიკა", „რედაქტორის ტრიბუნა", „საინტერესო გამოცდილება", „ეაყენებთ განსახილველად" და სხვ. ჟურნალ „ბოლშევისტსკაია პეჩატის" მიერ პარტიული და საბჭოთა პრესის გამოცდილების განზოგადება და პროპაგანდა შეთავსებული იყო მის ორგანიზატორულ საქმიანობასთან. ჟურნალი „პრავდისა" და „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტის" რედაქციებთან ერთად რეგულარულად აწყობდა ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების მუშაკების, მუშსოფლკორთა აქტივის თათბირებს ბეჭდვითი სიტყვის მასობრივი მუშაობის, სოციალისტურ მშენებლობაში მისი როლის ამაღლების შესახებ. ჟურნალის ფურცლებზე ხშირად ტარდებოდა დისკუსიებიც, რომელთა მსვლელობაში მონაწილენი მრავალ საინტერესო საკითხს აყენებდნენ, და საერთოდ, პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ზრდასა და მისი მუშაობის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფასთან ერთად მდიდრდებოდა ჟურნალისტური თეორიაც, რაც თავის ასახვას პოულობდა „ბოლშევისტსკაია პეჩატში".

1933—1937 წლები აღინიშნებოდა პრესის შემდგომი მძლავრი ზრდით. საბჭოთა მეურნეობების ფართოდ განვითარებისდაკვალად

შეიქმნა სრულიად საკავშირო გაზეთი „სოვეხოზნაია გაზეტა“. იზრდებოდა, აგრეთვე, ბეჭდვითი სიტყვის ისეთი სახეობა, როგორიცაა საქალაქო საღამოს გაზეთები. მაგალითად, 1935 წლიდან დაიწყო ახალი საღამოს გაზეთების გამოცემა კიევში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, თბილისში, გორკში და სხვ. გაფართოვდა, აგრეთვე. ჟურნალების ქსელიც. 1934 წლის სექტემბრიდან, როგორც ზემოთ ითქვა, მ. გორკის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გამოდის ჟურნალი „კოლხოზნიკი“, ხოლო 1936 წლის იანვრიდან — ჟურნალი „სტახანოვეცი“.

პარტია ამ პერიოდში დიდ მზრუნველობას იჩენდა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისადმი, რაზედაც მეტყველებს მრავალი ბეჭდვითი ორგანოს წარმოშობა. კერძოდ, „ლიტერატურნაია გაზეტასა“ და „სოვეტსკოე ისკუსტვოსთან“ ერთად დაიწყო „არხიტექტურნაია გაზეტას“ გამოცემა. ასევე გამოვიდა ჟურნალებიც: „ლიტერატურნი კრიტიკი“, „ლიტერატურნოე ობოზრენიე“, „დეტსკაია ლიტერატურა“, „ისკუსტვო“, „ტვორჩესტვო“, „სოვეტსკაია მუზიკა“, „არხიტეკტურა სსსრ“. საგაზეთო ქსელმა 1936 წელს მიაღწია 10 ათას დასახელებას, ხოლო ერთჯერადმა ტირაჟმა — 38 მილიონ ეგზემპლარს.

სოციალისტური ეკონომიკის წინსვლამ პირველი საბჭოთა ხუთწლედების წლებში უშუალო ზემოქმედება მოახდინა ქვეყნად კულტურული მშენებლობის საერთო აღმავლობაზე. ჩელუსკინელთა გმირულ ეპოპეას, ჩრდილოეთ პოლუსზე საბჭოთა სამეცნიერო სადგურის შექმნას, მფრინავ კოკინაკის სიმაღლის რეკორდებს, სტრატოსფეროში გაფრენას და მრავალ სხვა წარმატებას მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა.

კულტურულმა მშენებლობამ სსრ კავშირში არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად, 1933—1937 წლებში დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა 8 მილიონით გაიზარდა, ხოლო სტუდენტთა რიცხვმა კი 1937 წლისათვის ნახევარ მილიონს მიაღწია. ამ პერიოდში საბჭოთა ინტელიგენციის არმია 10 მილიონ კაცს ითვლიდა. თანაც საგულისხმოა, რომ ეს იყო სრულიად ახალი სოციალისტური ინტელიგენცია, რომლის უმრავლესობა გამოსული იყო მუშებისა და გლეხების რიგებიდან. კულტურული მშენებლობის მიღწევები განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ქვეყნის ეროვნულ რაიონებში. სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვდა უმოკლეს დროში დაგვეძლია განაპირა ეროვნული რეგიონების არა მარტო ეკონომიკური, არამედ კულტურული ჩამორჩენილობის

ლიკვიდაცია. კულტურული რევოლუციის მთავარი ამოცანების გადაჭრაში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დიდ დახმარებას უწევდა ეროვნული რესპუბლიკების პრესა.

30-იანი წლების პარტიული და საბჭოთა პრესა, რომელიც სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგული იყო, მხურვალედ უწევდა პროპაგანდას ახალ სოციალისტურ კულტურას, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, იბრძოდა ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის ცხოვრებასთან, ქვეყნად მიმდინარე სოციალისტურ გარდაქმნებთან. პრესა განმარტავდა და იცავდა პარტიის პოლიტიკას ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში, აშუქებდა შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობას, მხარს უჭერდა ყოველივე ახალსა და პროგრესულს, ხელს უწყობდა ნიჭიერი ლიტერატორებისა და ხელოვნების მუშაკების ზრდასა და სრულყოფას. პრესის ფურცლებზე ყოველმხრივ განიხილებოდა საარსებო საკითხი — საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის შესახებ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჟურნალ „ლიტერატურნაია უჩობას“ 1933 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ მ. გორკის სტატიას „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“, რომელშიც იგი მწერლებს მოუწოდებდა ღრმად შეესწავლათ და სიმართლით აესახათ როგორც ისტორიული წარსული, ისე განსაკუთრებით საბჭოთა თანამედროეობის მოვლენები. ცენტრალური პარტიული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მ. გორკის სხვა სტატიებშიც დასახული იქნა ამოცანა მხატვრული ნაწარმოებების მაღალი იდეური დონის მიღწევასთან ერთად ლიტერატორებს ებრძოლათ ოსტატობის პრობლემის გადაჭრისათვისაც.

ფართოდ გააშუქა პრესამ მწერალთა სრულიად საკავშირო I კრილობის მიმდინარეობა, მის მიერ მწერალთა კავშირის წესდების მიღება, რომლის მთავარ პუნქტში განსაზღვრული იყო სოციალისტური რეალიზმის, როგორც საბჭოთა მხატვრული ლიტერატურისა და კრიტიკის ძირითადი მეთოდის მნიშვნელობა, რომელიც მხატვრისაგან მოითხოვდა სინამდვილის ისტორიულ, კონკრეტულ, სიმართლით ასახვას მის რევოლუციურ განვითარებაში. 1935—1936 წლებში „პრავდა“ აგრძელებდა ისეთი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებების ცალკეული თავების ბეჭდვას, როგორიც იყვნენ პ. პავლენკო („აღმოსავლეთში“), ა. ფადეევი („უკანასკნელი უდეგეგან“), მ. შოლოხოვი („წყნარი დონი“) და სხვ. როგორც „პრავდა“, ისე სხვა გაზეთები ლიტერატურის ყველა დიდ მოვლენას ეხმაურებოდა სტატიებითა და რეცენზიებით, ნაწარმოებთა შეფასებაში აბამდა მკითხველთა მასებს. პრესა ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა პოეზიას, აღნიშნავდა ვ. მაიაკოვსკის დიდ დამსახურებას საბჭოთა ლიტერატუ-

რის განვითარების საქმეში, მაღალ შეფასებას აძლევდა მის შემოქ-
მედებას.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მხედველობის არეში
ყოველთვის იყო საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგი: კინო და თე-
ატრი, მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება, არქიტექტურა, მშრომელთა
მხატვრული თვითმოქმედება. პრესა არა მარტო სწრაფად და ოპე-
რატიულად ეხმაურებოდა ხელოვნების ამა თუ იმ მნიშვნელოვან
მოვლენას, არამედ აძლევდა მათ სათანადო პარტიულ შეფასებას,
მხარს უჭერდა ახალსა და პროგრესულს, მაღალმხატვრულს, აკრი-
ტიკებდა დრომოჭმულსა და არაგულწრფელს, ყოველივე იმას, რაც
ეცხო იყო სოციალიზმის ქვეყნის ხელოვნების ბუნებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ 1934—1936 წლებში მწერალთა თანამ-
მრომლობამ გაზეთებში და, განსაკუთრებით კი „პრავდაში", მასობ-
რივი ხასიათი მიიღო. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას ლიტერატორ-
თა იმ ჯგუფზე, რომელმაც თავისი შემოქმედებითი ბედი მთლიანად
პარტიულ ბეჭდვით სიტყვას დაუკავშირა. მათ შორის განსაკუთრე-
ბით მნიშვნელოვანი იყო მ. კოლცოვის, დ. ზასლავსკის, ა. კოლოსო-
ვისა და სხვების შემოქმედება, რომლებიც საბჭოთა ჟურნალისტიკის
ბრწყინვალე პლეადის ნიჭიერი წარმომადგენლები იყვნენ.

იმ ავტორთა შორის, რომლებიც ხშირად ბეჭდავდნენ ნარკვე-
ებს, ჩანახატებსა და სტატიებს გაზეთებში, პირველ რიგში კი „პრავ-
დაში", იყვნენ მწერლები: ა. ფადეევი, ა. სერაფიმოვიჩი, ლ. მიკული-
ნი, კ. ტრენევი, ნ. ოსტროვსკი, ბ. აგაპოვი, ა. კარავაევა, ა. კორნეი-
ჩუკი, ვ. კატაევი, ნ. ვირტა, ვ. შკლოვსკი, პ. პავლენკო, ლ. სეიფუ-
ლინა, ბ. გორბატოვი, ვ. ვიშნევსკი და მრავალი სხვა. „პრავდაში"
აქტიურად თანამშრომლობდნენ და შესანიშნავ ფელეტონებს წერდნენ
ი. ილფი და ე. პეტროვი. მწერლებს გარდა „პრავდაში" სხვადასხვა
დროს მოვიდნენ და თავიანთ ლექსებს აქვეყნებდნენ პოეტები: ა.
ბეზიმენსკი, ე. დოლმატოვსკი, ე. ინბერი, ი. კუპალა, ვ. ლებედევ-
კუმაჩი, ნ. ასეევი, ს. სტალკი, მ. რილსკი, ჯამბული, პ. ტიჩინა და სხვ

გაზეთების რედაქციები ყველა ზომას იღებდნენ იმისათვის, რა-
თა თითოეული მწერლისა და პოეტის შემოქმედებითი თავისებურე-
ბების გათვალისწინებით რაც შეიძლება ეფექტურად გამოეყენები-
ნათ მხატვრული სიტყვის ძალა, ლიტერატორთა ოსტატობა, რათა
უფრო სრულად და თვალსაჩინოდ გაეშუქებინათ ჩვენი ქვეყნის მრა-
ვალფეროვანი ცხოვრება, გაზეთის მკითხველები, საბჭოთა ადამია-
ნები აღეზარდათ კომუნისტური სულისკვეთებით.

1933—1937 წლები აღინიშნებოდა რული საერთაშორისო ვითა-
რებით. იაპონიის შემდეგ, რომელმაც მტაცებლური ომი გააჩაღა ჩი-
ნეთის წინააღმდეგ, სამხედრო ავანტურებში ჩაება მილიტარისტული

გერმანიაც, სადაც 1933 წელს ხელისუფლების სათავეში ჰიტლერელთა ხროვა მოვიდა. დამპყრობლურ აქციებს ახორციელებდა, აგრეთვე, ფაშისტური იტალია. ამრიგად, შორეულ აღმოსავლეთში ომის პირველი კერის გაჩენასთან ერთად, ჩამოყალიბდა ომის მეორე კერა ევროპის ცენტრში. პარტიული და საბჭოთა პრესა საერთაშორისო საკითხებისადმი მიძღვნილ მასალებში მკითხველებს განუმარტავდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას შინაგანი წინააღმდეგობანი ღრღნის და ღრმა კრიზისს განიცდის. ამიტომ კაპიტალისტები ყოველმხრივ ცდილობენ თავიანთი დაღუპვის გადავადებას, რისთვისაც ისინი მიმართავენ სასტიკ და ულმობელ საშუალებებს პროლეტარიატისა და მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. პრესა კონკრეტული ფაქტებით ცხადყოფდა, რომ ბურჟუაზია დღითიდღე როგორ აძლიერებდა ფაშისტურ ტერორს და ემზადებოდა ახალი სისხლისმღვრელი იმპერიალისტური ომისათვის.

ჩვენი გაზეთები იტყობინებოდნენ გერმანიაში მდგომარეობის ახალი გამწვავების შესახებ, რომ რეაქციამ ქვეყნის სათავეში ჰიტლერი დააყენა. 27 თებერვალს, ერთი კვირით ადრე რაიხსტაგის არჩევნებამდე, ჰიტლერელებმა პროვოკაციულად დაწვეს რაიხსტაგის შენობა, რათა ამაში დაედანაშაულებინათ კომუნისტები და გასწორებოდნენ მათ. ამას მოჰყვა გერმანიის კომუნისტური პრესის აკრძალვა, რაიხსტაგის კომუნისტი დეპუტატებისა და თვალსაჩინო პარტიული მუშაკების დაპატიმრება. ჰიტლერელთა მოსვლა ქვეყნის მმართველობაში აღინიშნა რეაქციის გამძვინვარებით, ფაშისტური დიქტატურის ტერორისტული აქციებით რევოლუციური მუშების, კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, მუშათა ორგანიზაციების განადგურებით, ათასობით პროლეტარულ რევოლუციონერთა უმოწყალო მოსპობით. ფაშისტებმა დააპატიმრეს გერმანიის კომპარტიის ბელადი ერნსტ ტელმანი და იმჟამად ბერლინში მყოფი ბულგარეთის კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწე გიორგი დიმიტროვი.

საბჭოთა პრესას უმნიშვნელოვანესი ისტორიული მისია დაეკისრა: მთელი მსოფლიოს წინაშე გამოეაშკარავებინა ფაშისტ ცეცხლისწამკიდებელთა საზიზღარი პროვოკაცია, აემაღლებინა ხალხთა სიფხიზლე, გაეძლიერებინა მისი მზადყოფნა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ხაბრძოლველად, ყოველმხრივ ხელი შეუწყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცებას. და ეს საპატიო მისია ჩვენმა პრესამ „პრავდის“ მეთაურობით ბრწყინვალედ განახორციელა.

გერმანიის ფაშიზმის ცდები, გამკლავებოდა რევოლუციონერ-კომუნისტს გ. დიმიტროვს, აწყდებოდა საბჭოთა ადამიანების პროტესტის მძლავრ ხმას, რომელსაც მხარს უბამდა კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის ერთსულოვანი პროტესტი. ლაიფციგში სამ თვეს

გრძელდებოდა სასამართლო პროცესი. ამ ხნის განმავლობაში „პრავდა“ და სხვა ჩვენი გაზეთები აქვეყნებდნენ დაწვრილებით ანგარიშებს, ამხილებდნენ პროცესის ორგანიზატორთა შავბნელ ზრახვებს. მოუთხრობდნენ დიმიტროვისა და მისი ამხანაგების გმირულ ქცევაზე, რომლებმაც შესძლეს ფაშისტური სასამართლო ანტიფაშისტურ ტრიბუნად გადაექციათ. „მართლმსაჯულებამ“ ლაიფციგის პროცესზე სრული კრახი განიცადა, ფაშისტური პროვოკაცია ჩაიშალა. სასამართლო იძულებული გახდა გ. დიმიტროვი გაემართლებინა. ამ პროცესთან დაკავშირებით საბჭოთა პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლაიფციგში ფაშიზმის დამარცხება საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვებას მოასწავებდა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ მილიონობით მშრომელთა მასების ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტს წარმოადგენდა 1935 წლის აგვისტოში მოსკოვში ჩატარებული კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესი, რომელზედაც მთავარი მოხსენებით გამოვიდა კომინტერნის აღმასკომის ახლადარჩეული ხელმძღვანელი გ. დიმიტროვი. მსოფლიოს კომუნისტურ პრესასთან ერთად საბჭოთა ბეჭდვითმა სიტყვამ ფართოდ გააჩაღა აღნიშნული კონგრესის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა და ახსნა-განმარტება, რომლებიც მიმართული იყო მუშათა კლასის ერთიანობის, ფართო სახალხო ფრონტის შექმნის, ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისადმი. კონგრესის გადაწყვეტილებათა შუქზე კიდევ უფრო მაღლდებოდა პრესის როლი მასების ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში. ეს თავის მხრივ მოითხოვდა საბჭოთა გაზეთების ფურცლებზე საერთაშორისო საკითხების გაშუქების რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

როდესაც ბეჭდვითი სიტყვის ინტერნაციონალისტურ-აღმზრდელობით როლზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საბჭოთა პრესის ისტორიის ისეთი ღირსშესანიშნავი ფურცელი, როგორიცაა 1936 წლის ივლისიდან ესპანეთში დაწყებული მოვლენების ფართოდ ასახვა, ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლის ჩვენება ფაშისტ ამბოხებულთა და გერმანელ-იტალიელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. „პრავდაში“, მაგალითად, გარდა საინფორმაციო მასალებისა ესპანეთის ამბების შესახებ, იბეჭდებოდა გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის მ. კოლცოვის ნარკვევები და კორესპონდენციები, რომელიც საშოქალაქო ომის დაწყებისთანავე ესპანეთში იმყოფებოდა, ხოლო „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი რესპუბლიკური ესპანეთის ფრონტებზე იყო მწერალი ი. ერენბურგი. მთელი 1936 წლის განმავლობაში საბჭოთა პრესა აქტიურად ეხმაურებოდა ესპა-

ნეთის მოვლენებს, საბჭოთა ადამიანები რისხვით წერდნენ ფაშისტ ამბოხებულთა და ინტერვენტთა მხეცობის შესახებ, მთელ მსოფლიოს ამცნობდნენ თავიანთ სოლიდარობაზე რესპუბლიკური ესპანეთის ხალხთან, რომელიც თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავდა.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის პროპაგანდასთან ერთად სისტემატურად აფრთხილებდა საბჭოთა ადამიანებს არ მისცემოდნენ თვითდამშვიდებას, აემაღლებინათ სიფხიზლე იმპერიალისტ ომისგამჩაღებელთა აქციების მიმართ, ზრდიდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მტრისადმი სიძულვილის სულისკვეთებით, მოუწოდებდნენ სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნისაკენ. აქედან გამომდინარე, ჩვენი პრესის ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო — საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

ლიტერატურა

გაზეთების „სევერნო-კავკაზსკი ბოლშევიკის“ და „ზვეზდას“ (პერმი) მშრომელთა წერილებზე მუშაობის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. 21 მარტის დადგენილებიდან. — პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 597—600.

საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების „კამსკი ბუმაჟნიკის“ (სევერდლოვსკის ოლქი) და „ლენინეცის“ (ჭ. გორკი) შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. 19 მაისის დადგენილება. — იქვე, გვ. 600—601.

გაზეთების „პრავდა სევერას“ და „გორკოვსკაია კომუნას“ ავტორთა კადრების შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ბიუროს 1937 წ. 25 მარტის დადგენილება. — იქვე, გვ. 604—606.

Партийная и советская печать в борьбе за построение социализма и коммунизма. М., 1966.

Р. А. Иванова. Партийная и советская печать в период развернутого строительства социализма (1929—1937). — М., 1978.

თემა მეთხუთმეტე

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა სოციალისტური საზოგადოებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში

(1937—1941 წ. ივნისი)

საბჭოთა კავშირის ხალხებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალი საზოგადოების აშენებაში, გადაჭარბებით შეასრულეს მეორე ხუთწლედის დავალებები. ახალ, მესამე ხუთწლედში, დიდი სამამულო

ომის დაწყებამდე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების პროცესი. ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო ექსპლოატატორთა კლასების ნაშთების ლიკვიდაცია, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ერთიან შრომით ფრონტად გაერთიანება, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, საბჭოთა წყობილების ძლიერების ზრდა, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია. ეკონომიკის მძლავრმა აღმავლობამ განაპირობა სოციალისტური კულტურის განვითარებაში ახალი სიმაღლეების დაპყრობა.

კომუნისტური პარტიის მზრუნველობის შედეგად იზრდებოდა და მტკიცდებოდა პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, დღითიდღე უმჯობესდებოდა მისი მუშაობა. ომისწინა წლებში ბეჭდვითი სიტყვის განვითარება შემდეგ სურათს გვაძლევს:

გ ა ზ ე თ ე ბ ი

1937 წ.	გამოდიოდა	8521 გაზეთი	36,2 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით
1938 წ.		8550	37,5
1939 წ.		8780	38,0
1940 წ.		8806	38,4

ჟ უ რ ნ ა ლ ე ბ ი

1937 წ.	გამოდიოდა	1800 ჟურნალი	250,2 მილიონი ეგზემპლარი წლიური ტირაჟით
1938 წ.		1762	257,2
1939 წ.		1592	253,5
1940 წ.	„	1822	245,4

წ ი გ ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა

1937 წ.	გამოიცა	37,6 ათასი დასახელების წიგნი	677,8 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით
1938 წ.		40,3	698,6
1939 წ.		40,5	714,6
1940 წ.		45,8	762,2

ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრალური რადიომაუწყებლობის სადღეღამისო მოცულობა. იგი საშუალოდ 64,3 საათს შეადგენდა, მათ შორის 41,3 საათი მოდიოდა ძირითად პროგრამაზე, ხოლო 23 საათი — უცხოეთის მსმენელებზე.

1939—1940 წლებში სწრაფად ვითარდებოდა დარგობრივი პრესა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მოსკოვში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიხედვით 30 გაზეთი გამოდიოდა, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ჩერნაია მეტალურგია“, „უგოლნაია პრომიშლენნოსტი“, „ნეფტი“, „მაშინოსტროენიე“, „პიშჩევაია ინდუსტრია“, „ლეგკაია ინდუსტრია“, „ვოდნი ტრანსპორტი“, „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე“, „სოვხოზნაია გაზეტა“, „ეკონომიკა“, „ზდოროვი“ და მრავალი სხვა. ეს გაზეთები გათვალისწინებული იყო შეურნეობის ყარკვეული დარგის მუშაობის სპეციფიკური საჭიროებების მომსახურებისათვის. აღსანიშნავია, რომ დარგობრივი ბეჭდვითი სიტყვის ზრდის პროცესი განახლდა დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ და ახლა იგი საბჭოთა პრესის მძლავრ რაზმს წარმოადგენს.

1939—1940 წლებში პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები შეიქმნა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებულ რაიონებში, აგრეთვე, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის რესპუბლიკებში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა პრესისადმი, რეგულარულად ტარდებოდა რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო, რაიონული გაზეთების რედაქტორების თათბირები, რომლებზედაც განიხილავდნენ ჟურნალ-გაზეთების საქმიანობის საჭირბოროტო საკითხებს. პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ნაცადი საშუალება იყო „პრავდასა“ და ცენტრალურ გაზეთებში, აგრეთვე ჟურნალ „ბოლშევისტსკაია პეჩატში“ პრესის შიმოხილვების გამოქვეყნება. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პერიოდში მიიღო რიგი დადგენილებები ბეჭდვითი სიტყვის საკითხების შესახებ. რედაქციების საქმიანობის გაუმჯობესების, ავტორთა აქტივთან, მუშკორებსა და სოფლკორებთან მათი მუშაობის აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 ივლისის დადგენილებას „საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების შტატების შესახებ“. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „რედაქციების უზომოდ გაბერილი შტატები და ადგილებზე საკუთარ კორესპონდენტთა ქსელის უქონლობა იწვევს ადგილობრივ ორგანიზაციებთან გაზეთების კავშირის შესუსტებას, მათ მოწყვეტას პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივისაგან, მუშა და სოფლის კორესპონდენტებისაგან. გა-

ზეთების გვერდები ივსება უმთავრესად შტატის თანამშრომელთა მასალებით, ხოლო რედაქციის გარეშე აქტივის, განსაკუთრებით მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კორესპონდენციები იშვიათად ქვეყნდება"[37].

ასეთი არასწორი პრაქტიკა ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციებს და ცენტრალურმა კომიტეტმა იგი დაგმო, გადაწყვიტა შეემცირებინა გაზეთების შტატები, რათა ძირფესვიანად გარდაექმნა სარედაქციო აპარატის მუშაობა იმგვარად, რომ ყურადღების ცენტრი გადატანილიყო გაზეთში ფართო რედაქციის გარეშე აქტივის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ახალი კადრების აღზრდაზე. ამავე დროს გაძლიერდა საკუთარ კორესპონდენტთა ქსელი ადგილებზე.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელოვან რაზმს წარმოადგენს რაიონული პრესა. 1940 წელს ქვეყანაში 3500-ზე მეტი რაიონული გაზეთი გამოდიოდა, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 10 მილიონ ეგზემპლარზე მეტს შეადგენდა. რაიონული გაზეთების ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა რაიონების მრავალფეროვანი ცხოვრება, ხდებოდა სტახანოველთა გამოცდილების განზოგადება. ამასთანავე, ისინი აკრიტიკებდნენ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. რაიონული გაზეთების რედაქციები დაკავშირებული იყვნენ მრავალმილიონიან აქტივთან, მუშკორებსა და სოფლკორებთან. საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 13 ივლისს მიიღო დადგენილება „რაიონული გაზეთების შესახებ". მასში გაანალიზებულია რაიონული პრესის გამოცდილება და ხაზგასმულია, რომ იგი დიდ ძალად გაიზარდა და მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი იარაღი გახდა. ცენტრალურმა კომიტეტმა, ამასთანავე, აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც თავიანთ მუშაობაში ბევრ რაიონულ გაზეთს გააჩნდა. კერძოდ, ისინი სუსტად ეყრდნობოდნენ პარტიულ და უპარტიო აქტივს და ამიტომ ზერელედ აშუქებდნენ სოციალისტური მშენებლობის ადგილობრივ პრაქტიკას. დადგენილებაში მითითებულია, აგრეთვე, პარტიული კომიტეტების მხრივ რაიონული გაზეთებისადმი ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი. პარტიის ბევრი რაიკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავის ბეჭდვით ორგანოს, არ იყენებს მას როგორც რაიონის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის მძლავრ ბერკეტს.

---

37 პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 652—653.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონული პრესის ძირითად ამოცანად დასახა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა მიმდინარე პოლიტიკის და პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა ყოველდღიური პროპაგანდის საფუძველზე, პროპაგანდისა, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ, ახლობელ და გასაგებ ფაქტებს ადგილობრივი პრაქტიკიდან, საკუთარი რაიონის, კოლმეურნეობების, საწარმოების ცხოვრებიდან. გაზეთების რედაქციებს წინადადება მიეცათ, გაეძლიერებინათ მასობრივი მუშაობა რედაქციის გარეშე აქტივის აღზრდისა და სწავლების მიმართულებით, ყურადღება ჰქონდა დათმობილი, აგრეთვე, გაზეთის კულტურის ამაღლების, მისი ენისა და ტექნიკური გაფორმების გაუმჯობესების საკითხებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება ყოველგვარ პირობებს ქმნიდა რაიონული პრესის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა 1937—1941 წლებშიც დიდ ყურადღებას აქცევდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარებასა და განმტკიცებას. განაგრძობდა სოციალისტური შეჯიბრების საკითხების ფართოდ გაშუქებას, რაზმავდა მშრომელთა მასებს სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების გადაჭრისათვის. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდის შედეგად მეორე ხუთწლედი ვადამდე, 1937 წლის პირველი აპრილისათვის შესრულდა. იმავე წლის 29 აპრილს პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, რის შედეგადაც შედგა ახალი ხუთწლედის პროექტი. იგი დაიბეჭდა გაზეთებში და მთელს ქვეყანაში გაჩაღდა ამ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ახალ ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით თავიანთი წინადადებებით გამოდიოდნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, კოლმეურნეები, მეცნიერები. ასეთი მასალები „პრავდასა“ და სხვა გაზეთებში იბეჭდებოდა რუბრიკით „განვიხილავთ მესამე ხუთწლიანი გეგმის საკითხებს“. პარტიის XVIII ყრილობის წინ „პრავდაში“ ქვეყნდებოდა „სადისკუსიო ფურცლები“, რომლებშიც მშრომელები ყოველმხრივ განიხილავდნენ ახალი ხუთწლედის პრობლემებს. სულ გაზეთში 16 ასეთი ფურცელი დაიბეჭდა.

1939 წლის მარტში შემდგარმა პარტიის XVIII ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა. პარტიულმა და საბჭოთა ბეჭდვითმა სიტყვამ ენერგიული საქმიანობა გაშალა ყრილობის გადაწყვეტილებების, მესამე ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდისა და ფართო ახსნა-განმარტებისათვის, პრესაში დიდი ადგილი ეთმობოდა მასალებს მიტინგების,

პარტიული აქტივებისა და პირველადი ორგანიზაციების კრებების შესახებ, რომლებზედაც განიხილავდნენ პარტიის XVIII ყრილობის შედეგებს. ჟურნალ-გაზეთები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ხალხთა მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის მძლავრ ზრდას, სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას მესამე ხუთწლედის დასახული ამოცანების შესრულებისათვის. დადებითი გამოცდილების ჩვენებასთან ერთად, პრესა ააშკარავებდა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსაც, შეუნელებლად იბრძოდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1939 წელს მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც მოწინავე გამოცდილების ნამდვილი სკოლა, სოფლის მშრომელთა სახალხო აკადემია გახდა. საბჭოთა პრესა ყოველმხრივ აშუქებდა გამოფენას, ბეჭდავდა მასალებს მის მონაწილეებზე, მოუწოდებდა უფრო ფართოდ გაეშალათ სოფლად სოციალისტური შეჯიბრება, ფართოდ დაენერგათ პრაქტიკაში მოწინავე გამოცდილება. როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი გაზეთებიც პროპაგანდას უწევდნენ გამოფენას, აშუქებდნენ კოლმეურნე გლეხობის შეჯიბრებას მასში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის მრავალი ადგილობრივი გაზეთი წარდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც საუკეთესო საოლქო, რაიონული, საბჭოთა მეურნეობებისა და კედლის გაზეთების წარმატებათა დემონსტრაციისათვის შექმნილი იყო სპეციალური ბეჭდვითი სიტყვის პავილიონი.

ამ პერიოდში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდნენ კვალიფიციური კადრების მომზადებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1940 წლის ოქტომბერში მიღებულ გადაწყვეტილებას სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ქსელის შექმნის შესახებ. საბჭოთა პრესა აქტიურად ჩაება აღნიშნული სასწავლებლების ჩამოყალიბებისათვის გაშლილ მუშაობაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა კომკავშირული პრესა. ლენინურმა კომკავშირმა შეფობა აიღო შრომითი რეზერვებისადმი. „კომსომოლსკაია პრავდა“ და ადგილობრივი ახალგაზრდული გაზეთები ბევრს წერდნენ კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებაზე სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისადმი, მათ ზრუნვაზე აღნიშნული სასწავლებლების საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომ განვითარებაში მნიშვნე-

ლოვანი წვლილი შეიტანა 1941 წლის თებერვალში გამართულმა სრულიად საკავშირო XVIII პარტიულმა კონფერენციამ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება „პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში". პარტიულმა კონფერენციამ სერიოზული ნაკლოვანებები აღნიშნა სამრეწველო საწარმოებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. XVIII პარტიულმა კონფერენციამ წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელებს შეუნელებლად ეზრუნათ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხდვით, რიტმული მუშაობის მიღწევისათვის, ტექნოლოგიურ პროცესებში მკაცრი დისციპლინის დაცვისათვის, მაღალხარისხოვანი და კომპლექსური პროდუქციის გამოშვებისათვის, რომელიც მთლიანად პასუხობდა დადგენილ სტანდარტებს. პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა, აგრეთვე, თავდაცვითი მრეწველობის განვითარებას. XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის შემდგომ აღმავლობას. პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა ფართოდ აშუქებდა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობას, განაზოგადებდა სოციალისტური შეჯიბრების გამოცდილებას. ამასთანავე, გაზეთების ფურცლებზე უფრო ღრმად აისახებოდა საწარმოთა ცხოვრება, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, კომუნისტების ავანგარდული როლი.

პარტია და მთავრობა ამ პერიოდში კვლავაც ახორციელებდა ქმედით ხელმძღვანელობას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისადმი და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისადმი. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 7 აპრილის დადგენილების — „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში ცვლილებების შესახებ" — შედეგად იქმნებოდა დიდი შესაძლებლობები კოლმეურნეობებში საზოგადობრივი მეურნეობებისა ზრდისათვის. ამ დადგენილების ახსნა-განმარტებას, მისი განუხრელი შესრულებისათვის ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საბჭოთა პრესის საქმიანობაში.

ამრიგად, პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა პარტიის მითითებათა შესაბამისად ფართოდ ასახავდა საბჭოთა ხალხის შრომითს აღმავლობას, მის მრავალფეროვან ცხოვრებას, თანმიმდევრულად და აქტიურად იბრძოდა მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სიძლიერის განმტკიცებისათვის.

მთელმა საბჭოთა ხალხმა 1937 წელს ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავი. სსრ კავშირში ყველგან იგრძნობოდა იდეოლოგიური მუშაობის დიდი აღ-

მავლობა. დიდი ოქტომბრის გმირების სახელოვან ტრადიციებზე ჩვენი პროპაგანდა, მათ შორის ბეჭდვითი სიტყვა, საბჭოთა ადამიანებს ზრდიდა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების, კომუნიზმის საქმისადმი თავდადების სულისკვეთებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მასალას, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებში მთელი 1937 წლის განმავლობაში იბეჭდებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავთან დაკავშირებით, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

1937 წლის მეორე ნახევარში პარტიული და საბჭოთა პრესა ფართოდ აშუქებდა სხვა უმნიშვნელოვანეს მასობრივ-პოლიტიკურ კამპანიასაც — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასა და თვით ამ არჩევნების ჩატარებას. ჟურნალ-გაზეთები მკითხველებს განუმარტავდნენ საარჩევნო კანონს, ბეჭდავდნენ კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატების ბიოგრაფიებს, ათავსებდნენ ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებების ანგარიშებს. ახდენდნენ გავლენას მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებაზე. გაზეთები ფართოდ იუწყებოდნენ, რომ არჩევნების დღე, 12 დეკემბერი, ჩატარდა როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, რომლის ბრწყინვალე შედეგები მოწმობდნენ, რომ ხალხი კომუნისტურ პარტიაში ხედავდა მისი ინტერესების ერთგულ დამცველს და ამიტომაც ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

მასების მზარდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში საჭირო იყო თვით ბეჭდვითი სიტყვის საქმიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ცალკეული რედაქციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. სწორედ ამ კუთხით უნდა განვიხილოთ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის 25 მარტის დადგენილება «გაზეთების „პრავდა სევერას“ და „მოსკოვსკაია კომუნას“ ავტორთა კადრების შესახებ». შემოწმებამ უჩვენა, რომ აღნიშნულ გაზეთებს სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნდათ მუშაობაში, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ გაზეთებში თანამშრომლობისათვის თითქმის არ იზიდავდნენ გარეშე აქტივს პარტიული და საბჭოთა მუშაკებისაგან, სპეციალისტებისა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველებისა, მასწავლებლებისა და მკითხველთა სხვა ჯგუფებისაგან. გაზეთების ფურცლებზე უმთავრესად შტატის მუშაკების მასალები იბეჭდებოდა, ცუდად მუშაობდნენ ავტორთა აქტივთან. ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო ეს არასწორი პრაქტიკა და გაზეთების რედაქციებს დაავალა ძირფესვიანად გარდაექმნათ მუშაობა, რათა უფრო ფართოდ მიეზიდათ აქტივი, მკითხველთა მასები, და ეს უაღრესად საპასუხისმგებლო პოლიტიკურ ამოცანად დაუსახა.

ამ ისტორიულ პერიოდში, ისევე როგორც წინათ, საბჭოთა პრესის ყურადღება არ შენელებულა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი. გაზეთებში სისტემატურად თავსდებოდა „ლიტერატურული გვერდები“, იბეჭდებოდა სტატიები, რეცენზიები მხატვრულ ნაწარმოებებზე. მაგალითად, პრესამ ფართოდ აღნიშნა ა. ს. პუშკინის გარდაცვალების 100 წლისთავი. პუშკინის დღეები ხელს უწყობდნენ რუსული კლასიკური ლიტერატურის ღრმად შესწავლას. ამასთანავე, პრესა დიდ დახმარებას უწევდა ჟკითხველს კულტურის საკითხების შესწავლაში, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლების ცხოვრებისა და საქმიანობის გაცნობაში. ამ პერიოდის პრესის ფურცლებზე ხშირად ვსვდებით სტატიებს ლებედევზე, ლობაჩევსკიზე, დიდროზე, რადიშჩევზე, გერცენზე, გოეთეზე, სტენდალზე, ბეთჰოვენზე, სეჩენოვზე და სხვა გამოჩენილ ადამიანებზე. საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ არ იყო დაზღვეული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან. ამიტომ პრესის ერთ-ერთი საპატიო ამოცანა იყო მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლა.

ცნობილია, რომ პროპაგანდისა და კომუნისტური აღზრდის სერიოზული იარაღია სხვადასხვა სახის ლიტერატურის რეცენზირება. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წელს მიიღო დადგენილება „ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია ჟურნალ-გაზეთების სერიოზული ნაკლოვანებანი ამ სფეროში და დასახა ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის. პარტიის მითითებების შესაბამისად რედაქციებმა სათანადოდ გარდაქმნეს მუშაობა, ხშირად აქვეყნებდნენ ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებსა და რეცენზიებს, ფართოდ იყენებდნენ ლიტერატურის ბიბლიოგრაფირებასა და მიმოხილვებს. პრესაში თავსდებოდა სტატიები მხატვრული ლიტერატურის, თეატრისა და კინოს საკითხებზე. სტატიებსა და რეცენზიებში მოცემული იყო მხატვრული ნაწარმოებების დაწვრილებითი კრიტიკული ანალიზი, კრიტიკა და ბიბლოგრაფიასულ უფრო მეტად ემსახურებოდა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისადმი სწორი ხელმძღვანელობის ამოცანები პრაქტიკული მუშაკებისაგან მოითხოვდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლების ღრმა ცოდნას. კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას, კადრების შეიარაღებას სასოგადოებრივი ცხოვრების კანონების ცოდნით. ამ მხრივ გარკვეული მნიშ-

ვნელობა ენიჭებოდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 14 ნოემბრის დადგენილებას „საკავშირო კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“, რომელშიც მოცემული იყო პარტიის პროპაგანდისტული მუშაობის კონკრეტული პროგრამა. დადგენილებაში, ამასთანავე, განსაზღვრულია მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში ბეჭდვითი სიტყვის როლი და მნიშვნელობა. ჩვენი პრესა, რომელიც განუხრელად ასრულებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, დიდ დახმარებას უწევდა კადრებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებაში, რისთვისაც იგი მუშაობის მრავალფეროვან მეთოდებსა და ხერხებს იყენებდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა გაზეთების მასალების თემატიკასა და შინაარსს. იგი რედაქციებისაგან მოითხოვდა საქმიან მიდგომას სოციალისტური მშენებლობის ყველა საკითხის გაშუქებისადმი.

პრესის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა იყო პარტიული ცხოვრების სათანადო ასახვა, პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარების გაწევა მათ მრავალფეროვან ყოველდღიურ მუშაობაში. 1933 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ამ საკითხთან დაკავშირებით — „გაზეთებში პარტიული ცხოვრების საკითხების გაშუქების შესახებ“. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ გაზეთებში „ზვეზდა“, „სოვეტსკაია ბელორუსია“ და „ურალსკი რაბოჩი“ უსისტემოდ და ზერელედ შუქდება პარტიული ცხოვრების საკითხები. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის აუცილებლობაზე, დაავალა ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს შემოეღოთ ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთში მუდმივი განყოფილება — „პარტიული ცხოვრება“, უზრუნველეყოთ საოლქო, რაიონული და ძირეული პარტიული აქტივის სისტემატური მონაწილეობა გაზეთებში პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების საკითხებზე გამოქვეყნებული შენიშვნებისა და სტატიების ავტორთა სახით. ცენტრალური კომიტეტის მითითებების შესაბამისად პრესამ მნიშვნელოვნად გარდაქმნა თავისი მუშაობა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის უფრო ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის თვალსაზრისით, უფრო მოფიქრებულად და მიზანსწრაფულად აშუქებდა პარტიული ცხოვრების ყველა საკითხს. ამასთანავე, როდესაც ამ პერიოდის ჟურნალისტიკას ვსწავლობთ, უნდა აღინიშნოს მისი ცალკეული ნაკლოვანებები, რაც დაკავშირებული იყო პიროვნების კულტთან, კერძოდ, დაუსაბუთებელ რეპრესიებთან, რომლებიც მრავალ-

მა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა, კომუნისტმა და უპარტიომ განიცადა.

ეს იყო პერიოდი, როდესაც საერთაშორისო იმპერიალიზმი მიისწრაფოდა გაეჩაღებინა სისხლისმღვრელი მსოფლიო ომი, საერთაშორისო ვითარება სულ უფრო დაძაბული და საშიში ხდებოდა. ამ პირობებში ბრძოლა მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენდა. პარტიულმა და საბჭოთა ბეჭდვითმა სიტყვამ გააჩაღა ბრძოლა ფაშისტ აგრესორთა — ომის გამჩაღებელთა და მათ მფარველთა — ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, შეერთებული შტატების მმართველი წრეების სახით, გამოსაშკარავებლად.

იაპონიის მილიტარიზმმა სცადა მოესინჯა ჩვენი სამშობლოს დაცვის სიმტკიცე და საიმედობა. ხასანის ტბის რაიონში მან სამხედრო კონფლიქტის პროვოცირება მოახდინა, ხოლო მოგვიანებით თავს დაესხა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, მდინარე ხალხინ-გოლთან გადალახა საზღვარი. ომის პროვოკატორებმა გამანადგურებელი დარტყმა მიიღეს. იაპონელ დამპყრობლებთან ბრძოლებში საბჭოთა მეომრებმა მამაცობა და თავდადება გვიჩვენეს, საბჭოთა პრესის ფურცლებზე ფართოდ აისახა წითელარმიელებისა და მეთაურების გმირობა და შემართება, რაც ხელს უწყობდა ახალგაზრდობის, ყველა მშრომელის პატრიოტულ აღზრდას.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა, რომლებიც ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი აზრი, დაიწყეს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ აგრესიული სახელმწიფოების წინააღმდეგ, მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების მიზეზით ეს მოლაპარაკება ჩაიშალა. საბჭოთა მთავრობა კარგად ხედავდა დასავლეთის სახელმწიფოების ვერაგ თამაშს და მიიღო საჭირო გამაფრთხილებელი ზომები. 1939 წლის 24 აგვისტოს ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, რითაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. საბჭოთა კავშირი, რომელიც თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ერთგული იყო, იცავდა მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში. პარტიული და საბჭოთა პრესა მკითხველს დამაჯერებლად განუმარტავდა სოციალისტური სახელმწიფოს ამ მტკიცე პოზიციას.

ფართოდ აისახა საბჭოთა პრესაში ის აღფრთოვანება და სიხარული, რითაც დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობა ხვდებოდა თავის განმათავისუფლებლებს — წითელ-

არმიის მეომრებს. ასევე დიდი ადგილი დაეთმო პრესის ფურცლებზე ისეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, როგორიც იყო 1940 წელს სსრ კავშირის შემადგენლობაში ბალტიისპირეთის ქვეყნების მიღება.

აღნიშნულ წლებში მშრომელები გმირულ ბრძოლას აწარმოებდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. კერძოდ, მამაცი ჩინელი ხალხი თავის მიწას იცავდა იაპონელ დამპყრობთა ხელყოფისაგან. ამ ბრძოლის ავანგარდში იყო ჩინეთის კომუნისტური პარტია. გაზეთებში მრავალი მასალა ქვეყნდებოდა ჩინეთ-იაპონიის ომის შესახებ. მკითხველთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგალითად, „პრავდის“ 1938 წლის 15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ „ჩინეთის განსაკუთრებული რაიონი“, რომელშიც მოთხრობილი იყო ჩინელ კომუნისტთა წარმატებებზე ხალხთა მასების დარაზმვაში. მაში მითითებული იყო, რომ განსაკუთრებული რაიონი სამართლიანად ითვლებოდა იაპონელ დამპყრობთაგან ჩინეთის გმირული დაცვის საიმედო ციხე-სიმაგრედ.

კომუნისტური პარტიები კაპიტალისტურ ქვეყნებში სასტიკი დევნისა და რეპრესიების პირობებში მოქმედებდნენ. საბჭოთა პრესა აშუქებდა სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტების ბრძოლას ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ. ამ მხრივ დამახასიათებელია „პრავდის“ 1940 წლის 30 იანვრის პუბლიკაცია, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გაზეთს „იუმანიტეს“. ეს გაზეთი 1939 წლის აგვისტოში აკრძალეს, მაგრამ კომუნისტები განაგრძობდნენ მის გამოცემას არალეგალურად.

დასავლეთის იმპერიალისტებმა ფინელ თეთრგვარდიელებს უბიძგეს დანაშაულებრივი ანტიეროვნული ომ. 1939 წლის ნოემბერში თეთრფინელთა ჯარებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედება წითელი არმიის წინააღმდეგ. საბჭოთა პრესა ააშკარავებდა თავზეხელაღებულ პოლიტიკანებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მათ. გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ კორესპონდენციებში, ნარკვევებში მოთხრობილი იყო საბჭოთა მეომრების სახელოვან საქმეებზე, რომლებიც თეთრფინელებს ანადგურებდნენ. თუ რა დიდი იყო პრესის როლი ამ დროს, ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ წითელი არმიის ნაწილების პოლიტიკურ აღზრდაში და ფინელ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში ფრონტზე დისციპლინის განმტკიცებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის ფრონტული გაზეთი „ნა სტრაჟე როდინი“ დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. მთავრობის ჯილდოები მრავალმა ჟურნალისტმაც დაიმსახურა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო თემატიკა სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე. საბჭოთა ადამიანების გმირული, მშვი-

დობიანი შრომის ჩვენებასთან ერთად პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა ამზადებდა ხალხს აქტიური თავდაცვისათვის, ამხილებდა იმპერიალისტთა მზაკვრულ გეგმებს, დაუღალავად ეწეოდა მუშაობას საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, რათა ყოველ წუთს მზად ყოფილიყვნენ მშობლიური მიწის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მონაპოვართა დასაცავად.

ლიტერატურა

გაზეთებში პარტიული ცხოვრების საკითხების გაშუქების შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 15 მარტის დადგენილება. — პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 608—609.

იაროსლავლის საოლქო გაზეთის „სევერნი რაბოჩის“ საკუთარ კორესპონდენტთა მუშაობის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წ. 2 ივნისის დადგენილება. — იქვე, გვ. 610—612.

რაიონული გაზეთების შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 13 ივლისის დადგენილება. — იქვე, გვ. 648—650.

საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების შტატების შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 25 ივლისის დადგენილებიდან. — იქვე, გვ. 652—654.

ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 2 დეკემბრის დადგენილება. — იქვე, გვ. 659—662.

Партийная и советская печать в борьбе за построение социализма и коммунизма. М., 1966.

В. Д. Польт. Предвоенная советская печать (1937—1941 гг.). М., 1974.

თემა მეთექვსმეტე

პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.).

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანია ავანტიურად თავს დაესხა სსრ კავშირს. საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა შეწყდა. საბჭოთა ხალხი თავისი უბოროტესი მტრების — გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დაიწყო ახალი პერიოდი — დიდი სამამულო ომის პერიოდი. ლენინურმა პარტიამ, რომელიც

საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი ძალა იყო, საბჭოთა ადამიანების მილიონობით მასები ფეხზე დააყენა და დარაზმა ვერაგი მტრის წინააღმდეგ, ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

ომის პირველსავე დღეებში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა პროგრამა ხალხის ყველა ძალის დასარაზმავად მტრებთან საბრძოლველად. იგი გადმოცემული იყო სსრ კავშირის საბჭოს-საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 29 იენისის დირექტივაში ფრონტისპირა ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მოუწოდებდა მშრომელებს გარდაექმნათ მთელი თავიანთი მუშაობა სამხედრო უაიდაზე. ყველაფერი დაემორჩილებინათ ფრონტის ინტერესების, მტერზე გამარჯვების ინტერესებისათვის.

სხვა ღონისძიებათა შორის მთავარი იყო სახალხო მეურნეობის სამხედრო რელსებზე გადაყვანა, პარტიამ დასახა და განახორციელა პრაქტიკული ღონისძიებები მოსახლეობაში იდეოლოგიური მუშაობის გაოდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის. ამაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ბეჭდვით სიტყვას. გაზეთები მშრომელებს განუმარტავდნენ ომის მიზნებს, უჩვენებდნენ მის სამართლიან ხასიათს საბჭოთა ხალხისათვის, ააშკარავებდნენ ჰიტლერული გერმანიის დაპყრობლურ გეგმებს, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ხალხების დამონებისა და მოსპობისაკენ. ლენინის დროშის ქვეშ დარაზმული, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი აღსდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. პრესა ზრდიდა საბჭოთა მეომრებში ისეთ ძვირფას თვისებებს, როგორიცაა მამაცობა. უშიშრობა, ჩვენი საქმის სამართლიანობის, გამარჯვების რწმენა. დიდ სამამულო ომში საბჭოთა ადამიანების დარაზმვა და ორგანიზაცია პრესის უმთავრესი ამოცანა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მძიმე პერიოდში.

ცხადია. ბეჭდვითი სიტყვის წინაშე დაყენებულმა ამ ახალმა ამოცანებმა ომის დასაწყისში მოითხოვა გაზეთების ორგანიზაციული გარდაქმნა, ფრონტზე მასობრივი პრესის ფართოდ განვითარება, მისი შევსება ჟურნალისტთა კადრებით, აგრეთვე პრესისა და ინფორმაციის ახალი ორგანოების შექმნა. სამხედრო გაზეთების ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა სამოქალაქო ბეჭდვითი სიტყვის ერთგვარი შემცირება. შეწყდა ზოგიერთი ცენტრალური დარგობრივი გაზეთების გამოცემა („ჩერნაია მეტალურგია“, „მაშინოსტროენიე“, „ლესნაია პრომიშლენნოსტ“, „ლეგკაია ინდუსტრია“, „ტექსტილნაია პრომიშლენნოსტ“, „ჟივოტნოვოდსტვო“, „სოვხოზნაია გაზეტა“ და სხვ.). სამოქალაქო გაზეთების რიცხვის

შემცირება მონათესავე გაზეთების გაერთიანებითაც განხორციელდა. იმგვარად, რომ ერთი გაზეთის ფუნქცია მეორესთვის გადაეცემულიყო. მაგალითად, „ლიტერატურული ... ია გაზეტა“ გაერთიანდა „სოვეტსკოე ისკუსტვოსთან“, ხოლო „სოვეხოზნაია გაზეტასა“ და გაზეთ „ეკონომიკოდსტვოს“ დახურვის შემდეგ საბჭოთა მეურნეობების განვითარებისა და მეცხოველეობის პრობლემების გაშუქება „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს“ დაეკისრა. ყველა მოძმე რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიც, განხორციელდა პრესის გარდაქმნა. კერძოდ, დაიხურა გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ნორჩი ლენინელი“, „სახალხო განათლება“ და სხვ. გარდა ამისა, შემცირდა ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების ტირაჟები. რესპუბლიკურმა, სამხარეო და საოლქო გაზეთებმა დაიწყეს კვირაში ხუთჯერ გამოსვლა ორ გვერდზე, ხოლო რაიონული გაზეთები გადაყვანილი იქნენ ყოველკვირეულ გამოშვებაზე.

ომის დაწყებასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კარგად დაყენებულ, მართალ ინფორმაციას საომარი მოქმედების მიმდინარეობის თაობაზე, ქვეყნის შიგნით და ჩვენი სამშობლოს გარეთ მომხდარი მოვლენების შესახებ. სწორედ ამ დღეებში შეიქმნა ინფორმაციის კომპეტენტური და ავტორიტეტული ორგანო — საბჭოთა საინფორმაციო ბიურო. პირველი მისი ცნობა გამოქვეყნდა 1941 წლის 25 ივნისს. შემდგომში სამხედრო მოქმედების შესახებ მასალები ყოველდღიურად იბეჭდებოდა. საბჭოთა საინფორმაციო ბიურო გადმოსცემდა სამხედრო ოპერატიული ცნობების, საბჭოთა არმიის მნიშვნელოვანი ოპერაციების მოკლე შინაარსს, ინფორმაციებს ჩვენი ჯარების ტროფეების შესახებ და სხვ. ამ ცნობებში მოტანილი იყო მტრის წინააღმდეგ საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და პარტიზანების ნაწილების ბრძოლის ღირსშესანიშნაი ეპიზოდები. იგი იტყობინებოდა, აგრეთვე, საბჭოთა ადამიანების შრომითს გმირობაზე ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ააშკარავებდა ფაშისტური პროპაგანდის სიცრუესა და დემაგოგიას. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მასალები ქვეყნდებოდა საზღვარგარეთულ პრესაში, ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა ხალხებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლას, საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას ზურგში. ომის წლებში საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 2,5 ათასი ცნობა გამოქვეყნდა. ამ ორგანიზაციის საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მასალები საბჭოთა ადამიანებს ეხმარებოდნენ არა მარტო გაეგოთ საბრძოლო მოქმედების მიმდინარეობის უკანასკნელი ახალი ამბები, არამედ, აგრეთვე, სათანადოდ გაეაზრე-

ბინათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ასევე სწრაფად გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე თავისი მუშაობა საბჭოთა რადიომაუწყებლობამ. რეგულარულად ეწყობოდა გადაცემები მოქმედი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისა და მეთაურებისათვის. მოსკოვის რადიოსადგურები გადასცემდნენ გამოშვებას „ისმინე, ფრონტო!" მიკროფონთან გამოდიოდნენ პარტიული, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწენი, მეცნიერები, მსახიობები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცნობილი ადამიანები. ისინი ლაპარაკობდნენ საბჭოთა ადამიანების დიდ სიყვარულზე სამშობლოს მამაც დამცველებისადმი, მოუთხრობდნენ მშრომელთა წარმატებებზე ზურგში. ყოველდღიურად გადაიცემოდა რადიოთი ფრონტული რეპორტაჟები. ომის პირველი დღეებიდანვე წარმოიშვა კავშირგაბმულობის ახალი სახე — მიმოწერა რადიოთი. სრულიად საკავშირო რადიოკომიტეტში შემოდიოდა უამრავი წერილი, რომლებშიც ფრონტელები და ზურგის მშრომელები სთხოვდნენ რადიოთი გამოეცხადებინათ, რომ ისინი ცოცხლები და ჯანმრთელად არიან და იტყობინებოდნენ თავიანთ მისამართებს. 1944 წლის 1 სექტემბრიდან მოსკოვის რადიომ 2 მილიონზე მეტი ასეთი წერილი მიიღო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რადიოთი მიმოწერა დაეხმარა 20 ათასი ოჯახის წევრებს ერთმანეთი მოეძებნათ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა სამხედრო კორესპონდენტების საქმიანობას. 1942 წელს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველომ და წითელი არმიის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ დაამტკიცეს დებულება „სამხედრო კორესპონდენტების მუშაობის შესახებ ფრონტზე". იმის უფლება, რომ იყოლიონ ფრონტზე მუდმივი კორესპონდენტები, მიეცათ: საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს, საკავშირო რადიოკომიტეტს, გაზეთების — „პრავდის", „იზვესტიის", „კრასნაია ზვეზდის", „კრასნი ფლოტის", „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქციებს, აგრეთვე იმ რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებს, რომელთა ტერიტორიებზეც საომარი მოქმედება წარმოებდა.

ცენტრალური გაზეთების რედაქციებმა, სრულიად საკავშირო რადიოკომიტეტმა და საკდესმა ფრონტზე გასაგზავნად შეარჩიეს თავიანთი ყველაზე უფრო საუკეთესო თანამშრომლები, რომლებსაც დიდი ჟურნალისტური გამოცდილება გააჩნდათ. მარტო „პრავდამ" ფრონტზე 40-მდე თავისი თანამშრომელი გაგზავნა. სხვა ცენტრალურმა გაზეთებმაც „იზვესტიამ", „კრასნაია ზვეზდამ", „კომსომოლსკაია პრავდამ" კორესპონდენტთა დიდი ჯგუფები გამოჰყვეს საო-

მარი მოქმედების გასაშუქებლად. ამასთანავე, სამხედრო კორესპონდენტების რიგები ივსებოდა სამოქალაქო პრესაში მომუშავე მწერლებისა და ჟურნალისტებისაგან. საკმარისია ითქვას, რომ სსრკ მწერალთა კავშირის წევრთა თითქმის ერთი მეოთხედი ფრონტზე წავიდა. ბევრი მწერალი და ჟურნალისტი თანამშრომლობდა ცენტრალურ და ფრონტულ გაზეთებში. ასეთივე ვითარება იყო საქართველოშიც. ქართველი მწერლებისა და ჟურნალისტების დიდი ნაწილი ფრონტების, არმიებისა და დივიზიების გაზეთებში დაიწყეს მუშაობა.

უკვე ომის პირველ დღეებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა სამხედრო ბეჭდვითმა სიტყვამ. ამ პერიოდში იქმნება დივიზიების, ბრიგადების, კორპუსების, არმიებისა და ფრონტების გაზეთები. უკვე 1942 წლისათვის გამოდიოდა ფრონტების 13, კორპუსებისა და არმიების 93 და დივიზიების რამდენიმე ასეული გაზეთი, რომელთა საერთო ტირაჟი 3 მილიონ ეგზემპლარს შეადგენდა. 1943 წლისათვის სამხედრო პრესის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ფრონტებზე ამ დროს უშვებდნენ 128 ყოველდღიურ გაზეთსა და 600 გაზეთს, რომლებიც კვირაში 3-ჯერ გამოდიოდნენ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფრონტული გაზეთები არა მარტო რუსულ, არამედ სსრ კავშირის სხვა ხალხების ენებზედაც გამოიცემოდა. ზოგჯერ ერთ ფრონტზე ექვსამდე გაზეთი იბეჭდებოდა. ეროვნულ ენებზე გამოდიოდა, აგრეთვე, დივიზიათა მრავალი გაზეთი. სულ არარუსი მეომრებისათვის სსრ კავშირის ხალხთა ენებზე უშვებდნენ 64 გაზეთს, მათ შორის ქართულ ენაზე 15-ს. ეროვნულ ენებზე გამომავალი სამხედრო გაზეთები წარმოადგენდნენ საბჭოთა არმიის მებრძოლთა მეგობრობის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რომლებიც ერთსულოვნად აღდგნენ მრავალეროვნული სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. საერთოდ კი მასობრივი სამხედრო პრესის საშუალებით პარტია რაზმავდა და აწრთობდა მეომრებს, უნერგავდა მათ პატრიოტიზმის გრძნობას, ასწავლიდა მტრის განადგურებას, ზრდიდა მათ უშიშრობისა და რკინისებური სამხედრო დისციპლინის სულისკვეთებით.

ფრონტებზე მასობრივ წითელარმიული გაზეთების გამოცემასთან ერთად პარტიის ცენტრალური კომიტეტი ზრუნავდა ცენტრალური სამხედრო პრესის გაფართოებისა და კადრებით განმტკიცებისათვის. მაგალითად, გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" რედაქცია შეივსო გამოჩენილი საბჭოთა მწერლებით. ომის პერიოდში ამ გაზეთში მუშაობდნენ პ. პაელენკო, ა. სურკოვი, ვ. გროსმანი, კ. სიმონოვი, ხშირად თანამშრომლობდნენ, აგრეთვე, ნ. ტიხონოვი, ა. ტოლსტოი, ვ. ვიშნევსკი, ი. ერენბურგი და სხვა მწერლები და ჟურნალისტები. გაზეთი აიარაღებდა მეომრებს საბრძოლო გამოცდილებით. ხელს

უწყობდა მათ პოლიტიკურ და იდეურ აღზრდას. 1941 წლის აგვისტოში შეიქმნა გაზეთი საბჭოთა არმიის სამხედრო-საჰაერო ფლოტისათვის, ხოლო 1942 წლის ოქტომბერში კი მეორე გაზეთი — შორი მოქმედების ავიაციისათვის. საბჭოთა მეზღვაურებისათვის იბეჭდებოდა გაზეთი „კრასნი ფლოტი", აგრეთვე, ფლოტებისა და ფლოტილიების გაზეთები, დიდ საბრძოლო ერთეულებზე გამოდიოდა გემების მრავალტირაჟიანი გაზეთები.

იატაკქვეშეთის პირობებში გამოდიოდა რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთები, აგრეთვე, პარტიზანული რაზმებისა და შენაერთების პრესა, რომელთა რაოდენობა განუწყვეტლად იზრდებოდა. თუ, მაგალითად, 1941—1942 წლებში იატაკქვეშეთში 20 გაზეთი გამოდიოდა, 1943—1944 წლებში მათმა რაოდენობამ 270-ს მიაღწია. ომის წლებში მარტო ბელორუსიაში 162 პარტიზანული გაზეთი გამოდიოდა, ხოლო ლენინგრადის ოლქში — 50. მათ შორის აღსანიშნავია ი. ფედოროვის პარტიზანული რაზმის გაზეთი „კომუნისტი", ს. კოვპაკის რაზმისა — „კრასნი პარტიზანი" და სხვ. პარტიზანულ გაზეთებთან ერთად ჟურნალებიც გამოდიოდა, რომლებიც კარგად იყო გაფორმებული და მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევდა. მათში მოთავსებული მასალების დიდ დიაპაზონზე მეტყველებენ განყოფილებები: „სამამულო ომის ფრონტებზე", „ცნობები საყვარელი სამშობლოდან", „საზღვარგარეთ" და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალები ბეჭდავდნენ, აგრეთვე, „წერილებს დიდი მიწიდან", რომლებშიც პარტიზანთა ახლობლები იწერებოდნენ თავიანთი ცხოვრების შესახებ. არალეგალური და პარტიზანული პრესა დიდ როლს ასრულებდა პარტიზანული მოძრაობის გაშლაში, საბჭოთა ადამიანების ბრძოლაში ფაშისტ დაპყრობთა წინააღმდეგ. ჟურნალ-გაზეთებისა და ფურცლების გამოცემა, მათი გავრცელება ოკუპირებული რაიონების მოსახლეობას შორის პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ხალხის ძალების მობილიზაციის უზრუნველყოფაში გერმანელ დამპყრობთა განადგურებისათვის.

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაზეთებში ფართოდ აისახა პარტიის უდიდესი მუშაობა არმიისა და ფლოტის განმტკიცებისა და საბრძოლო აღჭურვისათვის. საბჭოთა არმიის რიგებში ივსებოდა ასეულ ათასობით კომუნისტებითა და კომკავშირელებით, რომლებიც რაზმავდნენ და აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს საგმირო საქმეებისათვის. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით არმიასა და ფლოტში შეიქმნა სამხედრო კომისრების ინსტიტუტი. პრესა განმარტავდა ამ ღონისძიების მნიშვნელობას შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისათვის. გაზეთები აქვეყნებდნენ შთამბეჭდავ მასალებს საუკეთესო სამხედრო კომისრებს

შესახებ. რომლებიც დაუღალავად ზრუნავდნენ მეომართა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის, პირად მაგალითს უ. ინებდნენ მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. სამხედრო ნაწ. ებიდან და ზურგის შრომითი კოლექტივებიდან გამოგზავნილი (ალებით გაზეთები ფართოდ იტყობინებოდნენ, რომ საბჭოთა ხალხი არ შედრკა ომის პირველი თვეების წარუმატებლობის გამო, რომ იგი მკერდით დადგა სამშობლოს დასაცავად. ამ პერიოდის გაზეთებში წითელ ხაზად გატარებული იყო აზრი საბჭოთა კავშირის ხალხების მონოლითური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მათი ერთსულოვანი დარაზმვის შესახებ.

1941 წლის ოქტომბერში გაიმართა ბრძოლები მოსკოვთან, რომლის შედეგებზე მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული საბჭოთა ხალხის ბედი. მტრისადმი წინააღმდეგობა ყოველდღიურად იზრდებოდა. საბჭოთა ჯარები ფოლადის კედლად აღიმართნენ მოსკოვის მისადგომებთან. მებრძოლთა მამაცობისა და გამბედაობის აღზრდაში დიდი როლი შეასრულეს სამხედრო კორესპონდენტებმა, მათმა დამარაზმავმა მასალებმა, რომლებიც ყოველდღიურად ქვეყნდებოდა გაზეთებში. ომის დროის ვითარება ფრონტელ ჟურნალისტებს მოუწოდებდა, რათა ბეჭდვითი სიტყვა მკითხველს გულში ჩასწვდომოდა. ეამოეწვია მასში აქტიური პატრიოტული გამოძახილი, განემტკიცებინა ჩვენი დიადი საქმისადმი რწმენა. ამიტომაც იყო, რომ ფრონტული პერიოდიკისათვის დამახასიათებელი იყო ამაღელვებელი სტატიები, ნარკვევები, კორესპონდენციები, მებრძოლი რეპორტაჟები. მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლების დღეებში ყველაზე უფრო ნათელი და ღირსსახსოვარი მაგალითი იყო გენერალ-მაიორ პანფილოვის დივიზიის 28 მებრძოლის გმირობა. რომლებმაც გაანადგურეს მტრის 50 ტანკისაგან შემდგარი კოლონა. პრესამ აჩვენა, რომ სახელოვან პანფილოველებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში აღაფრთოვანებდათ სამშობლოს სიყვარული და ფაშისტი დამპყრობლების სიძულვილი.

სულ უფრო და უფრო იზრდებოდა საბჭოთა მეთაურების ტაქტიკური ოსტატობა და ოპერატიული ხელოვნება. დიდი სამამულო ომის ფრონტებიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებში, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სტატიებში აღინიშნებოდა საბჭოთა ოფიცრების მზარდი უნარი წარმატებით წარემართათ ბრძოლები მტრის წინააღმდეგ. მებრძოლებისა და მეთაურების მაღალი ოსტატობის დამადასტურებელი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საბჭოთა გვარდიის დაბადება სმოლენსკისათვის ბრძოლებში. პრესამ ამ მოვლენას მრავალი სტატია და მასალა მიუძღვნა. 1941 წლის დეკემბერში საბჭოთა ჯარები მოსკოვის მისადგომებთან კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

რის შედეგად ჰიტლერელთა არმიამ დიდი მარცხი განიცადა. საბჭოთა არმიის ნაწილების დარტყმების შედეგად ფაშისტური ურდოები პანიკით გარბოდნენ დასავლეთისაკენ. პრესა ფართოდ განმარტავდა მოსკოვთან გამარჯვების ისტორიულ მნიშვნელობას, რითაც საბჭოთა არმიამ საბოლოოდ დაასამარა „ელვისებური ომის“ გეგმა, გაიცამტვერა მითი გერმანელ ფაშისტთა არმიის უძლეველობის შესახებ

ლენინგრადის ბლოკადის მძიმე დღეებში გმირი ქალაქის დამცველებთან ერთად საბრძოლო პოსტზე იდგნენ „ლენინგრადსკაია პრავდის“ მუშაკები. გაზეთი ლენინგრადელების მუდმივი თანამგზავრი იყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის წლებში, იგი მკითხველებს მოუთხრობდა, თუ დიდი სიძნელეების მიუხედავად როგორ მუშაობდნენ და იბრძოდნენ ქალაქის მშრომელები. ლენინგრადის დამცველები თავიანთი გაზეთიდან მუდმივად იღებდნენ სულიერ მხნეობას. სწავლობდნენ გამბედაობასა და ყოველგვარი გაჭირვების გადატანას ალყაშემორტყმულ ქალაქში. ბლოკადის დღეებში „პრავდის“ ტირაჟის ნაწილი ლენინგრადშიც იბეჭდებოდა. დიდი მიწიდან მატრიცების მიწოდება დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული და, მიუხედავად ამისა, ლენინგრადის ბლოკადის წლებში მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მატრიცებმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწიეს.

„პრავდა“ და სხვა გაზეთები სისტემატურად აქვეყნებდნენ ინფორმაციებს ლენინგრადში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამაღელვებელ და შთამბეჭდავ მასალებს ბეჭდავდა ლენინგრადელთა ცხოვრების თაობაზე ცენტრალურ პრესაში ნ. ტიხონოვი. იგი მუდმივად ლენინგრადში ცხოვრობდა და ქალაქის დამცველებთან ერთად განიცდიდა ბლოკადის დღეების სიმძიმეს, პირადად მონაწილეობდა მოვლენებში. უშუალოდ უკვირდებოდა ლენინგრადელთა გმირობასა და მამაცობას და ამიტომაც იყო, რომ მისი წერილები, ნარკვევები და ჩანახატები დიდი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველებში.

250 დღე გრძელდებოდა სევასტოპოლის გმირული დაცვა, რომელსაც ფართოდ აშუქებდა ცენტრალური და ადგილობრივი პრესა, რომელიც ცხადყოფდა, რომ საბჭოთა ხალხის სიმტკიცე ურყევია და მიუხედავად მძიმე ბრძოლებისა, ჩვენი ქვეყნის მშრომელებში დღენიადაგ ნერგავდა გამარჯვების დიად რწმენას. პრესის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო, აგრეთვე, გრანდიოზული ბრძოლები ვოლგაზე, სტალინგრადის დაცვა და მტრის დიდი ძალების განადგურება. საბჭოთა პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი სამამულო ომის შემდგომი მსვლელობისათვის, მან შთააგონა საბჭოთა ხალხი და მისი ძლე-

ვამოსილი არმია ახალი წარმატებისათვის ვერაგი მტრის დასამარცხებლად.

ამრიგად, ომის პირველი დღეებიდანვე ბეჭდვითმა სიტყვამ ფართო გაქანება მიიღო. ყოველდღიურად იზრდებოდა მისი დამრეკავი როლი ხალხის ყველა ძალის წარმართვაში გერმანელ ფაშისტთა ურდოების გასანადგურებლად. ამ მხრივ ფასდაუდებელია გაზეთ „პრავდის“ წვლილი, რომლის ფურცლებზე, მებრძოლი პუბლიცისტიკის გარდა, ქვეყნდებოდა, აგრეთვე, საუკეთესო საბჭოთა მწერლების პატრიოტული მხატვრული ნაწარმოებები. მაგალითად, „პრავდაში“ 1942 წლის ზაფხულში დაიბეჭდა ცნობილი დრამატურგის ა. კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით და ფართო გამოხმაურებას პოულობდა საბჭოთა მეომრებსა და მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებს შორის. საბჭოთა ხალხის სიდიადეს, მის შეუდრეკელ სულს, გმირობასა და მამაცობას უძღვნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს სხვა მწერლებიც: „პრავდამ“ დაბეჭდა მ. შოლოხოვის „სიძულვილის მეცნიერება“. შემდგომ კი — თავები მისი რომანიდან „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“. ა. ტოლსტოიმ „პრავდისათვის“ დაწერა „ივან სუდარევის მოთხრობები“, ა. გორბატოვმა გამოაქვეყნა მოთხრობები „ალექსი კულიკოვი — მებრძოლი“ და „ქედუხრელნი“, ა. ფადეევმა დაწერა ნარკვევი „უკვდავნი“, რომლის საფუძველზეც შეიქმნა რომანი „ახალგაზრდა გვარდია“, ნ. ტიხონოვმა — პოემა „კიროვი ჩვენთანაა“, ა. ტვარდოვსკიმ — პოემა „ვასილ ტიორკინის“ ახალი თავები. არმიასა და ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ი. ერენბურგის შესანიშნავი სტატიები და პამფლეტები. „პრავდის“ ფურცლებზე პატრიოტულ ლექსებს ათავსებდნენ პოეტები: ა. სურკოვი, მ. ისაკოვსკი, კ. სიმონოვი, ლ. პერვომაისკი, მ. ბაჟანი და მრავალი სხვა. ხალხში ფართოდ ვრცელდებოდა სიმღერები, რომელთა ტექსტი ეკუთვნოდა პოეტ ვ. ლებედევ-კუმაჩს.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ბეჭდვით სიტყვაში საპატიო ადგილი ეკავა სატირას. სამოქალაქო ომის წლების „როსტას ფანჯრების“ მსგავსად შეიქმნა „საკდესის ფანჯრები“, რომელმაც მოსახლეობაში მალე მოიპოვა პოპულარობა. სატირის იარაღის საშუალებით პრესა ანადგურებდა მტერს, აბუჩად იგდებდა და დასცინოდა მის ყოყოჩობას, თავხედობასა და ქედმაღლობას. ზოგიერთ ფრონტზე სატირული ჟურნალებიც კი გამოჩნდა. მაგალითად. დასავლეთის ფრონტზე შეიქმნა ჟურნალი „ფრონტოვოი იუმორი“. რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ს. მარშაკი, ვ. სლოპოდსკი. კარელიის ფრონტზე გამოდიოდა ჟურნალი „სკვოზნიაკი“ და სხვ. მრავალი ფრონტული და მსხვილი სამხედრო შენაერთების გაზეთები სისტე-

მატურად აქვეყნებდნენ სატირულ გვერდებს, დამატებებს, შემოიღეს სატირისა და იუმორის კუთხეები. ფრონტულ ბეჭდვით სიტყვაში ბევრი ნიჭიერი კარიკატურისტი მუშაობდა. სატირის დახმარებით პრესა დაუნდობლად იბრძოდა უზრუნველობის, არაორგანიზებულობის, მოშვებულობისა და მოდუნებულობის წინააღმდეგ როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. ომის წლებში ფართოდ გავრცელდა სატირული ფურცელი-ელვები, რომლებიც დასცინოდნენ და სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ დოყლაპიებს, მოლაყბეებს, ზარმაცებს, გამცდენებს. მრავალ საწარმოში გამოდიოდა სატირული კედლის გაზეთები. სატირა ერთგულად ემსახურებოდა მტრის განადგურების საერთო საქმეს. ამრიგად, ბეჭდვით სიტყვაში მწერლების, პოეტების, სატირიკოსების მონაწილეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მისი გავლენის გაძლიერებას მასებზე.

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა ღრმად და ნათლად უჩვენებდა იმ ძირეულ ძვრებს საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, რაც ომის მსვლელობაში მოხდა. ქვეყნის სამხედრო მდგომარეობის ანალიზის თაობაზე პრესაში გამოდიოდნენ კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი და პუბლიცისტები: მ. კალინინი, ა. ჟდანოვი, ა. შჩერბაკოვი, ე. იაროსლავსკი, დ. მანუილსკი და მრავალი სხვა. ბეჭდვითი სიტყვა თავის ყურადღებას ამახვილებდა საბჭოთა ჯარების ფართო შეტევითი ოპერაციების ჩვენებაზე. შეტევის წარმატებებზე ინფორმაციების გამოქვეყნებასთან ერთად დიდი ადგილი ეთმობოდა სამხედრო გამოცდილების განზოგადებას. სტატიებსა და სამხედრო-ტაქტიკურ ნარკვევებში ხაზგასმული იყო საბჭოთა მეთაურების ოპერატიული და ტაქტიკური ოსტატობის სიმწიფე და განუხრელი ზრდა. საბჭოთა არმიის ისტორიულმა გამარჯვებებმა ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის სამხედრო მდგომარეობა. პრესა საბჭოთა მეომრებს მოუწოდებდა სწრაფად წინსვლისაკენ, გაენთავისუფლებინათ მშობლიური ქალაქები და სოფლები. საბჭოთა ადამიანები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობებს ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ყირიმის განთავისუფლების, ლენინგრადთან მტრის ჯარების მოსპობის შესახებ. სამხედრო მოქმედება გადატანილ იქნა ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე. ჰიტლერელთა ჯარები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ და მათი საბოლოო განადგურების საათი განუხრელად ახლოვდებოდა.

სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. გაზეთები წერდნენ იმ მძიმე ვითარების შესახებ, რაც დაკავშირებული იყო საწარმოების აღმოსავლეთ რაიონებში გადატანასთან, შთააგონებდნენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს თავდადებული

ბრძოლისათვის სამხედრო პროდუქციის გამოშვების ტემპების უსწრაფესი ზრდისათვის.

ომის პერიოდში მეურნეობის ორგანიზაციისა და მოწყობის მრავალრიცხოვან საკითხებს შორის პრესა მთავარ ყურადღებას მიაპყრობდა შავი მეტალურგიის შემდგომ ინტენსიურ განვითარებას, განსაკუთრებით ხარისხიანი ფოლადის წარმოებას. ჟურნალ-გაზეთებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი იმ საწარმოებს, რომლებიც იარაღს, საბრძოლო ტექნიკასა და სამხედრო აღჭურვილობას უშვებდნენ, აგრეთვე ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის საკითხებს. „პრავდასა" და სხვა გაზეთებში ხშირად გამოდიოდნენ მრეწველობის სხვადასხვა ობიექტის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, მეცნიერები, წარმოების ნოვატორები, რომლებიც უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას საწარმოო პროდუქციის გამოშვების გადიდების თაობაზე, შეჰქონდათ წინადადებები საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის. შრომაში გმირობა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ნორმა გახდა, რომლებიც გამარჯვების იარაღს სჭედდნენ. ამ ამაღელვებელ თემას უძღვნიდნენ საბჭოთა ჟურნალისტები თავის სტატიებს, კორესპონდენციებსა და ნარკვევებს.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე მწვავედ დადგა სამუშაო ძალით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის საკითხი. ქალები და მოზარდები ცვლიდნენ ომში წასულებს. წარმოებაში ახალგაზრდობის, განსაკუთრებით ქალიშვილების ჩაბმაში დიდი წვლილი შეიტანა სხვა გაზეთებთან ერთად „კომსომოლსკაია პრავდამაც". რომელიც სისტემატურად ზრუნავდა შრომითი რეზერვების სისტემაში მუშათა კლასის ახალგაზრდა შევსების მომზადებისათვის. როდესაც გაჩაღდა შეჯიბრება ფრონტის შეკვეთების სწრაფად შერულებისათვის, „კომსომოლსკაია პრავდამ" მხარი დაუჭირა ჭაბუკებისა და ქალიშვილების თაოსნობას საწარმოებში ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადებისა და უბნების შექმნის თაობაზე და მათი გამოცდილება მთელ ქვეყანაში გაავრცელა. პარტიის მოწოდების საპასუხოდ სამხედრო ყაიდაზე მომუშავე მუშებმა და კოლმეურნეებმა საწარმოო დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს. წარმოიშვა ორასოვანთა მოძრაობა, რომელმაც ფართო გამოძახილი ჰპოვა საწარმოო კოლექტივებში, ბევრგან იგი შეივსო ახალი პატრიოტული წამოწყებებით. გამოჩნდნენ ათასოვანები (ასე უწოდებდნენ მუშებს, რომლებიც ნორმებს 1000 და მეტი პროცენტით ასრულებდნენ). სამხედრო პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის გაშლილმა სრულიად საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ არნახული გაქანება მიიღო. მრეწველობასთან ერთად პარტია დიდ

ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას. ამ მხრივ დამახასიათებელია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს წერილი „რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების ამოცანების შესახებ მოსავლის აღებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასთან დაკავშირებით 1942 წელს“, რომელიც საბჭოთა პრესის მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა. ომის წლებში პრესამ დიდი მუშაობა გასწია საკოლმეურნეო გლეხობის დარაზმვისათვის მაღალი მოსავლის მისაღებად, ქვეყნისა და არმიის უზრუნველსაყოფად საკმაო რაოდენობის სურსათით, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულით. გაზეთები მოუწოდებდნენ საბჭოთა ზურგის მშრომელებს მიებაძათ ფრონტელი მებრძოლებისათვის. ომის წლებში საუკეთესო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, აგრეთვე რაიონებს, ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს, რომლებიც პირველობას აღწევდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ენიჭებოდათ საპატიო ნაწილების, ასევე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები.

როდესაც საბჭოთა არმია გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და დაიწყო მტრისაგან საბჭოთა ტერიტორიის განთავისუფლება, გაჩაღდა შეჯიბრება ფაშისტ-დამპყრობთა ოკუპაციისაგან დაზარალებული სახალხო მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისათვის. პრესა აქტიურად ჩაება მშრომელთა ახალ პატრიოტულ მოძრაობაში და იღვწოდა ფილი ფართოდ გავრცელებისათვის. დიდი მუშაობა წარმოებდა დონბასის მეტალურგიის, რკინიგზის ტრანსპორტისა და სხვა უმნიშვნელოვანესი საწარმოების აღსადგენად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნებოდა სოფლადაც. ფართო გაქანება მიიღო საშეფო მუშაობამ. ზურგში მყოფ საწარმოთა და კოლმეურნეობათა კოლექტივები აქტიურად ეხმარებოდნენ ოკუპაციით დაზარალებულ რაიონებს სამეურნეო პოტენციალის აღდგენაში. ქვეყნის სხვა რეგიონებთან ერთად ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმაც.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინაშე ომმა ახალი რთული ამოცანები დააყენა. გაზეთები პარტიულ ორგანიზაციებს ეხმარებოდნენ ამ ამოცანების შესასრულებლად მასების დარაზმვაში. ამასთან დაკავშირებით ყოველმხრივ გაიზარდა ბეჭდვითი სიტყვის მასობრივი მუშაობის მასშტაბი. ომის წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა გამსვლელმა რედაქციებმა. ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში „პრავდის“ რედაქციის 30-ზე მეტი გამსვლელი რედაქცია მუშაობდა, ხოლო „კომსომოლსკაია პრავდამ“ 38 ასეთი რედაქცია მოაწყო. მარ-

ტო ამ ორმა გაზეთმა ადგილებზე 2884 ნომერი გამოუშვა, რომელთა საერთო ტირაჟი 6 მილიონ ეგზემპლარს აღემატებოდა. გამსვლელი რედაქციები იგზავნებოდა სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე. აღნიშნულ ღონისძიებებს ადგილობრივი გაზეთებიც აწყობდნენ, მათ შორის საქართველოს პარტიული ორგანოები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“. საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციები, ამასთანავე, ატარებდნენ რეიდებს, გადაძახილებებს, ფრონტის შეკვეთების შესრულებისათვის აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შემოწმებებს და სხვ.

ბეჭდვითი სიტყვის მასობრივი მუშაობის გაძლიერებამ და მისი კავშირის განმტკიცებამ მშრომელებთან და საბჭოთა არმიის მებრძოლებთან დიდი დახმარება გაუწია კომუნისტურ პარტიას მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფაში. პრესა დაუღალავად იღვწოდა ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცებისათვის. გაზეთები მხარს უჭერდნენ და მთელს ქვეყანაში ავრცელებდნენ სახალხო ინიციატივის ყოველ ახალ მაგალითს, რომელიც ფრონტისადმი დახმარებას ითვალისწინებდა. ჯერ კიდევ ომის დასაწყისში დაიწყო მოძრაობა ქვეყნის თავდაცვის ფონდის შესაქმნელად. ხალხის პატრიოტულმა წამოწყებამ ახალ საფეხურს მიაღწია როდესაც შრომითმა კოლექტივებმა ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში დაიწყეს სახსრების შეგროვება სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავთა ესკადრილიების ასაგებად. მშრომელთა ამ შესანიშნავი თაოსნობის ამსახველ მასალებთან ერთად პრესა აქვეყნებდა, აგრეთვე, საპასუხო ტელეგრამებს, რომლებშიც გამოთქმული იყო მთავრობის მადლობა არმიასა და ფლოტზე საყოველთაო-სახალხო ზრუნვის გამო. ობოლ ბავშვთა შვილებად აყვანის პატრიოტული მოძრაობა, რომელიც მთელს ქვეყანაში გაიშალა, საბჭოთა ხალხის მაღალი მორალური თვისებების შესანიშნავი დემონსტრაცია იყო. პრესა ფართოდ იტყობინებოდა იმის შესახებ, რომ მრავალ მოქალაქეს და მთელს კოლექტივებს როგორ აჰყავდათ აღსაზრდელად დაობლებული ბავშვები.

ომის მსვლელობაში ჩვენმა ბეჭდვითმა სიტყვამ დიდი მუშაობა გასწია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ყველა ეროვნების მშრომელთა დარაზმვის, მათი ძალების მობილიზაციისათვის სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. გაზეთები სისტემატურად ბეჭდავდნენ ქართველი, უაზახი, სომეხი და სხვა ხალხების წერილებს ფრონტელი თანამემამულეებისადმი, რომლებსაც ჯარის ნაწილებში მხურვალედ ხვდებოდნენ. პრესა პოპულარიზაციას უწევდა ამ დოკუმენტებს, ერთ მონოლითურ მებრძოლ ოჯახად აკავ-

შირებდა სხვადასხვა ეროვნების მებრძოლებს. საბჭოთა ადამიანების პატრიოტული აღზრდისათვის, ხალხისა და არმიის კავშირის განმტკიცებისათვის პრესა უნარიანად იყენებდა, აგრეთვე, ზურგის მშრომელების მიმოწერას საბჭოთა არმიის მეომრებისა და მეთაურებისადმი, ნაწილებისა და შენაერთებისადმი, რომლებიც ფრონტზე იბრძოდნენ. ამ პატრიოტული მიმოწერის გაშუქება საგაზეთო მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო ომის წლებში.

მთელი ომის განმავლობაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეუნელებლად ხელმძღვანელობდა ბეჭდვით სიტყვას, განიხილავდა მას როგორც მასების პატრიოტული აღზრდის უძლიერეს საშუალებას. ცენტრალური კომიტეტის მითითებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პრესის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში. 1943 წლის მაისში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი რაიონული პრესის შესახებ და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურაღღება მიაპყრო რაიონული გაზეთების მზარდ როლს სოფლის მშრომელთა პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდაში, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში. პრესის საქმიანობის სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1944 წელს მიღებულ დადგენილებებს: „მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ თათრეთის პარტიულ ორგანიზაციაში“ და „ბელორუსიის კპ (ბ) პარტიული ორგანიზაციების უახლოესი ამოცანების შესახებ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში“. ამ დოკუმენტებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი კიდევ ერთხელ მოაგონებდა პარტიულ ორგანიზაციებს იმის აუცილებლობას, რათა გაზეთები გადაექციათ მასებში პოლიტიკური მუშაობის ცენტრებად და მოითხოვა პრესისადმი ხელმძღვანელობის ძირეული გაუმჯობესება. ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო თათრეთისა და ბელორუსიის რესპუბლიკებისათვის. კომუნისტური პარტიის მითითებებით მთელმა საბჭოთა პრესამ დიდი და ნაყოფიერი საქმიანობა გასწია საბჭოთა ხალხის ძალების დასარაზმავად გერმანელ ფაშისტთა საბოლოო განადგურებისათვის.

ქვეყნის სამხედრო მდგომარეობის, საბჭოთა არმიის საომარ მოქმედებათა, აგრეთვე საბჭოთა ზურგის მუშაობის გაშუქებასთან ერთად პრესის ფურცლებზე დიდი ყურადღება ექცეოდა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ახსნა-განმარტებას, რომელიც ითვალისწინებდა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ყველა თავისუფლებისმოყვა-

რე ხალხების დარაზმვას. პრესა დამაჯერებლად ცხადყოფდა, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი. გაზეთებში მრავალი მასალა ქვეყნდებოდა იმის თაობაზე, რომ დედამიწის მრავალი ხალხი თანაუგრძნობს საბჭოთა ადამიანებს მათ სამართლიან ბრძოლაში ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ. როგორც კი ფაშისტური გერმანია ავანტიურად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ევროპასა და ამერიკაში ეწყობოდა ხალხმრავალი მიტინგები, რომელთა მონაწილენი თავიანთ მთავრობებს მიმართავდნენ, რათა საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ღონისძიებები განეხორციელებინათ. საბჭოთა პრესაში ასევე ქვეყნდებოდა დასავლეთის ქვეყნების პროგრესული საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერების, ჟურნალისტების გამოსვლები. მათი სიმპათიები და თანაგრძნობა საბჭოთა ხალხის მხარეზე იყო, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა კაცობრიობის უბოროტესი მტრის — გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ. ჩვენი პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის ხალხები მარტონი არ დარჩნენ, რომ მათ მხარეზე იყო მთელი პროგრესული კაცობრიობა.

საბჭოთა კავშირის ჩაბმით მეორე მსოფლიო ომში დამთავრდა მისი გადაქცევის პროცესი სამართლიან განმათავისუფლებელ ომად ფაშისტური ბლოკის ქვეყნების წინააღმდეგ. საერთაშორისო თემებზე გამოქვეყნებულ მასალებში საბჭოთა გაზეთებს მოჰქონდათ უამრავი ფაქტი, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ მთელი მსოფლიო დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს გიგანტურ ბრძოლას, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მიმდინარეობდა, რომ ჩვენი ჯარების ყოველ წარმატებას უდიდესი სიხარულით ხვდებოდნენ მთელი მსოფლიოს მშრომელები. პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა საზღვარგარეთელი მეგობრების მისალმებები, წერილები და სტატიები, რომლებშიც ისინი გამოთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას და მადლობას საბჭოთა არმიისადმი, რომელიც ფაშისტთა ურდოებს ანადგურებდა. ჩვენი გაზეთები უჩვენებდნენ, რომ საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გმირული ბრძოლის გავლენით ევროპის ქვეყნებში, რომლებიც ჰიტლერელთა ოკუპაციაში იმყოფებოდნენ, ფართოვდებოდა პარტიზანული მოძრაობა.

საბჭოთა პრესა ასევე ფართოდ აშუქებდა ჩვენი მოკავშირეების — ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა საგარეო პოლიტიკასა და სამხედრო სტრატეგიას, ბეჭდავდა მასალებს მათი ჯარების საომარ მოქმედებებზე სხვადასხვა რეგიონში. მიუხედავად ინგლისისა და ამერიკის მთავრობათა ნელი მოქმედებისა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე, რომ ისინი თავს არი-

ღებდნენ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას, ამ ქვეყნების საზოგადოებრიობის დაწოლით და, რაც მთავარია, საბჭოთა არმიის ძლეავმოსილი გამარჯვებების გამო იძულებული გახდნენ ევროპაში ვადმოესახათ ჯარები. პარტიული და საბჭოთა პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცდებოდა და ვითარდებოდა ხალხთა მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიცია. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხების განმარტებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელი მისიის პროპაგანდა. 1944 წლის შემოდგომაზე საბჭოთა არმია სახლვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიაზე შევიდა, დაიწყო პოლონეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების განთავისუფლება. საბჭოთა არმიის წარმატებებს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი დიდი თანაგრძნობით ხვდებოდა. პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მასალები იმის შესახებ, თუ როგორი სიყვარულით და სითბოთი ხვდებოდნენ ევროპის ხალხები საბჭოთა არმიას.

საბჭოთა მეომრები დარწმუნდნენ, თუ რას ნიშნავდა ჰიტლერული „ახალი წესრიგი" ევროპაში. მათ ნახეს ოსვენციმი, მაიდანეკი, საპიბური და სხვა სიკვდილის მექანიზებული ფაბრიკები. ჰიტლერელ კაციჭამიათა შემაძრწუნებელი მხეცობის ფაქტებს ფართოდ აცნობდა მკითხველს საბჭოთა პრესა. გაზეთები, ამასთანავე, მოაგონებდნენ საზოგადოებას, რომ ამ დანაშაულებრივი ომის ინიციატორები და ორგანიზატორები — ჰიტლერელები წარსდგებიან ხალხის სამსჯავროს წინაშე, პასუხს აგებენ ადამიანთა აურაცხელი ტანჯვისა და უბედურებების გამო.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მთავრდებოდა ბრძოლები ბერლინში. საბჭოთა არმიის დარტყმის შედეგად ბერლინის გარნიზონმა კაპიტულაცია მოახდინა, ხოლო 1945 წლის 8 მაისს გერმანელ-ფაშისტურმა მთავარსარდლობამ ბერლინში, კარლჰორსტის საინჟინრო სასწავლებლის შენობაში, ხელი მოაწერა აქტს უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

„პრავდის" კორესპონდენტები ბერლინში ბ. გორბატოვი და მ. მერკანოვი წერდნენ: „ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის რვა მაისი. კაცობრიობამ თავისუფლად ამოისუნთქა. ჰიტლერული გერმანია მუხლებზე იქნა დაჩოქებული. ომი დამთავრდა. გამარჯვება. რა უნდა იყოს ამ სიტყვებზე უფრო ძლიერი, უბრალო და ადამიანური!"

მეორე დღეს მთელმა მსოფლიომ გაიგო საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის დიადი გამარჯვების შესახებ, რომელმაც გაანადგურა კაცობრიობის უბოროტესი მტერი — გერმანიის ფაშიზმი.

ერთი კვირის შემდეგ გაზეთებმა დაბეჭდეს უკანასკნელი ოპე-

რატიული ცნობა „საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან“, რომლის ქვესათაური იყო: „გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ტყვეების მიღება ყველა ფრონტზე დამთავრდა“. მალე ლიკვიდირებული იქნა ომის კერა შორეულ აღმოსავლეთშიც. 3 სექტემბერს პრესამ აუწყა მკითხველებს იმპერიალისტური იაპონიის ჯარების განადგურების შესახებ, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულეს საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა.

ამრიგად, ომის პერიოდში პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა პარტიის ხელში მძლავრ იარაღს წარმოადგენდა მასების დარაზმვის საქმეში საძულველ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ბევრმა გაზეთმა მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურა.

თანამედროვე პირობებში საბჭოთა ჟურნალისტები სათუთად ინახავენ და ამრავლებენ დიდი სამამულო ომის პერიოდში დაგროვილ გამოცდილებას მასების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის, სიფხიზლის ამაღლების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის.

ლიტერატურა

რაიონული გაზეთების მუშაობის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს 1942 წ. 3 მარტის წერილი. — პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თბ., 1956, გვ. 664—673.

სამხედრო კორესპონდენტების მუშაობის შესახებ ფრონტზე. (საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოსა და წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მიერ 1942 წელს დამტკიცებული დებულებიდან). — იქვე გვ 673—676.

რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების ამოცანების შესახებ მოსავლის აღებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასთან დაკავშირებით. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს წერილი. — იქვე, გვ. 676—688.

მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ თათრეთის პარტიულ ორგანიზაციაში. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წ. დადგენილებიდან. — იქვე, გვ. 710—714.

ბელორუსიის კპ (ბ) პარტიული ორგანიზაციების უახლოესი ამოცანების შესახებ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წ. 9 აგვისტოს დადგენილებიდან. — იქვე, გვ. 715—719.

Партийная и советская печать в борьбе за построение социализма и коммунизма. М., 1966.

И. П. Попов, Н. А. Горохов. Советская военная печать в годы Великой Отечественной войны (1941—1945). М., 1984.

Г. Д. Нишнианидзе. Пресса и радиовещание Грузии в годы Великой отечественной войны (1941—1945). Тбилиси, 1984.

სარჩევი

შესავალი 3
პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკის შესწავლის მიზანი . 7
თემა პირველი. რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენება (1883—1894 წწ.) . . . 11
თემა მეორე. მუშათა ბეჭდვითი სიტყვა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში ბოლშევიკური პრესის აღმოცენება (1895—1903 წწ.) . . 16
თემა მესამე. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის წლებში (1904—1907 წწ.) . 24
თემა მეოთხე. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა რეაქციის წლებში (1907—1910 წწ.) . 36
თემა მეხუთე. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში (1910—1914 წ. წ . 45
თემა მეექვსე. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში თებერვლის რევოლუციის წლებში (1914—1917 წ. თებერვალი 75
თემა მეშვიდე. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების პერიოდში (1917 წ. მარტი — ოქტომბერი) . 80
თემა მერვე. ოქტომბრამდელი პერიოდის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის პუბლიცისტები 95
თემა მეცხრე. პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა სოციალისტური რევოლუციის განვითარებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში (1917 წ. ნოემბერი — 1918 წ. ივლისი) 98
თემა მეათე. პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში (1918—1920 წწ.) . 106
თემა მეთერთმეტე. პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.) . 121
თემა მეთორმეტე. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების პუბლიცისტიკა (1918—1925 წწ.) . . . 134
თემა მეცამეტე. პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა სოციალიზმის საძირკვლის მშენებლობის — ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში (1926—1932 წწ.) . 140
თემა მეთოთხმეტე. პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების წლებში (1933—1937 წწ.) . . 154
თემა მეთხუთმეტე. პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა სოციალისტური საზოგადოებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში (1937 წ. — 1941 წ. ივნისი) . 169
თემა მეთექვსმეტე. პარტიული და საბჭოთა ჟურნალისტიკა დიდი სამამულო ომის წლებში (1941 წ. ივნისი — 1945 წ.) 181

რედაქტორი ო. შალამბერიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ზაკალაშვილი
ტექრედაქტორი ნ. გაგნიძე
უფ. კორექტორი ნ. დგებუაძე
კორექტორი დ. ყვაეაძე
გამომშვები ქ. ნიკოლაშვილი

ИБ № 4041 — Учебное издание для вуза

გადაეცა ასაწყობად 10.03.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.10.88. ქაღალდის ზომა 60×90 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 12,5. პირ. საღებავგატარება 12,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,82. ტირაჟი 1 000. უე 09465. შეკვ. 590.

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50
1988

380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ., მედქალაქი,
II სასწ. კორ., საქ. სსრ გამსახლობის № 4 სტამბა.

380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп. типография № 4, Госкомиздата Груз. ССР.